240
1987/3

ეროვნული
ბიბლიოთეკა



საქართველოს
სახელმწიფო
მუზეუმის

# მოამბე

## XXXIX-B

«მეცნიერება»

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი

ГОСУДАРСТВЕННЫЙ МУЗЕЙ ГРУЗИИ им. С. Н. ДЖАНАШИА

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ВЕСТНИК
## ГОСУДАРСТВЕННОГО МУЗЕЯ ГРУЗИИ
## им. АКАД. С. Н. ДЖАНАШИА

## XXXIX—B

«МЕЦНИЕРЕБА»
ТБИЛИСИ
1987

ეროვნული ბიბლიოთეკა

## აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის

# მ ო ა მ ბ ე

## XXXIX—B

18709

„მეცნიერება"
თბილისი
1987

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

379.4(C4I)
069(47.922).082
40I

„მოამბეში“ ქვეყნდება ნაშრომები საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ნუმიზმატიკის მნიშვნელოვან საკითხებზე. ნაშრომები ძირითადად ემყარება სამუზეუმო კოლექციების და სხვადასხვა ექსპედიციების მიერ მოპოვებული მასალების შესწავლას. „მოამბის“ მნიშვნელოვანი ნაწილი უჭირავს სამუზეუმო კოლექციების პუბლიკაციას, თან ერთვის კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის განყოფილება და მუზეუმების 1984-1985 წწ. ქრონიკა.

რედაქტორი ლ. ჭილაშვილი

რეცენზენტები: ისტ. მეცნ. კანდ. ნ. ქანთარია, ა. ქალდანი,
გ. ჯალაბაძე, გ. ჯავახიშვილი,
ნ. ჯიქია, მ. სინაურიძე, მ. ანთაძე,
ც. დავლიანიძე, ვ. ლექვინაძე,
თ. აბრამიშვილი, კ. ბაქრაძე,
ზ. ქიქოძე,
გეოლოგია-მინერალოგიის მეცნ. დოქტ. ა. ვეკუა

В "Вестнике" публикуются труды по важнейшим вопросам истории, археологии, этнографии и нумизматики Грузии. Они в основном составлены в результате изучения музейных фондов и материалов, добытых экспедициями Музея. В "Вестнике" значительная часть отведена публикации музейных коллекций, дана также хроника Музея 1984-1985 гг.

Редактор Л.А. Чилашвили

Рецензенты: канд.истор.наук: Н.Кантария, А.Калдани
Г.Джалабадзе, Г.Джавахишвили, Н.Джикия,
М.Синауридзе, М. Антадзе, Ц. Давлианидзе,
В.Леквинадзе, Т.Абрамишвили, К.Бакрадзе,
З.Кикодзе, докт.геол.-мин.наук А.Векуа

6 0501000000 / M607(06) - 87 230-86

© გამომცემლობა „მეცნიერება“, 1987

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ. ნ ა დ ა რ ა ი ა

## კიდევ ერთხელ ცხენიანი პანაკების შესახებ
## (გორის, არმაზისა და ზღუდრის მასალების მიხედვით)

მეცნიერთა მიერ გორისა და არმაზის პინაკებზე მოცემული, გომონთან მდგომი მოჭიხვინე ცხენის გამოსახულებათა შესახებ გამოთქმული მოსაზრებანი ძირითადად ერთი მიმართულების არიან. რადგან ერთი და იგივე, დაძაბულ მდგომარეობაში მოცემული ყველა ამ ცხენიდან ზოგი სამსხვერპლოზე ზეაღმართული ტორით არის გამოსახული, ამიტომ მეცნიერები საკითხს უდგებოდნენ ამ პოზიციიდან და უმთავრეს სადავოდ მიიჩნევდნენ იმას, თუ ამ ორგვარ პოზაში გამოსახული ცხენებიდან რომელია ღვთაება და რომელი ზვარაკი, ტორდაწეული თუ ტორაწეული?[1] ამგვარი მიდგომა სრულიად ვერ მოიცავს საკითხს და მხედველობის არის მიღმა რჩება მთავარი, ამოსავალი დედააზრი, რომელსაც ექვემდებარება ყველა გამოსახულების შინაარსი. ამასთან, რანგობრივი სხვაობა ამ ცხენებს შორის არ უნდა არსებობდეს.

რისი მომასწავებელია ცხენის დაძაბულობა და სამსხვერპლოზე ზეაღმართული ტორი? ზღუდრის პინაკზე[2] საკურთხეველი ნახევრად გადაქცეულია და ეს გადაქცეული საკურთხეველი იძლევა საკითხის ამოხსნის წინასწარ პასუხს. ერთ პინაკზე გამოსახულია სამსხვერპლოს წინ მდგომი, მოჭიხვინე, დაძაბული ცხენი (გორი, არმაზი, სურ. I), მეორეზე - ასეთსავე მდგომარეობაში მყოფი, მაგრამ სამსხვერპლოზე ტორაწეული ცხენი (არმაზი, სურ. 2) და მესამეზე - ტორაწეული ცხენის წინ გადაქცეული სამსხვერპლო (ზღუდერი, სურ. 3). გამოსახულებათა ეს სერია წარმოადგენს გარკვეული მოქმედების, აქტის სამ სხვადასხვა მომენტს: ჩვენს წინაშეა დიონისეს რელიგიიდან ცნობილი წმინდა მაგიდების გადატრიალების, სამსხვერპლოთა დანარცხების ორგიული წეს-ჩვეულება, დაკავშირებული, როგორც ფიქრობენ, ომოფაგიასთან (მსხვერპლის ცოცხლად გაგლეჯა და შეჭმა), რაც შეადგენს დიონისური მენადების (დიონისეს თანამგზავრთა) ღვთისმსახურების მისტიკურ ნაწილს[3].

როგორც ვ. ივანოვი წერს, წმინდა მაგიდების გადატრიალების წესის დემონსტრირებას წარმოადგენს მითი „პელასგური" ლიკაონის შესახებ. მითის მიხედვით „მეფე - ქურუმი" ლიკაონი, რომელიც თავის ღმერთს საჭმელად სთავაზობდა შვილიშვილის (არკადის) ხორცს, გადაიქცა მგლად, მაგიდა კი, რომელზედაც შეთავაზებული იყო სამსხვერპლო ხორაგი, გადაბრუნებულ იქნა განრისხებული ზევსის მიერ[4] (შდრ. „დევთა პარასკევი" ანუ სისხლის სუფრა ამირანის თქმულებაში)[5]. ავტორს მოჰყავს პენთეისა და მენადების შე-

---

I Н.Я. М а р р. Филистимляне, палестинские пеласги и раены или этрусски. - "Еврейская мысль", Л., 1926, с.8; И.И.М е щ а н и н о в, Закавказские поясные бляхи. СМОМПК, вып.45, Махач-Кала, 1926, გვ. 225. შ. ა მ ი რ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ხელოვნების ისტორია, ტ.I 1944, გვ. 114, 121; ჯ. ს ო ნ ღ უ ლ ა შ ვ ი ლ ი, მასალები ქართველი ხალხის ყოფისა და კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1964, გვ. 224-241.

2 Г.М.Н е м с а д з е, Погребения иберийской знати из Згудери. - Краткие сообщения,151. Античные памятники Колхиды и Иберии, М., 1977, გვ. 110, სურ. 3.

3 В. И в а н о в. Дионис и прадионисийство, Баку, 1923, გვ. 4,8.

4 იქვე, გვ. 8

5 მიხ. ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი, ამირანის თქმულება, თბ., 1961, გვ. 9, 10.

სახებ ლექსად მონათხრობი თეოკრატესთან, რომელშიც კვლავ ვაწყდებით აღნიშნულ წესს:

„პირველმა, მტრული შენიშნა რა დაზვერვა, ავტონოთამ შეჰყვირა
სამსხვერპლო მაგიდას ფეხი კრა, მიწაზე დაანარცხა
ბახუსის წმინდა საიდუმლონი, უცხოთა მზერისათვის ფარულნი;
თავად მძვინვარე შეპყრობით აღინთო და მეგობარი ქალებიც შთააგონა"[6].

ვ. ივანოვი შენიშნავს, რომ ეს მნიშვნელოვანი ფაქტი წეს-ჩვეულებისა აღნიშნა და პირველად გააშუქა კრუსიუსმა[7].

მთავარი ტოტემური მოტივი ლიკეის კულტისა – წერს ვ. ივანოვი – არის მგლების მიერ ირმების დევნა. ლიკეის ტაძარში ირმებად იწოდებიან განწირული უცხოელები, მგლებად – ქურუმები[8]. როგორც წმინდა მაგიდების გადატრიალების წეს-ჩვეულება, – განაგრძობს ავტორი, – რასაც ეტიოლოგიურად ხსნიან მოგონებებით თავდასხმებზე, ბრძოლებზე, დადევნებებზე, ასევე ადამიანთა მსხვერპლის, მამაკაცთა და ბავშვთა ხოცვის სიმბოლური ნიშანდებანი განეკუთვნებიან ტრიეტერიკულ (ყოველ მესამე წელს გასამართავ)[9] ღამეულ ქალურ ორგიებს, მათ მისტიკურ მოქმედებებს (კუდიანებზე არსებულ წარმოდგენებს, მ.ნ.). ამ დიონისამდელი ქალური ორგიული კულტის ოდინდელი კუთვნილება იყო ღვთაების ქურუმისა და მსხვერპლის სახეებად გაორებისა და მსხვერპლის ღვთაებასთან გაიგივების მისტიკა[10].

როგორც ვ. ივანოვი შენიშნავს, ესქილესთანაც არის ნახსენები საკურთხევლის ორგიული დამხობის ფაქტი: ვერ დაიცავს სიმდიდრე დაღუპვისაგან (იმ) გაამაყებულ კაცს, რომელიც სწიხლავს დიკეს დიდ საკურთხეველს u gar estin epalxis plutu pros koron andri laktisanti megan Dikas bômon eis aphaneian[11].

შესაძლოა – წერს ვ. ივანოვი – ესქილეს მის ამ მეტაფორაში მოწოდებული აქვს სწორედ სახე სამსხვერპლოების ორგიული დამხობისა სალოცავისა და სალოცავში მყოფი ღმერთის მოსპობის (aphanismos, ἀ-φανισμός) მიზნით. ამავე აზრით არის ნათქვამი ლიკოფრონთან პარისის შესახებ: laxas trapezan[12].

მითით დიონისე იბადება მამის – ზევსის – ელვა-მეხისაგან ფერფლადქცეული სემელესაგან, რომელსაც მშობიარობის წინ მისივე თხოვნით ზევსი ეჩვენა მთელი თავისი დიდებულებით – მეხ-ქუხილად მოევლინა. ზევსმა მოასწრო მისი მუცლიდან ჩვილი დიონისეს ამოყვანა და თავის ფერდში ჩაისვა. სემელეს სახელთან დაკავშირებით ვ. ივანოვს მოჰყავს ორი მოსაზრება: ველკერი სემელეს სახელში ხედავდა სიტყვა მიწის სლავიანურ ფესვს („земля"), ხოლო კრეჩმერი მას აწარმოებდა ფრიგიული ძირიდან zemel, რასაც, შენიშნავს ვ. ივანოვი, იგივე მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს. მხედველობაში იღებს რა გესიხიის შენიშვნას semelê trapeza, ვ. ივანოვი სვამს კითხვას: ხომ არ იწოდებოდა semelê-დ ბაკხიური სამსხვერპლო, როგორც ქალურ ორგიათა თავშეყრის ცენტრი? მაშინ – ასკვნის ავტორი – მითის სემელე (ეტიოლოგიური, როგორც დიდი ნაწილი დიონისური მითებისა( იქნებოდა განსახიერება „სემელის" ანუ „ტიმელის" (სამსხვერპლო), ცეცხლში მყოფი დიონისეს ეპიფანიის (განცხადების) კერისა და მისი დაღუპვა – ასახვა ბაკხიური მაგიდების გადაქცევის საიდუმლო წეს-ჩვეულებისა[13]. ამრი-

--------------

6 В.И в а н о в, იქვე.

7 Crusius, Rein. Mus. XLVII, S. 267. იხ.В.И в а н о в, იქვე, გვ.8, სქ. I.

8 В.И в а н о в, იქვე, გვ. 8,9,72.

9 იქვე, გვ. 104; ტრიეტერიკების შესახებ იხ. გვ. - ბი: II,97,IOI,IO4,IO5, I68,248.

IO იქვე, გვ. IO.

II Ag. 38I sq. იხ.В.И в а н о в, იქვე, გვ. IO4, სქ. I. ამ ნაწყვეტში იგულისხმება პარისი, რომელმაც უსამართლობა ჩაიდინა (სამართლიანობის ქალღმერთის დიკეს საკურთხეველი ჩასწიხლა) და დაიღუპა. - თარგმანი და განმარტება თ. ყაუხჩიშვილისა.

I2 В. И в а н о в, იქვე.

I3 ვ ე ლ კ ე რ ი, Götterlehre I,S. 435 f; კ რ ე ჩ მ ე რ ი, Aus der Anomia, S. 20ff;"semelê trapeza" -შდრ. Orph. h. XLIV, 8; იხ.В. И в а н о в, იქვე, გვ. 80,8I, სქ. I.

გად, ავტორის მიხედვით, დიონისეს დაბადების კერა არის ცეცხლწაკიდებული და გადაქცეული სამსხვერპლო, რომელმაც მითში მიიღო ქალღმერთი სემელეს განსახიერება: როგორც ცნობილია, სხვა ვარიანტით, დიონისე სიკვდილს გადაარჩინა მის ირგვლივ სასწრაფოდ აღმართულმა სუროს მწვანე კედელმა. ამ კედლის იქით ღვთიური ცეცხლი გიზგიზებდა, რომელმაც დიონისე უკვდავად აქცია[14].

თავისი აყვავების პერიოდში დიონისური რელიგია უნივერსალური მოვლენა იყო ანტიკური, წინა აზიისა და ეგვიპტის ქვეყნების აღდგენად ღვთაებათა რელიგიებისათვის. V საუკ. მიჯნაზე, ძველი წელთაღრიცხვით, მარციანე კაპელა ასე ლოცულობს დიონისე – მზეზე: ... მემფისში ოსირისია სახელი შენი და სერაპისი ნილოსის ჩაყოლებით. ერთთავის მითრა ხარ, სხვებთან შენ პლუტონი ხარ, ანდა ტიფონი ულმობელი... ატისი, ბიბლოსში ნაზი ადონისი, გავარვარებულ უდაბნოში ამონი... Jao[15]. აპოლონის ორაკულით Jao არის უმაღლესი ღმერთის მისტიკური სახელი, იმისი, ვინც ზამთარში ჰადესად იწოდება, გაზაფხულზე – ზევსად, ზაფხულში – ჰელიოსად, ხოლო შემოდგომაზე – დიდებულ ადონისად[16] (შდრ. გურული კრიმანჭულის სიტყვები: იაო, ია-უაო, იაო...). საიქიოს სამეფოდან მომავალ გაზაფხულის დიონისეს თან მოჰყვებიან თხები – სატირები და ცხენები – სილენები, რომლებიც, არსებული მოსაზრებით, უნდა განასახიერებდნენ გარდაცვლილთა სულებს[17].

ბორის პინაკი თარიღდება ახალი წელთაღრიცხვის I საუკუნით[18]. აკად. ი. ორბელს ზეპირ მოხსენებაში ბორის პინაკზე მოცემული ცხენის გამოსახულება განუმარტავს, როგორც ქართველთა ერთ-ერთი ტომის ღვთაება – ტოტემის გამოსახულება[19]. საკითხისათვის ასევე გასათვალისწინებელია რელიგიის ისტორიის მკვლევარის აკ. სოხაძის მიერ ზეპირ მოხსენებაში გამოთქმული აზრი პინაკებზე მოცემულ სცენასა და თედორობის რიტუალს შორის გენეტიკური კავშირის არსებობის შესაძლებლობაზე. ხაზგასასმელ მომენტად მიჩნეულია პინაკებზე მოცემული ცხენების მსგავსად თედორობის რიტუალის გაცხენებული მონაწილეების ექსპანსიურობა, ტორების (წიხლების) კვრის წესი. თედორობა არის ცხენის დღეობა, ცხენების გამრავლებისათვის, თესლეულის ნაყოფიერებისათვის, ვენახისათვის ლოცვის დღე. ქრისტიანული კალენდრით და ხალხური წესითაც თედორობის კვირა არის თაუზიარების კვირა (თედორობის ზიარება ტოლძალოვანი იყო სიკვდილის წინ ზიარებისა), თედორობის ქრისტიანული ზიარების იდეასა და თედორობის ხალხური რიტუალის გაცხენების იდეას შორის არსებობს კავშირი. ხალხური თედორობის თავისებურება წარმოსდგება ადამიანის გაცხენების მისტერიით და ქრისტიანული საწესო მსახურებისათვის უჩვეულო ზიარების წესით, რაც სანთლებშემონთებულ ღვინოში ჩაყრილი კვერების პირით დაჭერისა და შეჭმის წესში გამოიხატება. თედორობის ხალხური რიტუალი უნდა წარმოადგენდეს ზიარების დიონისურ წესს.

საკითხისათვის საინტერესო ჩანს ნადირთპატრონ მესეფეთა თვისება ყველაფრის: ფოთლის, ქვა, მიწა... უკუღმა გადაბრუნებისა[20]. ჭინკას განსაკუთრებული ლტოლვა გაუხედნავი ცხენისადმი... მთელს დასავლეთ საქართველოში მოარული გადმოცემები დატყვევებული ჭინკას მიერ ოჯახიდან გაქცევის წინ ერთ-ერთი მისი კეთილისმყოფელი ბავშვის ადუღებულ ქვაბში ჩაგდების შესახებ უნდა განეკუთვნებოდნენ დიონისური ხასიათის თქმულე-

----------------

14 მითოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1972.

15 В. И в а н о в, იქვე, გვ. 180.სქ.7 Lobeck, Agl. p. 464 .

16 იქვე, გვ. 161, სქ. 8

17 იქვე, გვ. 223, 230. იხ. აგრეთვე გვ-ბი: 62,64,154.

18 Я.И. С м и р н о в, Босточное серебро, Тб., 1909,გვ.7; Е.М. П р и д и к , Новые кавказские клады. - Материалы по археологии России, вып.XXXIY, გვ.100.

19 И.И.М е щ а н и н о в , იქვე.

20 მ.ა. ნ ა დ ა რ ა ი ა, წვიმის პატარა ღვთაებები - მესეფენი და ჭინკები. - „სამეგრელო" (მასალები სამეგრელოს ეთნოგრ. შესწავლისათვის). თბ., 1979, გვ. 134.

ბებს, მაგ., ინო – ლევკოთეასა და მედეაზე. ამ თქმულებათა მიხედვით ზღვის აქაფებულ ან ქვაბის ადუღებულ წყალს გრძნეულის ნებით ენიჭება ძალა მასში ჩაშვებული ყრმის ახალი სახით შობისა[21]. საკითხისათვის ასევე საინტერესო ჩანს ოჯახის უფროსი მამაკაცის გარდაცვალების შემთხვევაში შესასრულებელი კერის დამხობის სვანური წესი...

სამსხვერპლოთა გადაქცევის აღნიშნული წესი შეესატყვისება ხთონური კულტმსახურების წესს, რომლის ასრულებისას შესაწირავები იწვება (ცეცხლში მყოფი დიონისე) და მიწაზე იქცევა (გადაქცეული სამსხვერპლო): მიცვალებულთა შესაწირვებს მიწაზე აქცევდნენ, ანდა მასში ფლავდნენ, გმირთა შესაწირვებს წვავდნენ. ოლიმპოს ღმერთათვის მსხვერპლად შეწირულ ცხოველთა ხორცს, პირიქით, ჭამდნენ თვით რიტუალის მონაწილენი[22].

დაბოლოს, სამსხვერპლოთა გადატრიალების დიონისური წესი მისაღებ ფაქტად გვესახება პინაკებზე მოცემული გამოსახულებებისათვის იმ შემთხვევაშიც, თუ წარმოდგენილი არ იქნებოდა ზღუდერის პინაკის გადაქცეული სამსხვერპლო, რადგან ბორისა და არმაზის პინაკებზე მოცემული ცხენების გამოსახულებებში გამჟღავნებული ექსპანსიურობა, სამსხვერპლოზე აღმართული ტორი სამსხვერპლოს ჩაწიხლვისა და გადაქცევის მომასწავებელია.

ეს სტატია 1981 წ. გადაეცა ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმის სამეცნიერო ნაწილს, 1982 წ. გათვალისწინებული იყო „მაცნეში" მისი გამოქვეყნება, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო არ დაიბეჭდა. ამჟამად ტექსტი იბეჭდება უცვლელად.

М.А. Н а д а р а я

## Вновь о чашах с изображением лошади

## Р е з ю м е

Дана попытка опровержения мнения, будто фигуры стоящих перед алтарем лошадей, изображенных на серебряных чашах из Бори, Армази и Згудери, олицетворяют собой в одних случаях божество, в других же – жертву. Суть ритуального действия, изображенного на чашах, заключается не в ранговом различии лошадей,- рангового различия здесь не должно быть, – а в опрокидывании алтаря.

Данная серия изображений на чашах из Бори, Армази и Згудери – стоящая перед алтарем ржущая, напряженная лошадь, стоящая в той же позе, только с поднятой над алтарем ногой лошадь и стоящая в той же позе перед опрокинутым алтарем лошадь – представляют три разных момента определенного действия, акта, т.н. опрокидывания священных столов, низвержения алтарей – оргиастический обряд, составлявший мистическую часть дионисийского богослужения.

Отмеченный обряд опрокидывания алтарей, связанный, согласно существующему соображению, с омофагией (т.е. с растерзанием и съеданием жертвы живьем), соответствует обряду служения хтонического культа.

---

21 В. И в а н о в, იქვე, გვ. 7, სქ. 4.
22 პავსანიუსი, წ. II, თ. IO, I.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

თ. გ ე ლ ა ძ ე

## კოლექტიური შრომის ფორმა - დაძახილი

აღმოსავლეთ საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული შრომითი გაერთიანების ერთ-ერთი ფორმა, რომლის დროსაც მეზობლები ანაზღაურების გარეშე ეხმარებოდნენ ოჯახს, ამ უკანასკნელის მოწვევით. სამუშაოს პატრონი მოწვეულ პირთ, ჩვეულებრივ, უმასპინძლდებოდა. ოჯახი, რომელსაც ეხმარებოდნენ, მხოლოდ მორალურად იყო ვალდებული საჭიროების შემთხვევაში შრომითვე გადაეხადა სამაგიერო.

შრომის ორგანიზაციის ეს ფორმა სხვადასხვა კუთხეში, ზოგჯერ კი სხვადასხვა სამუშაოებთან დაკავშირებით, სხვადასხვა ტერმინებით გამოიხატებოდა - დ ა ძ ა ხ ი - ლ ი, უ ლ ა მ ი, მ ა მ ი თ ა დ ი, ნ ა დ ი, მ უ შ ა, მ უ ყ ა, მ უ შ ა ნ ი, ო ჩ ხ ა რ ი, მ ა მ კ ა ლ ი, მ ა მ კ ლ ი ს შ ე ყ რ ა, მ ო მ კ ა ლ მ უ შ ა, ს ე ფ ე, ქ ო მ ა გ ი, ხ ა დ ი ლ ი. უნდა შევნიშნოთ, რომ ნაწილი ამ ტერმინებიდან, სახელდობრ, ნადი, სეფე, მამითადი, ულამი, მუშა, გარდა შრომითი გაერთიანების მოცემული ფორმისა, გამოხატავდა აგრეთვე ფეოდალურ საქართველოში შრომით ბეგარას. ჩვენ ვისარგებლებთ ტერმინით დ ა ძ ა ხ ი ლ ი, რომელიც სავსებით გამოხატავს შრომის ორგანიზაციის აღნიშნული ფორმის არსს.

დაძახილს მიმართავდნენ განსაკუთრებით სასწრაფო და შრომატევადი სამუშაოების დროს, რომელთა შესრულება ერთი ოჯახის ძალებს აღემატებოდა. ფართოდ იყო გავრცელებული დაძახილი პურეულის მოსავლის აღების დროს.

პურეულის ყოველი სახეობა და ჯიში თხოულობდა დროის პატარა მონაკვეთში აღებას. წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლებოდა მარცვალი დაცვენილიყო. პურეულის ზოგიერთ ჯიშს „ლოშლერად“ იღებდნენ, „რომ ამრეშდებოდა“, „მანამ ძალა მოუვიდოდა“ და მერე ძნაში უნდა „გამომცხვარიყო“, „გამომშრალიყო“. ამიტომ მოსავლის აღება განსაკუთრებით სასწრაფო საქმედ ითვლებოდა. გარდა ამისა, სასურველი იყო სამიწათმოქმედო სამუშაოები ერთდროულად დამთავრებულიყო. ეს განსაკუთრებით იმ სოფლებს ეხებოდა, სადაც მიწის სათემო სარგებლობის წესები მოქმედებდნენ.

მოსავალს იღებდნენ ნამგლის ან ცელის საშუალებით. მკა ცელვასთან შედარებით უფრო მეტად იყო გავრცელებული; ცელი მხოლოდ ვაკე ადგილებში გამოიყენებოდა.

მოკლედ შევჩერდებით დაძახილზე მკის დროს. სამუშაოს პატრონი, რომელიც აპირებდა თანასოფლელების მიწვევას დასახმარებლად, ამ დღისათვის წინასწარ ემზადებოდა. იმარაგებდა ღვინოს, პურს, საკლავს. წინა საღამოს სოფელს შეატყობინებდა, რომ ხვალ აქვს დაძახილი. მეორე დღეს, დილით ადრე ხალხი იკრიბებოდა სამუშაოს პატრონის სახლში და მისი თანხლებით მიდიოდა ყანაში. ყანაში რომ მივიდოდნენ, პატარა შესვენებისა და მასპინძლის დალოცვის შემდეგ შეუდგებოდნენ მუშაობას.

მკის დროს შრომა განაწილებული იყო. აქ იყვნენ მომკლები, რომელთა დანიშნულებას მკა შეადგენდა, მეხელეურე, რომლის მოვალეობა იყო მომკილი ყანის მიტანა მეძნეურთან (ქართლი, კახეთი) II მკონავთან (გუდამაყარი). მეძნეურს ძნის შეკვრა ევალებოდა. ძნას ულოთი კრავდნენ. ბარში გამოყოფილი იყო მეულოეც, ის პირი, რომელიც ულოს ამზადებდა როცა მომკალთა რაოდენობა დიდი იყო, მთაში (ქსნის ხეობა) კოჭალას (I0-I2 ძნა, ერთად დადებული) დამდგმელსაც გამოყოფდნენ. საერთოდ, 2-3 მომკალზე I მეძნეური იყო საჭირო. თუ ხშირი ყანა იყო, 2 მომკალზე I მეძნეური უნდა ყოფილიყო. ბართან შედარებით მთაში პატარა ძნებს კრავდნენ. მთაში 2 ხელეური I ძნას შეადგენდა.

2. მოამბე, XXXIX-B

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეძნეური რამდენიმე ძნას ერთად დაადგებდა. ქართლში, ჩვეულებრივ, სამ-სამ ძნას აწყობდნენ ერთად, კახეთში ოთხ-ოთხს. ამას ერქვა დ ა ს ა მ ე უ ლ ე ბ ა და დ ა ო თ ხ ე უ ლ ე ბ ა.

უნდა შევნიშნოთ, რომ თუ ოჯახი დამოუკიდებლად მკიდა, არ იყო აუცილებელი მეულოეს გამოყოფა; შეიძლებოდა მეხელეურეც არ ყოფილიყო. მათ მოვალეობას მეძნეური ასრულებდა. მაგრამ როდესაც ეს სამუშაო მეზობლების და თანასოფლელების მოწვევით სრულდებოდა, მაშინ შრომის ზემომოტანილი დანაწილება ყოველთვის ძალაში რჩებოდა. შრომის ასეთი დანაწილება ძალების რაციონალური განაწილების საშუალებას იძლეოდა და ამდენად განაპირობებდა შრომის წარმატებას.

მკის დროს შრომით დახმარებაში ბარსა და მთის ძირის ზოლში დაძახილში, როგორც წესი, მხოლოდ კაცები მონაწილეობდნენ, ხოლო მთაში ქალები და ბავშვები. ქსნის ხეობის მთაში ქალები უფრო ხშირად მეძნეურები ან მეხელეურეები იყვნენ, კაცები მომკლები. რაც შეეხება თუშეთს, ფშავსა და ხევსურეთს, ასევე მთიულეთ-გუდამაყარს და ხევს, იქ უმეტესად ქალები იყვნენ მომკლები[I]. საინტერესო ფაქტს წარმოადგენს ის, რომ თუშეთში ქალს გათხოვებისას ოჯახიდან ატანდნენ ნამგალს[2]. ილ. ჭყონიას მოწმობით, მთიული ქალის მზითვის აუცილებელი თანხმლები ყოფილა ნამგალი და სათითეები[3]. ეს ფაქტი ილ. ჭყონიას ქართლშიც დაუდასტურებია[4]. ამავე ავტორის ცნობით, ქალის საპატარძლოდ არჩევაში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ იმას, თუ როგორი მუშა იყო შესაძლებელი ქალი[5].

კოლექტიური შრომა საერთო მხიარულებაში მიმდინარეობდა. მომუშავეთა მრავალრიცხოვან ჯგუფს საერთო რიტმისა და ტაქტის შექმნაში ეხმარებოდა მკასთან დაკავშირებული სიმღერები. სიმღერა ამსუბუქებდა შრომის პროცესს; სიმღერა წარმოადგენდა კოლექტივის მაორგანიზებელ ძალას და ხელს უწყობდა შრომის ნაყოფიერების ზრდას[6]. სიმღერა მუშაობას საზეიმო ხასიათს ანიჭებდა.

მკის დროს რამდენიმე სახის სიმღერა სრულდებოდა, რომელიც ამ პროცესის ცალკეულ მომენტებს შეესაბამებოდა და ასახავდა მის სპეციფიკურ რიტმს.

თ. მამალაძის მიერ მოტანილი კახეთში ჩაწერილი მასალის მიხედვით, მუშაობას რომ დაიწყებდნენ, პირველად „მუშურს" ე.წ. „გრძელ სიმღერებს" მღეროდნენ, ხოლო როცა მუშაობაში შევიდოდნენ - „შეგიოგას", „ჰოპუნას", ე.წ. „მოკლე-მოკლე სიმღერებს" რომლებიც ძირითადად მისამღერებისაგან და შეძახილებისაგან შედგება. შესვენების დროს და გზაში. სამკალიდან სახლში დაბრუნების დროსაც, „მუშურს" მღეროდნენ, ნამგლების ლესვისას კი - „ნამგალოს" ანუ „ნამგლურს"[7]. თ. ოქროშიძის ცნობით, მთიულეთში მკას რომ მორჩებოდნენ, შინ წამოსვლისას ფერხულს ცეკვავდნენ და მაშინ მღეროდნენ „მუშურს"[8].

გ. ნადირაძის აღწერით, მკის დროს, როდესაც სვე გაჰქონდათ, „ჰოპუნას" მღეროდნენ. სვეს რომ გაიტანდნენ, მოტრიალდებოდნენ, ერთმანეთს ამოუდგებოდნენ მხარში და „მუშურს" იტყოდნენ.... „მუშური" უკვე დასვენების და ძალების მოკრეფის სიმღერაა"[9].

---

I ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა. მთიულეთი. - ტფ., 1930, გვ. 47; ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, ხევი. - ტფ. 1934, გვ. 65.

2 რ. ხ ა რ ა ძ ე. საოჯახო თემის გადმონაშთები თუშეთში. - მსე, 1959, ტ.X, გვ. 208.

3 ი. ჭ ყ ო ნ ი ა. ქორწინების ინსტიტუტი მთიულეთში. - თბ., 1955, გვ. 85.

4 იქვე.

5 იქვე.

6 შ. ა ს ლ ა ნ ი შ ვ ი ლ ი. ნარკვევები ქართული ხალხური სიმღერის შესახებ, I - თბ., 1954, გვ. 268.

7 თ. მ ა მ ა ლ ა ძ ე, შრომის სიმღერები კახეთში. - თბ., 1962, გვ. 61-64.

8 თ. ო ქ რ ო შ ი ძ ე. ქართული ხალხური შრომის პოეზია. - თბ., 1963, გვ. 91.

9.გ. ნ ა დ ი რ ა ძ ე. ნიკო სულხანიშვილი. - ტფ., 1937, გვ. 18-19.

ფ. გოგიჩაიშვილის ცნობის მიხედვით, პურის სამკალად მოწვეული მუშები მწკრივებად ნაწილდებოდნენ. მწკრივის შუაში ჩადგებოდა მეთაური – საუკეთესო მომკალი. ის სიმღერას წამოიწყებდა ხმამაღალი „ჰოოპ“-ით. დანარჩენებიც იმეორებდნენ. შემდეგ მეთაური იმღერებდა – „შენ, ბიჭო, აზამბურელო“. დანარჩენები იმეორებდნენ. შემდეგ ისევ მეთაური იტყოდა „ჰოოპ“-ს. ყველა იმეორებდა. ამის შემდეგ მეთაური განაგრძობდა – „შენი ხმა ჩამოდიოდა“. ამას მოჰყვებოდა ისევ „ჰოოპ!“ ეს „ჰოოპ“ მეორდებოდა ოთხჯერ. ყოველი „ჰოოპ“-ის თქმისას მომკელი ნამგალს მოიქნევდა და მარცხენა ხელს მოხვევდა მოჭრილი პურის ღეროებს... როცა ნამგლები დაბლაგვდებოდნენ, შეისვენებდნენ. ყველა ამოიღებდა სალეს ქვას და შესაბამისი სიმღერის თანხლებით ლესავდა ნამგალს[10].

ზემო იმერეთში მკის დროს იცოდნენ ძახილი „ჰეკ! ჰოკ! ჰეკა, ჰოკა! ჰეკ, ჰოკ! ჰეკა, ჰოკა!“ ყველა ერთად იძახდა ხოლმე და თან მკიდნენ[11].

ქართლში, ს. ქორდში ჩაწერილი მასალის მიხედვით, მკის დროს იძახდნენ „ჰოოპუნა, ავხე, ავხე“... „ჰემ ოი, ჰემ ოი“ და თან მკიდნენ.

იყო აგრეთვე მეძნეურის, მეხელეურისა და ძნის დამდგმელის სიმღერებიც, რომლებიც სამკალი სიმღერებისაგან მხოლოდ შინაარსითა და ლექსიკით განსხვავდებოდნენ[12].

თემატურად ეს სიმღერები მრავალფეროვანია. აქ ვხვდებით სატრფიალო, სახუმარო ხასიათის ტექსტებს. მაგრამ უფრო ხშირად ეს არის სამუშაოს შინაარსთან დაკავშირებული ტექსტები. ბევრ მათგანში ასახულია სოციალური ჩაგვრა.

მოგვყავს ზოგიერთი ნიმუში სამკალი სიმღერებისა.

ქართლსა და კახეთში გავრცელებული სიმღერები, ჩაწერილი ფ. გოგიჩაიშვილის მიერ.

შენ, ბიჭო აზამბურელო,
შენი ხმა ჩამოდიოდა,
შენი ნამგლისა ჟრიალი
წყალ გაღმა გამოდიოდა.
აზამბურელი მომკალი
მე მოვკალ უთარელმაო.
არცა შენ მოჰკალ, არცა მე,
მინდორმა მოჰკლა გრძელმაო[13].

გავლესოთ, ძმებო, ნამგალი,
პური შეგვქნია სამკალი
დელაო!
ჯერ ჰოპუმ დავაგუგუნოთ
და მერე ჰარიარალო,
ვერა ხედავ ჩვენს მეთაურს,
როგორა ხტის, გული უხურს.
რა სიამით და სიხარბით
ჩაჰყურებს დამძიმებულ პურს!
მეთაურო, დაგვაცალე
ჯერ ეს ყანწი გამოცალე!
მერე გნახავ, რაც ბიჭი ხარ,
ნამგალი დაატრიალე[14].

---

10 К. Бюхер. Возникновение народного хозяйства. С.-Петербург, 1907, с.203

11 ივ. ჯავახიშვილი, ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები.- თბ., 1938, გვ. 203.

12 თ. მამალაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 113.

13 К. Бюхер. დასახ. ნაშრომი, გვ. 204.

14 К. Бюхер. დასახ. ნაშრომი, გვ. 206-207.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამკალი სიმღერები გრ. ჩხიკვაძის წიგნიდან „ქართული ხალხური სიმღერა“, ტ.I.

ქ ა რ თ ლ ი

ჰერი ეგა

ჰერი, ჰერი, ჰერი ეგა!
ყანას უნდა ბაგი-ბუგი,
ჰერი, ჰერი, ეგრე ბიჭო,
ვალალალო, ვაიმე ბიჭო!
ჰეი, ჰეი ვაიმე ბიჭო!
ჰერი, ჰერი, ჰერი ეგა!
ომი გადასავალია,
ჰერი, ჰერი, ეგრე ბიჭო,
ჰერი.

ჰერი, ჰერი, ჰერი ეგა!
შენ გიყურებ თეთრო ქალო.
ჰერი, ჰერი ეგრე ბიჭო,
ჰერი...
ჰერი, ჰერი, ჰერი ეგა!
თორემ ქალი მრავალია
ჰერი, ჰერი, ეგრე ბიჭო,
ჰერი...[15]

ქ ა რ თ ლ-კ ა ხ ე თ ი

გლესამ და გლესამ ნამგალო
ნამგალო, ჩემო რკინა!
ქასური სალესავითა,
ნამგალო, ჩემო რკინა!
გაგლესამ და მიგაყუდებ,
ნამგალო, ჩემო რკინა!
გასჭერ, გამიძეხ წინა,
ნამგალო, ჩემო რკინა![16].

კ ა ხ ე თ ი

მკის სიმღერა

გავლესოთ, ძმებო, ნამგალი,
პური შეგვქმნია სამკალი, არალალო...
ჯერ „ჰოოპუმ“ დავაგუგუნოთ
და მერე „ჰარიარალე“, არალალალო...
ვერა ხედავთ ჩვენს მეთაურს,
როგორა ხტის, გული უხურს არალალო[17].

როგორც დ. არაყიშვილი აღნიშნავს, სამკალ სიმღერებში „ასახულია შეჯიბრი, ხოლო მუშაობის დროს ჩამორჩენა არ შეიძლება. ჩქარრიტმიანი სიმღერის უნისონური მოტივი აჩქარებს, უბიძგებს მშრომელებს და აიძულებს მათ უფრო სწრაფი ტემპით იმუშაონ“[18].

---

15 გრ. ჩ ხ ი კ ვ ა ძ ე. ქართული ხალხური სიმღერა. ტ.I. თბ., 1960, გვ. 98.
16 გრ. ჩ ხ ი კ ვ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 112, 273.
17 გრ. ჩ ხ ი კ ვ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 267.
18 Д. А р а к и ш в и л и . Обзор народной песни Восточной Грузии. Тб., 1948, с.16.

კარგ მომუშავეებს შორის შეჯიბრი („დაჯიბრება") იმართებოდა. აქ უნდა გამორჩენილიყო ვინ იყო „თავი მომკალი". დ.არაყიშვილი აღნიშნავს: "... მომკელთა შეჯიბრი საქართველოში შემდეგში მდგომარეობს. ზოლის ბოლოს იდგმება ცხვრის ან ღორის თავი, ორი ან სამი ხელადა ღვინო და საერთოდ საუზმე. მუშები მწკრივში ჩადგებიან და ნიშნის მიცემისთანავე იწყებენ მკას. ვინც პირველი გავა ბოლოში, ის იღებს აღნიშნულ ჯილდოს"[19]. პურის მკა „საომარ პროცესს წააგავდა თავისი მეთაურებით, ქვეგანაყოფებითა და საომარი გეგმით"[20]. სამკალ ლექსებში შესანიშნავადაა ასახული როგორც მკის პროცესი[21], ისე შრომითი ურთიერთდახმარების ტრადიცია[22]. ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში აქებენ გამარჯვებულ, საუკეთესო მომკლებს. ერთ ხალხურ ლექსში ნათქვამია:

„იქნება კარგად ვერ იცნობ
იმ ერბოწონაშვილსაო,
თითო ციდა ფეხები აქვს,
ფრთები აქვს შევარდნისაო.
მუშაშირომ შეერევა
სიცილი მოსდევს პირსაო,
ისე დაჰფანტავს მუშასა,
როგორც მიმინო მწყერსაო.

(მიხაკო ზაქარიას ძე მეკოკიშვილი, 90 წლისა, ს. გიორგიწმინდა, კახეთი 1973 წ.).

ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ აგრეთვე მომკლები და მეძნეურები. თუ მეძნეური აჯობებდა, ფეხზე ახვევდა მომკალს ულოს; თუ მომკალი აჯობებდა, მაშინ ის მომკალი (იმ შემთხვევაში, თუ მეხელეურე არ იყო გამოყოფილი) არ დააწყობდა, გადაუგდებდა მომკილ პურს.

კოლექტიური შრომის დროს შეჯიბრს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა კ. მარქსი: „...საზოგადოებრივი კონტაქტი იწვევს ერთგვარ შეჯიბრებას და სასიცოცხლო ენერგიის (animal spirits ) თავისებურ აღგზნებას, რაც ცალკეულ პირთა ინდივიდუალურ ქმედუნარიანობას ადიდებს"[23]. მკის დროს ხუმრობდნენ და შაირობდნენ. გზად თუ ვინმე გაივლიდა, ხელეურს მიმართავდნენ. მგზავრს უნდა I მან. მიეცა ან სხვა რამით დაესაჩუქრებინა მომკალი, წინააღმდეგ შემთხვევაში უწმაწურ შაირებს დაადევნებდნენ.

მკას რომ მორჩებოდნენ, ყველა ერთად შეუდგებოდა ძნების ერთად დალაგებას კონუსისმაგვარ გროვებად, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა ნაწილში სხვადასხვა სახელწოდებით იყო ცნობილი: ფ ე ხ ი (ქსნის ხეობის ბარი, ქართლი), ო ც ე უ ლ ი (ქართლის გარდამავალი ზოლი), ა თ ე უ ლ ი (ქიზიყი, გარე კახეთი), ფ თ ე მ ო ქ ც ე უ ლ ი (კახეთი, თელავის რაიონი), წ ე რ ა II წ ე რ ი ლ ა (ერწო-თიანეთი), კ ო ჭ ა ლ ა (ქსნის ხეობის მთა, ქართლი). ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ როგორც ძნების რაოდენობით, ისე წყობით, მაგრამ ყველა შემთხვევაში ისე იყო დალაგებული, რომ წვიმის დროს თავთავი არ დასველებოდათ. ასე ტოვებდნენ, ვიდრე ძნები არ გამოშრებოდა.

მუშაობა გრძელდებოდა მზის ჩასვლამდე. ყანის მკა რომ დამთავრდებოდა, მესვეური თავთავისაგან ჯვარს (მ კ ი ს ჯ ვ ა რ ი) დაწნავდა, დააკრავდა მ უ შ ა ზ ე (პატარა ჯოხი, რომელიც იხმარებოდა ულოთი ძნის შესაკრავად - ანაგა) და სამკალის პატრონთან სახლში მიიტანდა. ამ ჯვარს გადასცემდა დიასახლისს სიტყვებით - "ეს ძველი და სხვა ახალიო, ღმერთმა კიდევ ბევრს დაგვასწროსო". „ამინ"! - იტყოდა დიასახლისი

---

19 Д. А р а к ч и е в . Краткий очерк развития грузинской, карталино-кахетинской народной песни. Тр. муз.-этногр.комиссии. I9I6, т.5, с.I82.

20 თ. ო ქ რ ო შ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 85.

21 პ. უ მ ი კ ა შ ვ ი ლ ი, ხალხური სიტყვიერება, თბ., 1964, გვ.82-87,252.

22 თ. ო ქ რ ო შ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 154; ვ. კ ო ტ ე ტ ი შ ვ ი ლ ი, ხალხური პოეზია. თბ., 1961, გვ. 185; პ. უ მ ი კ ა შ ვ ი ლ ი, ხალხური სიტყვიერება, თბ., 1964, გვ. 83,252.

23 კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. I. თბ., 1954, გვ. 414.

და გამოუტანდა მამალს. ზოგჯერ მამლის გარდა ფულის მოცემაც იცოდნენ. მკის ჯვარს დიასახლისი ბოძზე ან კედელზე დაკიდებდა. მომავალ წელს კი ახალი მოსავლის ღებვისას პირველ კალოში შეურევდნენ.

კახეთში გავრცელებული ჩვეულების მიხედვით, მკის ჯვარს მგზავრსაც მიართმევდნენ ხოლმე, რომელსაც მომკალი უნდა დაესაჩუქრებინა რამით, წინააღმდეგ შემთხვევაში უწმაწური შაირებით გაუმასპინძლდებოდნენ[24].

კახეთში ასეთი ჩვეულებაც არის დამოწმებული: „თესლის გატანის დღეს“ მას ფშვნიდნენ, „ღვინით აზიარებდნენ“, დასათესავ თესლში შეურევდნენ და იტყოდნენ – ასე კაკალივით მარცვალი მოვიდესო[25].

შრომის დროს იცავდნენ კვებისა და დასვენების გარკვეულ რეჟიმს. დღის განმავლობაში რამდენჯერმე ისვენებდნენ. საქართველოში მუშაკაცის კვებას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ. იგი დამოკიდებული იყო შესასრულებელი სამუშაოს სიძნელეზე[26]. აქედან გამომდინარე მკის დროს მუშას შედარებით უკეთესად კვებავდნენ.

მკის მუშის დღიური რაციონი ოთხჯერადი იყო. ქსნის ხეობაში მკის მუშის კვების დღიური რაციონის შემადგენლობაში შედიოდა სადილად: კორკოტის შეჭამანდი რძით, გარეული პიტნით შეზავებული შვინდის კერძი, ჩიხირთმა, ფურცლიანი ან გულიანი ქადა, პური, ყველი, ხავიწი, ფაფა და სხვა. სამხრად: ლობიოს შეჭამანდი, პიტნის შეჭამანდი, ყველი, ქადა ხაჭოსი, პური. სამხრის კუდი: ყველი, პური და სამხრიდან მონარჩენები. ვახშამი: კორკოტის კერძი რძით, ხინკალი, ქადა, კარტოფილის ხაბიზგინა, ყველი, პური, ერბო, სასმელი[27].

ზოგჯერ მინდორში, თითოეული სვეს გატანის შემდეგ პატრონი მუშას ღვინით უმასპინძლდებოდა[28].

ვახშამი სამუშაოს პატრონის სახლში იმართებოდა. ამ ვახშმისათვის დაკლული საკლავის თავ-ფეხი და ტყავი „თავ“ მომკალს ეკუთვნოდა.

ქართლში, ჩვენი მასალის მიხედვით, მას ღორის თავს მიართმევდნენ. კახეთში, ჩურსინის მოწმობით, ცხვარს კლავდნენ ამ დღეს და ცხვრის თავ-ფეხს მიართმევდნენ[29], ხოლო ა. ხახანაშვილის ცნობით, მეთაურს ქათმისა და თევზის თავი ერგებოდა ხოლმე[30].

ს. ლამისყანაში ჩაწერილ ერთ ხალხურ ლექსში დავადასტურეთ ტერმინი მ ო ყ ვ ა რ ი ს მ უ შ ა, რომლითაც აღინიშნებოდა შრომითი დახმარება მკის დროს. ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა გურიაში გავრცელებული მ ო ყ ვ რ ი ს ნ ა დ ი, რაც შემდეგში მდგომარეობდა: სამუშაოს პატრონი სთხოვდა სხვა სოფელში მცხოვრებ ნათესავს, რომ მას სიმინდის გასათოხნად სჭირდება მოხმარება. ნათესავი მოვიდოდა თავისი თანასოფლელებით დასახმარებლად.

----------

24 Ал. Х а х а н о в . Обычаи крестьян при пахании в Кахетии. Кавказ, I893, № 205.

25 ჯ. რ უ ხ ა ძ ე, ა. ღ ე ქ ი ა შ ვ ი ლ ი, ი. ჭ ყ ო ნ ი ა, სოფელი აკურა. თბ., 1964, გვ. I04.

26 Н. П. Д ж и к и я. Культура питания грузинских горцев. Дис... канд.ист. наук. Тб., I977, с.I7I.

27 Н.П. Д ж и к и я . დასახ. ნაშრომი, გვ. I74.

28 ლეჩხუმში ნადით თოხნის დროს მიწას ყოფდნენ რამდენიმე ტოლ ნაწილად – ს ვ ე ლ ე ბ ა დ II ს უ რ ი ე ლ ე ბ ა დ. ნადის ყველა წევრი ჯერ ერთ სურიელს გათოხნიდა, მეორე მეორეს და ა.შ. საუკეთესო მუშას მ ე ს ვ რ ე ლ ე ს II მ ე ს უ რ ი ე ლ ე ს უწოდებდნენ. ყოველი ხვრელის თავში იდგა ორი-სამი ჩაფი ღვინით და ჩაყვები – ხისგან გამოთლილი სასმისები. თითოეული სვრელის გათოხნის შემდეგ მუშები შეისვენებდნენ, დალევდნენ ღვინოს.

29 Г.Ф. Ч у р с и н. Народные обычаи и верования Кахетии. ЭКОИРГО,ХХУ, с.I8.

30 Ал. Х а х а н о в. Обычай крестьян при пахании в Кахетии. Кавказ, I843, № 205.

მეზობლებისა და თანასოფლელების მოწვევა სამუშაოდ, როგორც წესი, ეწყობოდა ხოლმე უქმე დღეებში (ა კ რ ძ ა ლ უ ლ ი დ ღ ე ე ბ ი II შ ე ნ ა ხ უ ლ ი დ ღ ე ე ბ ი II ყ ა დ ა ღ ა დ ა დ ე ბ უ ლ ი დ ღ ე ე ბ ი II ა ღ კ ვ ე თ ი ლ დ ღ ე ე ბ ი), რადგან ამ დროს საკუთარი ოჯახისათვის მუშაობა არ შეიძლებოდა, ცოდვად ითვლებოდა. მთხრობელთა გადმოცემით, „ყველას თავისი საქმე ჰქონდა და ამიტომ, თუ არა უქმე, სხვისათვის არ მოიცლიდნენ, „არ მიეტანებოდნენ“ (მზია გიორგის ასული გიგაური, 71 წლისა, ს. არხოტი, ხევსურეთი, 1972 წ.).

ჩვენს მიერ შეგროვილი მასალის მიხედვით ქართლ-კახეთის ბარში უმეტესად ორშაბათი იყო აღკვეთილი (ს ე ტ ყ ვ ი ს დ ღ ე II ს ე ტ ყ ვ ი ს უ ქ მ ე). მთაში, ჩვეულებრივ, რამდენიმე დღეს უქმობდნენ. ყველა კუთხეს, ზოგჯერ კი სოფელს, თავისი აღკვეთილი დღეები ჰქონდა. ჩვენი მასალების მიხედვით, ხევსურეთში აღკვეთილი იყო პარასკევი, შაბათი, ორშაბათი; თუშეთში – პარასკევი, შაბათი; ფშავში – ორშაბათი და შაბათი; გუდამაყარში – ხუთშაბათი და ორშაბათი; ქსნის ხეობის მთაში – პარასკევი და ორშაბათი. ეს ის დღეებია, რომელთაც უქმობდა სოფელთა უმრავლესობა.

აღკვეთილი დღეების უქმობა მთაში საგაზაფხულო ხვნის დამთავრების შემდეგ იწყებოდა, ბარში კი ანეულის ხვნას წინ გამართულ სადღეთოდან და გრძელდებოდა ზოგან (ს.ს. ოძისი, ძეგვი – ქართლი) საერთოდ მკის დამთავრებამდე, ზოგან (გუდამაყარი, ხევსურეთი) ხატის მამულების, ხოლო ქსნის ხეობის მთაში ქერების მკის დამთავრებამდე.

თუ ოჯახს საჩქარო სამუშაო ჰქონდა, მას შეეძლო მუშის მოწვევა აღკვეთილ დღეებში, მაგრამ ამისათვის უნდა შეესრულებინა გარკვეული წესი – უ ქ მ ი ს დ ა ნ ა თ ვ ლ ა. უქმის დანათვლა შემდეგში მდგომარეობდა: სამუშაოს პატრონს ამ დღეს უნდა საკლავი დაეკლა. ხევსურეთში ასეთ შემთხვევაში ციკანს კლავდნენ. ამას ხუცესი აკვეთებდა. ტყავს მუშები დახევდნენ წვრილ-წვრილად და იქვე დაინაწილებდნენ. სანთელს დაანთებდნენ, მოწვეულ ხალხს ქადებით უმასპინძლდებოდნენ. ეს ცერემონიალი ტარდებოდა სახლის ბანზე. ამის შემდეგ უკვე შეიძლებოდა სოფლის მოწვევა სამუშაოდ. ეს წესი მ. კოვალევსკისაც აქვს დამოწმებული[31].

თუ კვირა დღეს იწვევდნენ სამკლად სოფელს, მაშინ სამუშაოს პატრონს, მთხრობლის თქმით, „დიდი საკლავი უნდა დაეკლა, წლის გამოვლილი უნდა ყოფილიყო“.

მოსავლის აღებას მოსდევდა მისი გადაზიდვა მინდვრიდან სოფელში. ბარში მოწეული პურის მოსავალი გადაჰქონდათ საძნე ურმებით, მთაში მარხილებით, ხოლო გარდამავალ ზოლში – ბილთრიათი[32]. ოჯახი წინასწარ შეატყობინებდა თანასოფლელებს, რომ ამ დღეს აქვს დაძახილი. დანიშნულ დღეს იკრიბებოდნენ მეზობლები და თანასოფლელები თავიანთი საზიდი საშუალებებით და გადაჰქონდათ მთელი მოსავალი. ქსნის ხეობის მთის მასალის მიხედვით, ასეთ სამუშაოებში ხშირად მეზობელი სოფლების მცხოვრებნიც იღებდნენ ხოლმე მონაწილეობას.

ახოს აღების დროს შრომის ორგანიზაციის აღნიშნული ფორმა ცნობილი იყო მ უ შ ა ნ ი ს (ხევსურეთი)[33], დ ა ძ ა ხ ი ლ მ უ შ ი ს, უ ღ ა მ ი ს (ქსნის ხეობის მთა) სახელწოდებით.

ახოს აღება საკმაოდ შრომატევად საქმეს წარმოადგენდა. ამაზე ის ფაქტიც მიუთითებს, რომ ამ გზით მოპოვებული მიწის ნაკვეთი გარკვეული ხნის მანძილზე მის მომპოვებლის მოხმარებაში რჩებოდა, როგორც საზღაური გაწეული შრომისა; შემდეგ კი გადადიოდა სათემო მიწების კატეგორიაში[34].

---------------

31 М. К о в а л е в с к и й . Пшавы. Юридический вестник, 1883, № 2,с 209.

32 მ. გ ე გ ე შ ი ძ ე, ქართული ხალხური ტრანსპორტი.თბ., 1956, გვ. 30–40.

33 გ. ჯ ა ლ ა ბ ა ძ ე, მიწათმოქმედება ფშავ-ხევსურეთში. თბ., 1963, გვ.74.

34 ზ. გ უ ლ ი ს ა შ ვ ი ლ ი, მოთხრობები, ნარკვევები. თბ., 1953, გვ.289; გ. ჯ ა ლ ა ბ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 7.

ანალოგიურ მდგომარეობას ჰქონდა ადგილი მაშინაც, როცა გლეხი ახოს იღებდა საბატონო ტყეში. ამ შემთხვევაშიც ახოს აღებაზე გაწეული შრომა მას აძლევდა უფლებას უსასყიდლოდ ესარგებლა ამ ნაკვეთით ერთი წლით (ს. ოზიო, კახეთი). ერწო-თიანეთში ასეთი ნაკვეთებით სარგებლობდნენ რამდენიმე წლის განმავლობაში, „სანამ მიწა სულ არ გამოიფიტებოდა".

ახოს აღება ფართოდ იყო გავრცელებული აღმოსავლეთ საქართველოს მთის ძირისა და მთის ზოლში. მოკლედ შევეხებით ამ პროცესს.

ქართლში, კერძოდ, ქსნის ხეობაში ახოს გაზაფხულით ან შემოდგომით იღებდნენ, მთაში უფრო გაზაფხულით (მარტი, აპრილი), მთის ძირის სოფლებში – გაზაფხულითა და შემოდგომით. ამისათვის ტყით დაფარულ მთის ფერდობზე შედარებით ვაკე ადგილს შეარჩევდნენ. უპირატესობას ანიჭებდნენ ხშირი ტყით დაფარულ ადგილებს, რადგან მათ ნიადაგის შედარებით სქელი ფენა ჰქონდათ. ჯერ ცულით ან წალდით ხეებს მოჭრიდნენ, შეშას გამოზიდავდნენ, მერე ქორჩით მიწას „გადააბრუნებდნენ", ძირებს ამოყრიდნენ და ცეცხლს წაუკიდებდნენ. ნაცარს ნაკვეთში მოაბნევდნენ ნიადაგის განოყიერების მიზნით. ზოგჯერ მოჭრილი ხეების შეშად გამოზიდვის ნაცვლად იქვე წვავდნენ ნახშირად. ამისათვის ორმოს ამოთხრიდნენ, შეშას დახეთქავდნენ, ორმოში ჩააწყობდნენ და ცეცხლს წაუკიდებდნენ. ორმოში თანდათანობით შეშას უმატებდნენ, სანამ ორმო სულ არ ამოივსებოდა ნაღვერდლით. მერე ორმოს გ უ ლ ა ვ დ ნ ე ნ მიწით. ერთი კვირის შემდეგ ნახშირი უკვე მზად იყო. ამ ნახშირს ძირითადად სამჭედლოში იყენებდნენ. ასეთი წესით ახოს აღება გავრცელებული ყოფილა ქსნის ხეობის მთის ზოლის სოფლებში.

კახეთში (თელავის რ.) ჩაწერილი მასალის მიხედვით ტყეს ზაფხულში გაკაფავდნენ, რომ სიცხეში ხეები უფრო სწრაფად გამხმარიყო. შემოდგომით, ოქტომბერში, ცეცხლს წაუკიდებდნენ. ამის შემდეგ იწყებოდა თოხებისა და ბარების საშუალებით მიწის გაწმენდა ფესვებისაგან. ს. ოზიოში ჯაგნარს გაკაფავდნენ და ამოძირკვავდნენ ბარებისა და წერაქვების საშუალებით. ცეცხლს იმ შემთხვევაში წაუკიდებდნენ, თუ ჯაგნარი ეკლიანი იყო.

როგორც მოტანილი მასალიდან ჩანს, ახოს აღებასთან დაკავშირებული სამუშაო რამდენიმე თანმიმდევრულ პროცესს შეიცავდა. ერთ-ერთ მათგანს წარმოადგენდა ნაკვეთის გასუფთავება ხის ფესვებისაგან და ნიადაგის გაფხვიერება. ამ სამუშაოს შესრულებისას ხშირად მიმართავდნენ დაძახილს.

როდესაც ოჯახი ახოს დამოუკიდებლად, საკუთარი ძალებით იღებდა, მთაში ქალები კაცების თანაბრად მუშაობდნენ. მოხუცები და მოზარდებიც იღებდნენ მონაწილეობას, ხოლო ახოს ასაღებად მოწყობილ დაძახილში მხოლოდ მამაკაცები ერთიანდებოდნენ. ამ შემთხვევაში ქალის მონაწილეობა ჯერის მიტანით იფარგლებოდა.

გარდა ზემოჩამოთვლილი სამუშაოებისა, დაძახილს მიმართავდნენ შედარებით ნაკლებად შრომატევადი სამუშაოების დროსაც, როგორიც იყო სიმინდის გარჩევა, დაფშვნა და სხვა. სიმინდის სარჩევად მოწყობილ დაძახილში ქალები მონაწილეობდნენ. ისინი, ჩვეულებრივ, საღამოობით იკრიბებოდნენ ოჯახის დიასახლისის მიწვევით. ქალები რომ სიმინდს არჩევდნენ, ამ დროს ამ ოჯახის წევრი მამაკაცები ჩალას ჰკონავდნენ (ეს იმ შემთხვევას ეხება, როცა სიმინდი ჩალიანად იჭრებოდა). ასეთ საღამოებში ადგილი ჰქონდა გართობა-გამხიარულებას. სამუშაოს დამთავრების შემდეგ დიასახლისი მოწვეულ მეზობლებს გულუხვად უმასპინძლდებოდა.

სიმინდის დაფშვნის (გ ა ნ ა ყ ვ ა II დ ა ნ ა ყ ვ ა) დროს კოლექტიურ შრომაში ახალგაზრდა ქალები და ვაჟები იკრიბებოდნენ. მესხეთში ჩაწერილი მასალის მიხედვით, გარჩეულ ტაროს კ ა ლ ო ზ ე დააგროვებდნენ. შემდეგ დაუძახებდნენ მეზობლებს – ახალგაზრდა ქალებსა და ვაჟებს. ვაჟები ხელის კეტებით ფშვნიდნენ – ნ ა ყ ა ვ დ ნ ე ნ, გოგონები კი გაცხრილავდნენ. მუშაობა გვიანობამდე გრძელდებოდა და გულუხვი ვახშმით მთავრდებოდა. ახალგაზრდები ცეკვა-თამაშს მართავდნენ.

კოლექტიური შრომის განხილული შემთხვევები განეკუთვნებიან კოლექტიური შრომის ერთ სახეობას – სამუშაოს პატრონის მოწვევით, გამასპინძლებით. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან შესასრულებელი სამუშაოს მიხედვით. ჩვენი მასალით, რომელიც

ასახავს XIX ს. ბოლოსა და XX ს. დასაწყისის სურათს, ასეთი ურთიერთდახმარება არ იყო შეპირობებული ნათესაური კავშირით, ეწყობოდა ერთი დღით, სამუშაოს პატრონი თვითონაც მონაწილეობდა შრომაში. შრომითი კოოპერაციის მონაწილენი სამუშაოდ მიდიოდნენ საკუთარი იარაღით. მტკიცედ იყო დადგენილი შრომის, კვების და დასვენების რეჟიმი. სამუშაოს პატრონი ვალდებული იყო მუშები დღის განმავლობაში უზრუნველეყო საკვებით, ხოლო სამუშაოს დამთავრების შემდეგ გულუხვად უნდა გამასპინძლებოდა.

აღნიშნული ჯგუფები შეიძლებოდა ყოფილიყო ქალების, კაცების ან შერეული. ეს დამოკიდებული იყო სამუშაოს ხასიათსა და ადგილზე (მთაში სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში ქალის როლი საკმაოდ დიდი იყო, ბარში კი შედარებით შეზღუდული).

უნდა შევნიშნოთ, რომ დაძახილის დროს შრომას განსაკუთრებით საზეიმო ხასიათი ჰქონდა. აქ უფრო ზედმიწევნით სრულდებოდა კოლექტიურ შრომასთან დაკავშირებული წესები და რეჟიმი, ვიდრე გაჭირვებული ოჯახის დასახმარებლად მოწყობილი შრომითი გაერთიანებისას და ასევე სანაცვლო მუშაობის დროს, რომელსაც ქვემოთ შევეხებით.

სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დროს ასეთი სახის შრომითი ურთიერთდახმარება ფართოდ იყო გავრცელებული დასავლეთ საქართველოში. სამეგრელოში იგი მოდის, რაჭაში მეშველის[35] და ნადის[36], იმერეთსა და გურიაში ნადის სახელწოდებით იყო ცნობილი.

კოლექტიური შრომის ამ ფორმას მიმართავდნენ სხვა სამუშაოების შესრულების დროსაც. სახლის მშენებლობის დროს ხევსა და ქართლში იგი ულამის[37], თრიალეთში ქომაგის[38], ხოლო აჭარაში ნადის[39] სახელწოდებით იყო ცნობილი. რთვლისა და ჩეჩვის დროს მოწყობილ მუშაობას საქმის სადამო (ხევი)[40], მჩეჩელნი (ხევსურეთი)[41], მორთავი (მესხეთი)[42] ერქვა.

ფ. გოგიჩაიშვილი აღნიშნავდა, რომ მატერიალური დახმარების ის სახეები, რომელსაც მეზობლები ანაზღაურების გარეშე უწევენ ოჯახს სიკვდილის და ქორწილის დროს, „უეჭველად თავისი არსით მჭიდროდ არის დაკავშირებული ნადთან... თუმცა ასეთ შემთხვევაში ისინი თვითონ მიდიან, მათ არ „სთხოვენ", რადგან ეს მათ მოვალეობად მიაჩნიათ, მაგრამ ამით საქმის არსი ნამდვილად არ იცვლება"[43].

შრომითი ურთიერთდახმარების ამ ფორმას მრავალი ანალოგი მოეპოვება კავკასიაში; კერძოდ, ოსეთში აღნიშნული სახის შრომითი გაერთიანება ცნობილი იყო ზიუს[44],

18709

---

35 ალ. რობაქიძე. რაჭაში ეთნოგრაფიული მოვლენების ანგარიში. –ენიმკის მოამბე, 1939, $IV_3$, გვ. 317; ნ. ბრეგაძე, მთის მიწათმოქმედება დასავლეთ საქართველოში. თბ., 1969, გვ. 211.

36 ლ. ფრუიძე. მევენახეობა და მეღვინეობა საქართველოში. თბ., 1974, გვ. 255.

37 მ. გეგეშიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 129; ნ. თოფურია, ახალი საცხოვრებელი ნაგებობანი გორის რაიონში მსე, 1959, X, გვ. 70; ვ. ითონიშვილი, ხევი ძველად და ახლა. თბ., 1967, გვ. 10.

38 თ. ჩიქოვანი. ქართული ხალხური საცხოვრებელი. თბ., 1960, გვ. 25.

39 თ. ჩიქოვანი. ზემოაჭარული სახლი. ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები, 1960, ტ. I, გვ. 96.

40 გ. ჩაჩაშვილი. ქართულ-ადიღეური ეთნოგრაფიული პარალელები ხალხურ ფეიქრობაში. მსე, 1963, XII-XIII, გვ. 368.

41 გ. ჩაჩაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 378.

42 ც. ყარაულაშვილი. ხალხური ფეიქრობა მესხეთ-ჯავახეთში. მასალები მესხეთ-ჯავახეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, თბ., 1972, გვ. 122.

43 ფ. გოგიჩაიშვილი. ხელოსნობა საქართველოში. თბ., 1979, გვ. 69.

44 Г.Ф. Чурсин. Осетины. ТЗА, сер.I, 1925, с.33-34.



საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

დაღესტნის სხვადასხვა ნაწილში გვაის[45] მარშას[46], ვუკას[47], აზერბაიჯანში იმეჯილიკის[48], უზბეკეთში ურეკ ხაშარის[49] სახელწოდებით. შრომითი ურთიერთდახმარების ეს ფორმა ცნობილია მსოფლიოს მასშტაბით[50].

აღნიშნული სახის ურთიერთდახმარებას ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში არაერთი მკვლევარი შეხებია. ყველა მათგანი აღნიშნავს, რომ შრომის ორგანიზაციის ამ ფორმის თავდაპირველ სახეში განმსაზღვრელ მომენტს წარმოადგენდა ურთიერთდახმარების ფაქტორი[51]. მაგრამ ქონებრივი დიფერენციაციის გაღრმავების პირობებში შრომითი კოოპერაციის აღნიშნულ ფორმას ზოგ შემთხვევაში ჩამოშორდა ურთიერთდახმარების აუცილებელი პირობა და გადაიქცა სოფლის შეძლებული ფენების პრივილეგიებად[52]. ამ აზრს აღმოსავლეთ საქართველოს ეთნოგრაფიული მასალაც ადასტურებს. მისი ანალიზი გვიჩვენებს, რომ აღნიშნული ინსტიტუტის ფუნქციები ყოველთვის ერთნაირი არ იყო. ქონებრივი დიფერენციაციის პირობებში მას ფაქტიურად ჩამოშორდა ურთიერთდახმარების ფაქტორი და გადაიქცა სოფლის მოსახლეობის შეძლებული ნაწილისათვის მუქთი მუშახელის შოვნის საშუალებად. ღარიბ გლეხობას არც იმდენი სამუშაო ჰქონდა და არც საშუალება გულუხვად გამასპინძლებისა; ამდენად, მეზობლების მოწვევას სამუშაოდ იშვიათად მიმართავდა, თუმცა კი ჰქონდა ამის უფლება. იმ იშვიათ შემთხვევებში დაძახილი მათთან გაცილების მცირერიცხოვანი იყო. სოფლის შეძლებული ნაწილი კი, რომელსაც საშუალება ეძლეოდა ამ გზით ერთი გამასპინძლების ფასად დიდი სამუშაოები შეესრულებინა, ხშირად მიმართავდა დაძახილს. დაძახილის მასშტაბებთან დაკავშირებით საინტერესოა ილ. ჭავჭავაძის მიერ მოტანილი ერთი ცნობა: კახეთს მიმავალ ერეკლე მეფეს „დაუნახავს რომ ერთს ყანაში დიდძალი მუშა დგას და მკის. იკითხა – ეს ამდენი მუშა ვისიაო. მოახსენეს – აქ, საგარეჯოში ერთი შეძლებული გლეხია და მისი მამითადიაო“[53]. მთხრობლის სიტყვებით, „მამითადი ის იყო, რომ ეშმაკი, ყოჩაღი კაცი ღარიბ ხალხს წაასხამდა და ჭამაზე ამუშავებდა“ (ვანო გაბრიელის ძე როსტომაშვილი, 87 წლისა, ს. ნინოწმინდა, კახეთი, 1973 წ.).

ს. დადიანეთში (ქსნის ხეობა) ჩაწერილი მასალის მიხედვით შეძლებული ოჯახი სადმრთოსთვის ერთ ჭედილას მისცემდა სოფელს და ამაში მთელი სოფელი უნდა დახმარებოდა მკაში ერთ დღეს.

---

45 С.Х. Асиятилов. Историко-этнографические очерки хозяйства аварцев. Махачкала. 1967, с.57.

46 А. Омаров. Как живут лаки. ССКГ. 1870, вып.IУ, с.9-16.

47 Гаджи-Мурад Амиров. Среди горцев Северного Дагестана. ССКГ, 1813, вып.УП, с.76.

48 М.А. Гулиев. Чалтыководство в Азербайджане. Автореферат дис. .. канд. ист.наук. Баку, 1966, с.22.

49 М. Абдураимов. Пережитки сельской общины в узбекском кишлаке Хумсан. СЭ, 1959, № 4, с.59.

50 Н.И. Зибер. Очерки первобытной экономической культуры. М., 1959, с.85, 87.

51 Л. Кржиивицкий. Хозяйственный и общественный строй первобытных народов. - М.-Л., 1925, с.79.

52. მ. ქანთარია, ერთობლივი შრომის ფორმები მთა ოსეთში. მაცნე, 1971, გვ. 74; М.Абдураимов. Пережитки сельской общины в узбекском кишлаке Хумсан. СЭ, 1959, № 4, с.51; В.И.Дулов. Пережитки общинно-родового строя у тувинцев в XIX - начале XX в. СЭ, 1951, № 4, с.74; М.О.Косвен. Семейная община и патронимия. М., 1963, с.114.

53. ილ. ჭავჭავაძე, ამბავად გამოგონილი. თხზ., ტ.I, თბ., 1937, გვ.422.

მოტანილი მასალიდან ჩანს, თუ როგორ იყენებდა სოფლის შეძლებული ნაწილი ურთიერთდახმარების ამ ძველ წესს ღარიბი გლეხობის ექსპლოატაციის მიზნით. უნდა შევნიშნოთ, რომ შრომითი ურთიერთდახმარების აღნიშნული ფორმის ტრანსფორმაციის ხარისხი დამოკიდებული იყო კონკრეტულ პირობებზე. ამ მხრივ გარკვეულ როლს თამაშობდა როგორც საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონე, ისევე შესასრულებელი სამუშაოს ხასიათი. განსაკუთრებით შრომატევადი და სასწრაფო სამუშაოების შესრულებისას (მოსავლის აღება, გადაზიდვა), როდესაც დიდი მოთხოვნილება იყო მუშახელზე, შრომითი ურთიერთდახმარების აღნიშნულმა მარტივმა ფორმამ მეტად განიცადა ტრანსფორმაცია. ამ დროს, განსაკუთრებით ბარში (სადაც სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შედარებით მაღალი დონე იყო), ამ ტრადიციით უმეტესად შეძლებული გლეხები სარგებლობდნენ, რომლებზედაც ღარიბი გლეხობა ერთგვარად დამოუკიდებელიც კი იყო. ასეთ შემთხვევაში დაძახილი დაკანონებული ვალდებულების ხასიათს იღებდა.

Т. Ш. Геладзе

Форма коллективного труда – дадзахили

Резюме


В работе рассматривается коллективная трудовая помощь по приглашению хозяина работы, за угощение. У семьи, которой помогали, было моральное обязательство в случае надобности ответить тем же.

Анализ этнографического материала показывает, что в условиях имущественной дифференциации данная форма коллективного труда зачастую утрачивала характер взимного обязательства и становилась средством эксплуатации сельской бедноты зажиточными крестьянами. Таким образом, старый обычай трудовой взаимопомощи становился одной из форм эксплуатации. Однако, следует заметить, что степень траноформации данной формы трудового объединения зависела как уровня социально-экономического развития общества, так и от характера выполняемой работы. При выполнении особенно трудоемких и спешных работ, когда в селе был большой спрос на рабочих, данная форма трудового объединения в большинстве случаев теряла взаимный характер. Ее оказывали (в особенности в низменности, где был сравнительно высокий уровень социально-экономического развития общества) преимущественно состоятельным крестьянам.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ. ქ ა ნ თ ა რ ი ა

## ადიღეს სამეურნეო ყოფის ეთნიკური ასპექტები

ადიღეელები, როგორც ცნობილია, ეკუთვნიან იბერიულ-კავკასიური მოდგმის ერთ შტოს, რომელსაც უკავია კავკასიის ჩრდილო-დასავლეთი სექტორი. ადიღეელებად ითვლებიან ყაბარდოელები, საკუთრივ ადიღეელები და ჩერქეზები. XVIII ს. პირველ ნახევარსა და XIX ს-ში ეს იყო ყველაზე დიდი და სოციალური თვალსაზრისით განვითარებული ერთობა ჩრდილო კავკასიაში.

ადიღე კრებითი სახელია. გულისხმობს საერთო წარმომავლობის მცირე ტომების ერთობას, რომელთა ერთ ხალხად კონსოლიდაციის პროცესი XIX საუკუნეშიც არ იყო დამთავრებული. ამიტომ ამ ტერმინის პარალელურად წყაროებში და ყოფაშიც შემორჩენილია ცალკეულ ტომთა ადგილობრივი სახელწოდებები.

ისტორიულ ლიტერატურაში ადიღეელებს მომეტებულად ტომებს უწოდებენ, რაც ვ. გარდანოვის სამართლიანი შენიშვნით არ არის სწორი, რადგან XIX ს. არსებული ყველა ეთნიკური დანაყოფის მიმართ ტომის განურჩევლად ხმარება მეცნიერული თვალსაზრისით გაუმართლებელია. ამ დროისათვის ისინი გაცილებულნი იყვნენ თემობრივ-ტომობრივი წყობილების საფეხურს. მათში გაბატონებული იყო ფეოდალური ურთიერთობა. ამ მიმართებაში ავტორი მიუთითებს ყაბარდოელებზე, რათა უჩვენოს, რამდენად გაუმართლებელია „ტომის“ ხმარება, როგორც უნივერსალურისა ადიღეელების ცალკეული ეთნიკური ერთეულების მიმართ XIX ს. I ნახევრისათვის . ვ. გარდანოვს მიაჩნია, რომ ადიღეელები ხალხებად (НАРОДНОСТЬ) უნდა ჩაითვალონ, თუმცა არ უარყოფს, რომ განხილული პერიოდისათვის მათ შემორჩენილი ჰქონდათ პირველყოფილ-თემური წყობილების სხვა გადმონაშთებთან ერთად უძველესი თემობრივ-ტომობრივი დაყოფის კვალიც[1]. ვითვალისწინებთ რა ამ ხალხის განვითარების სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებს, მოქცეულს კონკრეტულ ისტორიულ ჩარჩოში, ვთვლით, რომ სახელმწიფოებრივი აპარატის უქონლობის მიუხედავად, ეს იყო ერთიანი სოციალური ორგანიზმი[2], რომელსაც, მართალია, არ გააჩნდა საბოლოოდ ჩამოყალიბებული სტრუქტურა, მაგრამ საერთო წარმომავლობა, ერთიანი თვითშეგნება და ფსიქიკური წყობა, საერთო ეთნონიმის – ადიღეს არსებობა, გარეშე სამყაროსთან „ჩვენ“ და „ისინის“ დაპირისპირებაში ადიღეელების გამოყოფა, ერთიანი ენა, იძლევა ამ ერთობის მტკიცების საფუძველს. ამიტომ უდავოდ სწორია ვ. გარდანოვი, როდესაც ადიღეს საზოგადოებრივი წყობისადმი მიძღვნილი ნაშრომის პირველსავე გვერდებზე აღნიშნავს, რომ ზოგიერთი თავისებურება შემორჩენილი სამეურნეო, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ წყობაში არ არღვევდა იმ დროისათვის ყველა ადიღეელ ტომში გაბატონებულ ერთტიპიანობას. საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურა, ძირითადი საზოგადოებრივი დაწესებულებები და ინსტიტუტები, ჩვეულება და კანონი ერთიანი იყო ადიღეელების მთელ ქვეყანაში დასავლეთის შაფსუღეთიდან და ნატუხაიდან დაწყებული, აღმოსავლეთით ყაბარდოს ჩათვლით[3]. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, არც ერთ შემთხვევაში არ გამორიცხავდა ლოკალური ვარიანტების არსებობას, რომლის გარეშე ერთობა არ აღიქმებოდა.

ნებისმიერი რეგიონი წარმოადგენს თვისებათა განუმეორებელ კონფიგურაციის კომპლექსს, მოცემულს სივრცესა და დროში. ამ გარემოებამ წარმოქმნა რეგიონის აბსოლუტური უნიკალობის იდეა, რომელიც სამართლიანად იქნა გაკრიტიკებული საბჭოურ ეთნოგრაფიაში. აშკარაა, რომ ყოველ რეგიონს განუმეორებელი თვისებების პარალელურად, ახა-

სიათებს სხვა რეგიონისათვის დამახასიათებელი საერთო ნიშნები. მიუხედავად ამისა,
თვისებათა განუმეორებელი შეხამება ერთ რეგიონს მეორისაგან და ექვივალენტური ობ-
იექტების საერთო რიგიდან გამოყოფს[4]. ასეთივე ვითარებასთან გვაქვს საქმე ადიღეს
მიმართ. ამ ერთეულის შიგნით, ერთი მხრივ, შესაძლებელი ხდება ლოკალური და კულტუ-
რის საერთო ნიშნების გამოყოფა, მეორე მხრივ, იგივე ადიღე წარმოაჩენს ლოკალურსა
და საერთოს უფრო დიდი ერთეულის ჩრდილოკავკასიურ განზომილებაში, რომელიც ასეთსა-
ვე ურთიერთობაშია ზოგადკავკასიურ გარემოსთან და ა.შ.
ადიღეელების ეთნიკური დანაყოფების საზღვრების დადგენა, მათი რაოდენობის გან-
საზღვრა რთული საქმეა. გამუდმებული მიგრაციები და ცალკეულ ტომთა მოძრაობა განპი-
რობებული სოციალურ-ეკონომიკური მიზეზებით იწვევდა მათ შერწყმასა და ასიმილაციას,
რაც აფერხებდა მდგომარეობის სტაბილიზაციას. ამის გამო ისტორიულ ლიტერატურაში
ხშირად გვხვდება ურთიერთგამომრიცხველი ცნობები. ეს ეხება არა მარტო თანამედროვე
სამეცნიერო ლიტერატურას, არამედ სხვადასხვა პერიოდის ისტორიულ ცნობებსაც.
ადიღეელ ტომთა მთელი ეთნიკური პროცესის ექსპოზიცია საუკუნეების მანძილზე მე-
ტად რთულია. საბჭოთა ისტორიოგრაფიაში მოცემულია ამ სიძნელის დაძლევის არა ერთი
ცდა. ამ მხრივ საინტერესო გამოკვლევას წარმოადგენს ე. ალექსეევას ნაშრომი, რო-
მელშიც წყაროების კრიტიკული ანალიზისა და ურთიერთშეჯერების შედეგად მოცემულია
ადიღეელ-ჩერქეზ ტომთა განსახლების მეტ-ნაკლებად სრული სურათი XVII-XVIII საუკუ-
ნეებისათვის[5]. ასევე მეტად საყურადღებო მონაცემებს შეიცავს ე. კუშევას შრომა.
ავტორი ძირითადად რუსულ წერილობით წყაროებს მიმოიხილავს, რის საფუძველზეც ადგენს
ადიღეელთა განსახლების რუკას. ეხება მეურნეობის საკითხებსაც[6]. აღსანიშნავია აგ-
რეთვე ვ. გარდანოვის ფუნდამენტალური მონოგრაფია. მასში შესწავლილია ადიღეელთა
საზოგადოებრივი წყობა უძველესი პერიოდიდან მოყოლებული, XVIII ს. ჩათვლით[7]. ჩრ-
დილო კავკასიის ეთნიკური შედგენილობისა და განსახლების საკითხებს მიუძღვნა მნი-
შვნელოვანი შრომები ნ. ვოლკოვამაც[8], რომელთა გაუთვალისწინებლობა შეუძლებელია
ამ საკითხებზე მომუშავეთათვის.

ჩვენ არ ვაპირებთ ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის ცალკეული ტომების ნომენკლატური-
სა და მათი განსახლების კვლევას. საერთო სურათის წარმოჩენის მიზნით თვალი გვინდა
გავადევნოთ იმ პროცესებს, რომლის რეალიზაციის შედეგად ყალიბდებოდა ერთიანი ეთნი-
კური გარემო საერთო კულტურათა და მეურნეობის სპეციფიკური ფორმებით. სხვადასხვა
წყაროების შეჯერების შედეგად დგინდება, რომ XVIII ს. ბოლოსათვის ცნობილი იყო
ადიღეელთა 18 ეთნიკური ქვედანაყოფი. თუმცა ყველა არ შემორჩა XIX ს. პირველი ნა-
ხევრისათვის, რამდენადაც ზოგი წვრილი დანაყოფი შთაინთქმა მსხვილი გაერთიანების
მიერ. ეს პროცესი მიმდინარეობდა გამწვავებული ტომთა და კლასობრივი ბრძოლის ვითა-
რებაში, რომელსაც ართულებდა გარე პოლიტიკური ფაქტორები. ყოველივე ეს გარკვეულად
მოქმედებდა ტომთა კონსოლიდაციის პროცესზე. ამ კერძო გადახრების მიუხედავად მთა-
ვარი ხაზი განვითარებისა მიმართული იყო ადიღეელთა ეთნიკური დაქუცმაცების შემცი-
რებისაკენ. XIX ს. შუა წლებისათვის ადრე არსებული 18 დანაყოფის ნაცვლად რეალური
მნიშვნელობა მხოლოდ II ჰქონდა. ესენი იყვნენ: ყაბარდოელები, ბესლენეელები, ტე-
მირგოელები, ბჟედუღები, ხატუკაელები, ძახოშაველები, მამხეგელები, ეგერუხაელები, აბაძე-
ხები, შაფსუღები, ნატუხაელები. ბირთვი, რომლის გარშემო XIX ს. პირველ ნახევარში ხდე-
ბოდა ადიღეელი ხალხის ჩამოყალიბება, ყაბარდოელების გარდა, იყვნენ ტემირგოელები.
მათ გარკვეული ზომით შეუერთდნენ ეგერუხაელები, მამხეგელები, ადემიელები. ამ დროს
ნატუხაელებისა და შაფსუღების გაერთიანების ბაზაზე, რომლისაკენ მიილტვიან აბაძე-
ხებიც, ყალიბდება ადიღეელების მსხვილი გაერთიანება . თუ გავითვალისწინებთ ყვე-
ლა იმ ცვლილებას, რომელზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი, მაშინ გამოვა, რომ II-ის
ნაცვლად მივიღებთ 6 დანაყოფს. მით უმეტეს თუ ამას დავუმატებთ გარდანოვისვე ცნო-
ბას, რომ ბესლენეელების ტერიტორია ფაქტიურად შეერწყო ყაბარდოს ტერიტორიას[9].

მ. ცინცაძე იმავე პერიოდისათვის ასახელებს ხეგაკებს; წიფსინებს, ნატუხაელებს,
შაფსუღებს, აბაძესებს, ბჟედუღებს, ხამიშევლებს, მახოშეველებს, ბესნელეელებს,
ხაკუჩებს, აბაზინებს[10]. მიზეზი იმისა, რომ ერთი და იგივე დროისათვის ავტორები

სხვადასხვა ტომებს ჩამოთვლიან, ალბათ კონსოლიდაციის მიმდინარე პროცესში და წყა-
როების სიმცირეშია საქმებარი. თანამედროვე ავტორების მიერ სამართლიანად შენიშნუ-
ლია, რომ ტომები თანაბარი სიძლიერისა არ იყვნენ და რომ მთელი გვიანი საუკუნეე-
ბის მანძილზე წარმოებდა ადიღეელ ტომებში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების
კვალდაკვალ მათი კონსოლიდაციისა და ურთიერთშერწყმის ნელი, მაგრამ საგრძნობი პრო-
ცესი. ამიტომ ნაწილი ამ ტომებისა, რომლებიც შედარებით ადრეულ წყაროებში ხშირად
ფიგურირებენ, XIX ს. პირველი ნახევრის ავტორებთან იშვიათად ან სულ აღარ მოიხსე-
ნებიან[11]. უფრო ჭრელი სურათია XVI-XVII საუკუნეებში, რის გამოც ე. ალექსეევა
აღნიშნავს, რომ დასავლეთ ჩერქეზეთში არ არის ერთიანი არც ეთნიკური და არც პოლი-
ტიკური თვალსაზრისით, რომ იგი იყოფა ცალკეულ ტომებად (племени). XVI-XVII სს-
ში არ არსებობდნენ მაგ. აბაძესები, ნატუხაელები, შაფსუღები. ყოველივე ეს, ამავე
ავტორის აზრით, მეტყველებს იმაზე, რომ აღნიშნულ პერიოდში დასავლეთ ჩერქეზების
ერთიან ხალხად (народность) ფორმირების პროცესი ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული[12].
რისი მიზეზიც საძებარია, ალბათ, შიდა სოციალურ-ეკონომიკური ძვრების შედეგად გა-
მოწვეული ეთნიკური პროცესებით, რომელიც ხშირ მიკრომიგრაციებში ვლინდებოდა. ეს,
თავის მხრივ, იწვევდა პატარა, მცირერიცხოვანი ტომების შერწყმა-გამსხვილებას და
მათ ბაზაზე ახალი ერთეულების წარმოქმნას. მიმდინარეობდა აქტიური მუდმივი მოძრაო-
ბა, როგორც ტერიტორიალური გადანაცვლების, ასევე ეთნიკური ცვლილების თვალსაზრი-
სით. და ამაში გამოიხატებოდა ერთ ხალხად ჩამოყალიბების რთული, დაუსრულებელი პრო-
ცესი. ნ. ვოლკოვა ამავე დასკვნამდე მივიდა ამ პროცესების შესწავლის შედეგად. მან
დაასაბუთა, რომ მიუხედავად ძლიერი შიდა მოძრაობისა, დასავლეთ ადიღეს ეთნიკური
ტერიტორია XVIII ს. 30-იანი წლებიდან XIX საუკუნემდე არ შეცვლილა[13]. იგივე ავ-
ტორისთვლის, რომ ცალკეულ ტომთა შიდა საზღვრებში ხდებოდა უზარმაზარი ცვლილებები
მიგრაციების გამო, რაც იყო ადიღეური ეთნოსის კონსოლიდაციის პროცესით გამოწვეული.
რასაც განაპირობებდა სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორები. ზოგი ადიღე-
ელი ტომის ტერიტორია და რაოდენობა შემცირდებოდა, სხვა იზრდებოდა და მრავლდებოდა,
ზოგი კი სრულიად ქრებოდა

ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ ადიღეს ცალკეულ ერთეულებს შორის ჯერ კიდევ
არ იყო ერთიანი ეკონომიკური და არც პოლიტიკური კავშირი, შიდა ეთნიკური პროცესე-
ბი პერსპექტივაში ერთ ეთნოსად ჩათვლის შესაძლებლობას იძლეოდა. მით უმეტეს თუ
გავითვალისწინებთ, რომ ეთნოსად შეიძლება ჩაითვალოს გარკვეულ ტერიტორიაზე ისტორი-
ულად ჩამოყალიბებული მყარი ერთობა ხალხისა, რომელსაც გააჩნია საერთო, შედარებით
სტაბილური კულტურა (ენის ჩათვლით) და ფსიქიკა; გააჩნია აგრეთვე ერთობის შეგნება
(თვითშეგნება), რომლის ფიქსირება საკუთარ სახელში-ეთნონიმში ხდება[14].

ეთნონიმში „ადიღე" გაერთიანებული ცალკეული ერთეულები ქმნიან ერთ ეთნიკურ ერ-
თობას, რომლის არსი ასეა განსაზღვრული თანამედროვე ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში:
"Этническая общность - социальный организм, сложившийся на определенной тер -
ритории из групп людей при условии уже имевшейся или достигнутой ими по мере
развития хозяйственных и социально-культурных связей общности языка, общих
черт культуры и быта, ряда общих социальных ценностей и традиций, а также зна-
чительного смещения редко отличавщихся расовых компонентов. Основными приз -
наками этнической общности являются: этническое самосознание и самоназвание,
язык, территория, особенности психического склада, культуры и быта, опреде -
ленная форма социально-территориальной организации или стремление к созданию
такой организации"[15].

ადიღეელების ყოფის ერთ-ერთი საუკეთესო მცოდნე ლულიე წერდა: „არ ვიცი რატომ, მა-
გრამ ჩვენ მივეჩვიეთ კავკასიის ჩრდილო კალთებზე მცხოვრებ ტომებს ვუწოდოთ ჩერქე-
ზები, ისინი კი საკუთარ თავს ადიღეს უწოდებენ"[16]. მართლაც, ადიღეელები და ხშირად
ჩრდილო კავკასიის მთელი მოსახლეობა, დაღესტნის ჩათვლით, ჩერქეზებად იწოდებოდა.
ასე იყო დუბროვინთან[17], კ. კოხთან[18], ასე მოიხსენიებდნენ ვ. ტორნაუ[19], კ. სტა-
ლი[20] და სხვ. გაცილებით უფრო ადრე, XIII ს. მოგზაურები პლანო-კარპინი, რუბრუკი -

ჩერქეზების სახელწოდებით იხსენიებენ ადიღეელებს[21].

ვ. გარდანოვი თვლის, რომ სიტყვა „ჩერქეზის“ ასეთ ფართო მნიშვნელობას ჰქონდა ის რეალური საფუძველი, რომ ადიღეელები იმ ხანად ყველაზე მნიშვნელოვან ეთნიკურ ჯგუფს წარმოადგენდა ჩრდილო კავკასიაში, რომლის ყოველმხრივ დიდ გავლენას განიცდიდნენ მის გარშემო მყოფი ხალხები[22]. ყაბარდოელ განმანათლებელს შ. ნოგმოვს გამოყავს სახელწოდება ჩერქეზი ბერძნული კერკეტ-იდან[23]. მ. ცინცაძეს ეს მოსაზრება, რომელსაც სხვა ავტორებიც იზიარებენ, სათუოდ მიაჩნია, მაგრამ თავის მხრივ ვერ ხსნის ამ ტერმინის წარმომავლობას. იგი თვლის, რომ ადიღეელების აღმნიშვნელად ტერმინი „ჩერქეზები“ ყველაზე გვიანი წარმოშობისაა[24]. ასეთ თუ ისე ერთი იმთავითვე აშკარაა, რომ ამ ხალხის საკუთარი სახელია „ადიღე“. თავიანთ თავს ისინი მხოლოდ ასე უწოდებენ. სხვა ხალხები კი ჩერქეზებს უწოდებენ, ხან კერკეტებს, ზიხებს, ჯიქებს და სხვ. ამას ხაზგასმით აღნიშნავენ ი. გიულდენშტედტი[25], ხან-გირეი[26] და სხვ. ავტორები.

ქართულ წყაროებში მოიხსენიებიან ადიღეელები ჯიქების სახელწოდებით. ასეა „ქართლის ცხოვრებაში“[27]. ვახუშტი ბატონიშვილი წერს: „ხოლო ამ აფხაზეთის იქით, კაპეტის-წყლის დასავლეთს, ბაგრატიონთ ჟამს აქეთ აქამომდე უწოდებენ ჯიქეთს, არამედ გორგასლის ცხოვრება უწოდებს ჯიქეთს. ამ ჯიქეთის ჩრდილოთ კერძოთ, კავკასიის მთის იქით კერძს ზღვამდე. და ამ აწინდელს ჯიქეთს მზღვრის აღმოსავლეთით კაპეტის-წყალი; დასავლეთის შავი ზღვა; სამჴრით იგივე ზღვა, ჩრდილოთ კავკასი. და არის ადგილი ესე ყოვლითურთ აფხაზეთისა: მოსავლით და ცხოვლით, წესით და ქცევითაც. არამედ კაცნი უმეტეს მჴეცთ მგზავსნი. ყოფილან პირველად ქრისტეანენი, არამედ აწ უცნობელნი მისნი. გარნა იუწყე აფხაზთა და ჯიქთა სამოსელნი, და იარაღნი, და საჭურველნი, ვითარცა ჩერქესთანი, რომელთა ზნეთა ჟამად იმერნიცა ხმარობენ“[28]. როგორც ვხედავთ, ვახუშტი ანსხვავებს „ჯიქს“ და „ჩერქეზს“, ერთმანეთისაგან. აღწერილობიდან აშკარაა, რომ „ჯიქებს“ საკუთრივ ადიღეელების მიმართ ხმარობს. ჩერქეზების საკითხი კი გაურკვეველია, რადგან ავტორს სხვა დამატებითი მისანიშნებელი მასალა არა აქვს მოცემული. შეიძლება იგი „ჩერქეზს“ ყაბარდოელებს უწოდებს. სულხან-საბა ორბელიანი კი აღნიშნავს: „ჯიქი ერთს თემსაც ჰქვან აფხაზეთის მოსამძღურესთა“[29].

ანტიკური ხანის მწერლებიც იხსენიებენ ადიღეელებს ზიქების, ჯიქების სახელწოდებით[30]. ზოგი მკვლევარი „ზიხი“-დან წარმოებულად მიიჩნევს ტერმინს „ადიღე“ შუალედური ფორმის „ა-ძიგე“-ს საშუალებით. ეს სათუო მოსაზრებაა. ადიღე ამ ხალხის საკუთარი სახელია. ზიხებად მხოლოდ უცხოურ წყაროებში მოიხსენებიან ისინი. მაშასადამე, ხალხის საკუთარი სახელი ლოგიკის ძალით ვერ წარმოიქმნებოდა იმ ტერმინიდან, რომლითაც ცნობილი იყვნენ ადიღეელები სხვა ხალხების მიერ. თუმცა ნ. ვოლკოვა თვლის, რომ კავკასიის ეთნონიმებში ზიხის არსებული სხვადასხვა ფორმა იძლევა საშუალებას ამ ტერმინის აღმოცენების ადგილად ვივარაუდოთ აფხაზურ-ადიღეურ-აბაზინური ეთნიკური სამყარო, საიდანაც იგი შეიძლება ესესხათ ანტიკურ ავტორებს[31].

ადიღეელები ფიგურირებენ წყაროებში „ქაშაგი, ქეშქი, ქეშიგის“ სახელწოდებით. ს. ჯანაშია წერს, რომ „ქაშაგი ძველ ქართულ მწერლობაში ხშირად გვხვდება. იგი შეესატყვისება ძველ რუსულ касог-ს, თანამედროვე ოსურ „ქასაგ“-ს და ჩერქეზს აღნიშნავს[32]. მ. ცინცაძე ფიქრობს, რომ ადიღეელთა კრებით სახელებს შორის „ქაშაგი, ქაშქი, კეშიგი“ ერთი ყველაზე ძველთაგანია[33]. „ქაშქა“ იგივე „ქაშაგი“ ჩრდილო-აღმოსავლეთ მცირე აზიის მთიელთა ზოგადი სახელია ხეთურში, სადაც შუა საუკუნეების (არაბული, ქართული, რუსული) წყაროები უწოდებენ ჩერქეზებს (ადიღეელებს). გ. მელიქიშვილი თვლის, რომ ქაშქებში აფხაზურ,ადიღეური თუ პროტოხეთური წარმომავლობის ტომები შეიძლება ვიგულისხმოთ. მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ თვით ხეთებთან „ქაშქა“ სახელი ეთნიკურად ერთი გარკვეული ჯგუფის ტომების აღსანიშნავად იხმარება. იგი უფრო ჩრდილო-აღმოსავლეთის მთიულთა კრებითი სახელი იყო და ალბათ ამ მხარეში მოსახლე ქართველ ტომებსაც მოიცავდა[34]. ნ. ვოლკოვა საწინააღმდეგო მოსაზრებას გვთავაზობს. იგი თვლის, რომ მცირე აზიაში II ათასწლეულის ბოლოს და I ათასწლეულის პირველი ნახევრის ლურსმული წარწერების ქაშქის ფონეტიკურმა სიახლოვემ ტერმინებთან კასამ, კაშაგ წარმოქმნა ამ სახელების გენეტური დაკავშირების მრავალი ცდა. ნ. ვოლკოვას მია-

ჩნია, რომ ეთნიკური სახელის კასაგის ყველაზე ადრეული ხსენება მოდის VIII საუკუნეზე, როდესაც იგი სრულიად აშკარად უკავშირდება ადიღეელებს. ქაშქი (ქასქი) სხვა ეთნიკური წრის წარმონაქმნია, ფიქსირებული მცირე აზიაში ორი ათასზე მეტი წლით ადრე, ვიდრე წყაროებში გამოჩნდებოდეს ეთნონიმი კასაგ. ყოველივე ეს აფიქრებინებს ავტორს, რომ ტერმინებს კასაგ და ქაშქ შორის გენეტური კავშირი არ შეიძლება არსებობდეს[35]. ბოლოს და ბოლოს ჩვენი თემისათვის პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს საკითხს იმის თაობაზე, უკავშირდებიან თუ არა ჩრდილო კავკასიის კასაგები-კასოგები მცირე აზიის ქაშქებს. ამჟამად ჩვენთვის მთავარია ის, რომ ისტორიულად ადიღეელები ცნობილნი არიან კაშქა-ქეშეგის, ზიხი-ჯიქების და ჩერქეზების სახელწოდებით. თ. ბოცვაძე შენიშნავს, რომ ტერმინი „ჩერქეზები“ საქართველოში ხშირად ყაბარდოელთა მიმართ უფრო გამოიყენებოდა, ვიდრე ადიღეელებისა[36], მაგრამ ყაბარდოელებიც ხომ ადიღეელები არიან.

სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ ადიღეელების ხალხად ჩამოყალიბება X საუკუნეში ძირითადად უნდა დამთავრებულიყო. მაგრამ ეს პროცესი, როგორც ჩანს, შემდგომშიც გრძელდება, რომელიც XIX საუკუნისათვის არ ჩაითვლებოდა დასრულებულად. ამ დაუსრულებელი პროცესის შედეგი იყო ლიტერატურაში არსებული მრავალი წინააღმდეგობრივი მოსაზრების არსებობა. და საერთოდ ის სირთულე, რომელიც ამ ხალხის განსახლებასთან, ზუსტი საზღვრების დადგენასა და რაოდენობრივი მაჩვენებლის განსაზღვრასთან არის დაკავშირებული სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში.

ადიღეელთა განსახლების საკითხს მრავალი ავტორი შეეხო სხვადასხვა პერიოდისათვის. ეთნიკური პროცესებით გამოწვეული მოძრაობა საკმაოდ რთულ და ჭრელ სურათს წარმოაჩენს. ადიღეური მოდგმის ტომთა პირველსაცხოვრისად გ. კოკიევი აზოვისპირეთს მიიჩნევს, სადაც მათ ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში ბერძენი და რომაელი დამპყრობლების დაწოლის შედეგად აღმოსავლეთით გადაინაცვლეს[37]. ადგილობრივ გადმოცემებზე დაყრდნობით, გ. კოკიევს წარმოდგენილი აქვს ჩერქეზების მოძრაობის საინტერესო სქემა: უძველეს დროში ჩერქეზები სახლობდნენ დასავლეთ კავკასიაში და ყირიმის ნახევარკუნძულზე. ერთერთმა ტომმა ყაბარდოს სახელწოდებით, დატოვა VI ს-ში პირველი საცხოვრისი ყუბანის სანაპიროებზე და გადაინაცვლა ჩრდილოეთით დონისაკენ, საიდანაც იგი მალე გადავიდა ყირიმში. აქ ყაბარდოელები სამხრეთით დასახლდნენ, რის შედეგადაც დაბლობს მდ. კაჩესა და ბელბოკს შორის (რომლის ზემო დინებას ყაბარდო ეწოდება) ახლაც თათრები ჩერქეზეთის ველს უწოდებენ[38]. ამ გადმოცემის ისტორიული საფუძველი ტოპონიმიკური მასალით დასტურდება.

X ს-ში, ამავე ავტორის აზრით, გადაადგილება უკვე ხაზარების ძალადობის შედეგად ხდება, ხოლო ყაბარდოელთა წინაპრების მესამე გადანაცვლებას XIII-XIV სს-ში ჰქონდა ადგილი. გ. კოკიევი თვლის, რომ ყაბარდოელების აღმოსავლეთით გადანაცვლება საშინაო და საგარეო მიზეზებით იყო შეპირობებული. თათარ-მონღოლთა შემოსევები და თურქეთ-ყირიმის ძალადობა – საგარეო მიზეზებად არის მიჩნეული. საშინაო პირობებია ის სოციალურ-ეკონომიკური წინააღმდეგობანი, რომელიც ყაბარდოელების ფეოდალური დაქუცმაცებულობით იყო გამოწვეული, რის გამოც არ არსებობდა საჭირო პირობები მათი პოლიტიკური კონსოლიდაციისა და ცენტრალიზებული ძალაუფლების შექმნისათვის[39].

ამგვარად, ადიღეელთა გადასახლება ჩრდილო კავკასიის დაბლობის აღმოსავლეთით რამდენიმე ტალღად მიმდინარეობდა, მაგრამ როგორც მიიჩნევენ უნდა დაწყებულიყო არა უადრესი სვიატოსლავის ლაშქრობისა (X ს.). ძირითადად კი ეს მოძრაობა XIII-XIV საუკუნეებზე მოდის[40].

ლ. ლავროვი ყაბარდოელების პირველსაცხოვრისად მდ. ყუბანის ქვედა დინებას თვლის, საიდანაც ისინი XIII ს. მეორე ნახევარში გადმოდიან[41]. თუმცა ეს პროცესი, ამავე ავტორის აზრით, XI ს. დასაწყისში დაიწყო[42]. ე. ალექსეევა იზიარებს ლ. ლავროვის მოსაზრებას ყაბარდოელების პირველსაცხოვრისის შესახებ, მაგრამ განმარტავს, რომ XIII საუკუნის წმინდა ყაბარდოული არქეოლოგიური ძეგლები თანამედროვე ყაბარდოს ტერიტორიაზე არის ცნობილი და რომ მათ შორის ყველაზე ადრეული მხოლოდ XIV საუკუნით თარიღდება[43]. უფრო მოგვიანებით არქეოლოგი ა. ნაგოევი მივიდა იმავე დასკვნამდე.

ყაბარდოს ტერიტორიაზე არსებული ყორღანების შესწავლის შედეგად მან დაადგინა, რომ კომპლექსების ბდრეული ქრონოლოგიური ჯგუფი XIV–XV საუკუნეებით თარიღდება, გვიანი კი – XVI–XVII საუკუნეებით[44]. გადმოცემის თანახმად, პირველნი გადასახლდნენ შავი ზღვის სანაპიროდან ყაბარდოელები და ბესლენეელები, მათ მოჰყვათ ტემერგოულები და ხატუკაელები, მერე შაფსუღები, ბჟედუღები და ნატუხაელები, გადმოსახლდნენ ეგერუხაელები და მახოშაველები. სულ ბოლოს გადმოვიდნენ ჩრდილო კავკასიის დაბლობზე აბაზინები[45].

ნ. შაფიევი ტოპონიმიკური მასალის, ისტორიული ცნობებისა და გადმოცემების ანალიზის შედეგად ასკვნის, რომ ყაბარდოელები ცენტრალურ კავკასიაში გადასახლებამდე, სახლობდნენ შავი ზღვის სანაპიროებსა და ყუბანისპირეთში. ნ. შაფიევი თვლის, რომ ყაბარდოელების გადმოსახლება უნდა დაწყებულიყო X საუკუნეში და გაგრძელდა XIII საუკუნემდე[46].

ა. კაჟუთი არ იზიარებს მოსაზრებას ყაბარდოელების აწინდელ ტერიტორიაზე დასავლეთიდან გადმონაცვლების შესახებ და თვლის, რომ ადიღე-ყაბარდოელები მუდმივად სახლობდნენ კავკასიონის ცენტრალურ სექტორში და შედიოდნენ ალანების გაერთიანებაში[47]. ამ მოსაზრებასთან დაკავშირებით (რომელიც მრავალმხრივი მასალით არის გამაგრებული), რამდენიმე სკეპტიკური ხასიათის კითხვა იბადება, რომელთა შორის უმთავრესია, ალანების საერთო მასიდან როგორ მოხდა ყაბარდოელების გამოცალკევება და მას შემდეგ რაც ალანები აღარ ფიგურირებენ ისტორიულ სარბიელზე, როგორც შეინარჩუნეს ყაბარდოელებმა თავი და მნიშვნელობა ისტორიულ არენაზე.

ლ. ლავროვი თვლის, რომ ყაბარდოელთა გადასახლების მთავარი მიზეზი ფეოდალური ურთიერთობის განვითარება იყო, რამაც გამოიწვია ფეოდალური წარმოების გაღრმავება და აქედან გამომდინარე წარმოიშვა მეტი საძოვრებისა და სახნავი მიწების ხელში ჩაგდების სურვილი[48]. ტ. კუმიკოვის აზრითაც, ადიღეელების მასიდან ყაბარდოელების გამოყოფას შიდა სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მიზეზები ედო საფუძვლად[44].

ამ დროის ისტორიულმა ამბებმა ყაბარდოელთა წინაპრებს შესაძლებლობა მისცა შედარებით უმტკივნეულოდ დაეკავებინათ აწინდელი ყაბარდო-ბალყარეთის ავტონომიური რესპუბლიკის სტეპური ზოლი, სადაც აღნიშნულ პერიოდამდე ალანები მოსახლეობდნენ. ცნობილია, რომ ოქროს ურდო ალანების დამორჩილების საშუალებით დარიალის ხეობის ხელში ჩაგდებას ცდილობდა, რათა ამ გზით შეჭრილიყო კავკასიაში. ალანების დამორჩილება მონღოლებმა XIII ს. მეორე ნახევარში მოახერხეს, რის შედეგადაც ალანებმა დატოვეს თავისი საცხოვრისი და აღმოსავლეთით მთებში გაიხიზნენ. დასავლეთიდან დაძრულმა ყაბარდოულმა ტომებმა კი დაიკავეს ალანებისაგან დაცლილი ტერიტორია. მოხდა დარჩენილი ალანებისა და ყაბარდოელების ასიმილირება.

ადიღეელების ერთიანი მასიდან ტერიტორიული გამოყოფის შემდგომ, ახალ გეოგრაფიულ პირობებში დაიწყო ყაბარდოელების ყოფისა და კულტურის ლოკალიზაცია. წარმოიქმნა გარკვეულ საზღვრებში კონცენტრირებული ეთნიკური ერთეული. ამიერიდან ყაბარდო დამოუკიდებელი პოლიტიკური წარმონაქმნია, თუმცა საერთო წარმომავლობის საფუძველზე არსებული ნათესაური კავშირები ისევ გრძელდება ადიღეელებსა და ყაბარდოელებს შორის. უფრო მეტიც, ყაბარდოელები თავის თავს კვლავინდებურად ადიღეს უწოდებენ დასავლეთ ადიღეელების მსგავსად.

XVI ს. რუსულ წყაროებში ყაბარდოელები იწოდებიან „პიატიგორსკის ჩერქეზებად“. ე. ალექსეევა აღნიშნავს, რომ ამ სახელით ცნობილნი იყვნენ საერთოდ როგორც დასავლეთის, ასევე აღმოსავლეთის (ყაბარდოელები) „ჩერქეზები“. ასე უწოდებდნენ მათ რუსი კაზაკებისაგან განსხვავებით, რომლებიც ასევე ჩერქეზებად იწოდებოდნენ და სახლობდნენ უკრაინასა და დონზე[50]. იგივე ავტორი მიუთითებს, რომ XVII საუკუნის დოკუმენტებში სახელწოდება „პიატიგორსკის ჩერქეზები“ თანდათანობით იდევნება „ყაბარდოთი“ და „ყაბარდოელებით“.

ადიღეელებს, ყაბარდოელებს და ჩერქეზებს სრულიად აშკარად აქვთ შეგნებული ეთნიკური ერთობა. ადიღელის გაგებით ყუბანის, ყაბარდოსა და ყარაჩა-ჩერქეზეთის მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც თავის თავს ადიღეს უწოდებს – ადიღეელები არიან. ყაბარდოელი ადიღეელად თვლის ყაბარდოს მოსახლეობას, რომელსაც ყოფს მცირე, შუა და დიდ

ყაბარდოდ; აგრეთვე ყუბანის მცხოვრებლებს და დიდ და მცირე ზელენჩუკის ნაპირებზე მაცხოვრებელ ჩერქეზებს. ურთიერთობის დროს ამ ჯგუფის წარმომადგენლები თავიანთ თავს ადიღეს უწოდებენ, მაგრამ ყაბარდოელი ხაზს უსვამს, რომ იგი ყაბარდოდან არის, ადიღელი აზუსტებს, რომ ყუბანელია. ყარაჩა-ჩერქეზეთის ჩერქეზი კი ყაბარდოელთან საუბრის დროს თავს хьэкхрат -ს უწოდებს, რითაც აღნიშნავს, რომ იგი ყაბარდოდან წასული ადიღეელის შთამომავალია[51].

ამგვარად, მიგრაციულმა პროცესებმა შექმნა ხელოვნური ადაპტაციის საფუძველი, რამაც თავის მხრივ ჩამოაყალიბა საზოგადოებრივი წარმოების პროცესში გარკვეული კულტურული გარემო. ეს არის ისტორიულად მიმდინარე რთული ეთნიკური პროცესის ერთი კონკრეტული გამოვლინება, რომელიც შეეხო წარმოების ყველა სფეროს და საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარებაზეც იმოქმედა. მეურნეობის ცალკეულ დარგებში მომხდარი ცვლილებები ახალი ეკოსისტემის შექმნამ განაპირობა.

კონკრეტული მონაცემების უქონლობის გამო არა გვაქვს შესაძლებლობა შევადაროთ ყაბარდოელთა გადმოსახლებამდე არსებული მეურნეობის ფორმა აწინდელ ტერიტორიაზე გაბატონებულ ფორმას. ერთი რამ კი ცხადია, ყუბანისპირა თუ აზოვის ზღვის დაბლობის ჰიდროლოგიური რეჟიმი განსხვავებულია თერგის აუზის რეჟიმისაგან. თერგის აუზის ჰავა მშრალი, კონტინენტურია და ამდენად განსხვავდება პირველსაცხოვრისის კლიმატისაგან, რასაც უნდა გამოეწვია სათესი მარცვლეული კულტურების ტრადიციული ნომენკლატურის შეცვლა და მოეთხოვა შრომის იარაღების თავისებური კომპლექსის შექმნა, ემოქმედა საერთოდ მიწათმოქმედების მთელ სისტემაზე.

ცვლილებები შეეხო მესაქონლეობის დარგსაც. შეიქმნა მეურნეობის მეტად თავისებური ფორმა: ბარული კონტინენტური ჰავის ურწყავი მიწათმოქმედება შეერწყა მესაქონლეობის საიალაღო მურ ფორმას, სადაც გარკვეული ხვედრითი წონა ეთმობოდა ლოკალურ ბარს. ბარის სტეპური საძოვრები მომთაბარეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან რგოლს ქმნიდა. დაბლობის საძოვრების გამოყენება მეტი დატვირთვით და ეფექტით ადრე გაზაფხულსა და გვიან შემოდგომაზე ცვლიდა საქონლის გადაადგილების transumans -ით დადგენილ საერთო ვადას, რადგან საქონლის ბაგურ პირობებში შენახვის საჭიროება მინიმუმამდე მცირდებოდა. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ მემინდვრეობის საკმაოდ დიდი ხვედრითი წონის გამო, გაცილებით მეტი რაოდენობის მუშა საქონელი რჩებოდა ადგილზე. აქ მესაქონლეობის ძირითადად საიალაღო მთიური ფორმა, დაკავშირებული ზოგადკავკასიონის მთასთან, შეხამებული იყო ყაბარდოს ბარის მაქსიმალურ ათვისებასთან. ამგვარად იქმნებოდა მთიური მესაქონლეობისა და ბარული მიწათმოქმედების თავისებური სინთეზი. ყოველივე ამას ემატებოდა კიდევ მეცხენეობის როგორც დარგის განსაკუთრებული მნიშვნელობა, რომელმაც თავისებური ელფერი შესძინა ყაბარდოს სამეურნეო ყოფასა და კულტურას, სხვა მონაცემებთან ერთად ხელი შეუწყო მეურნეობის სპეციფიკური, თითქმის მთელი ჩრდილო კავკასიის ქვეყნებისაგან განსხვავებული ფორმის შექმნას. იქნებ აქ არის სწორედ საძებარი იმ თავისებურებათა მიზეზი, რომლის გამო ყაბარდოს კავკასიურ სისტემაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს.

გარკვეულ ეთნიკურ პროცესებს ადგილი ჰქონდა დასავლეთშიც. მისი რეალიზაცია ძირითადად მიგრაციების გზით ხორციელდებოდა. ეს შიდა სოციალურ-ეკონომიკური ძვრების გარდა პოლიტიკური სიტუაციებითაც იყო განპირობებული, რომელთა შორის ისევ და ისევ მონგოლ-თათართა შემოსევებია მისათითებელი.

ამგვარად, მიმდინარე რთულმა ეთნიკურმა პროცესებმა, რომელიც გამოიხატა ხშირ მიკრო და მაკრომიგრაციებში, შექმნეს გარკვეული წინააღმდეგობანი სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის მრავალი საკითხის გადაწყვეტაში. ჩრდილო კავკასიის სხვა ხალხებთან მჭიდრო კავშირის მიუხედავად, ადიღეელებმა შექმნეს თვითმყოფი კულტურა, რომელიც მრავალი ლოკალური თავისებურებით ხასიათდება. ლოკალური ვარიანტები ძირითადად ემთხვევა და ზოგჯერ ფარავს კიდეც იმ ტომობრივ დანაყოფებს, რომელზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი. თანამედროვე პირობებში ამ განსხვავებათა გამოვლენა ადვილი არ არის და შე იძლება არც იყოს საჭირო. მაგრამ ისეთი დიდი ეთნიკური ერთობისათვის, როგორც ყაბარდო იყო ადიღეურ სამყაროში რა თქმა უნდა საჭირო და აუცილებელიც არის, ვინაიდან ადიღეელების ძირითადი მასიდან გამოყოფის შემდეგ მოხდა ყაბარდოს როგორც ტერიტორი-

ული ასევე კულტურულ-ყოფითი „პარტიკულარიზაცია“. ამიტომ მიუხედავად დიდი მსგავსებისა, არ შეიძლება ყაბარდოულისა და ადიღეური მასალების გაიგივება (როგორც იქცეოდა მრავალი ავტორი). ამის მტკიცების საფუძველს გვაძლევს იგივე ყაბარდოული და ადიღეური ყოფის მონაცემების შედარებითი ანალიზი. ბევრ შემთხვევაში, როგორც აღვნიშნეთ, არც მსგავსებაა გამორიცხული, როგორც ადიღეურ, ასევე კავკასიის სხვა ხალხების ეთნოგრაფიულ მასალებს შორის. მსგავსება შეიძლება იყოს გამოწვეული გენეტური კავშირების გარდა ერთნაირი სოციალურ-ეკონომიკური და გეოგრაფიული პირობებით ან იყოს შედეგი ჩვეულებრივი სესხებისა, რაც არავითარ შემთხვევაში არ ამცირებს არც ერთი ხალხის შემოქმედებით უნარსა და პოტენციალურ შესაძლებლობებს.

ჩრდილო კავკასიის ქვეყნების მეურნეობის შესწავლას ამ ბოლო დროს მრავალი ნაშრომი მიეძღვნა. საკითხთა მთელი წყება ახლებურად, ახალი მეთოდოლოგიური მიდგომით იქნა გააზრებული. კონკრეტულ მასალაზე დაყრდნობით გამოაშკარავდა ზოგადკანონზომიერი ტენდენციების პარალელურად ლოკალურ თავისებურებათა არსებობა, რომელმაც სათანადო ახსნა-დასაბუთება მოითხოვა.

მიუხედავად იმისა, რომ ადიღეს მეურნეობაზე თითქმის ყველა უცხოელი მოგზაური, რუსი ავტორები, ჩამოსული მოხელე-ჩინოვნიკები თუ ადგილობრივი განმანათლებლები წერდნენ, რის შედეგადაც საინტერესო ფაქტობრივი მასალა დაგროვდა, გააზრების მაშინდელი მეთოდოლოგიური საფუძველი ხშირად ობიექტური დასკვნების გამოტანას აფერხებდა. ამ შემთხვევაში ადგილობრივმა წერილობითი წყაროების უქონლობამ და არქეოლოგიური მასალის სიმცირემაც გარკვეულად უარყოფითი როლი შეასრულა. ასეთ პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ეთნოგრაფიულ მასალას და იმ რუსულ დოკუმენტებს, რომელშიც ასახულია ყაბარდოს რუსეთთან ურთიერთობის საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდი (XVI ს. 80-იანი წლებიდან). მაგრამ როგორც ე. კუშევა აღნიშნავს, ამ საბუთებსაც გარკვეული ნაკლი აქვს. ყაბარდოს სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობის ამსახველი საკითხები რუსულ დიპლომატიურ მიწერ-მოწერაში ნაკლებადაა განხილული. სოციალური ხასიათის ადგილობრივი ტერმინები რუსიფიცირებული ან დამახინჯებულია, რაც მთავარია საბუთებში მასალა ძირითადად საზოგადოების ზედა ფენებზეა წარმოდგენილი[52]. ეს გარემოება მეურნეობის ხარისხის განსაზღვრის საქმეში მნიშვნელოვან ხარვეზად უნდა ჩაითვალოს, რადგან მწარმოებელ ფენაზე მონაცემების გაუთვალისწინებლად ქვეყნის ეკონომიკის სურათი, სიზუსტეს მოკლებული იქნება.

ამა თუ იმ ქვეყნის მეურნეობის თავისებურება, მისი ეკონომიკური სტრუქტურა განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ მწარმოებელი კლასი ფაქტიურად მეურნეობის რა დარგშია დასაქმებული, რა მატერიალურ დოვლათს ქმნის, რა არის ქვეყნის ძირითადი საარსებო საშუალება. მაგ., რეფორმის შემდგომდროინდელი რუსეთი კაპიტალიზმისა და მრეწველობის სწრაფი ტემპით განვითარების მიუხედავად, აგრარულ ქვეყნად რჩებოდა, ვინაიდან მოსახლეობის დიდი უმრავლესობა სოფლის მეურნეობაში იყო დაკავებული და საერთოდ რუსეთის ეკონომიკურ სტრუქტურას სოფლის მეურნეობა განსაზღვრავდა.

კ. მარქსი აღნიშნავდა, რომ საზოგადოების ეკონომიკურ სტრუქტურას ქმნის წარმოებით ურთიერთობათა ერთობლიობა[53], რომელიც, როგორც ცნობილია, ორ მხარეს მოიცავს - საწარმოო საშუალებებს და წარმოების პროცესში ურთიერთობაში მყოფ ადამიანებს. მატერიალური ღირებულების შემქმნელად მწარმოებელი საზოგადოება გვევლინება და ცხადია, საზოგადოების ეკონომიკური სტრუქტურის დეტერმინაცია დამოკიდებულია მწარმოებელი კლასის წარმოების ხარისხზე, რით აწარმოებს, ვისთვის აწარმოებს ანუ როგორი ურთიერთობა არსებობს წარმოების პროცესში - ექსპლოატაციისაგან თავისუფალი, უკლასო საზოგადოების დროს, თუ ექსპლოატაციაზე დამყარებული ურთიერთობა. მნიშვნელოვანია აგრეთვე, რას აწარმოებს მწარმოებელი კლასი, რა პროდუქტი იქმნება ძირითადად, რომელიც განსაზღვრავს მეურნეობის ხასიათსა და მისი განვითარების ტენდენციას. გადამწყვეტია ისიც, რა გეოგრაფიულ გარემოსთან გვაქვს საქმე. აი, ძირითადი კითხვები, რომლებზედაც ეთნოგრაფიულმა მონაცემებმა უნდა გასცეს პასუხი წერილობითი თუ სხვა წყაროების უქონლობის შემთხვევაში.

ყაბარდოს მეურნეობის დარგების თანაფარდობის განსაზღვრისას კიდევ ერთ სირთულესთან გვაქვს საქმე.-ცნობილია,რომ რაც უფრო შორს მივდივართ კაცობრიობის ისტორიის სი-

ღრმეში, მით მეტი მნიშვნელობა ენიჭება გეოგრაფიულ გარემოს, როგორც განვითარების ფაქტორს. ბუნებრივი პირობების სხვადასხვაობის გამო სოციალური ევოლუცია არ ყოფილა ერთგვაროვანი ყველგან[54]. ი. ვ. ბრომლეი განიხილავს ეთნოსს ბუნებრივ პირობებთან კავშირში და თვლის, რომ არსებული ერთობლიობა ორმხრივი ხასიათისაა, რაც, თავის მხრივ, საშუალებას იძლევა ეთნოსი და მისი ყოფიერების გარემო განხილულ იქნას ერთობლიობაში. ამ მთლიანობას ავტორი ეთნოეკოლოგიურ სისტემას უწოდებს და თვლის, რომ სტადიალური თვალსაზრისით განვითარების ადრეულ ეტაპებზე ეთნოეკოლოგიურ სისტემას ენიჭებოდა საზოგადოების ცხოვრებაში უდავოდ არამცირედი მნიშვნელობა[55]. აქედან გამომდინარე გასაგებია, რომ გეოგრაფიული გარემო (ზედაპირის რელიეფი, სიმაღლე, კლიმატი და ა.შ.) განსაზღვრავს მეურნეობის ხასიათს, აპირობებს მის თავისებურებას. ამიტომ მეურნეობის მთური და ბარული ტიპი (რომ აღარაფერი ვთქვათ სხვა ფორმებზე) საკმაოდ მკვეთრად გამოხატული ნიშნებით ხასიათდება.

სამეურნეო-კულტურული ტიპის კონცეფციის შექმნამ, რომელიც გულისხმობს ისტორიულად ჩამოყალიბებულ სამეურნეო-კულტურულ კომპლექსებს ტიპიურს დაახლოებით განვითარების ერთი და იმავე დონეზე მყოფ, მსგავს გეოგრაფიულ პირობებში მცხოვრები სხვადასხვა წარმომავლობის ხალხებისათვის[56], მეურნეობის ტიპოლოგიური ინტეგრაციის მკვეთრი საფუძველი შექმნა. გამოყოფილი სამეურნეო-კულტურული ტიპები თუმცაღა ზოგ შემთხვევაში შემდგომ დაზუსტებას საჭიროებს, მაგრამ მეთოდოლოგიური ბაზა აბსტრაქციისა ძირითადად სწორ საფუძველს ემყარება. სწორია ისიც, რომ ეს ტიპები ყოველთვის უკავშირდება ყოველი კონკრეტული საზოგადოების წარმოების წესს, რადგან საბოლოო ჯამში სწორედ ის განსაზღვრავს ადამიანების ურთიერთობის ხასიათს გარემომცველ ბუნებასთან სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში[57].

ზემოჩამოყალიბებული პრინციპებიდან გამომდინარე, ადიღეს ეთნიკურ სისტემაში შემავალი მეურნეობა ორ მკვეთრად გამოხატულ ტიპს ქმნის – ბარულსა და თმურს. მთური ტიპი ძირითადად დამახასიათებელია დასავლეთ ადიღეს ცალკეული ტომებისათვის. ყაბარდო ბარული მეურნეობით გამოირჩევა.

მეურნეობის მთური ფორმისათვის განმსაზღვრელია ალპური მესაქონლეობის წამყვანობა, რომლის დამახასიათებელ ნიშნად მიჩნეულია საზაფხულო და საზამთრო დაბლობი რაიონების სამეურნეო-გეოგრაფიული ერთობა, საქონლისა და მოსამსახურე პერსონალის გადაადგილება ბარიდან მთაში და პირუკუ, ალპიური მესაქონლეობის სეზონურობა და მისი დამოკიდებულება დაბლობის სამეურნეო ბაზასთან[58]. დამახასიათებელია აგრეთვე მთური ინტენსიური მემინდვრეობის დაქვემდებარებული მნიშვნელობა. ასეთი მდგომარეობაა ჩაჩნეთში, ინგუშეთში, ოსეთში, ბალყარეთში, ასევე აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს მთიანეთში. მთურ პირობებში მიწათმოქმედება-მესაქონლეობის ხვედრითი წონის განსაზღვრა სოციალური განვითარების მკვეთრი უთანაბრობის არარსებობის პირობებში, როცა მწარმოებელია თითქმის მთელი საზოგადოება, დამოკიდებულია იმაზე, რომელი დარგიდან მიღებული შემოსავალი განსაზღვრავს ოჯახისა და ქვეყნის ბიუჯეტს, რომელია მოსახლეობის ძირითადი საარსებო საშუალება.

სულ სხვა მდგომარეობაა ბარში. ბარში წამყვანი და ძირითადია ექსტენსიური ფორმა მიწათმოქმედებისა. მესაქონლეობას მიწათმოქმედებაზე დაქვემდებარებული როლი ენიჭება. ასეთ პირობებში მესაქონლეობის დარგებიდან განვითარებული და წინ წამოწეულია ის, რომელიც ყველაზე მეტად პასუხობს მიწათმოქმედების ინტერესებს – უზრუნველყოფს მას გამწევი ძალითა და ბუნებრივი სასუქებით, აკმაყოფილებს მოსახლეობას რძის პროდუქტით. ყოველივე ეს ქმნის მესაქონლეობა-მიწათმოქმედების შეხამების ოპტიმალურ ფორმებს[59]. ოჯახის ბიუჯეტს განსაზღვრავს მიწათმოქმედების პროდუქტების ნაჭარბი, მოსახლეობის ძირითადი მასა მიწათმოქმედებაშია დაკავებული.

ამგვარად, სურათი თითქოს ნათელია. მთაში მესაქონლეობა წამყვანი და ძირითადი, ბარში – მიწათმოქმედება. ყაბარდო გეოგრაფიულად ბარს წარმოადგენს და ამდენად თითქოს უდავო უნდა ყოფილიყო მეურნეობის წამყვან დარგად ხსენებულ რეგიონში მიწათმოქმედების გამოცხადება. მაგრამ მრავალი მიზეზის გამო ძველ თუ თანამედროვე ავტორების მიერ მესაქონლეობა აღიარებულია ძირითად დარგად. ამ უკანასკნელ ხანს ბ. კალოევის მიერ გამოქვეყნებულ ნაშრომშიც, რომელშიც შეჯამებულია კავკასიის მიწათმოქმედებაზე

არსებული მთელი მეცნიერული ცოდნა, იგივე აზრია გატარებული იმ მოტივით, რომ დასა-
ვლეთ ადიღელებისაგან განსხვავებით, ყაბარდოელები არ მისდევდნენ რწყვას, ფერდო-
ბების ტერასირებას , განოყიერებას და სხვა აგროტექნიკურ საშუალებებს[60]. ეს ხდე-
ბოდა იმიტომ კი არა, რომ მიწათმოქმედება ყაბარდოში განვითარების დაბალ საფეხურ-
ზე იყო, არამედ ამ საშუალებების გამოყენების საჭიროება საერთოდ არ არსებობდა -
მემინდვრეობისათვის ხელსაყრელი პირობების გამო. მთური და ბარული მიწათმოქმე-
დება მეურნეობის სხვადასხვა ტიპს განეკუთვნებიან და სხვადასხვა კომპონენტური სტ-
რუქტურით ხასიათდებიან. ამდენად ამ ორი განსხვავებული ტიპის შედარების საფუძველ-
ზე ზოგადი დასკვნის გამოტანა არ არის გამართლებული.

მსგავსი დებულების მცდარობის არსი რელიეფურად რომ გამოიკვეთოს, საჭიროდ მიგ-
ვაჩნია მეურნეობის ტრადიციული, წამყვანი და ინტენსიური ფორმების შინაარსობრივი
მნიშვნელობის განსაზღვრა. მეურნეობის დარგი შეიძლება იყოს ძველი, საუკუნეებიდან
მომდინარე ე.ი. ტრადიციული, მაგრამ იყოს არა წამყვანი, არამედ მეორეხარისხოვანი.
სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში ასეთ ხასიათს ატარებს ხშირად მეფუტკრეობა, ნადირო-
ბა, მეთევზეობა, მებაღეობა, მევენახეობა და სხვ., რადგან ეს დარგები არ ქმნიან
ძირითად საარსებო საშუალებებს და მხოლოდ დამატებით პროდუქტს აწარმოებენ. მაგრამ
მიუხედავად თავისი ტრადიციულობისა თუ პირიქით, წარმოების წესის თვალსაზრისით რო-
მელიმე იგივე დარგი შეიძლება იყოს ინტენსიური ან ექსტენსიური. მიწათმოქმედება მთა-
მიწათმოქმედება მთა-
მაღალში მიუხედავად თავისი არაწამყვანობისა ინტენსიურია, რადგან ადგილობრივი გა-
რემოთი განპირობებული გამოყენებულია მიწის ათვისების ინტენსიური საშუალებანი (გა-
ნოყიერება, რწყვა, ტერასირება, ახოს აღება და სხვ.). და პირიქით - ბარული მიწათ-
მოქმედება როგორც წესი, თავისი წამყვანობის მიუხედავად ექსტენსიურია, რადგან მა-
ღალნაყოფიერი ნიადაგი დამუშავების ინტენსიურ ხერხებს არ საჭიროებს. აქედან გამო-
მდინარე შეიძლება თამამად ითქვას - მიწათმოქმედება ყაბარდოში ძველი და ტრადიცი-
ული დარგია, ამის მტკიცების საფუძველს უპირველეს ყოვლისა გვაძლევს არქეოლოგიური
მასალა. მაგრამ მიწათმოქმედების წარმოება ხდება ექსტენსიური საშუალებებით.

ამ ვითარებაში ჩვენ წინაშე წამოჭრილი ერთი საკითხიღა რჩება ღიად - მეურნეო-
ბის რომელ ძირითად ფორმასთან გვაქვს საქმე ისტორიულად ყაბარდოში. ამისათვის კი
დაგვჭირდება ყაბარდოს ეკონომიკური განვითარების გარკვევა ისტორიულ ჭრილში, სოცი-
ალური ურთიერთობის დაკავშირება ყოფის სხვა რეალიებთან და სულიერი კულტურის მონა-
ცემების გათვალისწინება.

ი. კიკვიძე მეურნეობისა და საზოგადოების განვითარებაში დიდ და შეიძლება ითქ-
ვას, გადამწყვეტ მნიშვნელობას რწყვას ანიჭებდა. სარწყავი თუ ურწყავი მიწათმოქმე-
დება, მისი აზრით, ხდება განვითარების ადრეულ საფეხურზე საზოგადოების პროგრესისა
თუ რეგრესის საფუძველი[61]. უფრო გვიანი პერიოდებისათვის ამ პრინციპს ვეღარ ვიყე-
ნებთ დიფერენციაციის მსაზღვრელად, რადგან მაგ., ბალყარეთის სარწყავი და ყაბარდოს
ურწყავი მიწათმოქმედება საწინააღმდეგო შედეგის მომცემია. მაგრამ ამ შემთხვევაში
ეს არ არის მთავარი. მთავარია აიხსნას ობიექტურად არსებული შესაძლებლობის მიუხე-
დავად, რატომ თვლიან, რომ ყაბარდოში მთელი შუა საუკუნეების მანძილზე, ვიდრე XIX
საუკუნემდე, წამყვანი და ძირითადი იყო მესაქონლეობა და არა მიწათმოქმედება.

ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენ შესაძლებლობა გვქონდა გამოგვეთქვა აზრი, რომ-
ლის გამეორებას აღარ მოვყვებით. ერთს კი აღვნიშნავთ, თავისი განვითარების პროცეს-
ში ისტორიულად მიწათმოქმედება და მესაქონლეობა მეტ-ნაკლები უპირატესობით ერთმა-
ნეთს ენაცვლებოდნენ წამყვანობის თვალსაზრისით. მაგრამ თუ კი მიწათმოქმედებასთან
შედარებით მესაქონლეობა ერთი შეხედვით უფრო დაწინაურებულ შთაბეჭდილებას ტოვებდა,
ეს იყო გარეშე პოლიტიკური და ეკონომიკური ფაქტორების შედეგად გამოწვეული. მესა-
ქონლეობის ეს მოჩვენებითი დაწინაურება მკვეთრი გახადა თავისებურმა სოციალურმა გა-
რემომაც, რომლითაც ყაბარდო გამოირჩეოდა კავკასიის მასშტაბით.

მემინდვრეობის განვითარებას არც თეორიული და არც პრაქტიკული თვალსაზრისით არა-
ფერი არ ფერხდებოდა. ისე რომ, ეს დარგიც საზოგადოების საერთო განვითარების კვალ-
დაკვალ და მის შესაბამისად ვითარდებოდა. ამის შედეგი იყო დიდი ყაბარდოული გუთა-

ნი და სხვა მემინდვრეობაში გამოსაყენებელი შრომის იარაღების არსებობა, რომელთაგან ზოგიერთი ლოკალური თავისებურებებით ხასიათდება. განვითარების შედეგი იყო ის ღრმა ემპირიული ცოდნა, რომელიც ტრადიციის მექანიზმის ძალით თაობებს გადაეცემოდა, ღრმავდებოდა, იხვეწებოდა და სრულყოფილი ხდებოდა.

## ლიტერატურა


I. Г а р д а н о в В.К. Общественный строй адыгских народов. М., I967, с.20.

2. Б р о м л е й Ю.В. К характеристике исследовательских объектов этнографии. В кн.: современные проблемы этнографии, М., I98I, с.34-36.

3. Г а р д а н о в В.К. Общественный строй адыгских народов, с.4.

4. Культура жизнеобеспечения и этнос. Ереван, I983, с.74.

5. А л е к с е е в а Е.П. Очерки по экономике и культуре народов Черкесии, I957, с.44-49.

6. К у ш е в а Е.Н.Народы Северного Кавказа и их связи с Россией. М., I963.

7. Г а р д а н о в В.К. Общественный строй адыгских народов.

8. В о л к о в а Н.Г. Этнический состав населения Северного Кавказа в ХУШ начале XX века. М., I974; она же, Этнонимы и племенные названия народов Северного Кавказа. М., I973.

9. Г а р д а н о в В.К. Общественный строй адыгских народов, с.2I-22.

I0. მ. ც ი ნ ც ა ძ ე, საქართველოს-ადიღეს ურთიერთობის ისტორიიდან, თბ. 1982. გვ. 6.

II. მ. ც ი ნ ც ა ძ ე, იქვე, გვ. 7.

I2. А л е к с е е в а Е.П. Очерки по экономике и культуре народов, с.47.

I3. В о л к о в а Н.Г. Этнический состав населения. с.43.

I4. Б р о м л е й Ю.В. К характеристике исследовательских объектов этнографии, с.27.

I5. Б р о м л е й Ю.В. К характеристике исследовательских объектов этнографии,

I6. Л ю л ь е Л.Я. Общий взгляд на страны, занимаемые горскими народами, называемыми: черкесами (адыге), абхазами и другими смежными с ними народами. ЗКОРГО, кн., IУ, Тифлис, I857, с.I73.

I7. Д у б р о в и н Н.Ф. История войны и владичества русских на Кавказе. т.I, кн. I, СПб, I87I, с.XIII.

I8. K o c h K, Reise durch Russland und Kaukasischen Isthmus in der Jahren 1836 und 1838, Stuttgart und Tübingen, 1842, S.263.

I9. Т о р н а у Ф.Ф. Воспоминания кавказского офицера. "Русский вестник" т.53, I864, № I0, с.428.

20. С т а л ь К.Ф. Этнографический оцерк черкесского народа. "Кавказский вестник", т.XXI, Тифлис, I9I0, с.75-76.

21. Адыги, балкарцы и карачаевцы в известиях европейских авторов XIII-XIX вв. Нальчик, I974.

22. Г а р д а н о в В.К. Общественный строй адыгских народов, с.I9.

23. Н о г м о в Ш.Б. История адыгского народа, Нальчик, I947, с.23.

24. მ. ც ი ნ ც ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 25.

25. G ü l d e n s t ä d t J.A. Reisen in Russland und in Kaukasische Gebürge I, S.466.

26. Х а н Г и р е й. Записки о Черкесии. Нальчик, I973, с.87.

27. ლ ე ო ნ ტ ი მ რ ო ვ ე ლ ი, ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 43.

28. ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., I94I, გვ. I72.

29. ს უ ლ ხ ა ნ-ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, სიტყვა კონა, თბ, I949, გვ. 929.

30. ეს საკითხი განხილულია მ. ცინცაძის დასახ. ნაშრომში. გვ. 23-24.

3I. В о л к о в а Н.Г. Этнонимы и племенные названия Северного Кавказа, с. I9.

32. ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, თუბალ-თაბალ, ტიბარენი, იბერი, შრომები III, თბ., I959, გვ. I0.

33. მ. ც ი ნ ც ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 24

34. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, თბ., I970, ტ.I. გვ. 360.

35. В о л к о в а Н.Г. Этнонимы и племенные названия, с.22.

36. თ.ბ ო ც ვ ა ძ ე, საქართველო-ყაბარდოს ურთიერთობის ისტორიიდან.თბ.I963.

37. К о к и е в Г.А. Некоторые сведения из древней истории адыгов /кабардинцев/, Нальчик, I946, с.34.

38. Н о г м о в Ш.Б. История адыгского народа, с.22.

39. К о к и е в Г.А. Малокабардинские поселения в ХУI-ХУII вв. на Северном Кавказе. Ученые записки КБ НИИ, т.22, Нальчик, I947, с.2; он же, Некоторые сведения из древней истории адыгов, с.35.

40. Очерки истории Адыгеи. Майкоп, I957, с.86.

4I. Л а в р о в Л.И. Происхождение кабардинцев и заселения ими нынешней территории. СЭ, I957, № I, с.27; Он же, О происхождении народов северо-западного Кавказа, ССПИК, Нальчик, I954.

42. История Кабарды с древнейших времен до наших дней. М., I957, с.27.

43. А л е к с е е в а Е.П. Очерки по экономике и культуре народов Черкесии, с.I7.

44. Н а г о е в А.Х. К вопросу о расселении кабардинцев. Археологическо-этнографический сборник. вып.2, Нальчик, I974, с.I22.

45. Очерки истории Адыгеи, с.86.

46. Ш а ф и е в Н.А. К вопросу о происхождении и расселении кабардинцев. Ученые записки АНИИ языка, литературы и истории, Майкоп, I968, с.38I.

47. К а ф о е в А.Ж. Адыгские памятники. Нальчик, I963, с,98-I27.

48. Л а в р о в Л.И. Происхождение кабардинцев, с.96; История Кабарды, с.27.

49. К у м ы к о в Т.Х. К вопросу присоединения Кабарды к России,ССПИК, Нальчик, I956, с.78.

50. А л е к с е е в а Е.П. Очерки по экономике и культуре, с.3I.

5I. В о л к о в а Н.Г. Этнонимы и племенные названия Северного Кавказа, с.43.

52. К у ш е в а Е.Н. Народы Северного Кавказа и их связи с Россией.М., I963, с.89.

53. კ.მ ა რ ქ ს ი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, თბ., I953, გვ. I0.

54. გ. ყ ო რ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, გეოგრაფიული გარემოს როლი კაცობრიობის კაპიტალიზმამდელი ხანის ევოლუციაში „ცისკარი" 1969, №10; მისივე, საზოგადოების განვითარებაში გეოგრაფიული როლის საკითხისათვის, „მაცნე", 1971 №2, გვ. 97, მისივე, გეოგრაფიული გარემოს როლი საზოგადოების განვითარებაში, თბ., 1975.

55. Б р о м л е й Ю.В. Традиционная культура в этнографии. В кн.:Современные проблемы этнографии. М., I98I, с.284.

56. Л е в и н М.Г., Ч е б о к с а р о в Н.Н. Хозяйственно-культурные типы и историко-этнографические области. СЭ, I955, №4; Ч е б о к с а р о в Н.Н Ч е б о к с а р о в а И.А. Народы, расы, культуры, М., I97I, с.I69.

57. ვ. შ ა მ ი ლ ა ძ ე, ალპური მესაქონლეობა საქართველოში, 1969, გვ. 161.

58. Ш а м и л а д з е В.М. Хозяйственно-культурные и социально-экономические проблемы скотоводства Грузии. Тб., I979, с.3I3.

59. ი ქ ვ ე.

60. К а л о е в Б.А. Земледелие народов Северного Кавказа, М., I98I, с.22.

6I. ი. კ ი კ ვ ი ძ ე, მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში. თბ., 1976, გვ. 34.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

ნ. თ უ შ ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი

# ზედაპალეოლითური მასალები სამგლე კლდის მღვიმიდან (ტაბ. I–V)

პალეოლითური სადგომი – სამგლე კლდე ერთ–ერთი საყურადღებო და მნიშვნელოვანი ძეგლთაგანია მდ. ყვირილის აუზში აღმოჩენილ ძველი ქვის ხანის ნაბინავართა შორის. აქ გამოვლენილია გვიანი და შუა (მუსტიეური) პალეოლითური ხანის ადამიანთა ცხოვრების კვალი, როგორც კულტურული ნაშთების შემცველი ფენების (შუა პალეოლითი), ისე მიწის ზედაპირზე და ჰუმუსოვან ფენაში (ზედაპალეოლითური) სტრატიფიცირებას მოკლებული მასალების სახით. წინამდებარე სტატიის მიზანია შეძლებისდაგვარად შევისწავლოთ სამგლე კლდეში მოპოვებული ზედაპალეოლითური მასალის ქვის გაპობისა და მეორადი დამუშავების ტექნიკა და განვსაზღვროთ მისი ადგილი საქართველოს ზედაპალეოლითურ ძეგლებს შორის. რაც შეეხება მუსტიეური ხანის ფენებიდან მომდინარე ინვენტარს, იგი ჩვენი ცალკე კვლევის ობიექტია.

სამგლე კლდის მღვიმე აღმოჩენილია 1962 წ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციის (ხელმძღვანელი დ. თუშაბრამიშვილი) მიერ. ითხრებოდა 1963–67 წწ. ამავე ექსპედიციამ 1983 წ. უშუალოდ ჩვენი მონაწილეობით განახორციელა მცირე მოცულობის სამუშაოები, რომლის მიზანს შეადგენდა სტრატიგრაფიის დაზუსტება, პალინოლოგიური ანალიზისათვის საჭირო ნიმუშების აღება და საერთოდ, ძეგლის გაცნობა.

მღვიმე მდებარეობს ჭიათურის რაიონის სოფ. ქვ. ზოდის ტერიტორიაზე, მდ. ჭრუჭულის მარჯვენა ნაპირზე, კანიონისებური ხეობის ამგებ კირქვის მასივში, მდინარის ზედაპირიდან 33–35 მ სიმაღლეზე (ტაბ. I). იგი კარსტული წარმოშობისაა და ფაქტიურად შედგება ერთმანეთთან დაკავშირებული სამი მღვიმისაგან, სამხრეთით მცირე ზომის მღვიმე ყოფილა. მეორე მღვიმე ჩრდილოეთიდან ეკვრის პირველს და გამოყოფილია მისგან სანახევროდ ჩამონგრეული კედლით. ორივე მღვიმეს საერთო ჭერი აქვს. მეორე მღვიმის უკან, დასავლეთით, საკმაოდ დიდი, ბნელი დარბაზია, რომლის კედლებში მრავლადაა ხვრელები, „ჯიბეები“ და ერთმანეთზე მიჯრილი „ფარდები“. სამხრეთისა და დასავლეთის კედლების კუთხეში ზედაპირიდან ჩამოტანილია ღორღნარევი თიხნარის უზარმაზარი გროვა, რომელიც მღვიმის ჭერამდე ადის. როგორც აღვნიშნეთ, მესამე მღვიმე ბნელი და ნესტიანია. მისი ზომებია: სიგრძე – 23, სიგანე – I3, სიმაღლე – 6 მ. პირველი და მეორე მღვიმეების საერთო სიგანე (ჭერის კედლოვანი შვერილის გასწვრივ) 35 მეტრია. მეორე მღვიმის სიღრმე – I8I, სიგანე შესასვლელთან – I3, ხოლო ცენტრალურ ნაწილში – 8 მ. მეორე და მესამე მღვიმეებს შორის 2,60 მ სიგანის გასასვლელია, ამგვარად, მეორე და მესამე მღვიმეების საერთო სიგრძე 4I მ–ია[I].

ყვირილის ხეობის კარსტული მღვიმეებისა და მათ შორის სამგლე კლდის დათარიღების

---

I დ. თ უ შ ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი. ყვირილის ხეობის პალეოლითური ექსპედიციის მიერ 1963 წ. ჩატარებული სამუშაოების შედეგები, სამეცნიერო სესია, მიძღვნილი 1963 წ. საველე არქეოლოგიური კვლევა–ძიების შედეგებისადმი (ქვისა და ბრინჯაოს ხანის ძეგლები), თბილისი, 1964, გვ. 6.

ცდას იძლევა ზ. ტინტილოზოვი. იგი აღნიშნავს, რომ „რამდენადაც ჰიდროქსელის განვითარება საკვლევ რაიონში ზედა სარმატის პერიოდთან იწყება, ცხადია, გამოქვაბულთა განვითარება გაცილებით გვიან დაიწყებოდა, ამიტომ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გამოქვაბულთა ქვედა საზღვარი პლიოცენის ეპოქაზე უფრო ძველი არ უნდა იყოს"[2].

სამგლე კლდის მღვიმე, როგორც ზემოთ იყო თქმული, სამი ერთმანეთზე გადაბმული დარბაზისაგან შედგება. შესასვლელის მარცხნივ მდებარე მცირე დარბაზი, რომელიც ნაწილობრივაა გამოყოფილი ძირითადი დარბაზისაგან კლდოვანი კედლით, მნიშვნელოვნადაა დანგრეული და გემორეცხილი. დარბაზის მთელი ზედაპირი მოფენილია ჭერიდან და კედლებიდან ჩამონგრეული უზარმაზარი კირქვის ბლოკებით, რომლებიც ძირითად დარბაზშიაც გადადიან (იხ. სამგლე კლდის მღვიმის 1963 წლის გეგმა. – ტაბ. III და ტაბ. II). ცალკეული ბლოკები წარმოდგენილია მღვიმის მარჯვენა ნაწილშიც, მაგრამ III დარბაზის გასასვლელისაკენ იგი აღარ გვხვდება, კირქვის ბლოკები არ არის მღვიმის 2-2 გრძივ ჭრილშიც[3].

სამგლე კლდის მღვიმეში 1963–67 წწ. წარმოებული გათხრების შედეგად მღვიმის სხვადასხვა ადგილას გაკეთებულ ორ გრძივ და ორ განივ ჭრილში დადგინდა 6 ლითოლოგიური ფენა, რომელთაგან 4 მუსტიეურ მასალას შეიცავს.

ჭრილებში წარმოდგენილი I, III, ? ფენები თავისი შედგენილობით თითქმის ერთნაირია და შუაშია გაყოფილი ორი ღორღოვანი შრით, აღნიშნული ფენები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მხოლოდ შეფერილობით. ფენების სიმძლავრე მღვიმის სხვადასხვა მონაკვეთში სხვადასხვაგვარია, მაგრამ ძირითადად ჰორიზონტალურადაა დალექილი, მღვიმის შესასვლელისაკენ ოდნავი გადახრით. გამონაკლისს წარმოადგენს I ლითოლოგიური ფენა, რომელიც მნიშვნელოვნადაა დაქანებული სიღრმიდან ფლატესაკენ, რის გამოც მისი სიმძლავრე მღვიმის ბოლოში მნიშვნელოვნად მეტია, ვიდრე დასაწყისში. მღვიმის ბოლოში I ფენა 0-ის ხაზიდან 1,60 მ სიღრმეზეა, ხოლო ცენტრალურ ნაწილში 2,20 მ სიღრმეზე[4].

ამრიგად, მღვიმის I ფენა მნიშვნელოვნადაა დაქანებული, რაც შესაძლებელია გამოწვეული იყოს მისი ზედაპირის გამორეცხვით (სხვაობა I ფენის დასაწყისსა და ბოლოს შორის 60 სმ-ია).

III დარბაზიდან წყლის ნაკადის დინებაზე უნდა მიუთითებდეს აგრეთვე ზედაპალეოლითური ფენის სრული გამორეცხვა-განადგურება. მისი ნაშთები, კაჟი, ძვლი (აქა-იქ შემორჩენილია კედლებზე მიკრული ბრექჩიების სახით თანამედროვე მიწის ზედაპირიდან 60–70 სმ სიმაღლეზე, აგრეთვე დიდი დარბაზის შესასვლელის მარჯვენა ნაწილის მიწის ზედაპირზე და ჰუმუსოვან ფენაში, რომელიც მღვიმის წინა ნაწილშია წარმოდგენილი. მღვიმეში ზედაპალეოლითური ფენის გამორეცხვა-განადგურების ფაქტი ჩვენს მიერაცაა დადასტურებული 1983 წელს მცირე მოცულობის სამუშაოების წარმოების დროს. კერძოდ, მღვიმის შესასვლელიდან მარჯვენა მხარეს კედელზე მიკრულ ბრექჩიებში და მიწის ზედაპირზე აღმოჩნდა მცირე რაოდენობის ზედაპალეოლითური მასალა.

მთლიანად ზედაპალეოლითური კოლექცია შედგება 226 ნივთისაგან. წედლ მასალად გამოყენებულია კაჟი, მხოლოდ 3 ნივთია ობსიდიანის, ხოლო 2 – ძვლის. ნივთების უმრავლესობა ადგილობრივ მოყავისფრო კაჟზეა დამზადებული. რაც შეეხება ობსიდიანს, იგი ამ რაიონში არ მოიპოვება და ალბათ სამხრეთიდან (ჯავახეთის ზეგანი?) არის მოტანილი.

226 ნივთიდან 185 ცალი წარმოების გადანაყარია. ნუკლეუსების რაოდენობა – 3 ც, ანამტვრევები – 7 ც. წვრილი და ქერცლისებური ანატკეცები– 10 ც, ჩვეულებრივი ანატ-

---------------

2 ზ. ტ ი ნ ტ ი ლ ო ზ ო ვ ი. მდ. ყვირილის აუზის გეომორფოლოგიისათვის (სათავიდან და შორაპნამდე). სადისერტაციო შრომა გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 1954, გვ. 184-198; მისივე. Карстовые пещеры Грузии. Тбилиси, 1976, с.213.

3 სამგლე კლდის მღვიმის ფოტოები, ჭრილები და გეგმები შესრულებულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციების მიერ 1962–67 წწ.

4 დ. თ უ შ ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი. ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციების 1962–67 წწ. საველე დღიურები.

კეცები – 100 ც. ხოლო ნუკლეუსის განივი ანატკეცი – I ც. მათი ზომები მერყეობენ: სიგრძე – I,2 – 6–2; სიგანე – I,0 – 6,6; სისქე – 0,3 – 2,2 სმ. ლამელები – 64 ც. ორი მათგანი ობსიდიანისაა, დანარჩენი კი კაჟისა. მათი ზომებია: სიგრძე – I,8 – 6,2; სიგანე – 0,6, სისქე – 0,2 – 0,8 სმ. სხვადასხვა სახის იარაღი 4I ცია. იარაღთა შორის წამყვანი ადგილი უკავიათ ზურგდაბლაგვებულ დანებს – 22 ც. შემდეგ მოდიან რეტუშირებული ანატკეცები – 6 ც, რეტუშირებული მიკროლამელა – 3 ც, თითო ცალი რეტუშირებული ლამელა, სახვრეტი, ხერხისებური იარაღი, დუბლირებული იარაღი, ძვლის სადგისი და მახათი. იარაღებს უკავიათ მთელი მასალის I8,I %.

განვიხილოთ სამგლე კლდის ზედაპალეოლითური იარაღებისა და ნუკლეუსების ძირითადი ნაწილი.

### ძ ვ ლ ი ს   ი ა რ ა ღ ე ბ ი:

სადგისი – ნაკეთები ეპიფიზიანი, ლულოვანი ძვლის ანაპობზე, ღერო უწესო ოვალური მოყვანილობის განივკვეთიანია, ხოლო წვერი – მრგვალგანივკვეთიანი. ორივე ზედაპირი ზერელად არის დამუშავებული, ეტყობა ოლრო–ჩოლრო ადგილები. შუაზეა გატეხილი, წვერი მოტეხილი აქვს. სიგრძე – II,8 სმ (ტაბ. IV, სურ. 2).

მახათი – ნაკეთები ლულოვანი ძვლის ანაპობზე, მრგვალგანივკვეთიანი, ბოლო მოტეხილი აქვს. სიგრძე – 4,5 სმ (ტაბ. IV, სურ. I).

### ქ ვ ი ს   ნ ა წ ა რ მ ი:

ნუკლეუსები – 3 ც–ა. ერთი მათგანი ლევალუაზურია და ქვედა ფენიდან უნდა იყოს მოხვედრილი. იგი სამკუთხა ფირფიტების მისაღებად არის განკუთვნილი. მეორე ნუკლეუსი პრიზმულია, მოყავისფრო კაჟისა, წრიული ატკეცის კვალი. განივკვეთში ოვალური მოყვანილობის ნუკლეუსის ფუძე, ანუ დარტყმის მოედანი მიღებულია ორი ფირფიტის ატკეცის გზით. იგი ქმნის მართკუთხეს ნუკლეუსის ზედაპირთან. ნუკლეუსის დარტყმის მოედნის საწინააღმდეგო მხრიდან ატკეცილია რამდენიმე მიკროლამელა შესწორების მიზნით. ნუკლეუსიდან წრიულად ატკეცილია რამდენიმე სწორი მოყვანილობის ლამელა, მათ შორის მიკროლითურიც, მისი ზომებია: სიგრძე – 4, სიგანე – 2,8, სისქე – I,6 სმ (ტაბ.IV, სურ. I2).

მეორე ნუკლეუსი პრიზმულია, მოყავისფრო კაჟისაა. დარტყმის მოედანი გლუვი აქვს და მიღებულია ორი ფირფიტის ატკეცის გზით. ნუკლეუსის ზედაპირიდან და გვერდებიდან ატკეცილია ერთი ფართო ფირფიტა და რამდენიმე მიკროლამელა. დარტყმის მოედნის საწინააღმდეგო მხარეს შერჩენილი აქვს კაჭრის კანი. ნუკლეუსის მისაღებად გამოყენებულია უფრო ძველი ნუკლეუსი თუ მასიური ანატკეცი, რაზეც მეტყველებს დარტყმის მოედანის და ზურგის მხარეზე შემორჩენილი თამბაქოსფერი ღრმა პატინა. მისი ზომებია: სიგრძე – 3,9, სიგანე – 2–9, სისქე – I–7 სმ (ტაბ. IV, ს.I3).

### ქ ვ ი ს   ი ა რ ა ღ ე ბ ი:

საფხეკები 4 ც–ია. ერთი მათგანი დამზადებულია ოვალური მოყვანილობის, ღია მოყავისფრო–მოვარდისფრო კაჟის მასიურ ანატკეცზე. ფართო ოვალური სამუშაო პირი დამუშავებულია სუბპარალელური რეტუშით. მისი ზომებია: სიგრძე – 3,6, სიგანე – 3,9, სისქე – I,2 სმ (ტაბ. IV, სურ. 6).

მეორე საფხეკი ღია მოყავისფრო კაჟისაა, ოვალურსამუშაოპირიანია. ნაკეთებია სწორი მოყვანილობის ანატკეცზე, თუ სქელ ლამელაზე. მაღალი სამუშაო პირი ჩამოყალიბებულია ციცაბო რეტუშით. დაზიანებულია, შერჩენილი აქვს მხოლოდ სამუშაო პირი. სიგრძე – 2, სიგანე – I,9, სისქე – I,I სმ (ტაბ. IV, სურ. 3).

მესამე საფხეკი დამზადებულია მოყავისფრო სწორი მოყვანილობის ანატკეცსა თუ ლამელაზე დარტყმის მოედნის მხრიდან. ფართო ოვალურსამუშაოპირიანია. ბოლო მოტეხილი აქვს, გადატეხის ადგილას, მარჯვენა მხარეს ოდნავ რეტუშირებულია, სამუშაო პირი ციცაბო რეტუშით არის დამუშავებული. ზომებია: სიგრძე – 3,7, სიგანე – 3,4, სისქე – I სმ (ტაბ. V, სურ. 3).

მეოთხე საფხეკი ნაკეთებია მოყავისფრო კაჟის მასიურ ანატკეცზე და ზურგზე ეტყობა წინამორბედი ფირფიტების ატკეცის კვალი. აღნიშნული ანატკეცი არქაულ იერს ატა–

რებს. დარტყმის მოედნის მოპირდაპირე მხარეს გაკეთებული ყოფილა ფართოპირიანი კლექტონური ანკოში, რომელიც შემდეგ შესწორებულია საკმაოდ ფაქიზი რეტუშით. გამორიცხული არ არის, რომ აღნიშნული იარაღი ქვედა ფენებიდან მომდინარეობდეს. მისი ზომებია: სიგრძე - 4,I, სიგანე - 4,2, სისქე - I,9 სმ (ტაბ. V, სურ. 4).

სახვრეტისებური იარაღი - მოყავისფრო კაჟისაა, ნაკეთები ორფერდა ანატკეცის, თულამელის მარცხენა გვერდზე ღრმა რეტუშით ისე, რომ იქმნება წინ წამოწეული ქიმი, თავი და ბოლო მოტეხილი აქვს, ზომებია: სიგრძე - 2,5, სიგანე - 2,8, სისქე -0,8 სმ (ტაბ. IV, სურ. 4).

ლამელა - კაჟისაა. მოყავისფრო, ორფერდა, ოდნავ ასიმეტრიული. მარცხენა გვერდი ორ ადგილზეა ამოღარული, ხოლო მარჯვენა ღრმა ანკოშით არის ჩაჭრილი, სიგრძე - 5,3, სიგანე - I,7, სისქე - 0,7 სმ (ტაბ. IV, სურ. 7).

ხერხისებური იარაღი - ნაკეთები მონაცრისფრო კაჟის ლამელაზე, ზურგი ხელოვნურად აქვს ათლილი. ხერხისებური სამუშაო პირი მიღებულია დაკბილული რეტუშის საშუალებით. მისი ზომებია: სიგრძე - 5,4, სიგანე - I,8, სისქე - 0,7 სმ (ტაბ. V, სურ. 2).

იარაღი - კაჟისა, მოყავისფრო, გაურკვეველი დანიშნულების, როგორც ჩანს, წარმოადგენდა მოგრძო, სწორი მოყვანილობის სქელ ლამელას, რომლის ორივე გვერდი დამუშავებულია საკმაოდ მსხვილფაცეტოვანი ციცაბო რეტუშით. იარაღის გატეხვის შემდეგ მისი ზურგიდან აუტკეციათ სწორი მოყვანილობის ფირფიტა, რაც კარგად ჩანს არსებული ნეგატივიდან. აღნიშნული იარაღი შეიძლება გამოყენებული იყოს როგორც ორმაგი, სწორსამუშაოპირიანი სახოკი, მისი ზომებია: სიგრძე - 2,7, სიგანე - 2,2, სისქე-I,0 სმ (ტაბ. IV, სურ. 5).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იარაღებში წამყვანი ადგილი ზურგდაბლაგვებულ დანებს უკავიათ (22 ც.), მათი რეტუშის ხასიათი სხვადასხვაგვარია. I7 ცალი მთელი დანიდან I %-ს ციცაბო ღრმა შემხვედრი რეტუში აქვს, ხოლო დანარჩენს - ჩვეულებრივი ციცაბო რეტუში. I3 დანას მარჯვენა გვერდი აქვს დაბლაგვებული, დანარჩენს - მარცხენა.

დანები შეიძლება დაიყოს შემდეგ ჯგუფებად:

I. დანები მორკალული ზურგით, შატელპერონის ტიპის (7 ც.) ყველა ნაკლებია კაჟის ორ და სამფერდა ლამელაზე, მათი სიგრძე მერყეობს 3,9 - 5,5 სმ, სიგანე -0,8-I,4 სმ; სისქე - 0,2 - 0,9 სმ.
2. დანები შატელპერონის ატიპიური, აღნიშნულ დანებს ზურგი შედარებით გაშლილი აქვთ, ვიდრე შატელპერონის ტიპის დანებს (5 ც.). მათი ზომებია: სიგრძე - 4 -5,5, სიგანე - I,0 - I,5, სისქე - 0,5-0,9 სმ.
3. გრავეტის ტიპის დანები (4 ც.) სიგრძე - 3,2 - 6, სიგანე - I - I,4, სისქე - 0,4 - 0,6 სმ.
4. მიკროგრავეტის ტიპის დანები. მთელი დანის ზომებია: სიგრძე - 2,0, სიგანე - 0,5, სისქე - 0,2 სმ.
5. ცალკე ჯგუფს უნდა მივაკუთვნოთ დანა კუზიანი ზურგით, რომელსაც ბოლო სწორად აქვს წათლილი რეტუშით.

განვიხილოთ თითოეული ჯგუფიდან თითო ყველაზე უფრო ტიპიური ეგზემპლარი:

I. შატელპერონის ტიპის დანა, ნაკეთები მოგრძო ანატკეცზე, ან ლამელაზე. ზურგი საკმაოდ სქელი აქვს და დამუშავებულია ურთიერთშემხვედრი წვრილი ფაცეტიანი დამაბლაგვებელი რეტუშით. ზურგზე ერთ ადგილას შერჩენილი აქვს კაჭრის კანი. ზურგი საკმაოდ მოხრილია. მოხრილია პროფილშიც. თხელ, სწორ და ბასრ სამუშაო პირზე ეტყობა გამოყენების კვალი. სიგრძე - 4,8, სიგანე - I,3, სისქე - I,0 სმ (ტაბ. IV, სურ. 8).
2. შატელპერონის ატიპიური დანა, მონაცრისფრო კაჟისა, ნაკეთები თხელ, მოგრძო ლამელაზე, ეტყობა ორი წინამორბედის ლამელის ატკეცის კვალი, ზურგი წვრილი, დამაბლაგვებელი რეტუშითაა დამუშავებული და შატელპერონის დანებთან შედარებით

უფრო გაშლილი და თხელი აქვს[5]. მისი ზომებია: სიგრძე – 4,8, სიგანე – 0,9, სისქე – 0,2 სმ (ტაბ. IV, სურ. 9).

3. გრავეტის ტიპის დანა, მონაცრისფრო კაჟისა, ნაკეთები საკმაოდ დიდ თრფერდა ლამელაზე. ბოლო ირიბად აქვს წაკვეთილი, ზურგი ურთიერთშემხვედრი დამაბლაგვებელი რეტუშით არის დამუშავებული. სიგრძე – 6, სიგანე – I,I, სისქე – 0,6 სმ (ტაბ. IV, სურ. I0).

4. ზურგდაბლაგვული მიკროლითი, მიკროგრავეტის ტიპის, ბოლო ირიბად აქვს წათლილი. სწორი ზურგი თხელი, ფაქიზი დამაბლაგვებელი რეტუშით არის დამუშავებული. სიგრძე – 2,6, სიგანე – 0,5 სმ, სისქე – 0,3 სმ (ტაბ. V, სურ. I).

5. დანა კაჟისა, მოყავისფრო, ნაკეთები თავწამტვრეულ მასიურ ლამელაზე, რომლის ზურგს ეტყობა წინამორბედი ფირფიტების ატკეცის კვალი ვიწრო ნეგატივების სახით; დარტყმის მოედნის წატეხვის შემდეგ იგი შეუსწორებია სწორი რეტუშით. იარაღის ზურგი სქელია და დაბლაგვულია პერპენდიკულარული რეტუშით ისე, რომ ლამელის შუა ადგილას შექმნილია კუზი, ასევე ეწოდება სპეციალურ ლიტერატურაშიც – დანა კუზიანი ზურგით – მისი ზომებია: სიგრძე – 4,I, სიგანე – I,6, სისქე – 0,7 სმ (ტაბ. IV, სურ. II).

სანამ შევეცდებოდეთ სამგლე კლდის გვიანი პალეოლითური მასალების ადგილის განსაზღვრას საქართველოს პალეოლითურ ძეგლებს შორის, ჩვენი აზრით, საჭიროა გადავხედოთ ზედაპალეოლითური ძეგლების დღეს არსებულ ქრონოლოგიურ ჯგუფებს და მათ თანამიმდევრობას.

როგორც ცნობილია, საქართველოს ზედა პელეოლითის ქრონოლოგიის ჩარჩოები და მათი თანამიმდევრული დაჯგუფება მოგვცა ცნობილმა საბჭოთა არქეოლოგმა ს. ზამიატნინმა ჯერ კიდევ 1934–1937 წლებში. იმ დროისათვის არსებული ძეგლების დეტალური შესწავლის საფუძველზე მან ყველა ძეგლი გააერთიანა სამ დიდ ქრონოლოგიურ ჯგუფში, სადაც მესამე ჯგუფში მეზოლითური ხანის ძეგლები მოათავსა[6]. შემდგომში ს. ზამიატნინის სქემაში რიგი დამატება-შესწორება იქნა შეტანილი. ახალი აღმოჩენების გათვალისწინებით დ. თუშაბრამიშვილმა ს. ზამიატნინის სქემას დაუმატა მე-4 ჯგუფი, სადაც გააერთიანა პოლეცენური-მეზოლითური ხანის ძეგლები. ამგვარად, დღეისათვის საქართველოს ზედაპალეოლითური კულტურისათვის ჯერჯერობით სამი თანამიმდევრული ქრონოლოგიური ჯგუფია მიღებული თავის ლოკალური ვარიანტებით[7].

სამგლე კლდის ზედაპალეოლითური ხანის ქვის ინვენტარი ყველაზე ახლოს დგას ჯრუჭულის ხეობაში სამგლე კლდიდან ორასიოდე მეტრზე მდებარე სარეკის კლდოვანი ფარდულის მასალასთან. როგორც სამგლე კლდეში, ისე სარეკის კლდოვან ფარდულში, იარაღებში წამყვანი ადგილი უკავიათ ზურგმორკალულ-დაბლაგვებულ დანებს. იარაღები ურთიერთმსგავსია როგორც ტიპოლოგიურად, ისე დამუშავების ხერხებითაც. გ. ნიორაძე აღნიშნულ იარაღებს „მშვილდწვეტებს" უწოდებს[8], ხოლო პალეოლითურ ლიტერატურაში იგი საერთოდ

--------------

5 შატელპერონის ტიპის დანებს დ. სონევილ-ბორდმა და ჟ. პერომ შემდეგნაირი განსაზღვრა მისცეს: „წამახვილებული იარაღი, რომელიც დამზადებულია გრძელ, ან მოკლე ლამელაზე და მეტ-ნაკლებად მოხრილი ზურგი აქვს. ზურგი ღრმა რეტუშითაა დამუშავებული უფრო ხშირად ერთი სიბრტყიდან". მას უწოდებენ „ატიპიურს" – „თუ ზურგის მხარეს რეტუში ან ბოლომდე არ მიყვება, ან ზურგის მხარე ძალიან თხელია, ან თუ დანის ზურგი არ არის მოხრილი". D. le Sonneville-Bordes et J. Perrot. 1956. 820. p. 47; Michel N. Brézillon. La dénomination des objets de pierre taillée, Paris, 1968, p. 307.

6 С. Замятнин. Новые данные по палеолиту Закавказья. Сов. этнография, № 2. М., I935; Его же: Изучение палеолитического периода на Кавказе за I936–I948 гг. Материалы по четвертичному периоду СССР, вып.2, М.-Л., I950.

7 დ. თუშაბრამიშვილი. გვარჯილას კლდის პალეოლითური ნაშთები, თბილისი, I960, გვ. I53–I69; მისივე Палеолит в Грузии. საქართველოს მღვიმეები და გამოქვაბულები, თბილისი, I98I, გვ. 55.

8 გ. ნიორაძე. პალეოლითის ადამიანი დევისხვრელში, თბილისი, I933, გვ. 55.

ცნობილია „შატელპერონის ტიპის დანების“ სახელწოდებით. ასეთივე იარაღები საკმაოდ სოლიდური რაოდენობით გვხვდება დევისხვრელში, საკაჟიაში. დევისხვრელში შატელპერონის ტიპის დანების რაოდენობა – I0 ც-ია, საკაჟიაში – 73 ც. მათი ზომებიც დაახლოებით თანაბარია. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამგლე კლდეში ამ დანების სიგრძე მერყეობს 3,9 – 5,5; სიგანე – 0,8 – I,4; სისქე – 0,2 – 0,9 სმ. დევისხვრელში: სიგრძე – 4,0 – 4,7, სიგანე – I-I – 2,2, სისქე – 0,2 – I,0 სმ; საკაჟიაში: სიგრძე – 3,5 – 6,I, სიგანე – 0,6 – 2,6, სისქე – 0,2 – 0,8 სმ. ერთი ცალი შატელპერონის ტიპის დანა აღმოჩენილია გვარჯილის კლდეში. დ. წერეთლისა და დ. თუშაბრამიშვილის აზრით, უფრო გვიან დროით დათარიღებულ ძეგლებში, კერძოდ, ქვაჭარაში, ჯამპალში, აციში, ცივ მღვიმეში ეს იარაღები სრულებით აღარ არის წარმოდგენილი. აღნიშნული მკვლევარების აზრით, შეიძლება მივიჩნიოთ, რომ მიკროლითური ტექნიკური განვითარებასთან დაკავშირებით, როდესაც პირველყოფილი ადამიანის საყოფაცხოვრებო საქმიანობაში თანდათანობით იზრდება რთული შედგენილი იარაღის შექმნის მოთხოვნილება. შესაძლებელია, ამ იარაღებმა განიცადეს ცვლილება და მათგან განვითარდა სეგმენტის მსგავსი იარაღი[9]. დასავლეთ ევროპისათვის, ზოგიერთი მეცნიერის აზრით, „შატელპერონიდან (ანუ ადრეული პერიგორდი) განვითარდა ზედა პერიგორდის ინდუსტრია (გრავეტი, ანუ პერიგორდი IV)[10]. საქართველოს ზედაპალეოლითური ძეგლების გვიანი ჯგუფისათვის აღარ არის დამახასიათებელი შატელპერონის ტიპის დანები, ხოლო გრავეტის და მიკროგრავეტის ტიპის დანები უხვად მოიპოვება. მაგ., გვარჯილას კლდეში გრავეტის ტიპის დანების პროცენტია 6,4; მიკროგრავეტისა – 6,3. ხოლო, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შატელპერონის ტიპის დანა მხოლოდ ერთი ცალია ნაპოვნი და ისიც ატიპიურია. საკაჟიასა და დევის ხვრელში გრავეტის ტიპის დანების რაოდენობა ახლოს დგას შატელპერონის ტიპის დანების რაოდენობასთან. მათი პროცენტია საკაჟიაში – 5,07, დევისხვრელში – I2,9. ზემოთ აღნიშნული კუზიანი დანის მსგავსი დანა (I ც.) აღმოჩენილია დევისხვრელში. გ. ნიორაძის აზრით, „საფიქრებელია, რომ გრავეტის ტიპის დანებიდან განვითარდა " atipische" Kerbspitze (pointe à cran aurignacienne. იგივე pointe a gibbosite ). ეს იარაღი ძალიან ენათესავება გრავეტის ტიპის დანას, რომელსაც დაბლაგვებული ნაპირი სრულიად სწორი აქვს, ხოლო pointe a cran aurignacienne -ს კიდნავ ამაღლებული და პატარა ბორცვი გამოყვანილი[11]. აღნიშნული იარაღი ცალკე ტიპად აქვს გამოყოფილი ბრაზიონს[12]. ჩვენ ვიზიარებთ ამ აზრს და ვფიქრობთ, რომ კუზიანი დანები ცალკე ტიპად გამოიყოს საქართველოსათვისაც და დაემატოს მ. გაბუნიას მიერ შედგენილ ზედაპალეოლითური იარაღების ტიპოლოგიურ სიას[13] ვფიქრობთ, საჭიროა დაემატოს ამავე სიას ხერხისებური იარაღები, რომლებიც სამგლე კლდის გარდა მრავლადაა აღმოჩენილი საკაჟიას მღვიმეში – 40 და გვარჯილას კლდეში – 6 ც.

თუ არ ჩავთვლით თითო-ოროლა ნივთს, სამგლე კლდის მასალებს პარალელი არ მოეძებნება მახლობელი აღმოსავლეთის ზედაპალეოლითურ ძეგლებში. მეტნაკლები მსგავსება შეიმჩნევა მხოლოდ აფრიკაში, ლიბიის ოლქ – კირენაიკში აღმოჩენილ ჰაგფეტ ედ-დაბბას მღვიმის მასალებთან. აქაც იარაღთა წამყვან ფორმებად, ისევე, როგორც სამგლე კლდეში, ზურგდაბლაგვებული ფირფიტები წარმოადგენენ (შატელპერონისა და გრავეტის ტიპის),

-------------

9 დ. წ ე რ ე თ ე ლ ი, დ. თ უ შ ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, სარეკის ეხის ზედაპალეოლითური ნაშთიბი, ძეგლის მეგობარი, № 37, თბილისი, 1975, გვ. 63.

I0 Warwick Bray. David Trump. The penguin dictionary of archaeology I979, c.I74; А . М о н г а й т. Археология Западной Европы, каменный век. М., I973, с.I30.

II გ. ნ ი ო რ ა ძ ე. პალეოლითის ადამიანი დევისხვრელში, თბილისი, I933, გვ. 69.

I2 Michel N.Brezillon. დასახ. ნაშრომი, გვ. 238.

I3 მ. გ ა ბ უ ნ ი ა. ეძანის ეხის ქვის ინვენტარის სტატისტიკური მეთოდით შესწავლის შედეგები. მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის, VI, თბილისი, I974, გვ. 55–56.

ზურგდაბლაგვებული ფირფიტების საერთო პროცენტი ამ ძეგლში 56-ია[14]. არის განსხვავებაც – ჰაგფეტ ედ-დაბბაში მრავლადაა საჭრისები, რომლებიც სამგლე კლდეში სრულებით არ გვხვდება.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამგლე კლდეში ზედაპალეოლითური ფენა სრულიად გამორეცხილია. საჭიროების არარსებობა, ხოლო სხვა იარაღების შედარებით დიდი პროცენტი გვაფიქრებინებს, რომ სამგლე კლდე წარმოადგენდა მონადირეთა თავშესაფარს, სადაც ძირითადად ნადირობისათვის საჭირო მზა იარაღები შემოჰქონდათ. შეიძლება საჭრისების არსებობა სწორედ ამ ორ მიზეზს მივაწეროთ.

ვფიქრობთ, სამგლე კლდე ქრონოლოგიურად ჰაგფეტ ედ-დაბბას თითქმის თანდართული უნდა იყოს. მთლიანად დაბბას კულტურა თარიღდება 33-I4 ათასი წლით. მის პირველ ნახევარს მიეკუთვნება ჰაგფეტ ედ-დაბბა[15]. ეს პერიოდი ევროპულ ორინიაკს ემთხვევა. ჩვენ სამგლე კლდისათვის აბსოლუტური თარიღები არ გაგვაჩნია. ტიპოლოგიურად კი მას მივიჩნევთ გვარჯილას კლდეზე ადრეულად. არსებობს აფიანჩის მღვიმის მესამე ფენის მეხუთე ლითოლოგიური ჰორიზონტის რადიონახშირბადული თარიღი – I7000 500. ამ ფენას ლ. წერეთელი მიიჩნევს გვარჯილას კლდის თანადროულად[16]. ყველაფერი ზემოთ თქმული საშუალებას გვაძლევს, რომ სამგლე კლდის ზედაპალეოლითური მასალა მხოლოდ ტიპოლოგიის საფუძველზე (სტრატიგრაფიის უქონლობის გამო) გვარჯილას კლდის მასალაზე ადრეულად მივიჩნიოთ, მოვათავსოთ სარეკის ეხის, დევისხვრელისა და საკაჟიას ზედაპალეოლითური ინვენტარის გვერდით და მივაკუთვნოთ საქართველოს ზედაპალეოლითური მღვიმური ძეგლების შუა, ანუ განვითარებულ ჯგუფს, ე.ი. დავათარიღოთ ორინიაკის მეორე ნახევარი.

---------------

I4 C.B.McBurney, R.W. Hey. Prehistory and pleistocene geologi in cyrenacian Lybia. Cambrige. 1955, p. 191-208.

I5 Г.П. Г р и г о р ь е в. Мустье и верхний палеолит(постмустье) в Киренейке. Палеолит Африки. Л., I977, с.I67.

I6 Л.Д.Ц е р е т е л и, Н.Б.К л о п о т о в с к а я, Е.Н.К у р е н к о в Многослойный памятник Апианча(Абхазия). Четвертичная система Грузии. Тбилиси, I982, с.203-204.

Н.Д. Т у ш а б р а м и ш в и л и

## ВЕРХНЕПАЛЕОЛИТИЧЕСКИЕ МАТЕРИАЛЫ ИЗ ПЕЩЕРЫ САМГЛЕ КЛДЕ

### Р е з ю м е

(Таб.I-У)

Целью статьи является публикация материалов из пещеры Самгле клде, хранящихся в фонде каменного века Гос.музея Грузии. В связи с этим рассмотрены вопросы техники расщепления, вторичной обработки и типологии каменной индустрии.

Самгле клде находится в Чиатурском районе на территории с.Зоди, на правом берегу р.Джручула, на 33-35 м от уровня реки, пещера карстового происхождения. Вдоль стены и на поверхности земли найдены 226 изделий, из них 4I представляют орудия. Среди орудий ведущее место занимают ножи с затупленными спинками (22 шт.), затем идут ретушированные отщепы (6 шт.), скребки(4 шт.), ретушированные микропластины (3 шт.), ретушированная пластинка (I шт.), пилка (I шт.), дублированное орудие (I шт.).

Орудия составляют 18,I% всего изделия. На основе такого высокого процента предполагаем, что Самгле клде представляла временную стоянку охотничьей группы.

Каменный инвентарь из пещеры Самгле клде выявляет определенное сходство как по типологии, так и по технике вторичной обработки с материалами из пещерных памятников Девисхврели, Сакажиа, Сарекский навес, которые относятся ко второй группе памятников верхнепалеолитической культуры Грузии и датируется второй половиной ориньяка.

### ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

I. ზ. გ ა ბ უ ნ ი ა, ეძანის ეხის ქვის ინვენტარის სტატისტიკური მეთოდით შესწავლის შედეგები, მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის, VI, თბ., I974.

2.დ.თ უ შ ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, გვარჯილას კლდის პალეოლითური ნაშთები,თბ., I970.

3. დ. თუშაბრამიშვილი, ყვირილის ხეობის პალეოლითური ექსპედიციების მიერ I963 წ. ჩატარებული სამუშაოების შედეგები, სამეცნიერო სესია მიძღვნილი I963 წ. საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი (ქვისა და ბრინჯაოს ხანის ძეგლები), თბ., I964.

4. დ. თუშაბრამიშვილი, ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციების I962-67 წწ. საველე დღიურები.

5. გ. ნ ი ო რ ა ძ ე, პალეოლითის ადამიანი დევისხვრელში, თბ., I933.

6. ზ. ტ ი ნ ტ ი ლ ო ზ ო ვ ი, მდ. ყვირილის აუზის გეომორფოლოგიისათვის (სათავიდან და შორაპნამდე), სადისერტაციო შრომა გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., I954.

7. ლ. წ ე რ ე თ ე ლ ი, დ. თ უ შ ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, სარეკის ეხის ზედაპალეოლითური ნაშთები, ძეგლის მეგობარი, № 37, თბ., I975.

8. Г.П. Г р и г о р ь е в. Мустье и верхний палеолит (постмустье) в Киренайке. Палеолит Африки. Л., I977.

9. С.Н.З а м я т н и н . Новые данные по палеолиту Закавказья. Сов.этнография, № 2, М., I935.

IO. С.Н. З а м я т н и н . Изучение палеолитического периода на Кавказе за 1936-1948 гг. Материалы по четвертичному периоду СССР, вып.2, М.-Л., 1950.

II. А. М о н г г а й т. Археология Западной Европы. Каменный век. М.,1973.

I2. З.К.Т и н т и л о з о в. Карстовые пещеры Грузии. Тбилиси, 1976.

I3. Д.М.Т у ш а б р а м и ш в и л и. Палеолит в Грузии. საქართველოს მღვიმეები და გამოქვაბულები, თბ., 1981.

I4. Л.Д. Ц е р е т е л и, Н.Б. К л о п о т о в с к а я , Е.Н.К у р е н к о в а. Многослойный памятник Апианча (Абхазия). Четвертичная система Грузии. Тбилиси. 1982.

I5. Warwick Bray, David Trump. The penguin dictionary of archaeology. 1979.

I6. C.B. Mcburney, R.W. Hey. Prehistorý and pleistocene geology in cyrenciam Lybia. Cambrige. 1955.

I7. Michel N. Brésillon La dénomination des objet de pierre taillie. Paris, 1968.

А.Т. М у с х е л и ш в и л и, Т.К. М е ш в е л и а н и

## НОВЫЕ ДАННЫЕ О ФАУНЕ ГРЫЗУНОВ ВЕРХНЕГО ПАЛЕОЛИТА ЗАПАДНОЙ ГРУЗИИ (Тогон-клде)

Верхнепалеолитический навес Тогон-клде был открыт в 1968 г. на территории села Шукрути Чиатурского района Грузинской ССР. Раскоп до скального основания не доведен. В настоящее время в раскопе зафиксировано три литологических разных слоя, среди которых только первые два содержат культурные остатки

Так как самый верхний гумусный слой разрушен и материал перемешан, мы рассматриваем материал только из второго слоя желтоватого суглинка с включением щебня и больших глыб из известняка. Всего во втором культурном слое обнаружено 3038 каменных орудий, датируемых ранним этапом верхнего палеолита(Мешвелиани, 1981). Одновременно обнаружено достаточное количество фаунистических остатков, исследование которых дает очень полезные сведения как о "среде обитания в разные периоды формирований пещерных отложений, так и об относительном возрасте этих поселений" (Любин и др., 1980).

Определены следующие виды крупных млекопитающих и птиц.

1. Еж - Erinaceus europaeus
2. Лошадь - Equus sp.
3. Пещерный медведь (?) - Ursus sp?
4. Волк - Canis lupus
5. Благородный олень - Cervus elaphus
6. Косуля - Capreolus capreolus
7. Бизон - Bison sp.
8. Тур горный козел) - Capra caucasica Gŭld
9. Черный гриф - Aegipius monachus
10. Серая куропатка - Perdrix perdrix
11. Кавказский глухарь - Lirurus mlocosiewiczi
12. Сова ушастая - Asio sp.

В культурных слоях Тогон-клде собран довольно богатый костный материал, являющийся преимущественно кухонным отбросом древнего человека. К сожалению, грызуны ( Rodentia ) едва ли не самая распространенная группа млекопитающих в антропогене, в культурных слоях Тогон-клде представлены весьма скромно. Вместе с тем известно, что грызуны тесно связаны с определенными ландшафтно-географическими условиями и служат хорошими показателями изменения среды обитания.

На сегодня Тогон-клде собрано около 50 костных остатков грызунов. Материал в основном состоит из нижних челюстей и изолированных зубов, но нередко попадаются и кости посткраниального скелета. Следует отметить, что далеко не все кости определимы. Тем не менее в результате детального изучения материала нам удалось определить пять видов полевок, два вида хомяков и одну мышь.

Основное количество нижнечелюстных ветвей принадлежит двум видам хомякообразных. Один из них хомячок - Cricetulus migratorius представлен четырьмя

правыми нижнечелюстными ветвями, на которых сохранились полные ряды зубов. Материал по серым хомячкам однороден и принадлежит форме, не отличающейся существенно от современных закавказских. В настоящее время серый хомячок населяет Закавказье к востоку от Сурамского хребта. По-видимому, в верхнем палеолите ареал обитания этого зверька был гораздо шире и встречался значительно западнее сурамского водораздела.

Иначе обстоит дело с хомяками рода Mesocricetus. Ископаемые остатки средних хомяков известны из разных палеологических стоянок Грузии. Mesocricetus off auratus определен из Девис-хврели, Гварджилас-клде (Верещагин, 1959), Цуцхвати (Векуа, 1980), а из нижнего палеолита стоянки Кударо имеется предкавказский хомяк или хомяк Радда – Mesocricetus raddei conf. pranicola (Громов, Фоканов, 1980).

Средний хомяк в пещере Тогон-клде представлен четырьмя нижнечелюстными ветвями с полными рядами зубов. Имеются также элементы посткраниального скелета с характерной для этого рода плечевой костью. По размерам материал достаточно однороден и в основном принадлежит взрослым особям.

Общие размеры и пропорция зубов, а также фигура стирания и габитус эмали коронок убеждает нас в том, что средний хомяк из пещеры Тогон-клде наибольшее сходство обнаруживает с M. auratus Water, заметно отличается от M. raddei.

Малоазийский хомяк M. auratus Water, как полагают, проник в Закавказье из Передней Азии, однако Верещагин (1959) не исключает возможности автохтонного возникновения хомяков на Кавказе.

Населяют хомяки обычно сухие степные участки, поэтому могут быть использованы при воспроизведении палеоландшафтных зон.

Многообразно представлена в пещере фауна полевок. По остаткам удалось определить снеговую полевку малоазицскую или полевку Роберта, обыкновенную полевку, водяную полевку и рыжую полевку.

Род Chionomys представлен двумя видами: кавказская снеговая полевка Chionomys gud и полевка Роберта Chionomys roberti.

К последней относится одна нижнечелюстная ветвь и четыре изолированных $M_I$. Первые моляры имеют характерный для вида рисунок жевательной поверхности: передняя не парная петля соединяется с передним внутренним зубцом, внутренний и наружный зубцы, лежащие в основании передней непарной петли, хорошо развиты, а сама петля имеет форму асимметричного колокольчика. По длине и ширине $M_I$ нашей фауны чуть превосходит современную закавказскую форму.

Гудаурская снежная полевка Ch. gud представлена тремя $M_I$ и одной нижнечелюстной ветвью с $M_I$ и $M_2$. Размеры $M_I$ заметно уступают размерам $M_I$ полевки Роберта, что характерно для данных видов. Впрочем, длина $M_I$ у этих полевок варьирует с перекрыванием, но у Закавказских представителей оно выражено слабее. На $M_I$ у Ch. gud параконидный отдел меньше, чем у полевки Роберта. Ch. gud из Тогон-клде относятся к морфотипу со сравнительно слабо выраженными внутренними и наружными зубцами в основании передней непарной петли. Кроме того, у данного морфотипа Гудаурской полевки моляры с прямыми зубцами в отличие от серповидных зубцов у Chionomys rober. Надо сказать, что эта особенность среди современных закавказских гудаурских полевок встречается довольно часто, тогда как зубцы моляров у закавказской полевки Роберта варьируют в пределах серповидного рисунка без значительного выпрямления.

В материале имеются две медкие нижнечелюстные с $M_I$ и $M_2$, принадлежащие серой полевке рода Microtus.

Форма и расположение передней непарной петли, количество входящих углов

на буккальной и лингвальной сторонах, а также размеры свидетельствуют о том, что мы имеем дело с полевкой группы Microtus arvalis-socialis

Однако детальное сравнение с современным материалом убеждает нас в том, что обнаруженные кости Тогон-клде принадлежат обыкновенной полевке M. arvalis. По единственным зубам были определены в Тогон-клде рыжая полевка Clethrionomys и лесная мышь Apodemys off silatius Заслуживает внимания находка зуба Clethrionomys в пещере Тогон-клде. К сожалению, по одному, мало характерному зубу трудно судить о видовой принадлежности этого зверька. Из нижнеплейстоценовых отложений Восточной Грузии Ц.И.Буачидзе была описана новая форма рыжей полевки Clethrionomys iorensis которая оставалась единственной находкой для территории Грузии до последнего времени.

Хотя список фауны грызунов из Тогон-клде далеко не полный, он все же дает представление о богатой и многообразной фауне млекопитающих, населявшей территорию Западной Грузии во второй половине плейстоцена.

По приведенному материалу говорить о преобладании того или иного ландшафта почти невозможно. Единичные экземпляры лесной мыши и лесной полевки не могут служить доказательством уменьшения облесенности местности. Восстанавливая палеоландшафтную картину этого региона, вернее было бы представить вертикальное чередование субальпийских, лесных и горностепных ландшафтов, при этом сравнивая с современным положением пещеры Тогон-клде*, можно предположить, что в верхнем палеолите границы альпийской и субальпийской зоны проходили ниже, чем сейчас, что могло быть вызвано относительным похолоданием. Эти данные согласуются с ранее высказанным мнением (Тушабрамишвили, 1981, Верещагин, 1959), что в верхнем палеолите на территории Грузии происходила вертикальная смена ландшафтных зон. Это еще подтверждается литологическим составом слоя, который указывает на условия континентального климата и содержит описанную фауну грызунов.

## Библиография

Барышников Г.Ф., аранова Г.И. Грызуны раннего палеолита Большого Кавказа. - В кн.: Фауна, систематика и биология млекопитающих, ЗИН, АН СССР, 1983.

Буачидзе Ц.И. О находке ископаемых полевок ширакской степи. Сообщ. АН ГССР, т.52, № 2, 1968.

Векуа А.К. Ископаемые позвоночные цуцхватских пещер. - В кн.:Изучение пещер Колхиды. Тбилиси, Мецниереба, 1980.

Векуа А.К., Габелая Ц.Д., Мусхелишвили А.И. Палеолитическая фауна позвоночных из пещер Западной Грузии. В кн.: Пещеры Грузии,Тбилиси, Мецниереба,1981.

Верещагин . Млекопитающие Кавказа, 1959.

Громов И.М., Фоканов В.А. Об остатках позднечетвертичных грызунов из пещеры Кударо-I. В кн.: Кударские пещерные палеолитические стоянки в Юго-Осетии. М., Наука, 1980.

Тушабрамишвили Д.М. Палеолит Грузии. В кн.: Пещеры Грузии. Тбилиси, Мецниереба, 1981.

Мешвелиани Т. Верхнепалеолитический навес Тогон-клде. Вестник Гос.Музея Грузии им.акад.Джавнашиа, Тбилиси,1985,с.65, на груз.яз.

* Верхнепалеолитические памятники в Западной Грузии встречаются выше 1000 м над уровнем моря, а в Восточной Грузии стоянок верхнего палеолита не обнаружено, что объясняется резким похолоданием в Восточной Грузии в период верхнего палеолита (Джанелидзе, Гогичаишвили).

ეროვნული ბიბლიოთეკა

რ. ქ ე ბ უ ლ ა ძ ე

# დავით აღმაშენებლის ბიზანტიურტიტულიანი ვერცხლის მონეტები
(ტაბ. VI)

დავით აღმაშენებლის ვერცხლის მონეტები ბიზანტიურტიტულიანი ქართული ფულის ერთ-ერთი საინტერესო და იშვიათი ჯგუფია, რომლის შესწავლა მიმდინარე საუკუნის დასაწყისიდან დღემდე გრძელდება. ამ ხნის განმავლობაში მკვლევართა მიერ ბევრი რამ გაკეთდა, როგორც მონეტების პუბლიკაცია-ატრიბუციის, ისე თეორიული საკითხების შესწავლის თვალსაზრისით. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ე. პახომოვის, თ. ლომოურის, დ. კაპანაძის, დ. ლანგისა და რ. მეტრეველის ნაშრომები[1]. ცხადია, ეს არ ნიშნავს, რომ ამ მიმართულებით ახალი აღარაფერია გასაკეთებელი. საკმარისია აღინიშნოს, რომ დასადგენია დავით აღმაშენებლის მეორე ტიპის მონეტებზე მოცემული მეფის ბიზანტიური ტიტული, ფულის გამოშვების ქრონოლოგიური ჩარჩოები, მათი ემისიის შეწყვეტის პოლიტიკური მოტივები და სხვ. ამიტომ კვლევის საგნად აღნიშნული მონეტები ავირჩიეთ.

ვიდრე დავით აღმაშენებლის საფასეების განხილვას შევუდგებოდეთ, მოკლედ გადავავლოთ თვალი მის წინამორბედთა მიერ მოჭრილ მონეტებს.

X საუკუნის 70-იანი წლები საქართველოს სამონეტო საქმიანობის ისტორიაში აღინიშნა ვერცხლის ფულის ახალი სერიის – ბიზანტიურტიტულებიანი მონეტების გამოშვებით. ფულის ეს ნიშნები პირველად დავით კურაპალატმა (-1001 წ.) შემოიღო ბრუნვაში და მათი გამოშვება ბაგრატ IV-ის (1027-1072 წწ.), გიორგი II-ისა (1072-1089 წწ.) და დავით აღმაშენებლის (1089-1125 წწ.) ეპოქაშიც გაგრძელდა.

მიუხედავად იმისა, რომ ბიზანტიურტიტულებიანი მონეტების გამოშვების ქრონოლოგიური დიაპაზონი დაახლოებით ერთი საუკუნით განისაზღვრება, ჩვენამდე მოღწეული მონეტების რიცხვი არც თუ ისე ბევრია, აქედან ცხადი ხდება მათი იშვიათობა და მეცნიერული ღირებულება.

ფულის ამ სერიის ყველაზე ადრინდელი ნიმუში, როგორც აღინიშნა, ტაო-კლარჯეთის მფლობელს დავით კურაპალატს ეკუთვნის. დავით კურაპალატის მონეტები, როგორც ბიზანტიურტიტულებიანი სხვა საფასეები სტილისტური, ტიპოლოგიური და ფაქტურული ნიშნებით განსხვავდება მანამდე გამოშვებული ქართული ფულის ნიშნებისაგან. დიდი ხნის შესვენების შემდეგ ჩვენი ქვეყნის მონეტებზე კვლავ ჩნდება ეროვნულ-რელიგიური ემბლემები და გამოსახულებანი. ასომთავრულით შესრულებული ზედწარწერები კი გვაუწყებს ქართველ მეფეთა სახელებს და მათ ბიზანტიურ საკარისკაცო ტიტულებს. დავით კურაპალატის მონეტაზე მოთავსებულია დაქარაგმებული ქართული ასომთავრული ზედწერილი – „ქრისტე შეიწყალე დავით კურაპალატი" და თანაბართოტებიანი ჯვარია გამოსახული[2].

------------------

1 Е.А. П а х о м о в. Неизданныя грузинския монеты XI века. Известия Кавказского музея, т.IУ, Тифлис, 1909; მისივე, Монеты Грузии, Тбилиси, 1970; თ. ლ ო მ ო უ რ ი, ფული შოთა რუსთაველის ეპოქაში, კრებ. შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა, თბილისი, 1938; Д.Г. К а п а н а д з е. Новый тип монеты Давида Строителя, Византийский временник, т.УШ, Москва, 1956; მისივე ქართული ნუმიზმატიკა, თბილისი, 1969; D.L a n g, Studies in the Numismatic History of Georgia in Numismatics, New-York, 1955; მისივე, Notes on the Caucasian Numismatics, Numismatic Chronicle, vol. XVII, 1957; რ. მეტრეველი, დავით აღმაშენებელი, თბილისი, 1965

2 Е.А. П а х о м о в, Монеты Грузии, გვ. 52

დავით კურაპალატის შემდეგ ბიზანტიურტიტულებიანი მონეტების ემისია ბაგრატ IV (1027-1072 წწ.) განაახლა. ეს მონეტები ტიპოლოგიურად განსხვავდება დავით კურაპალატის მონეტებისაგან. ბაგრატ IV ფულის გამოშვებას ნოველისიმოსის ტიტულით იწყებს, რომელსაც ცვლის სევასტოსის ტიტულიანი მონეტა[3]. ფულის ამ ნიშნებზე დაქარაგმებული ქართული ასომთავრული ზედწერილია მოცემული: „ქრისტე ადიდე ბაგრატ აფხაზთა მეფე და ნოველისიმოსი"[4]. ეს ერთ მხარეზე, ხოლო მეორეზე გამოსახულია ვლახერნის ღვთისმშობელი[5] ბერძნული ზედწერილით: „წმინდა ღვთისმშობელი"[6].

ბაგრატ IV-ის მემკვიდრე გიორგი II (1072-1089 წწ.) მონეტებს ჭრიდა ნოველისიმოსის, სევასტოსისა და კესაროსის ტიტულებით[7]. სამონეტო ტიპი ძირითადად ძველი რჩება, მხოლოდ ზედწერილებშია ცვლილებები შეტანილი. შუბლის ზედწერილს ემატება „ქართველთა" მეფე და „კესაროსი", ზურგისას - „დედა ღვთისა ვლახერნისა"[8].

გიორგი II-ის შემდეგ ბიზანტიურტიტულებიანი მონეტების გამოშვება ტრადიციულად გააგრძელა დავით IV აღმაშენებელმა (1089-1125 წწ.). ცნობილია, რომ გამოჩენილმა სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწემ, დავით აღმაშენებელმა რეფორმები ჩაატარა ქვეყნის მართვა-გამგეობის, საეკლესიო, სამხედრო და ფინანსურ საქმეებში. დაამარცხა და საქართველოდან განდევნა თურქ-სელჩუკები და, ბოლოს წარმატებით დაასრულა ქვეყნის გაერთიანების პროცესი.

უნდა აღინიშნოს, რომ ბიზანტიურტიტულებიანი მონეტების და მათ შორის დავით აღმაშენებლის საფასეების სრულყოფილად დამუშავება შეუძლებელია საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობის გათვალისწინების გარეშე.

უკვე დიდი ხანია ცნობილია, რომ დავით კურაპალატის მონეტებს აშკარა ბიზანტიური გავლენის კვალი ამჩნევია, რაც ტაო-კლარჯეთისა და ბიზანტიის ხანგრძლივი ურთიერთობით აიხსნება. X-XI საუკუნეებში ბიზანტია სამხრეთ-დასავლეთიდან ესაზღვრებოდა საქართველოს და წარმოქმნის დღიდან მუდმივი ურთიერთობა ჰქონდა ჯერ ცალკეულ ქართულ პოლიტიკურ ერთეულებთან, ხოლო შემდეგ გაერთიანებულ საქართველოსთან. ეს ურთიერთობა ზოგჯერ მტრული და ზოგჯერ კეთილმეზობლური იყო. ტაო-კლარჯეთისა და ბიზანტიის მეგობრული ურთიერთდამოკიდებულების განვითარებას ხელი შეუწყო არაბთა სახალიფოს გაძლიერებამ.

დავით კურაპალატის მმართველობის ბოლო პერიოდში საქართველოსა და ბიზანტიის ურთიერთობა ძირფესვიანად შეიცვალა. ცნობილია, რომ არაბთა სახალიფოს დასუსტების შემდეგ ბიზანტია ნაცვლად მოკავშირისა დასაპყრობად უყურებს საქართველოს. X საუკუნის დასასრულისათვის იგი შეტევაზე გადმოვიდა და ამიერკავკასიის ქვეყნების დამორჩილებას შეეცადა. მაგრამ საქართველომ მოასწრო საკუთარი ძალების გაერთიანება და წინ აღუდგა მას[9]. ამ სახელმწიფოების ურთიერთობამ განსაკუთრებული მტრული ხასიათი მიიღო გიორგი I-ისა და ბაგრატ IV-ის მეფობაში. მაგრამ ეს გარემოება ხელს არ უშლიდა საიმპერატორო კართან დანათესავებას, საკარისკაცო ტიტულების მიღებასა და აქედან გამომდინარე ბიზანტიურტიურტიტულებიანი მონეტების გამოშვებას.

XI საუკუნის 50-იან წლებში ბიზანტიის აგრესიამ უკანასკნელი მარცხი განიცადა ჩვენს ქვეყანაში. საქართველოსადმი მტრულ დამოკიდებულებაზე მას საბოლოოდ ხელი

---

3 დ. კაპანაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 62.

4 ნოველისიმოსის ტიტული შემდეგ მონეტაზე შეცვლილია სევასტოსით.

5 ვლახერნის ღვთისმშობლის გამოსახულება იმპერატორ კონსტანტინე IX მონომახის (1042-1055 წწ.) მონეტიდანაა აღებული.

6 Е.А.Пахомов. დასახ. ნაშრომი, გვ. 52.

7 Р.В.Кебуладзе. Клад из села Цихесулори, Нумизматический сборник посвященный памяти Д.Г.Капанадзе. Тбилиси, 1977, с.105.

8 დ. კაპანაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 65.

9 ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი, საქართველოს ისტორია, I, თბილისი 1958, გვ. 142.

აალებინა თურქ-სელჩუკთა შემოსევებმა. შეშფოთებული კეისარი შემორიგების პოლიტიკას დაადგა და საქართველომ მალე თავიდან მოიცილა ბიზანტიის პოლიტიკური გავლენა. გიორგი II-ის მეფობაში თურქ-სელჩუკთა დაპყრობებით შევიწროებული ბიზანტია, საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში, არა თუ დახმარებას, პარტნიორობასაც ვეღარ უწევდა საქართველოს და საკარისკაცო ტიტულების გაცემით კმაყოფილდებოდა.

ბიზანტიასთან ურთიერთობის საკითხში დავით აღმაშენებელი, თავდაპირველად, მამამისის გიორგი II-ის კვალს გაჰყვა, ვინაიდან ჯერ კიდევ არ შეიძლებოდა ამ სახელმწიფოს, როგორც პოლიტიკური ძალის უგულებელყოფა. ამიტომ დავითი ერთხანს ბიზანტიურ საკარისკაცო ტიტულებს ატარებდა[10].

დავით აღმაშენებელმა პირველი ბიზანტიური ტიტული, გიორგი II-ის მსგავსად, ტახტზე ასვლამდე მიიღო. 1085 წლის ერთი ხელნაწერის მინაწერში იგი სევასტოსად იწოდება[11]. დავითს ეს ტიტული შერჩა მცირე ხანს გამეფების შემდეგაც. 1089-1091 წლების წყაროსათვის სახარების წარწერაში იგი კვლავ სევასტოსის ტიტულითაა ნახსენები[12]. მაგრამ იმავე 1089-1091 წლების სხვა დოკუმენტის მინაწერის მიხედვით დავითი უკვე პანიპერსევასტოსიცაა[13]. ეს იყო საქართველოს მეფის უმაღლესი და უკანასკნელი ბიზანტიური საკარისკაცო ტიტული. XI საუკუნის 90-იან წლებში დავით აღმაშენებელმა ისარგებლა ბიზანტიის მძიმე მდგომარეობით და საბოლოოდ უარი თქვა ბიზანტიასთან ვასალური დამოკიდებულების მაუწყებელ ყველა ტიტულზე[14].

ცნობილია, რომ დავით აღმაშენებელი ბიზანტიურტიტულებიანი მონეტების ორ ტიპს ჭრიდა. ეს მონეტები ექვს ცალადაა ცნობილი. აქედან პირველი ტიპის ორი მონეტა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმშია დაცული, ხოლო მეორე ტიპისა - ერთი ლენინგრადის სახელმწიფო ერმიტაჟშია და სამი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში. არსებობს კიდევ ბერლინის მუზეუმის გაურკვეველი ცალი, რომელსაც პირობით დავით აღმაშენებელს აკუთვნებენ[15].

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცული დავით აღმაშენებლის მეორე ტიპის მონეტები, როგორც ეს დამუშავებიდან გაირკვა, 1871 წელს სოხუმის მიდამოებშია აღმოჩენილი, რომლებიც პოლკოვნიკმა გეიმანმა, გიორგი II-ის მონეტასთან ერთად, კავკასიის მუზეუმს გამოუგზავნა[16]. მონეტები ინახება ნუმიზმატიკის განყოფილების განძების ფონდში ინვენტ. №№ 22443 - 22445.

მოგვყავს დავით აღმაშენებლის მონეტების აღწერილობანი და მეტროლოგიური მონაცემები:

I ტ ი პ ი

1 ინვენტ. № 22446, წონა 0,73 გ, ზომა 25-26 მმ, სურ. I

შუბლი: მონეტის კიდეებზე განლაგებულია დაქარაგმებული ასომთავრული ქართული ზედწერილი (ნახატი №I) - ქრისტე, ადიდე დავით აფხაზთა მეფე. ცენტრში იმავე ასომ-



თავრულით სამ სტრიქონად ბიზანტიური ტიტულია მოცემული (ნახატი №2) - და სევას-

---------------

10 შ. მ ე ს ხ ი ა, ძლევაი საკვირველი, თბილისი, 1972, გვ. 56.

11 თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, I, ტფილისი, 1892, გვ. 232.

12 თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 234.

13 იქვე, გვ. 236.

14 შ. მ ე ს ხ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 56; ჯ. ს ტ ე ფ ა ნ ი ძ ე, XI-XII საუკუნეების საქართველოს მეფეთა ტიტულების გაგებისათვის, ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან, თბილისი, 1976, გვ. 161.

15 დ. კ ა პ ა ნ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 67.

16 Е.Н.П а х о м о в. Монетные клады Азербайджана и Закавказья, вып.3, Баку, 1926, с.50, № 102.

# ႣႠ ႱႤႥႱ ႲႱႠ

ტოსა. ცენტრალური ზედწერილის ბოლოს ასომთავრული Ⴄ-ს ნაცვლად აღბეჭდილია გადაბრუნებული Ⴀ.

ზურგი: ცენტრში ვლახერნის ღვთისმშობლის გაუხეშებული გამოსახულებაა მოთავსებული, მარცხნივ ბერძნული ზედწერილი არ იკითხება, მარჯვნივ ΘΥ (ΘΕΟΥ-ღვთისა).

2 ინვენტ. № 2853, წონა 0,43 გ. ზომა 22-23 მმ, სურ. 2.

შუბლი: მონეტის დაზიანების გამო გარშემოვლებული ზედწერილი სრული სახით არც აქ იკითხება, (ნახატი №3) – ქრისტე, ადიდე დავით აფხაზთა მეფე. ცენტრალური

# ...Ⴄ ႣႥ ႠႴႾ...

ზედწერილი ყველა დეტალებში ზემოაღწერილს იმეორებს (ნახატი №4) – და სევასტოსა.

# ႣႠ ႱႤႥႱ ႲႱႠ

ზურგი: ზემოაღწერილის ანალოგიურია[17].

II ტიპი

1 ინვენტ. № 22443, წონა 0,80 გ, ზომა 26-28 მმ, სურ. 3.

შუბლი: მონეტის კიდეებზე დაქარაგმებულია ასომთავრულით შესრულებული ქართული ზედწერილი (ნახატი №5)– ქრისტე, ადიდე დავით მეფე და სევასტოსი. ცენტრში წერ-

# +Ⴕ ႠႣႤ ႣႥ ... ႴႤ ႣႠ ႱႤ

ტილოვანი რკალით შემოვლებული და წერტილებითვე მოთრული ჯვარია გამოსახული.

ზურგი: ცენტრში ვლახერნის ღვთისმშობლის გაუხეშებული გამოსახულებაა გვერდებზე ბერძნული ზედწერილით,. მარცხნივ –ΜΡ, მარჯვნივ – ΘΥ (ΜΗΤΗΡ ΘΕΟΥ – დედა ღვთისა)

2 ინვენტ. №22445, წონა 0,56 მ, ზომა 23-24 მმ, სურ. 4.

შუბლი: მონეტის დაზიანების გამო გარშემოვლებული ზედწერილი ნაწილობრივ იკითხება (იხილე ნახატი №6) – დავითი მეფე და სევასტოსი. ცენტრში ჯვარია გამოსახული

# ...ႣႥ Ⴋ... ႣႱႤ

ზურგი: ცენტრში ღვთისმშობლის გაუხეშებული გამოსახულებაა, ბერძნული ზედწერილი არ იკითხება.

3 ინვენტ. №22444, წონა 0,56 გ, ზომა 23-24 მმ, სურ. 5.

შუბლი: გარშემოვლებული ზედწერილი სრული სახით არც აქ იკითხება (ხატი №7) –

# +Ⴕ ႠႣႤ ႣႥ ...ႴႤ Ⴃ... ႱႠ

ქრისტე, ადიდე დავით მეფე და სევასტოსა. ცენტრში ჯვარია გამოსახული. ზედწერილის ბოლოს ასომთავრული Ⴀ პირველი ტიპის ორივე მონეტის მსგავსად გადაბრუნებულია. ე.ი. ბიზანტიურ ტიტულში ერთიდაიგივე შეცდომაა დაშვებული. ამიტომ სამივე ცალის სიქა ერთი ხელოსნის მიერ უნდა იყოს დამზადებული.

ზურგი: ღვთისმშობლის გაუხეშებული გამოსახულების მარცხნივ იკითხება –ΜΡ, მარჯვნივ –Θ.

---

17 Д.Г. К а д а г и д з е. Новый тип монеты Давида Строителя, с.343.

4 წონა 0,87 გ, ზომა 25 მმ, სურ. 6.
შუბლი: გარშემოვლებული ზედწერილი აქაც ნაწილობრივ იკითხება (იხილე ნახატი №8) – ქრისტე... დავით მეფე და ... ცენტრში ჯვრის გამოსახულებაა.

+... ႡႳ ႫႴႤ ႡႠ...

ზურგი: პირველი ნომრით აღწერილი მონეტის ანალოგიურია[18].

მეორე ტიპის მონეტის შუბლზე მნიშვნელოვანი ცვლილებებია შეტანილი. ცენტრში ზედწერილის ნაცვლად წერტილებით შემკული ჯვარია გამოსახული. როგორც ჩანს, დავით აღმაშენებელი უკვე დიდ მნიშვნელობას აღარ ანიჭებდა ბიზანტიურ ტიტულს და ცენტრიდან მონეტის კიდეზე აქვს გადატანილი.

გარშემოვლებული ზედწერილი ჩვეულებრივი წესითაა განლაგებული. მაგრამ, წარწერის ბოლო ნაწილი, სადაც შინაარსობრივად ბიზანტიური ტიტული უნდა იყოს მოთავსებული ე. პახომოვის, თ. ლომოურის, დ. კაპანაძის, დ. ლანგისა და რ. მეტრეველის განმარტებით დაზიანების გამო არც ერთ ცალზე არ იკითხება. ე. პახომოვისა და დ. კაპანაძის ვარაუდით, მონეტაზე სევასტოსის ტიტული უნდა იყოს აღბეჭდილი[19]. დ. ლანგის მიხედვით – პანიპერსევასტოსი[20], ხოლო თ. ლომოური და რ. მეტრეველი დასკვნებისაგან თავს იკავებენ[21]. ზედწერილის დეტალური შესწავლის შედეგად შესაძლებელი გახდა სევასტოსის ტიტულში შემავალი ასოების ამოკითხვა. პირველი ნომრით აღწერილ მონეტას კარგად ემჩნევა ასომთავრული სანის (Ⴑ), ტანისა (Ⴒ) და სანის (Ⴑ) ფრაგმენტები, ე.ი. ყოველგვარი ძალდატანების გარეშე ამ ზედწერილის აღდგენა შეიძლება სევასტოსად. მეორე მონეტაზე სრული სახითაა შემორჩენილი სანი და ნაწილობრივ – ტანი. მესამე ნიმუშზე იკითხება სანის ქვედა ფრაგმენტი და გადაბრუნებული ანი (Ⴀ). ამრიგად, სრულიად აშკარაა, რომ მეორე და მესამე ცალებზედაც სევასტოსის (უფრო სწორად სევასტოსას) ტიტულია ამოკვეთილი.

გიორგი II-საგან განსხვავებით, დავით აღმაშენებელი პირველი ტიპის მონეტებზე მხოლოდ აფხაზთა მეფის ტიტულითაა მოხსენიებული. მიზეზი თურქ-სელჩუკთა შემოსევებში უნდა მდგომარეობდეს. ცნობილია, რომ აღმოსავლეთ საქართველოს დიდი ნაწილი თურქმა მომთაბარეებმა დაიკავეს. მათ ხელში აღმოჩნდა აგრეთვე მნიშვნელოვანი ციხესიმაგრეებიც, ხოლო ადგილობრივი მოსახლეობა მთებში გაიხიზნა. ალბათ ამიტომაა, რომ დავითი მონეტებზე აფხაზთა მეფის ტიტულით კმაყოფილდება. რაც შეეხება მეორე ტიპის მონეტებს, შესაძლებელია, აქ, უბრალოდ ადგილი აღარ დარჩა „ეთნიკური" ტიტულისათვის და იგი მეფედ და სევასტოსად იწოდება.

არაბული ფირმებისაგან განსხვავებით, ბიზანტიურტიტულებიან მონეტებს თარიღი არ უზის. ამ ხარვეზის შევსება ბიზანტიური ტიტულების საშუალებით ხერხდება, რადგან ამჟამად წყაროებიდან დაახლოებითაა ცნობილი საქართველოს თუ რომელმა მეფემ როდის რა ტიტული მიიღო.

პირველი მკვლევარი, რომელმაც ამ მეთოდით მოუძებნა ზოგადი ქრონოლოგიური ჩარჩოები ბიზანტიურტიტულებიან მონეტებს, ე.პახომოვი იყო. დღეისთვის დაახლოებითაა

---

18 ეს მონეტა 1906 წელს გენერალ ა. კომაროვის კოლექციიდან ერმიტაჟში შემოვიდა, Е.Н.П а х о м о в . Неизданныя грузинския монеты XI века, გვ. 151. მონეტის ფოტო-სურათი მოგვაწოდა სახ. ერმიტაჟის ნუმიზმატიკის განყოფილების თანამშრომელმა ი. დობროვოლსკიმ, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ.

19 Е.А.П а х о м о в. Неизданныя грузинския монеты XI века, გვ. 152; მისივე, Монеты Грузии, გვ. 73; დ. კ ა პ ა ნ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 65.

20 D.L a n g, დასახელებული ნაშრომი, გვ. 141

21 თ. ლ ო მ ო უ რ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 286; რ. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 92.

ცნობილი დავით კურაპალატის[22], ბაგრატ IV-ისა[23] და გიორგი II,ის[24] მონეტების მოჭრის დრო.

რაც შეეხება დავით აღმაშენებლის მონეტების დათარიღებას, აქაც ბიზანტიური ტიტული უნდა მოვიშველიოთ. დავითი ტახტზე სევასტოსის ტიტულით ავიდა, რომელსაც I09I წლის ჩათვლით ატარებდა. ამიტომ სევასტოსის ტიტულიანი მონეტები ემისიის ხანა I089-I09I წლებით უნდა შემოიფარგლოს.

პანიპერსევასტოსის ტიტულიან მონეტას ჩვენამდე არ მოუღწევია. მაგრამ, თუ თეორიულად დავუშვებთ მის არსებობას, უნდა ვივარაუდოთ ამ ემისიის ეპიზოდური ხასიათი, რადგან XI საუკუნის 90-იან წლებში საქართველოს მეფემ პოლიტიკური მოტივებით უარი თქვა ბიზანტიის ყოველგვარ საკარისკაცო ტიტულზე. ამას თვალნათლივ ადასტურებს აგრეთვე დავით აღმაშენებლის I094-II04 წლების სპილენძის ერთი მონეტაც, რომლის ზედწერილი დავითს „მეფე მეფეთა მახვილი მესიის„ ტიტულით ამკობს[25]. აქვე უნდა მოვიხსენიოთ მისი მმართველობის ბოლო პერიოდში მოჭრილი სპილენძის მეორე უნიკალური მონეტაც, რომელიც საქართველოს მეფეს „აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფეს“ უწოდებს[26]. აღნიშნულით ერთხელ კიდევ დასტურდება, რომ დავით აღმაშენებელი XI საუკუნის დასასრულიდან არავითარ მნიშვნელობას არ ანიჭებდა ბიზანტიურ ტიტულებს და აღარც მონეტებზე ათავსებდა მათ. ამ მხრივ საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ დავითი II03 წლის რუის-ურბნისის საეკლესიო კრებაზე ბიზანტიურ ტიტულს უკვე აღარ ატარებს[27].

საქართველოში ბიზანტიურტიტულებიანი მონეტების გამოშვება შეწყდა არა მარტო პოლიტიკური, არამედ ეკონომიკური მოტივებითაც. ცნობილია, რომ XI საუკუნის მანძილზე ქართული მონეტები სინჯის გაუარესებისა და წონის დაცემის პროცესს განიცდიდა. ფუჭდებოდა აგრეთვე მონეტების მხატვრული შესრულების დონეც. თუ კი დავით კურაპალატის მონეტა სამ გრამზე ცოტა მეტს იწონიდა, დავით აღმაშენებლის მონეტა ნახევარ გრამამდე დავიდა. XI საუკუნეში ანალოგიურ მოვლენას ადგილი ჰქონდა მთელ წინა აზიაში. ვერცხლის კრიზისის გამო, აუცილებელი გახდა სახელმწიფო ვერცხლის მარაგის დაცვა და სამონეტო ცირკულაციაში ვერცხლის ფულის სპილენძის მონეტებით შეცვლა. წინააღმდეგ შემთხვევაში ძვირფასი ლითონიდან მოჭრილი მონეტა ან ქვეყნის ფარგლებს გარეთ გადიოდა, ან განძად გადაიქცეოდა, უკან აღარ დაუბრუნდებოდა ხაზინას და ვერცხლის სახელმწიფო მარაგი გამოილეოდა. აი კიდევ რა იყო იმის მიზეზი, რომ XI საუკუნის დასასრულიდან საქართველოში შეწყდა ვერცხლის ფულის გამოშვება.

დავით აღმაშენებლის სამონეტო რეფორმის შესახებ ცნობებს გვაწვდის არაბი ისტორიკოსი ალ-ფარიკი. იგი გადმოგვცემს, რომ საქართველოს მეფემ დიდი ცვლილებები შეიტანა ქვეყნის სამონეტო საქმეში და დაიწყო ახალი ტიპის სპილენძის ფულის გამოშვება, რომლის ერთ მხარეზე ხალიფასა და სულთნის სახელებია აღბეჭდილი, ხოლო მეორეზე ალაჰისა და მისი მოციქულის; დავითის სახელი კი მონეტის კიდეებზე იყო მოცემული[28]. ალ-ფარიკის მიერ აღწერილი ეს მონეტა ჯერჯერობით აღმოჩენილი არ არის. სამაგიეროდ, ცნობილია დავით აღმაშენებლის მიერ მოჭრილი ზემოაღნიშნული სპილენძის ორი უნიკალური მონეტა.

რაც შეეხება ჩვენ მიერ განხილული ვერცხლის საფასების აღმოჩენათა სიმცირეს,იგი აიხსნება, როგორც მონეტების ფაქტურული ნიშნებით, ისე ფულის გამოშვების დაბალი

---------------

22 Р.В.К е б у л а д з е ,დასახ. ნაშრომი, გვ. I03.

23 იქვე, გვ. I04.

24 Е.А.П а х о м о в , Монеты Грузии, с.64.

25 დ. კ ა პ ა ნ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 70.

26 იქვე, გვ. 56.

27 თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, II, ტფილისი, 1897, გვ. 70; ჯ. ს ტ ე - ფ ა ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. I6I.

28 ვ. ფ უ თ უ რ ი ძ ე, არაბი ისტორიკოსი XII საუკუნის თბილისის შესახებ, ენიმკის მოამბე, XIII, 1943, გვ. I4I.

ტირაჟითაც. როგორც ითქვა, ეს მონეტები სულ ორიოდე წელი იჭრებოდა და, ცხადია, მათი ტირაჟი დიდი არ იქნებოდა.

დასასრულ ერთხელ კიდევ აღვნიშნავთ, რომ დავით აღმაშენებლის ბიზანტიურტიტულებიანი მონეტების შესწავლას, მათი იშვიათობისა და მეცნიერული ღირებულების გამო, დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ქართული ნუმიზმატიკისათვის, არამედ ქვეყნის ისტორიისთვისაც.

Р.В. Кебуладзе

## СЕРЕБРЯНЫЕ МОНЕТЫ ДАВИДА СТРОИТЕЛЯ С ВИЗАНТИЙСКИМ ТИТУЛОМ

Р е з ю м е

(Табл.VI)

Известно два типа монет грузинского царя Давида Строителя (1089-1125 гг.) с византийским титулом. В надписях обоих этих типов Давид упоминается с титулом севастоса, причем соответствующий фрагмент надписи на монете второго типа удалось прочесть только теперь. До сих пор же об идентичности этих надписей в специальной литературе высказывались лишь априорные соображения.

Ввиду того, что в документе 1089-1091 гг. Давид упоминается с титулом севастоса, период эмиссии обоих монетных типов должен быть ограничен именно указанным временем. Его монеты с титулом паниперсевастоса пока неизвестны. Однако если теоретически допустить возможность их выпуска, то их эмиссия должна была носить эпизодический характер, ибо с 90-х годов XI в. грузинский царь по политическим мотивам отказался от всяких византийских придворных титулов, отражающих вассальную зависимость Грузии от Византии, что хорошо подтверждают также и две медные уникальные монеты Давида.

Выпуск в Грузии монет с византиским титулом прекратился не только по политическим причинам. В связи с серебряным кризисом необходимо было сохранить государственные запасы серебра и заменить в денежном обращении серебряные монеты медными.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზ. ს ხ ი რ ტ ლ ა ძ ე

# ეკლესია-მონასტერთა გამოსახულებები შუა საუკუნეების ქართულ სახვით ხელოვნებაში

## ს ა მ შ ვ ი ლ დ ე

წყაროთა სიმწირე მრავალ სირთულეს წარმოქმნის ქართული ხელოვნების ისტორიის მკვლევარების წინაშე. ძველ საისტორიო თხზულებებსა და საარქივო დოკუმენტებში აქა-იქ გაბნეული მოკლე ცნობების გვერდით ასეთი, პირველწყაროს ღირებულების მქონე, სულ რამდენიმე გამოსახულებაა ცნობილი. მათგან უძველესია X-XI სს. მიჯნის რელიეფები მშენებლობის სცენებით ქორღოს ეკლესიაზე (რელიეფთაგან ერთ-ერთზე, კტიტორთა ფიგურების წინ, ეკლესიის გეგმის გამოსახულებაც უნდა იყოს წარმოდგენილი)[1]; ორი დანარჩენი ნიმუში რამდენადმე განსხვავებული ხასიათისაა, ისინი დოკუმენტებს წარმოადგენს, ამასთან გაცილებით უფრო გვიან ხანას განეკუთვნება - ესაა 1720 წლით დათარიღებული პროექტები დავით გარეჯის ორი კოშკისა, აგრეთვე ქოლაგირის ციხის გეგმები, შექმნილი XVIII ს-ის მიწურულს[2].

შუა საუკუნეების ქართული სახვითი ხელოვნების ძეგლებზე რამდენადმე სხვაგვარი ტიპის გამოსახულებებიც დასტურდება - ესაა ეკლესიები მოდელების სახით, რომლებიც ისტორიულ პირთა პორტრეტებში გვხვდება[3]. ცნობილია სიუჟეტის ფონად ამა თუ იმ კონკრეტული ძეგლის გამოსახულების ჩართვის შემთხვევებიც[4]. ეკლესიის ან მთელი მონასტრის ცალკე, დამოუკიდებლად გამოსახვის ფაქტს რაც შეეხება, მსგავსი მაგალითები ძალზე იშვიათია და ისინი, ფაქტობრივად, უნიკალურთა რიგს განეკუთვნებიან. ჩვენთვის ამგვარი სახის გამოსახულებების შესრულების მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაა ამჟამად ცნობილი. თითოეული, ცხადია, საგანგებო კვლევას იმსახურებს. წინამდებარე წერილი მხოლოდ ერთ-ერთ მათგანს - სამშვილდის ეკლესიაში მიკვლეულ გამოსახულებებს ეძღვნება

•

• •

საქართველოს ერთ-ერთი უძველესი ქალაქის - სამშვილდის - სხვადასხვა დანიშნულების მრავალრიცხოვან ნაგებობათა შორის[5] ფრესკები მხოლოდ სიონად სახელდებული ტაძრის აღმოსავლეთით მდებარე დარბაზული ტიპის ეკლესიას ამკობს. ნაგებობა ახლა საგრძნობლად დაზიანებულია - მისი კამარა მთლიანად არის ჩამოქცეული. ამის გამოა, რომ ეკლესიის ინტერიერში მოხატულობა მხოლოდ ნაწილობრივ, მკრთალი ფრაგმენტების სახითღა შემორჩა.

ფერწერული დეკორის დღემდე მოღწეულ ნაშთთაგან საგანგებო ყურადღებას დასავლეთი კედლის ქვედა რეგისტრის, აგრეთვე დასავლეთისავე კარის წირთხლთა ფრესკები იპყრობს. აქ ისტორიულ პირთა გამოსახულებები შეუსრულებიათ. კარის შიდა პირზე ერთმანეთის პირისპირ ორი ფიგურაა წარმოდგენილი, რომელთა ზემოთ, თაღზე, მრავალსტრიქონიანი ასომთავრული წარწერები შეუსრულებიათ (ორივე ტექსტი ახლა ფრაგმენტულია). ლიობის სამხრეთ კედელზე გამოსახულ საერო პირს ხელში დარბაზული ტიპის ეკლესიის მოდელი უჭირავს.

სატიტორო პორტრეტები ყოფილა წარმოდგენილი ეკლესიის დასავლეთი კედლის ქვედა რეგისტრშიც. აქ, კარის სამხრეთით, დიდებულთა ტრადიციულ შესამოსელში - კაბაში გამოწყობილი ფიგურაა წარმოდგენილი. ლიობის მარჯვნივ, მის ჩრდილოეთით ანალოგიურად მოსილი ორი ისტორიული პირის გამოსახულების მკრთალი ფრაგმენტები მოჩანს. განმარტებითი წარწერები აქ ერთიანად წარხოცილა.

აღნიშნული პორტრეტების კვლევის პროცესში ჩვენი ყურადღება მიიპყრო ეკლესიის

დასავლეთი კედლის ქვედა რეგისტრშივე, სახელდობრ, ინტერიერის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში შესრულებულმა ფრესკამ, რომელიც უშუალოდ ემიჯნება ისტორიულ პირთა ფიგურებს.

ესაა სამი გუმბათიანი ტაძრის ფერწერული გამოსახულება. იგი ამჟამად ძალზე დაზიანებულია - კედლის ქვედა ნახევარზე ნალესობა ალაგ-ალაგ დიდ ფართობზეა ჩამოშლილი, დარჩენილ ბათქაშზე კი მხოლოდ ფრესკის მოწითალო ფერის მოსამზადებელი ნახატის ერთობ მკრთალი, ძნელად გასარჩევი ფრაგმენტები შემორჩა.

ფრესკა უჩვეულოდ დიდი ზომისაა - 306 X I88 სმ: იგი იატაკის დონიდან სულ I5-ოდე სმ-ის სიმაღლეზე იწყება, ამასთან თანაბრადაა განაწილებული ეკლესიის ინტერიერის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში: როგორც დასავლეთ, ისე სამხრეთ კედელზე გამოსახულებებს დაახლოებით I50 სმ სიგანის მონაკვეთები უჭირავს. უჩვეულოდ დიდი ზომის გამო სამი გუმბათიანი ტაძრის ხედს ეკლესიის დასახელებულ მონაკვეთზე ფაქტობრივად მთელი რეგისტრი უჭირავს.

შემორჩენილი ფრაგმენტების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, სამივე ტაძარი ფრესკაზე ერთმანეთისაგან რამდენადმე განსხვავებულია. პირველ ყოვლისა, ეს მათი უჩვეულოდ მაღალი კორპუსების თაობაზე ითქმის, თუმც არაერთგვაროვანია გუმბათის ყელის სიგანე და სიმაღლე, გუმბათისავე გადახურვის დაქანება. ნაგებობები ღია ცისფერ ფონზე ყოფილა წარმოდგენილი.

მარცხენა ეკლესიის საბურავი ფრესკაზე ლაჟვარდისფერი ყოფილა - ამაზე დღეისათვის შემორჩენილი ის მკრთალი ფრაგმენტები (გაურკვეველი მოხაზულობის ლაქები) მიგვანიშნებს, გუმბათისა და კორპუსის ქანობებზე რომ შემორჩა. ეს კი, თავის მხრივ, იმაზე მიუთითებს, რომ აქ ცისფრად მოჭიქული კრამიტით დაბურული ტაძარი გამოუსახავთ. ფერწერული ფენის მკრთალი ლაქა შემორჩა გუმბათის ყელზეც - ესაა ღია მწვანე ფერის საღებავი (საგულისხმოა, რომ ანალოგიური ფერი გამოყენებულია ეკლესიის იმ მოდელზეც, რომელიც დასავლეთ კარის სამხრეთ კედელზე წარმოდგენილ ქტიტორს უჭირავს). გამოსახულების შემსრულებელ ოსტატს ეკლესიის მკლავების საბურავი მრავალჯერ სხვადასხვაგვარად მოუნიშნავს - ამაზე მოსამზადებელი ნახატის ის ფრაგმენტები მოწმობს, რომლებიც ნალესობის თეთრ ზედაპირზე შედარებით მკაფიოდ გაირჩევა.

გამოსახულების ქვედა მარცხენა ნაწილში მოჩანს მცირე მინაშენის (შესაძლოა ეკვდერის) ფრაგმენტიც. აქ ორი სარკმლის მონახაზიც გაირჩევა. მინაშენის ცალფერდა სახურავს ზემოთ შემორჩენილი მცირე ვერტიკალური ზოლი ასევე სარკმლის ნაშთი უნდა იყოს.

ყურადღებას იქცევს მომდევნო, შუა ტაძრის გამოსახულება - მისი მონახაზი შედარებით სრული სახით შემორჩა. ნაგებობის ვიწრო, მაღალი პროპორციების მქონე გუმბათისა მხოლოდ კონტური იკითხება. ფრესკაზე მოჩანს გუმბათქვეშა კვადრატის მარჯვენა ნახევარიც.

ეკლესიას მარცხენა (როგორც ჩანს, დასავლეთით) მხრიდან დიდი ზომის კარიბჭე აქვს მიდგმული. იგი ორქანობა სახურავითაა დაბურული, აქვს მაღალი, შედარებით ვიწრო ღიობი. დიდი ზომისავე კარიბჭე ეკვრის ეკლესიას წინა (საფიქრებელია, სამხრეთი) მხრიდანაც - ესაა თაღოვანი ნაგებობა, რომელიც ორფერდა სახურავს ქვეშაა მოქცეული; კარიბჭის ბურჯებზე ოსტატს კაპიტელებიც მოუნიშნავს (მცირე ზომის სწორკუთხედების სახით). კარიბჭის მარჯვენა თაღოვანი ღიობის ქვეშ ეკლესიის ერთ-ერთი სარკმელიც მოჩანს. სარკმელი - თუმცა ამჯერად შედარებით ფართო, ამასთან სწორკუთხა მოხაზულობისა - უნდა იყოს მონიშნული კარიბჭის აყოლებითაც.

როგორც პირველ, ისე მეორე ტაძარს ქვედა კიდეზე ორმაგი ზოლი გასდევს. ჩანს, ამგვარი ხერხით ფრესკაზე ნაგებობათა ცოკოლი იქნა მონიშნული. შუა ეკლესიის მარჯვენა კარიბჭის ქვეშ დამატებითი მესამე ზოლის ფრაგმენტიც გაირჩევა.

მესამე, ჩრდილოეთ კედელზე განთავსებული გამოსახულება გუმბათიანი ტაძრისა წინა ორთან შედარებით ფრაგმენტული სახით შემორჩა. ნალესობის ჩამოშლის გამო მისი ქვედა ნახევარი ახლა ერთიანადაა დაღუპული, ბათქაშის დარჩენილ მონაკვეთზე კი ოდნავღა გაირჩევა გუმბათის ყელი მაღალი, კონუსური საბურავით, ვიწრო სარკმლის ზედა ფრაგმენტი გუმბათზევე (მის ცენტრში), აგრეთვე მკლავების ორქანობა სახურავთა ფრონ-

ტონების) კონტური.ნაგებობების კორპუსის შუა ნაწილში დიდი ზომის თაღოვანი ღიობის მოხაზულობაცაა.

თუ რა უნდა ყოფილიყო გამოსახული ამ ბოლო ტაძრის აღმოსავლეთით (მის მარჯვნივ), ახლა უცნობია – ეკლესიის ჩრდილოეთი კედლის დასახელებულ მონაკვეთზე ნალესობა ასევე შემორჩა, თუმც აქ დღეისათვის მხოლოდ მკრთალი, გაურკვეველი მოხაზულობის ლაქები მოჩანს.



სამშვილდის დარბაზული ტიპის შვერილაფსიდიანი ეკლესია, რომლის ფერწერულ შემკულობაშიცაა ჩართული გუმბათიან ტაძართა ზემოთ აღწერილი გამოსახულებები, დიდი ხანია ცნობილია სამეცნიერო ლიტერატურაში. ჯერ კიდევ 1905 წელს ე. თაყაიშვილმა, მოკლე აღწერასთან ერთად, გამოაქვეყნა ძეგლის ლაპიდარული და ისტორიული ხასიათის ფრესკული წარწერები, სახელდობრ, დასავლეთი კარის კედლებზე წარმოდგენილი ორი საერო პირის გამოსახულების თანმხლები ასომთავრული ტექსტები. წარწერები უკვე იმხანად საგრძნობლად ყოფილა დაზიანებული, თუმც მათი ცალკეული ნაწილების ამოკითხვა მკვლევარმა მაინც შესძლო. წაკითხულ ფრაგმენტთა მიხედვით აღდგენილი ტექსტიდან ცხადი გახდა, რომ ვინმე ერისთავთ ერისთავს და მის მეუღლეს დარეჯანს სამშვილდეში აუგიათ წმ.თევდორეს ეკლესია, ხოლო ერისთავთ ერისთავმა და იპერტიმოსმა ავაგ ხორსიძემ აფხაზთა, ქართველთა, რანთა და კახთა მეფეთა, მეფის დავითისა და მისი ძის ზეობისას შესწირა ეკლესიას მამული. ე. თაყაიშვილს იქვე მოჰყავს ეკლესიის დასავლეთ ფასადზე, კარს ზემოთ მოთავსებული საგრძნობლად დაზიანებული ლაპიდარული წარწერის მის მიერ ამოკითხული ფრაგმენტიც („სახელითა ღ^თისათა ბრძანებითა დ^თ [მეფისა]"); სამივე ტექსტი, ავტორის მიხედვით, სამშენებლო ხასიათისაა, ისინი დავით აღმაშენებლის დროს იქნა შესრულებული, ე.ი. არა უგვიანეს XII ს-ის პირველი მეოთხედისა[6].

1980 წელს სამშვილდის დარბაზული ეკლესიის ფრესკულ წარწერათაგან ერთ-ერთი ვ.სილოგავას და გ. გაფრინდაშვილის მიერ ხელახლა იქნა შესწავლილი. ტექსტის ძველსა და ახალ წაკითხვათა შორის საგრძნობი განსხვავებაა, თუმც, ე. თაყაიშვილის მსგავსად, ხსენებული ავტორები ასევე მიუთითებენ, რომ „წარწერა სააღმშენებლო ხასიათისაა, შეეხება სამშვილდის ციხეში ეკლესიის აგებას. მშენებლები ყოფილან სახელმწიფოს დიდი მოხელე ერისთავთ-ერისთავი და მისი მეუღლე... წარწერა პალეოგრაფიულად და ისტორიული რეალიებით უეჭველად XII საუკუნისაა, უკეთ, XII საუკუნის პირველი მეოთხედისა, დავით აღმაშენებლის დროისა (1110-1125 წლებს შუა)"[7].

საკტიტორო ფრესკული წარწერის ამგვარი დათარიღება, ბუნებრივია, ეკლესიის მოხატულობის შექმნის ქრონოლოგიურ ჩარჩოებსაც (ზოგადი სახით მაინც) განსაზღვრავს. აქედან გამომდინარე, გუმბათიანი ტაძრების აქ ჩართული გამოსახულებებიც დასახელებულ პერიოდს უნდა ეკუთვნოდეს.

აღწერილ გამოსახულებათა საგრძნობი დაზიანების გამო მათი მხატვრული გადაწყვეტის შესახებ საუბარი ახლა ფაქტობრივად შეუძლებელია. ტაძართა დიდი ზომები, უნდა ვიფიქროთ, თითოეული ნაგებობის დეტალთა დაწვრილებით გადმოცემის საშუალებას აძლევდა ფრესკის შემსრულებელ ოსტატს. თუ რამდენად ზედმიწევნით იქნა გამოყენებული ეს შესაძლებლობა, ახლა უცნობია. გამოსახულებათაგან დღეისათვის დარჩენილი კონტურული ნახატის მიხედვით ჩანს, რომ ნაგებობები ფრესკაზე ისევე სიბრტყობრივად იქნა გადმოცემული, როგორც საკტიტორო პორტრეტებში დადასტურებულ მოდელებზე. აღნიშნულის მკაფიო მაგალითი შუა ეკლესიის წინ გამოსახული კარიბჭეა – მისი სამივე ფასადი ფერმწერს ერთ სიბრტყეში გამოუსახავს.

ეკლესიის ეს სამი უზარმაზარი გამოსახულება რომ აქვე წარმოდგენილ ქტიტორულ პორტრეტთან არის დაკავშირებული, ეს ეჭვს არ უნდა იწვევდეს. სამწუხაროდ, განმარტებითი წარწერების დაღუპვამ შეუძლებელი გახადა არა მარტო ისტორიულ პირთა იდენტიფიკაცია; უცნობი რჩება მათ გვერდით წარმოდგენილი სამი გუმბათიანი ტაძრის სახელებიც. მიუხედავად ამისა, სამშვილდის მცირე დარბაზული ეკლესიის XII ს-ის პირველი ნახევრის ფერწერულ შემკულობაში ასეთი ტიპის გამოსახულებათა ჩართვა სრულიად უნიკალური მოვლენაა.

გვიანანტიკური პერიოდისა და ადრექრისტიანული სახვითი ხელოვნების ძეგლებში ცალკეულ ნაგებობათა თუ მთელი ხუროთმოძღვრული ანსამბლების გამოსახულებათა არსებობის ფაქტი დიდი ხანია, რაც მკვლევართა ყურადღებას იპყრობს. ამის თაობაზე არაერთხელ დაიწერა კიდეც[8]. სამშვილდის გამოსახულებათაგან განსხვავებით, დღემდე მოძიებული და გაანალიზებული ნიმუშები უმეტეს შემთხვევაში კარგადაა შემონახული და ისინი მათი მხატვრული გადაწყვეტის თაობაზე მეტ-ნაკლები სისრულით მსჯელობის საშუალებას იძლევა. ფრაგმენტულობის მიუხედავად, ზემოთ განხილული გამოსახულებები ამგვარი რიგის ძეგლთა შორის იკავებს ადგილს, როგორც ერთ-ერთი მცირე, მაგრამ უდავოდ საინტერესო წყარო ძველი ქართული ხელოვნების ისტორიის კვლევისას.

## ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

1. Р.С.М е п и с а ш в и л и Рельефы рубежа X-XI вв. со сценами строительства в храме у селения Корого, "Советская археология", 1969, № 4, с.219-234.

2. ვ. ბ ე რ ი ძ ე, XVIII საუკუნის ქართველ ხუროთმოძღვართა ნახაზები, საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. XIV-B, 1947, გვ. 219-236; მისივე, XVI-XVIII საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრება, თბ., 1983, გვ. 19 და შემდ.

მსგავსი სახის გამოსახულებათა რიგს აკუთვნებენ სოფ. ლიპის ეკლესიის სამხრეთი მინაშენის კარის არქიტრავის რელიეფსაც, თუმც ვარაუდი იმის თაობაზე, რომ აქ რომელიღაც დარბაზული ტიპის ეკლესიისა და მისი მინაშენის სქემატური გეგმის მონახაზი უნდა იყოს წარმოდგენილი, შემდგომ დასაბუთებას საჭიროებს (იხ. თ. ბარნაველი, სოფელ ლიპის ეკლესიის ერთი არქიტექტურული დეტალი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. 56, №3, 1969, გვ. 757-760).

3. შდრ. რელიეფები: აშოტ კურაპალატისა ოპიზიდან (IX ს-ის პირველი მესამედი), საკტიტორო გამოსახულებები ტყობაჲ – ერდის, ქოროღოს, ფეტობანის, კვაისა ჯვარის, ბრეძას, შეპიაკის, ოშკის, ურაველის აგარის მონასტრის, ორჯას ეკლესიებზე (ყველა X ს.), საურმაგის ძის ნიღვარაის რელიეფი ჯავახეთის ახაშენიდან (XI ს-ის დასაწყისი).

ფრესკები: ოთხთა ეკლესია (X ს.), უდაბნოს მონასტრის მთავარი ეკლესია (X ს-ის მიწურული), ბეთანია (XII ს.), ვარძია (1184-1185 წწ.), ყინცვისი (XIII ს-ის დასაწყისი), რკონის მონასტრის ბაზილიკის სადიაკვნე (XIII ს.), ქობაირის მთავარი ტაძრის ჩრდილოეთი ეკვდერი (XIII ს-ის მესამე მეოთხედი), უდაბნოს მონასტრის ხარების ეკლესია (1280-იანი წწ.), საფარის მონასტრის წმ. საბას ეკლესია (XIV ს.), სორი (XIV ს.), ნაბახტევი (1412-1431 წწ.) და სხვ. ლიტერატურა ქვემოთ ძეგლთა თანამიმდევრობის მიხედვითაა დასახელებული – Н.А.А л а д а ш в и л и. Монументаль-

ная скульптура Грузии, М., 1977, Таб.63 (ოპიზა), 72 (ფეტობანი), 69 (კვაისა ჯვარი); Материалы по археологии Кавказа, том I, 1888, с.18 и сл., Табл. I; Р.С. Меписашвили, დასახ.ნაშრომი,გვ.227,სურ.3,7; Н. Чубинашвили, Зедазени, Кликис Джвари, Гвиара, Ars Georgica, 7-А, 1971, с.55-56, таб.УII-3; А.Д. Рчеулишвили, Один из памятников Х века в Триалетском Эриставстве, Ars Georgica, 6-А, 1963, с. 179, таб. 72-I; W. Djobadze, The Donor Reliefs and the Date of the Church at Oski, "Byzantinische Zeitschrift", Bd.69., 1976, Heft 1, S. 39-62, Abb.4,5,7, Taf. IX-X, XIII, XIV; Н. Чубинашвили, Церовани, Тб., 1976, Таб. 23; ნ. ჩუბინაშვილი, საურმაგის ძის ნიღვარაის რელიეფი ჯავახეთის ახაშენიდან, Ars Georgica, 5, 1959, გვ. 137,145, ტაბ. 98: N. et M. Thierry, Peintures du X[e] siècle en Géorgie Méridionale et leurs rapports avec la peinture byzantine d'Asie Mineure, "Cahiers Archéologiques", t.XXIV,1975,p.78,fig.5გ. აბრამიშვილი, დავით გარეჯელის ციკლი ქართულ კედლის მხატვრობაში, თბ.,1972, გვ. 75, სურ. 10-16; Г.В.Алибегашвили, Светский портрет в грузинской средневековой монументальной живописи,Тб.,1980, с. 17, 19, рис. I, Таб. 4 (ვარძია), с. 54, Таб. 32 (უდაბნოს მონასტრის ხარების ეკლესია); ნ. ჩოფიკაშვილი, ქართული კოსტიუმი (VI-XIV სს.), თბ., 1964, გვ. 35-36; ზ. სხირტლაძე, XIII საუკუნის ქართული კედლის მხატვრობის ისტორიისათვის (ქობაირის სამონასტრო კომპლექსის ეკვდერის მოხატულობა), ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის XXVI სამეცნიერო სესია, თეზისები, თბ., 1981, გვ. 31-33; გ. ხუციშვილი, ჯგუფური ისტორიული პორტრეტი საფარის მონასტრის წმ. საბას ტაძარში, მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1971, №1, სურ. 1; ი. ჭიჭინაძე, სორის მოხატულობა, თბ., 1985, გვ. 4, სურ. გვ. 64-ზე; ი. ლორთქიფანიძე, ნაბახტევის მხატვრობა, თბ., 1973, გვ. 22, სურ. 3, ტაბ. VII-I.

4. ასეთთა რიცხს ეკუთვნის „სვეტიცხოვლის" მოხატულობის ერთ-ერთი სცენა, რომელშიც თავად მცხეთის კათედრალის გამოსახულებაა ჩართული (ვ. ბერიძე, მცხეთის კათედრალის „სვეტი-ცხოველი" და ქართლის მოქცევის სიუჟეტები მის ფრესკებში, საქართველოს მუზეუმის მოამბე, XV-B, 1948, გვ. 150-151, სურ. 5); დავით გარეჯელის ცხოვრების ამსახველი ციკლის სცენათა ნაწილი მრავალმთის უდაბნოს მონასტრის მთავარი ტაძრის სადიაკვნეს მხატვრობაში (გ. აბრამიშვილი, დავით გარეჯელის ციკლი ქართულ კედლის მხატვრობაში, გვ. 29 და შემდ.); შ. ამირანაშვილის აზრით, სვეტიცხოველი გამოსახავთ საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში დაცულ XVI ს-ის ფსალმუნის მინიატურაზე (Ш.Я.Амиранашвили,Грузинская миниатюра, М.,1966, с. 36, Таб.75), თუმც, ვ. ბერიძის მითითებით, გამოსახულება ამგვარი ვარაუდის საფუძველს არ იძლევა (ვ. ბერიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 151, შენ.1).

5. სამშვილდის შესახებ ბევრი დაწერილა. დავასახელებთ ძირითად ნაშრომებს: ლ. მუსხელიშვილი, სამშვილდის სიონის წარწერები და აშენების თარიღი, ენიმკის მოამბე, ტ. XIII, 1943, გვ. 85-106;Н.Чубинашвили, Самшвилдский Сион,Тбилиси,1969; ლ. ჭილაშვილი, ქალაქები ძველ საქართველოში, ტ. II, თბ., 1970, გვ. 117-124; დ. ბერძენიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან (ქვემო ქართლი), ნაკვ. I, თბ., 1979; გ. აფრასიძე, საქართველოს შუა საუკუნეების ქალაქები, თბ., 1984, გვ. 36-37.

6. Е.С.Такаишвили, Археологические экскурсии, разыскания и заметки,вып.II, Тифл., 1905, с.43-45.

7. ა. ბარამიძე, სამშვილდის წარწერის დარეჯანი, „მრავალთავი", X, 1983, გვ. 25.

8. Д. Айналов, Детали палестинской архитектуры и топографии на памятниках христианского искусства, "Сообщения императорского православного палестинского общества", т.УI, 1896, с.335-361; D. Gaborit-Chopin,

Un dessin de l'église d'Aix-la-Chapelle par Adémar de Chabannes dans le manuscrit de la Bibliothèque Vaticane, "Cahiers Archéologiques", t.XIV,1964, p.233-235; A. G r a b a r, Plotin et les origines de l'esthetique, შესულია მკვლევარის სამტომეულში -L'art de la fin de l'Antiquite et du Moyen Age, I, Paris, 1968, p. 15-29; N. D u v a l, Representations d'églises sur mosaïque "La revue du Louvre",N6, 1976, p. 441-448; მისივე, Une basilique à Tours sur une mosqique du Louvre, "Revue archéologique", Nouvelle serie, 1972, fasc.2, p. 365-372; ავტორთან დასახელებულია P.Lamp-ის წერილი Schemes of Architectural Representation in Early Medieval Art, "Marsyas",IX, 1960-1961, p.6-13, რომლის მოპოვებაც ვერ შევძელით. იხ. აგრეთვე - F. B a r a t t e, N. D u v a l, Catalogue des mosaiques romains et paleochrétiennes du musée du Louvre, Paris, 1978, p.149-153, pl. 151-154; М. М и л ь ч и к, Источниковедческие аспекты изучения архитектурного пейзажа древнерусской живописи, "Russia Mediovalis", tomus V/I, 1984, c.52-58.

კ. ჩოლოყაშვილი

## ქვემეხები ქართული ასომთავრული წარწერებით

(ტაბ. VII-VIII)

საქურველზე ქართული წარწერები უმეტესად მხედრულითაა შესრულებული[I]. გამონაკლისს სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცული შუბი[2], ასევე ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო და ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში ექსპონირებული ორი ქვემეხი წარმოადგენს, რომლებზედაც ასომთავრული წარწერებია.

დასახელებულ ქვემეხებზე წარწერები ამოღარვითაა შესრულებული, რისთვისაც ასოებს ჯერ წინასწარ მონიშნავდნენ, შემდეგ კი საგანგებოდ „კალმით" ამოტვიფრავდნენ.

ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცული ქვემეხი მეფე თეიმურაზ II-ს (1744-1762 წწ.) უკავშირდება. მისი ფოტო გამოქვეყნებულია ორჯერ „საქართველოს ისტორიის ნარკვევებში"[3] და ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში[4]. ქვემეხი წარმოადგენს მუქი მწვანე ფერის ბოლოდან პირისაკენ თანდათან შევიწროებულ ლულას (სიგრძე - 195, დიამეტრი 0,15 სმ. ტაბ. VII), რომელიც შემკულია რელიეფური და გეომეტრიული სახეებით. ქვემეხს შუა წელზე აქეთ-იქით მიმაგრებული აქვს სახელურები და რგოლები ორი ყურით, ქვემეხის ბოლოში მოთავსებულია დაბალი კონუსური ფორმის საპატრუქე ჭრილი. ქვემეხზე ამოტვიფრულია გეომეტრიული არე, რომელზედაც გამოსახულია პატარა ჯვარი და წარწერა: „                    " (სურ. I). ქვემეხის ტუჩზე სამიზნე ნაწიბურია მოთავსებული. აქვე ამოტვიფრულია აყვავებული ჯვარი და ოთხციფრიანი თარიღი (სურ. 2), რომლის მესამე ციფრი კარგად არ ირჩევა, იგი უფრო „5"-ს მიაგავს (1750), რაც თეიმურაზ II-ს მეფობას ემთხვევა. თეიმურაზ II-ის ქართლში გამეფებისას და მის თბილისში შემოსვლისას „იყო შუდლუხი ზარბაზანთან"[5]; თეიმურაზის პოეზიაში („აქა ომის ამბავი") მეფე-პოეტი ქვემეხებს მოიხსენიებს -

„რა შეიქმნას მტერი მტერზე ერთმანეთზე მიწეული,
ჯერ დასცლიან ზარბაზნებსა, ხმა აქვს ზეცას აწეული[6].

„ხელმწიფე ადგეს გარშემო ციხესა, - მართებს შიშობა,
ყუმბარის სროლა, ზარბაზნის და ნაღმის მიცემულობა"[7].

XVII-XVIII სს. საბრძოლო ოპერაციებისას ქვემეხით ბრძოლა უკვე ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს. თეიმურაზ II-ს და გივი ამილახვრის ერთ-ერთ ბრძოლას კეხვის ციხესთან პაპუნა ორბელიანი ასე აღწერს: „... ბარათაშვილმა სიამ უზბაშმა გამოიჩი-

---

I. კ. ჩ ო ლ ო ყ ა შ ვ ი ლ ი, თოფი ქართული წარწერით, საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. XVI , 1953, გვ. 197-203.

2 ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, არქეოლოგიური მოგზაურობა ლეჩხუმ-სვანეთში, პარიზი, 1910, გვ. 273.

3 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, 1973, გვ.593.

4 ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. I, „არტილერია".

5 მიუხედავად იმისა, რომ ნაშრომში მოყვანილ ციტატებში ტერმინი ზარბაზანი იხმარება, ჩვენ კი ქვემეხს ვხმარობთ, რადგან სალხან-საბა ორბელიანის თქმით, „ზარბაზანი"-დიდი თოფია, ქართულად ქვემეხი ჰქვიან".

6 თ ე ი მ უ რ ა ზ  მ ე ო რ ე, თხზულებათა სრული კრებული, 1939, გვ. 87.

7 იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნა სროლა ზარბაზნისა და ყუნბარის – ასე ესროდეს, რომ ხელმწიფის მოყუმბარე – მეზარბაზნე დანასნა. მერე უბრძანა საამას უზბაშს და გაისტუმრა, თოფხანა წარავლინა კეხვის ციხესა, დაუწყეს სროლა ციხესა კეხვისას ზარბაზანითა და ყუნბარითა"[8].

დასახელებული ქვემეხი ყურადსაღებია იმ მხრივაც, რომ ის წარწერის მიხედვით შესაძლებელია თბილისში დამზადებულად მივიჩნიოთ. ჩვენს დედაქალაქში ქვემეხის დამზადების შესახებ არა ერთი ავტორი აღნიშნავს (ნ.ბუტკოვი[9], დ. ბურნაშოვი[10], დელაპორტი[11], უსახელო ავტორი[12], ა. კლიმიაშვილი[13] და სხვები). მათი ცნობით, XVIII ს. თბილისში ცეცხლმფრქვევი იარაღ–საჭურველის ჩამოსასხმელი ქარხანა ყოფილა, სადაც ქვემეხებს, მორტირებს და მათთვის ყუმბარებს ამზადებდნენ. აღნიშნულ ქარხანას აღამაჰმად–ხანის შემოსევამდე უარსებია. თბილისის ამაოხრებელს ქარხანაც გაუნადგურებია, ხოლო იქ მომუშავე ოსტატები კი სამუშაოდ თეირანში გადაუსახლებია[14].

ქვემეხი, რომელიც ნ. ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ–ეთნოგრაფიულ მუზეუმშია ექსპონირებული, შავი ფერისაა, პირისაკენ თანაზომიერად წვრილდება, ხოლო პირთან საგრძნობლად გაგანიერებულია (ქვემეხის სიგრძე – 175 სმ–ია, დიამეტრი 0,79 სმ), ქვემეხზე ასომთავრულით შესრულებულია შემდეგი წარწერა: – „ჩვენ ყოვლისა საიმერეთოსა მეფე სოლომონ დავითიანი, ქ. ზუგდიდს რომ აფხაზი, ჯიქთ და ალანთ შევებენით, მაშინ ღვთის შეწევნითა ვსძლიეთ თორმეტ ათას კაცს და ეს ზარბაზანი და მეორე ამის ტოლი ზარბაზანი მისი ჯაბახანით გაწყობილი თვით ჩემის ხელით მე ვიშოვნე და მოდინახეს ციხეს უძღვენი აღიწერა მარტს კ წელსა ჩპო"[15]. (სურ.3)[16]. წარწერის ქვეშ მიწერილია 510 (ტაბ. VIII).

ამ ბრძოლას ნ.დადიანი ასე აღწერს: „აფხაზეთსა შერვაშიძენი ზურაბ,ქელიაშ–აჰმად-ბეგ და ბექირ–ბეგ.ამით შეიკრიბნეს ჯიქნი,ალანნი,ზუხუა და მაზუდი და მასთან აფხაზეთი და წარმოემართნენ დადიანის ზედა"[17],ხოლო პოეტი ბესიკი შემდეგს აღნიშნავს: „ყირიმელთ, ჯიქელთ, ალანელთა, კე არგელთ ამცნეს ცნობითა, ყივჩაღთა შემოწვევდნენ, ენდობოდნენ სჯულის ძმობით, აფხაზნი შეეფიცოდნენ ქრთამთა და აგრეთ ძღვნობითა, და მეგრელთა სისხლი სწყუროდათ, თუმცა შეესვათ ძმობითა"[18].

თურქთა მიერ მოწყობილ ამ ლაშქრობაში ექვს ენაზე მოლაპარაკე მოლაშქრეები იღებდნენ მონაწილეობას. ბესიკის ცნობით: „ექვსი გვარნი ექვს ენითა ერთხმობდნენ ბევრის ბევრად"[19].ნ.დადიანის გადმოცემით:„შეიყარა სრულიად აფხაზეთი თავისი ბატონებით შერვაშიძეები, ჯიქნი, ალანნი და ჩერქეზნი, სხვანი კიდევ უცხო ჯარებით იყო... ცხენოსანი და ქვეითი... ჯაბახანით, თოფხანით, ზარბაზნებით[20]. ამ ქვემეხებით „მეორესა დღესა ამხედრდნენ აფხაზნი და წარმოემართნენ ზარბაზან–არტილერითა და დიდძალითა მე–

---

8 პ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ამბავი ქართლისანი, 1981, გვ. 92.

9 Н. Б у т к о в. Материалы для новой истории Кавказа, ч.т. Санкт-Петербург, 1869, с.287.

10 Б у р н а ш е в. Картина Грузии или описание политического состояния царства Карталинского. Тбилиси, с.276.

11 П. И о с е л и а н и. Описание древности г.Тбилиси, с.276.

12 Исторические записи о странах, лежащих между Черным и Каспийским морями, Санкт-Петербург, 1910, с.45, Ист.Кавказа, I.

13 ა. კ ლ ი მ ი ა შ ვ ი ლ ი, საარტილერო მშენებლობა აღმოსავლეთ საქართველოში XVII ს.II ნახევარი,ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე,IV,თბ.,1962,გვ.263–75.

14 თ.ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი,დავით ბაგრატიონის ისტორია, 1972, გვ. 39.

15 1780 წ. 20 მარტი.

16 გ.ნ ი კ ო ლ ა ი შ ვ ი ლ ი, ისტორიული მასალები, ნ.ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის ისტორიულ–ეთნოგრაფიული მუზეუმის მასალები,ტ.III,1978, გვ. 103.

17 ნ. დ ა დ ი ა ნ ი, ქართველთა ცხოვრება, 1962, გვ. 180.

18. ბ ე ს ი კ ი, თხზულებანი, 1962, გვ. 123.

19 ბ ე ს ი კ ი, იქვე, გვ. 124.

20 ნ. დ ა დ ი ა ნ ი, იქვე, გვ. 180.



510

ფესა და დადიანსა ზედა"[21].

თურქეთის პროვოკაციას ქართველთა მოძმე ტომები როცა აჰყვნენ, მაშინვე, კაცია II დადიანმა (I764-I788 წწ.) თავის სიძეს[22] სოლომონ I (I752-I784 წწ.) შეუთვალა: „მოვიდნენ აგარანნი დასამხობელად ჩემდა და სამფლობელოისა ჩემსა"[23]. ამასთან ერთად კაცია II-მ სოლომონ I მოაგონა თავისი დახმარება „და აჰა ჟამი მოიხსენიო მსახურება ჩემი ხრესის ბრძოლისა"[24]. ამის შემდეგ გუშინდელი მტრები – სიძე და ცოლის ძმა შერიგებულან და რუხის ციხესთან საბრძოლველად სოლომონ I და კაცია II თურქეთის აგრესიის წინააღმდეგ ერთად გამოსულან. როგორც ი. გეგეჭკორის პოემიდან „რუხის ბრძოლა" ჩანს, ბრძოლის წინ მათ მოწინააღმდეგეებს მეფესთან ჯერ მოლაპარაკება დაუწყიათ:

უ ჩარდია „წარდგება მეფე მთავარ–თან, იტყვის ამბავთა მრთელობას,
ამბობს თავის ლაშქართ ქებასა და გამარჯვების ძნელობას"[25].

---------------

21 ს.ც.ია.ფ. I448. ს. 34I2.

22 სოლომონ I-ის მეუღლე კაცი II-ის და იყო.

23 ნ. დ ა დ ი ა ნ ი, იქვე, გვ. I80.

24 ნ. დ ა დ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრ., გვ. I80.

25 ი. გ ე გ ე ჭ კ ო რ ი, რუხის ბრძოლა, ანუ ცხოვრება დიდის მეფის სოლომონისა, I895, გვ. I2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ დროს ბექირ-ბეგ შერვაშიძემ სოლომონ I-ს ამ ქვემეხებიდან ესროლა:

„ამ დროს ზარბაზანი გასწყვეტს მისის ნებისა მქნელობას,
და ხმა, დიდი ქუხვა და გგერა ლაშქართა მისცემს მშლელობას,
თხის და ხუთის მომკვლელი ტყვია მეფის წინ დავარდა,
მხილველი ამის, მგზნებარე მეფე მკვირცხლად ავარდა"[26].

ღალატის გამოაშკარავების შემდეგ სოლომონ I-მა ბრძანა:

„აფხაზნო გინდოდათ, მოგეკალთ ჩვენ მუხთლობითა,
მაგრამ ღმერთმან მოგვარჩინა, ცნახოთ ვინ ჰსჯობს გულადობითა,
წადი ახლავ გამეცალე, არ მოგკლავ დიდი-სულობითა
და ბექირ-ბექსუთხარ შემომხვდეს, შავით ვიქმნები ცმულობითა"[27].

რუხის ციხესთან ომში სოლომონ I-ს და კაცია II-ს მტერი დაუმარცხებიათ, რის შემდეგ სოლომონ I-ს ბრძოლის ველიდან სხვა დიდ ნადავლთან ერთად სამეგრელოს თავადები „ჩიქოვანი და ფაღავები ზარბაზანთ მოართმევდთან"[28]. ქვემეხის წარწერიდან, როგორც ვგინდება დასახელებული ქვემეხები სოლომონ I-ს მოდინახეს ციხისათვის შეუწირავს - „მოდინახეს ციხეს ორივე უძლეველი", აღნიშნავს მეფე.

საქართველოში ნადავლი საჭურველის სალოცავებში შეწირვის მაგალითები სხვაც გვაქვს. მაგ., მრავალძლის ეკლესიაში ქეცნა ამირაჯიბის მიერ შეწირული ყოფილა ჯალალ-ედინის მუზარადი[29] და დაჭაურას მიერ ერთ-ერთი ხანის მუზარადი აფხუშის ხატში იყო დაცული[30] და სხვ.

ქვემეხზე შესრულებულ წარწერას ისტორიული დოკუმენტების მნიშვნელობა აქვს. ქვემეხის წარწერიდან ჩანს, რომ მოწინააღმდეგის ლაშქარი I2 000 ყოფილა, მაშინ, როცა ს. მაკალათიას ცნობით, ბრძოლაში II 000 კაცი იღებდა მონაწილეობას[31]. მისი დათარიღებით, ბრძოლა I770 წ. მომხდარა[32]. ს. კაკაბაძის აზრით, კი რუხის ბრძოლა I779 წ. მიწერილი თარიღდება[33]. ნ. დადიანი რუხის ბრძოლის შესახებ აღნიშნავს, რომ ის I780 წელს ჩატარებულა[34], რაც ქვემეხის წარწერით უფრო ზუსტდება: „აიწერა მარტსა კ წელსა. ჩპჲ" (I780 წ. 20.III).

---

26 იქვე.

27 იქვე.

28 იქვე.

29 ქ. ჩოლოყაშვილი, საქართველოს სახ. მუზეუმის საჭურველის ფონდის ისტორიისათვის, საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. XXII გვ. 387.

30 ვაჟა-ფშაველა, ეთნოგრაფიული წერილები, თბილისი, 1937, გვ.I50.

3I ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, I94I წ. გვ. I43.

32 იქვე.

33 ს. კაკაბაძე, ივრეთის საბუთები თარხნობის შესახებ (სსრ შსს საარქივო სამმართველოს მოამბე- ტ. V, I950, გვ. I74.

34 ნ. დადიანი, დასახ. ნაშრ., გვ. I80.

К. К. Ч о л о к а ш в и л и

## ПУШКИ С ГРУЗИНСКИМИ НАДПИСЯМИ


Р е з ю м е

(Табл.УП–УШ)

Сохранившиеся на оружии грузинские надписи в большинстве случаев выполнены старо-грузинским письмом - "мхедрули". В этом отношениии исключение составляют пушки, хранящиеся в Государственном Музее Грузии имени С.Н.Джанашиа и в Кутаисском историко-этнографическом музее им.Н.Бердзенишвили, на которых грузинские надписи выполнены заглавными буквами "асомтаврули".

На пушке Государственного Музея Грузии следует надпись асомтаврули: "Царь Теймураз I750 г.", что совпадает с царствованием Теймураза П.

В надписи пушки Кутаисского музея упоминается имеретинский царь Соломон П и К.Дадиани, совершившие 20 марта I780 года подвиг, победив турок у крепости Рухи, и что пушки были пожертвованы Рухской крепости.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ. ც ი ს კ ა რ ი შ ვ ი ლ ი

## რუსულ ზარებზე მოთავსებული ქართული წარწერები

როგორც ცნობილია, საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული და დღემდე შემორჩენილი ზარები ორ მთავარ ჯგუფად შეიძლება გაიყოს: ადგილობრივი წარმოების, ე.ი. ქართული და შემოტანილი – რუსული[1]. არცთუ იშვიათად ამ რუსულ ზარებზე, საქართველოში შემოტანის შემდეგ ქართულ წარწერებს უკეთებდნენ მათი ეკლესიებისათვის შემწირველნი. ოთხი ასეთი წარწერა ქვეყნდება წინამდებარე სტატიაში, რომლებიც საქართველოს სახელმწიფო მუზეუმშია დაცული. ოთხივე წარწერა მხედრულია.

### I. 1686 წ. მელენტის ღვთისმშობლის ეკლესიის ზარის წარწერა

ქ:. ნებითა:. და:. შეწევნითა:. ღთისათა:. ესე:. ზარი:.
შევსწირე:. მე:. ბეჟან:. ცალქალამანიძემან:. სასაფლაოსა:. ჩემსა:.
ყოვლაწმინდასა:. მელენტისა:. მღთის:. მშობელს:. ჩემის:. სულის:.
მეოხად:. ქორონიკონსა:. ტოდ:. ცალქალამანიძის:. სახლში:. მივიდეს:.
გუდალეთს:. გუდალეთს:.

როგორც წარწერაშია ნათქვამი – ზარის შემწირველი ცალქალამანიძე გუდალეთიდან მოყოლა, და საყურადღებოა, რომ ამჟამად ამ სოფელში ცალქალამანიძეები აღარა ცხოვრობენ (კასპის რაიონშია).

დღესდღეობით ჩვენთვის ცნობილ, რუსულ ზარებზე მოთავსებულ ქართულ წარწერათაგან, ეს წარწერა ადრინდელია, და ამდენად დიდმნიშვნელოვანი საბუთი იმისა, რომ თუ უფრო ადრიდან არა, XVII საუკუნის ოთხმოციანი წლებიდან მაინც შემოჰქონდათ საქართველოში რუსული ზარები.

### 2. 1748 წ. სალადროს ეკლესიის ზარის წარწერა

წარწერაში გვხვდება ა მეტობა და ასოთა დაკლება

ბეჟან. ბეგისაგან. შეწირული. იყო. თავის. აშენებული. სალადროს წამინდაა.
სატეფანის. ავლანმა. და. ქართველმა. გორი. აიკლეს. დატყავევალა. ქსანზე.
დავიხსენით. ჩვენ. ხითარანთ. ბაიმის. შვილმა. გიორგიმ. ჩემ(მ)ა. ძ(მ)ამა.
დავითმა. შვილთა. ჩვენთა. შევწირ(ე)თ. ისევა. წამინდა. სტეფანსა. ჩვენდა.
ჩვენი. დედა. მამის. და. ჯალაბის. მოსახსენებლ(ა)თა. ენაკენის. თავის.
ნახევარს. ესა. და. ამისი. ცალი. ქკს. უ–ლვ.

სალადროს ეკლესია ალბათ გორში იდგა, რადგან, როგორც წარწერაშია ნათქვამი – გორის აოხრებისას დაუტყვევებიათ ზარი.

საყურადღებოა წარწერის ცნობა–ავლანელები რომ გორს აოხრებდნენ, ქართველებმაც მიიღეს მასში მონაწილეობა. ეს ამბავი მოთხრობილი აქვს პაპუნა ორბელიანსაც[2].

### 3. 1819 წ. იოანე მაყაევის ზარის წარწერა

წარწერის დასაწყისში დასმულია პატარა, ტოლმკლავა ჯვარი.

---

[1] ვ. ც ი ს კ ა რ ი შ ვ ი ლ ი, ქართული ზარები, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, 1982, გვ. 153.

[2] პ ა პ უ ნ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, საქართველოს ცხოვრება, მეორე გამოცემა, ზ. ჭიჭინაძის მიერ, 1913, გვ. 127.

გოდბელი მიტროპოლითეტი იოანე მაყაევი შემწირველი ზართა ამათ იანვარის ა წელსა ჩყით

„ზართა ამათ“, იმას უნდა ნიშნავდეს, რომ იოანე მაყაევს ერთზე მეტი ზარი შეუწირავს.

### 4. ურიათუბნის სამების ეკლესიის ზარის წარწერა

შევიწირე ურიათუბნის წისა სამების ეკლესიას ილარიონმა ჭიჭინაძემ და მეუღლემ ჩემ(მ)ა სალომემ საოხად ს(ულის)ასულისა ჩემისა ჩყლე.

„ურიათუბნი“ სოფელია გურჯაანის რაიონში, რომელსაც ამ რამდენიმე წლის წინათ სახელი შეუცვალეს, – „ვაზისუბანი“ უწოდეს.

В. Цискаришвили

## ГРУЗИНСКИЕ НАДПИСИ НА РУССКИХ КОЛОКОЛАХ


Резюме

Распространенные в Грузии и сохранившиеся до наших дней церковные колокола можно подразделить на две основные группы: колокола местного происхождения и привозные, русские.

На русских колоколах после их привоза в Грузию нередко вырезались грузинские надписи от имени лица, пожертвовавшего церкви колокол.

В статье впервые публикуются четыре грузинские надписи, содержащиеся на русских колоколах, хранящихся в Государственном музее Грузии им.акад.С.Джанашиа.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქ. მ უ შ კ უ დ ი ა ნ ი

## რევოლუციამდელი თბილისის ასანთის წარმოება

კარლ მარქსი თავის ნაშრომში „კაპიტალი“ ყურადღებას ამახვილებს და ცალკე საკითხად გამოყოფს ქვეთავს, სათაურით: „ინგლისის მრეწველობის დარგები, სადაც ექსპლოატაციის კანონიერი საზღვარი არ არსებობს“. ამ ნაწილში იგი ეხება ასანთის წარმოებას და აქ დასაქმებულ მუშათა შრომის მძიმე პირობებს. როგორც კ. მარქსი აღნიშნავს, ევროპაში ასანთის მანუფაქტურა 1833 წლიდან გაჩნდა, იმ დროიდან, როცა ჩხირზე ფოსფორის მიმაგრების საშუალება იქნა აღმოჩენილი. 1845 წლიდან ასანთის წარმოება სწრაფად გავრცელდა ინგლისში. ლონდონის მჭიდროდ დასახლებული რაიონებიდან იგი განსაკუთრებით სამრეწველო ცენტრებში განვითარდა, როგორიც იყო: მანჩესტერი, ბირმინგემი, ლივერპული, გლაზგო, ბრისტოლი და ა.შ. ამავე დროს შეიმჩნეოდა, რომ ასანთის ფაბრიკებში მომუშავენი ხშირად ავადდებოდნენ ასანთის მკეთებელი მუშებისათვის დამახასიათებელი ავადმყოფობით, რომელსაც ყურადღება მიაქცია და შეისწავლა ერთერთმა ავსტრიელმა ექიმმა 1845 წელს. იმ დროს ასანთის ღერის შემადგენლობაში შედიოდა თეთრი ფოსფორი – ფეთქებადი და მომწამლავი ნივთიერება, რაც მუშების ჯანმრთელობას დიდ საფრთხეს უქმნიდა. კ. მარქსი წერდა: „ეს მანუფაქტურა იმდენად ცნობილია თავისი მავნებლობით ჯანმრთელობისათვის და საძაგელი პირობებით, რომ მხოლოდ მუშათა კლასის ყველაზე დაბეჩავებული ნაწილი და ნახევრად მშიერი ქვრივები და სხვ. აწვდიან მას თავიანთ დაფლეთილ, ნახევრად მშიერ, უპატრონო და აღზრდა-მოკლებულ ბავშვებს“[1].

ასანთის ფაბრიკებში მომუშავე მოზარდებს აიძულებდნენ სადილობის დროსაც კი არ შეეწყვიტათ მუშაობა. ისინი ასანთის ღერებს ავლებდნენ თბილ ფოსფორიან ხსნარში, რომლის მომწამლავი ორთქლი მათ ჯანმრთელობაზე დამღუპველად მოქმედებდა.

მუშათა ჯანმრთელობაზე ასანთის საწარმოთა მავნე გავლენა მოწინავე საზოგადოების საყოველთაო აღშფოთებას იწვევდა. მიუხედავად იმისა, რომ საერთოდ კავკასიაში ჯერ ასანთის ფაბრიკები სულაც არ არსებობდა, ქართველი საზოგადოება ამ მწვავე საკითხს უყურადღებოდ არ ტოვებდა. სამრეწველო განვითარების სწრაფი ზრდის პირობებში, ცხადია, დღეს-ხვალ ასანთის წარმოება საქართველოშიც გაჩნდებოდა, რასაც ზემოთ აღნიშნული მდგომარეობა, მუშათა ჯანმრთელობის გაუარესება, მოჰყვებოდა. ამიტომაც იყო, რომ ქართული პრესა ასანთის ფაბრიკის გახსნასთან დაკავშირებულ საჭირბოროტო საკითხებს აქტიურად ეხმაურებოდა. მაგალითად, 1873 წელს „სასოფლო გაზეთმა“ დაბეჭდა წერილი სათაურით: „მუშა ხალხის სიმრთელეზე“, სადაც ლაპარაკი იყო ასანთის საწარმოში ფოსფორის დიდ მავნებლობაზე და არაჰიგიენური პირობების შედეგად მუშათა დაავადების სიხშირეზე[2].

1855 წლიდან უფოსფორო ასანთის დამზადება პირველად შვედეთში დაიწყეს. ამის გამო, ამგვარ ასანთს შვედური ეწოდა. 1874 წლიდან დანიამ და შემდგომ მრავალმა ქვეყანამ შეწყვიტა თეთრფოსფორიანი ასანთის დამზადება. 1903 წელს გამოყენებითი ქიმიის საერთაშორისო კონგრესმა თეთრი ფოსფორის გამოყენებით ასანთის დამზადება საერთოდ აკრძალა.

რუსეთში ასანთის პირველი ფაბრიკა 1837 წ. პეტერბურგში ამუშავდა. 1886 წ. უკვე 312-დე წვრილი საწარმო ითვლებოდა.

-------------

1 კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. I, 1930, გვ. 202.
2 „სასოფლო გაზეთი“, 1873, №11.

საქართველოში საქალაქო ცხოვრების განვითარებამ ასანთზე მოთხოვნილება კიდევ უფრო გაადიდა.

XIX ს. 40-ანი წლების ბოლოს რუსეთში გამოსული კანონის მიხედვით, ასანთი განსაკუთრებული წესების დაცვით მხოლოდ ცენტრალურ ქალაქებში უნდა დაემზადებინათ და გაეყიდათ[3].

რუსეთის ცენტრიდან კავკასიის სიშორის გამო, 1849 წელს ადგილობრივი ხელისუფლება მოითხოვდა თბილისსა და სტავროპოლში ასანთის დამზადების ნებართვას. მეფისნაცვალი მ. ვორონცოვი ვარაუდობდა, რომ თბილისი მთელს ამიერკავკასიას მოამარაგებდა ასანთით, ამავე დროს წარმოების ამ ახალი დარგის შექმნით თბილისის საქალაქო მმართველობა მიიღებდა დამატებით ბაჟს, რითაც ქალაქის შემოსავალი უფრო გაიზრდებოდა[4]. ეს მოთხოვნა დააკმაყოფილეს. იმავე წელს იმპერატორმა ნება დართო თბილისში ასანთის ფაბრიკის გახსნისა, იმავე წესების დაცვით, რაც იმპერიის დედაქალაქისათვის იყო დაწესებული[5]. მიუხედავად ამისა, ამ პერიოდში აღნიშნული წარმოება არ შექმნილა, რადგან როგორც თბილისი, ასევე მთელი ამიერკავკასია გარედან შემოზიდული ასანთით მარაგდებოდა. შემდგომ წლებში საქალაქო ცხოვრების ზრდა-განვითარებამ, მრეწველობის გამოცოცხლებამ, თავისთავად განაპირობა ადგილობრივი ასანთის წარმოების შექმნის აუცილებლობა.

1877 წ. თბილისში, ოლღას ქუჩაზე გაიხსნა ასანთის ფაბრიკა, რომელიც მომდევნო წლიდან სრული დატვირთვით ამუშავდა[6].

ფაბრიკა თავდაპირველად საკმაოდ კარგი ხარისხის ეგრეთწოდებულ „ავსტრიულ“ ასანთს ამზადებდა, მაგრამ მალე მისი ხარისხი ისე დაცემულა, რომ ამის შესახებ გაზეთი „დროება“ აღშფოთებით წერდა: „საწარმოს მეპატრონემ თავიდანვე სიიაფით მოიზიდა ხალხი, თითო ყუთს თითო კაპიკად ჰყიდდა და ამის გამო ყველა იმის ასანთს ყიდულობდა და ყიდულობს ახლაც, მაგრამ ორმოცი ღერი უნდა გააფუჭო, რომ ერთს როგორმე დიდი სიფრთხილით და გაჭირვებით მოუკიდო. ვინც ერთხელ იყიდა, მეორედ მგონია აღარ იყიდის, რადგან ისევ ვენის და იტალიის ასანთში ყუთში თუნდა სამი კაპიკი მისცეს, მაინც უფრო იაფად დაუჯდება“[7]. ცხადია, უხარისხო პროდუქციამ გარედან შემოტანილ ასანთს კონკურენცია ვერ გაუწია, რის გამოც 1881 წ. თბილისის ფაბრიკამ მუშაობა დროებით შეაჩერა[8]. მომდევნო წლებში, იმის მიხედვით, თუ როგორ კონკურენციას უწევდა შემოტანილი მზა პროდუქცია ადგილობრივს, ან თუ მისი იმპორტი საერთოდ წყდებოდა, ფაბრიკა ხან იხურებოდა, ხან ანახლებდა მუშაობას. 1887 წლისთვის ფაბრიკამ პროდუქციის ხარისხი გააუმჯობესა, იგი საკმაოდ კარგი ხარისხის შვედურ ასანთს უშვებდა. მიუხედავად ამისა, ჩანს მას მძლავრ კონკურენციას უწევდა რუსეთიდან შემოტანილი იაფი ხაქონელი. ამის შესახებ გაზეთი „ივერია“ წერდა: „თბილისური ასანთი ათი კოლოფი ერთად შეკრული ღირს რვა კაპიკი, მაგრამ რუსეთის ასანთზე ძვირია[9]. იგი 5 1/3 კაპიკზე ნაკლებად უნდა იყიდებოდეს, თუ რუსეთისას შევადარებთ ფასით“. ამგვარი მდგომარეობიდან თავის დასაღწევად, 1888 წლისთვის ფაბრიკის ტექნიკური აღჭურვილობა გაუმჯობესდა. აქ დადგეს ლოკომობილი და ერთი ორთქლის ვერტიკალური ქვაბი. საწარმოებში 30 კაცი მუშაობდა. წარმოებული პროდუქციის ოდენობა 25 ათას მან. უდრიდა. მომავალში ითვალისწინებდნენ მუშათა რაოდენობის 100-150 კაცამდე გაზრდას, წარმოებული პროდუქციის ოდენობისა-100 ათას მან.-დე. ფაბრიკაში სამუშაოდ მიიწვიეს რამდენიმე გამოცდილი ფრანგი მუშაკი. საწარმოს განახლება მთლიანად 130 ათასი მან. დაჯდა. გარდა ქაღალდისა და ხის მასალისა, სხვა საჭირო ნედლეულის უცხოეთიდან იღებდნენ. მზადდებოდა მხოლოდ

--------------

3 საქართველოს სახ. ცენტრ. ისტორიული არქივი, ფონდი 10, საქ. 976.

4 Акты собр. Кавк. Арх. коммиссией, т.10, с.37.

5 იქვე, გვ. 45.

6 სსცია, ფონდი 241, ანაწერი 3, საქ. 110.

7 გაზ. „დროება“, 1878, №261.

8 С.Г у л и с а м б а р о в. Обзор фабрик и заводов Тифлисской губ., 1888 г., с.222.

გაზ. „ივერია“, 1887, №220.

შვედური ასანთი. მომავალში ფიქრობდნენ ასორტიმენტის გაზრდას. ზემოთ აღნიშნული 30 მუშიდან უმეტესობა იაფი მუშა-ხელი, ქალები და ბავშვები იყვნენ[10]. რადგან ფაბრიკაში სივიწროვესთან ერთად უსაფრთხოების არავითარი წესები არ იყო დაცული, ამის გამო მუშათა შორის უბედური შემთხვევები გარდაუვალი იყო.

1889 წლიდან ახალი ფაბრიკის გახსნას ჩაეყარა საფუძველი. ამ წელს დამტკიცდა ფირმა „კარლ და კომპანიის" კუთვნილი ასანთის ფაბრიკის მოწყობის გეგმა.

1890 წ. დასაწყისში გაზ. „კავკაზი" იტყობინებოდა, რომ უახლოეს დროში თბილისში გაიხსნებოდა ვენური ასანთის ფაბრიკა, რომლის მიერ დამზადებული სხვადასხვა ფერადთავიანი ასანთი მრგვალ კოლოფებში გამოვიდოდა. აქვე ნათქვამი იყო, რომ ფაბრიკისათვის შენობა მზადაა და მანქანები მიღებულია[11]. საარქივო წყაროები გვაცნობენ მის აღწერილობას. ფაბრიკა, რომელიც ავსტრიელ მ.გ. კარლს ეკუთვნოდა, მდებარეობდა თბილისიდან სამ ვერსზე, მდ. მტკვარსა და სამხედრო გზას შორის, გაბაშვილებისაგან ნაყიდ მიწაზე: საგაბაშვილო-თხინვალში[12].

ფაბრიკისათვის ააგეს რამდენიმე შენობა, დადგეს 5 ცხენის ძალის ვერტიკალური ორთქლის მანქანა. მოამზადეს საჭირო მოწყობილობა: ყუთების გასაკეთებელი დაზგები, ასანთის საჭრელი მანქანები, ჩამომსხმელი ტურბინა, წყლის მიმწოდებელი ტურბინა, ასანთის შემადგენლობის სახარში ქვაბები და ა.შ.[13].

მომდევნო წლებში, როცა ფაბრიკას ენერგიული მეპატრონე გამოუჩნდა სავაჭრო სახლ „ძმები გოლდიუსტების" სახით, საწარმოს ტექნიკური აღჭურვილობა უფრო გაუმჯობესდა[14]. 1893 წ. დადგეს მეორე ორთქლის ქვაბი. შემდეგი წლიდან ფაბრიკის მიერ დამზადებული პროდუქციის ოდენობა საგრძნობლად გაიზარდა. I894 წ. დამზადდა ორ მილიონზე მეტი ასანთის კოლოფი, I895 წ. I0 მილიონზე მეტი, I898 წ. კი – I4 მილიონამდე[15]. ამავე წლის პირველ ნახევარში ფაბრიკამ საზღვარგარეთ გასაგზავნად დაამზადა I75 000 ცალი კოლოფი ასანთი. ასანთის კოლოფები ყუთებად იკვრებოდა. ერთი ყუთი შეიცავდა ათას კოლოფს. კოლოფში 75 ღერი შედიოდა. ბითუმად გაყიდვისას ერთი ყუთი 7 მან. 50 კაპ. ფასობდა. თბილისში 6 მან. 80 კაპ. იყიდებოდა, 25-30 კაპიკით უფრო იაფად, ვიდრე რუსეთიდან შემოტანილი ასანთი[17]. გოლდიუსტის საწარმო მთელს ამიერკავკასიაში ერთადერთი ასანთის ფაბრიკა იყო. მან ამიერკავკასიის ფარგლებში I899 წ. გაყიდა I2 მილიონამდე კოლოფი ასანთი, საზღვარგარეთ – სპარსეთში, გაიტანა 2 530 000 კოლოფი. 1900 წელს კი – 6 500 000 კოლ.[18]

საყურადღებოა, რომ ფაბრიკის მეპატრონე სააქციზო გადასახადის თავიდან აცილებისა და პროდუქციის უფრო სარგებლიანად გაყიდვის მიზნით, ცდილობდა ასანთის მნიშვნელოვანი რაოდენობა საზღვარგარეთ გაეყიდა. მაგ., I898 წ. აღმოჩნდა, რომ სპარსეთში გატანილი საქონლის რაოდენობა გაცილებით მეტი იყო, ვიდრე ამას აჩვენებდა საბაჟო წიგნის მიხედვით. რევიზიის დროს გაირკვა, რომ მეწარმის საქმიანობის ინტერესებისა და ბაზრის მოთხოვნილების გათვალისწინების მიზეზით, სპარსეთში გასაგზავნ თითო ყუთში ჩვეულებრივ ათასი კოლოფის ნაცვლად ამჯერად აწყობდნენ 4 ათას ცალ კოლოფს (საბაჟო წიგნში გატარებული იყო ათასი კოლოფი)[19]. საერთოდ, როგორც ცნობილია, მაშინდელი მრეწველები სხვადასხვა გადასახადების თავიდან აცილების მიზნით ყველანაირად ცდილობდნენ შემცირებულად ეჩვენებინათ წარმოებული პროდუქციის რაოდენობა.

თბილისის ასანთის წარმოებაში I880 წ. დასაქმებული იყო 30 მუშა და მზადდებოდა წლიურად 20 000 მანეთის პროდუქცია. I898 წელს ასანთის ფაბრიკაში გაერთიანებული

-----------------

I0 ს. გ უ ლ ი შ ა მ ბ ა რ ო ვ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 222.

II Газ. "Кавказ", I890, с.237.

I2 სსცია, ფ. 275, საქ. 314, ფურც. I.

I3 იქვე, ფ. 204, საქ. 827, ფურცელი 8I.

I4 Газ. "Кавказ", I894, № 23.

I5 სსცია, ფ. 370, საქ. 787, ფურც. 5.

I6 Л. П е р ш к е . Отчет о ходе акцизного дела в Зак.крае, I898, с.I2I.

I7 სსცია, ფ. 370, საქ. 642, ფურც. 95.

I8 სსცია, ფ. 371, ან. I, საქ. I658, ფურც. I6

I9 სსცია, ფ. 37.0, საქ. I658, ფურც. I6.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო 65 მუშა, რომლებიც წლიურად ამზადებდნენ 75 000 მან. პროდუქციას[20]. როგორც ვხედავთ, წარმოების აღნიშნული დარგი ზრდის დიდი მასშტაბებით არ გამოირჩეოდა, მაგრამ წლების განმავლობაში მისი გაფართოება მაინც შეიმჩნეოდა. აქ მომუშავეთა თითქმის ნახევარს ქალები და ბავშვები შეადგენდნენ[21].

1899 წ. თბილისის ასანთის ფაბრიკის, რომელიც ერთადერთი იყო მთელს ამიერკავკასიაში, ღირებულება 300 000 მან. შეადგენდა. მისი ყოველწლიური სუფთა შემოსავალი 30 000 მან დე აღწევდა[22]. ასანთის დამზადებასთან ერთად მიმდინარეობდა სხვადასხვა სახერხი სამუშაოები.

1900 წლის 10 იანვარს ფინანსთა მინისტრმა დაამტკიცა სააქციო საზოგადოების „კავკასიის ასანთისა და სახერხი წარმოების" წესდება, რომლის მიხედვით თბილისის ფაბრიკის მუშაობა კიდევ უფრო უნდა გადიდებულიყო. საზოგადოების დამფუძნებლები იყვნენ თბილისელი მეორე გილდიის ვაჭარი გერმან გოლდიუსტი და ბაქოელი, შთამომავლობით საპატიო მოქალაქე, არნოლდ ფეიგლი. ძირითადი კაპიტალი–500 000 მან. 2000 აქციად იყოფოდა, თითო–250 მან. ღირებულებისა. სააქციო საზოგადოებას, ძირითადი კაპიტალის შესაგროვებლად, 1903 წლის 12 ივნისამდე სამჯერ გაუგრძელეს ვადა[23].

900–ანი წლებიდან დაწყებულ სამრეწველო კრიზისს ვერც ჩვენს მიერ შესწავლილი ფაბრიკა გადაურჩა. ამ დროიდან სამრეწველო საწარმოთა სტატისტიკურ ცნობარებში მისი წარმოების მონაცემები უკვე აღარ ჩანს, რაც ფაბრიკის მუშაობის შეწყვეტაზე ლაპარაკობს. კავკასიის ბაზარი გარედან შემოტანილი ასანთით მდგრადობდა.

საქართველოში მენშევიკური მმართველობის წლებში ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა საგრძნობლად გაუარესდა. 1917–1918 წწ. საქონლის ტრანსპორტირების საქმე ძალიან შეფერხდა. ასანთის მიწოდება შეწყდა როგორც ფინეთიდან და უცხოეთიდან, ასევე რუსეთის ჩრდილო გუბერნიებიდან. ამიერკავკასიის ბაზრებზე დაიწყო „შიმშილი" ასანთზე. ამან გამოიწვია ადგილობრივი წარმოების გამოცოცხლება. თბილისელი მრეწველები შეეცადნენ ადგილობრივად ასანთის წარმოების ორგანიზებას.

1918 წ. ოქტომბერში ამხანაგობა „ლუმიერის" მიერ (გ. ტატიევისა და დ. სობოლევის) ასანთის საწარმო გაიხსნა სურამში. 1919 წ. თებერვალში წარმოება მთლიანად გორში გადაიტანეს, სადაც მან აგვისტომდე იარსება[24].

გორში დღიურად 1 200 კოლოფს ამზადებდნენ. მუშების საშუალო რაოდენობა 21–დე აღწევდა. ყუთებისათვის საჭირო მზა ფანერას თბილისიდან იღებდნენ. წარმოება კუსტარული წესით ხდებოდა.

1918 წელს თბილისში გაიხსნა ასეთივე ტიპის კუსტარული საწარმო ამხანაგობა „პრომეთეს" მიერ (სლოვიცკი და სხვ.). 1919 წელს გაიხსნა მესამე კუსტარული ასანთის დამამზადებელი საწარმო ამხანაგობა „მაიაკის" მიერ. მან ამუშავება ვერც კი მოასწრო, ისე შეწყვიტა არსებობა[25]. 1919 წ. ზემოთ აღნიშნული სამივე საწარმო დაიხურა, რადგან მათ მიერ პრიმიტიული წესით დამზადებულმა ასანთმა კონკურენცია ვერ გაუწია შემოტანილ მაღალხარისხოვან ფაბრიკულ პროდუქციას.

1919 წ. ოქტომბერში თბილისში ამუშავდა ფაბრიკა, ფირმა „ასანთის" მიერ, რომელიც ნ. ჯაყელს ეკუთვნოდა[26]. იგი ვარაუდობდა ფართოდ გაეშალა წარმოება, რომელიც ასანთით მთელს ამიერკავკასიას მოამარაგებდა. მან ფუნდამენტალურად შეაკეთა ძველი

---

20 იქვე, ფ. 17, საქ. 670, საქ. 112, ფურც. 19.

21 სსცია, ფ. 371, ან. 1, საქ. 186, ფურც. 13.

22 1898 წ. თბილისის ბაზარზე ასანთზე შემდეგი ფასები იყო: ერთი ყუთი – (ათასი კოლოფი) ღირდა: ოდესისა – 6 მან. 15 კაპ.; ლიპშინისა – 7 მან. 10 კაპ.; ძმ. გოლდიუსტებისა – 5 მან. 20 კაპ.. 6 მან. 50 კაპ.

სსცია, ფ. 370, საქ. 839, გვ. 23. 823, გვ. 37. 930, გვ. 16.

23 ლენინგრადის ცსია, ფ. 22, ან. 4, საქ. 315, გვ. 5.

24 Лесная промышленность Грузии, 1921, с.53.

25 Лесная промышленность Грузии, 1921, с.53.

26 სსცია, ფონდი 204, საქ. 2442 გვ. 22.

შენობა და განაახლა მანქანა-დანადგარები. ფაბრიკა მოთავსებული იყო კრამიტით დახურულ ქვის შენობაში, რომლის I/3 ორსართულიანი იყო. ზედა სართულში ყუთები შრებოდა. ფაბრიკის მუშაობა, დასაწყისში, 50 კაცზე იყო გათვალისწინებული, აქ მხოლოდ შვედურ ასანთს ამზადებდნენ. ფაბრიკა დაკომპლექტებული იყო 26 დაზგით, რომელიც მანქანური წესით დაამზადებდა როგორც ასანთს, ასევე ასანთის ჩასაწყობ კოლოფებსა და ყუთებს[27]. აქ რამდენიმე განყოფილება იყო: ფირფიცრის, მექანიკური, დამხარისხებელი, შემკრები, ჩასაწყობი[28].

I92I წელს მოხდა ფაბრიკის ნაციონალიზაცია.

ამგვარად, ამიერკავკასიაში ასანთის წარმოების საკითხი დღის წესრიგში XIX ს. 40-ანი წლების ბოლოს დადგა. ადგილობრივი ხელისუფლება რუსეთის იმპერატორთან შუამდგომლობდა თბილისში ასანთის ფაბრიკის გახსნის ნებართვის თაობაზე. ვარაუდობდნენ, რომ თბილისის წარმოებას ასანთით მთელი ამიერკავკასია უნდა მოემარაგებინა. მიუხედავად ამ ცდისა, თბილისში ასანთის წარმოება მანამდე არ შეიქმნა, ვიდრე საამისოდ საჭირო ეკონომიკური პირობები არ მომწიფდა.

თბილისური ასანთის წარმოება, რომელიც 70-ანი წლების ბოლოს დაიწყო, განსაკუთრებით XIX ს. 90-ან წლებში დაწინაურდა. აქ მოქმედი ასანთის ფაბრიკა მთელს ამიერკავკასიაში ერთადერთი ფაბრიკული ტიპის საწარმო იყო. ამ დარგში იგი ასანთით ამარაგებდა არა მარტო ქალაქსა და ამიერკავკასიის ბაზარს, არამედ მნიშვნელოვანი რაოდენობით გადიოდა საზღვარგარეთაც, კერძოდ სპარსეთის ბაზარზე.

XX ს. დასაწყისიდან სამრეწველო კრიზისთან დაკავშირებით, ასანთის წარმოება დაეცა. რევოლუციამდე თბილისს ძირითადად მცირე სიდიდის ახლად გახსნილი ფაბრიკა და რამდენიმე კუსტარული საწარმო აწვდიდა ასანთს. ისინი, ასანთზე ადგილობრივი მოთხოვნების ცვალებადობის (რაც ასანთის ექსპორტზე იყო დამოკიდებული) შესაბამისად, დროგამოშვებით მუშაობდნენ.

К. Мушкудиани

## СПИЧЕЧНОЕ ПРОИЗВОДСТВО В ДОРЕВОЛЮЦИОННОМ ТБИЛИСИ


Резюме

Вопрос о спичечном производстве в Закавказье созрел в конце 40-х годов XIX века. Наместник ходатайствовал перед императором России о разрешении открыть в Тбилиси спичечную фабрику, которая снабжала бы все Закавказье. Несмотря на высочайшее разрешение, это производство возникло в Тбилиси лишь после создания необходимой экономической почвы.

Спичечная промышленность города Тбилиси, возникшая в конце 70-х годов XIX в., особенно развилась в 90-х годах. Спичечная фабрика была в Закавказье единственным производством заводского типа в данной отрасли. Снабжая Закавказье, она успешно экспортировала свою продукцию в Персию.

Начиная с XX века, в связи с промышленным кризисом и расширением импорта спичек, отмечается резкое падение местного производства.


27. სსცია, ფონდი 204, საქ. 2442, გვ. 24.
28. Лесная промышленность Грузии, I92I, с.54.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი

# პალეოლითური მასალა არადეთის ორგორიდან

## (ქარელის რაიონი)

## (ტაბ. IX)

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილების ქვის ხანის ფონდში ინახება პალეოლითური ზედაპირული მასალა, მოპოვებული შიდა ქართლის (დედოფლის მინდვრის) არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1978–1982 წწ.

მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილების შიდა ქართლის დედოფლის მინდვრის ექსპედიცია ი. გაგოშიძის ხელმძღვანელობით წლების განმავლობაში აწარმოებს სტაციონარულ და დაზვერვით სამუშაოებს ქარელის რაიონში, სადაც გამოვლენილია სხვადასხვა პერიოდის არქეოლოგიური ძეგლები, დაწყებული ადრებრინჯაოს ხანიდან – ანტიკური ხანის ჩათვლით.

არადეთის ორგორა, ანუ როგორც ადგილობრივი მოსახლეობა „ფოშტი გორასაც“ ეძახის (ძველად ამ მიდამოებში საფოსტო გზის არსებობის გამო) მდებარეობს დედოფლის მინდვრის სამხრეთ–აღმოსავლეთით, მდ. ფციის (ფრონის) შესართავთან. დაახლოებით 40 მ–ის სიმაღლის კონფიგურაციის გორიდან, მის აღმოსავლეთით მდებარეობს ღრმა თხრილით გამოყოფილი მეორე, დაახლოებით 20–25 მ სიმაღლის გორა. ორივე გორა მრავალფენიანი ნამოსახლარია; ისინი სოფ. არადეთს ებჯინებიან დასავლეთით, მტკვრის მარცხენა ნაპირზე, მესამე ტერასაზე

არადეთის ორგორაზე შეგროვილი პალეოლითური მასალა ქვის ხანის ფონდს გადმოსცეს ი.გაგოშიძემ და ე.ქორიძემ. კოლექცია წარმოდგენილია შემდეგი ინვენტარით:

I.ანატკეცი ანდეზიტის? არალევალუაზური; ზურგზე ეტყობა წინამორბედი სამი ფირფიტის ატკეცვის კვალი ღრმა ნეგატივების სახით. დარტყმის მოედანი გლუვი აქვს და ქვედა სიბრტყესთან ქმნის ბლაგვ კუთხეს. ბოლო ძველადვე აქვს მოტეხილი. ანატკეცის წიბოები რამდენადმე გადალესილია (სიგრძე – 3,7, სიგანე – 2,6, სისქე – 0,9ს.).

2. ანატკეცი კაჟისა, არალევალუაზური, მომრგვალო მოყვანილობის; ზურგზე ეტყობა წინამორბედი ორი ფირფიტის ატკეცვის კვალი ღრმა ნეგატივების სახით. დარტყმის მოედანი გლუვი აქვს და ქვედა სიბრტყესთან ქმნის 90°–ზე მეტ კუთხეს. შესაბამისი ბურცობი რელიეფურია და უკავია ქვედა სიბრტყის ნახევარი. დაფარულია მძლავრი, მოყვითალო პატინით, ახასიათებს მკრთალი ლუსტრაჟი (სიგრძე – 5,I, სიგანე – 4,7, სისქე – 0,9 სმ).

3. სახოკი ანდეზიტის? მოშავო ფერის, მარტივი, ამოზნექილი, ნაკეთები სამკუთხა მოყვანილობის ლევალუაზურ ანატკეცზე, რომლის დარტყმის მოედანი დაფარულია კაჭრის ქანით და ქვედა სიბრტყესთან 90°–ზე მეტ კუთხეს ქმნის. შესაბამისი ბურცობი ოდნავ აქვს გამოსახული, ზურგზე ეტყობა რამდენიმე წინამორბედი ფირფიტის ატკეცვის კვალი არაღრმა ნეგატივების სახით. ამოზნექილი სამუშაო პირი ჩამოყალიბებულია საფეხურებიანი რეტუშით. ზურგი, კიდეები (განსაკუთრებით მუცლის მხრიდან) ახალი დაზიანებულია; დაფარულია მონაცრისფრო პატინით (სიგრძე – 8,I, სიგანე – 5,4, სისქე –I,2 სმ).

4. ანატკეცი ანდეზიტის? რუხი ფერის, ლევალუაზური, სამკუთხა, მეორადი მიდებით; დარტყმის მოედანი ამოზნექილ–შესწორებული აქვს და ქვედა სიბრტყესთან ქმნის სწორ კუთხეს. შესაბამისი ბურცობი ოდნავაა წამოზრდილი. ანატკეცის წვერი წათლილია ძველადვე რეტუშით. ორივე კიდე, განსაკუთრებით მარცხენა გვერდი, ზურგისა და მუცლის მხრიდან დაზიანებულია (სიგრძე – 8,6, სიგანე –5,6, სისქე –2,3 სმ).

5. საჩეხისებური იარაღი ანდეზიტის, რუხი ფერის, ნაკეთები სწორი მოყვანილო-ბის მასიურ ანატკეცზე, რომელსაც დარტყმის მოედანი წამტვრეული აქვს. ანატკეცის ზურგს ეტყობა წინამორბედი სწორი მოყვანილობის ატკეცვის კვალი ღრმა ნეგატივების გამყოფი წიბოები რელიეფურია. იარაღის ოვალური სამუშაო პირი დამუშავებულია ფარ-თო ფაცეტიანი დამრეცი, შემოწევი რეტუშით ისე, რომ იქმნება თხელი, მჭრელი პირი (სიგრძე – 9,7, სიგანე – 6,5, სისქე – 2–9 სმ).

6. დისკოსებური მოყვანილობის იარაღი რუხი ფერის, ცალმხრივი, ნაკეთებ ოვა-ლური მოყვანილობის ბრტყელი რიყის ქვაზე. იარაღი დამუშავებულია საკმაოდ ფართო ფირფიტების რადიალურად ატკეცვის გზით ისე, რომ ანატკეცის ნეგატივები ერთმანეთს არ ხვდება, რის გამოც იარაღის შუა ნაწილი დამუშავებულია და დაფარულია ბუნებრივი კანით (სიგრძე – 7,9, სიგანე – 6,9, სისქე – 2–3 სმ).

7. ხელცული არგილიტის? ღია მონაცრისფრო, ორმხრივ დამუშავებული, პიკისებური მოყვანილობის, დამუშავებულია ორივე ზედაპირიდან ფართო ფირფიტების თანამიმდევრუ-ლად ამტვრევის გზით ისე, რომ პროფილში იძლევა ოდნავ ტეხილ ხაზს. ქუსლი წაკვეთი-ლია; დაფარულია მძლავრი, თაბაშირიანი ნალექით ისე, რომ სრულიად ფარავს იარაღის ორივე ზედაპირს. ხელცულს განუცდია მნიშვნელოვანი გადაადგილება, რის გამოც დამუ-შავების შედეგად მიღებული ნეგატივები გადალესილია (სიგრძე – I2,2, სიგანე –7,2, სისქე – 2,7 სმ). თავისი პროპორციებით ეს ხელცული სამკუთხაა – წაგრძელებულია, გვერდები სწორი აქვს და ოდნავ დაქანებული. ევროპასა და მცირე აზიაში მსგავსი ხელცულები გვხვდება აშელის დასასრულს და მუსტიეში აშელური ტრადიციით. ზუსტი ანა-ლოგიები კავკასიის აშელურ მასალაში ამ ხელცულს თითქმის არ მოეძებნება, მაგრამ რამდენადაც მუსტიეური ხანის ჩვენს ძეგლებში ხელცულები არ გვხვდება, ასევე ჩვენ-თან არა ჩანს მუსტიეაშელური ტრადიციით, ამიტომ სავარაუდოა, რომ ზემოაღწერილი ხე-ლცული ფინალური აშელის პერიოდს ეკუთვნოდეს.

იმედია, შემდგომი არქეოლოგიური დაზვერვები ამ რეგიონში მეტ მასალას გამოავ-ლენს და გაამდიდრებს არქეოლოგიის განყოფილების ქვის ხანის ფონდს.


Г.Д ж а в а х и ш в и л и

ПАЛЕОЛИТИЧЕСКИЙ МАТЕРИАЛ ИЗ АРАДЕТИС ОРГОРА

Р е з ю м е

(Табл.IX)

В статье вкратце описан палеолитический материал, собранный Шида Картлийской археологической экспедицией в I972-I982 гг. на "Арадетис оргора" (Карельский р-н, ГССР). Коллекция представлена каменными орудиями, которые относятся к среднему и нижнему палеолиту. Материал хранится в фонде каменного века отдела археологии Государственного музея Грузии АН ГССР.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქ. ჯავახიშვილი

## გვიანანტიკური ხანის სამარხი ს. ზახორიდან

(ტაბ. X-XII)

აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ინახება ერთი მცირერიცხოვანი კოლექცია[I], რომელიც ერთობ საინტერესო ნივთებს შეიცავს. ნივთები აღმოჩნდა 1974 წლის აგვისტოში ლენინგორის რაიონის ს. ზახორში (მდ. ლეხურის ხეობა), შემთხვევით, ნიადაგის ჩამორეცხვის შედეგად[2]. გადმოცემის თანახმად, ამ ნივთებთან ერთად ნიადაგში ჩანდა ხის ნაშთები და ადამიანის ძვლები. როგორც ჩანს, საქმე სამარხთან უნდა გვქონდეს, რასაც ადასტურებს კოლექციაში შემავალი ნივთებიც[3].

I. ბალთა ბრინჯაოსი (კოლ. №I5-982:I) კვადრატული მოყვანილობისა, ჭვირული. ბალთას გარშემო შემოუყვება სპირალური ორნამენტით შემკული საკმაოდ განიერი ჩარჩო, რომელსაც კუთხეებში დიდი ზომის მაღალი წაწვეტებული კოპები აქვს დასმული. ჩარჩოს შიგნით მოთავსებულ არეში განლაგებულია რელიეფურად შესრულებული, საკმაოდ რთული კომპოზიცია. კომპოზიციის ცენტრალურ ელემენტს, რომელსაც ჩარჩოს შიგნით მოთავსებული სივრცის დიდი ნაწილი უჭირავს, წარმოადგენს მაღალი რელიეფით შესრულებული ფანტასტიური ირმის ფიგურა. ამ ფიგურის გარშემო დარჩენილი არე შევსებულია ჭვირული გამოსახულებით, რომელიც ცენტრალური ცხოველის გარშემო განლაგებული სხვადასხვა ცხოველებისა და განსხვავებული ზომის რგოლებისაგან შედგენილ კომპოზიციას წარმოადგენს. ცენტრალური ფიგურა - ფანტასტიური ირემი - პროფილშია მოცემული. ირემს წვრილი მოკლე წელი აქვს, რომელიც სხეულს ორ მასიურ, თითქმის თანაბარ ნაწილად ყოფს. მოკლე კისერი თანდათან ვიწროვდება და ძალიან წვრილ თავში გადადის. თავზე ადგას ორი ნახევარმთვარისებრი რქა. ფართოდ გახელილი თვალი საკმაოდ დიდი ზომის ნახვრეტით არის გამოსახული. ფეხები, რომლებიც თათებით მთავრდება, სხეულთან შედარებით, ძალიან მოკლე აქვს. წინა ფეხები რამდენადმე წინ აქვს გაჭიმული, უკანა - კი თითქოს ოდნავ მოხრილი. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ცხოველი წინა ფეხებს ეყრდნობა და უკან არის ჩამჯდარი. გრძელი კუდი გავასთან მართ კუთხეს ქმნის, სწორად ეშვება და აღწევს ჩარჩოს თითქმის ქვედა ხაზამდე. ირემს კისერი შემკული აქვს ფართო სალტისმაგვარი, ზოლიანი მოსართავით. გავასა და მკერდზე სპირალებია გამოსახული.

ცენტრალური ცხოველის ზურგის ზევით გამოსახულია ერთმანეთთან შეერთებული ორი ირმის პროტომა (ან ორთავიანი ირემი). ირმის პროტომებს ზევით, უკვე თვით ჩარჩოზე, ძალიან მაღალი რელიეფით, თითქმის სკულპტურულად, გამოსახულია ძალიან სტილიზებული ჯიხვის თავი. ცენტრალური ირმის თავის წინ, ერთმანეთის მიმდევრობით, გამოსახულია ორი ძაღლი, რომელთა სხეულები ჩარჩოს ქვედა ხაზის მიმართ ვერტიკალურად არის გან-

---------------

I ნივთების უმეტესი ნაწილი ინახება არქეოლოგიის განყოფილების „ძირითად" ფონდში (კოლექციის №I5-982), ბეჭედი - გლიპტიკის ფონდში, მონეტა - ნუმიზმატიკის განყოფილების „განძების" ფონდში.

2 ნივთები აღმოაჩინა ს. ზახორის მცხოვრებმა რუბენ სერგოს-ძე კაბისოვმა, მუზეუმს უსასყიდლოდ გადასცა მისმა ძმისწულმა ბორის გიორგის-ძე კაბისოვმა. მისი ცნობით, სამარხის გვერდით მეორე ჩონჩხი ყოფილა, რომელსაც არავითარი ნივთები არ აღმოაჩნდა.

3 გარდა ქვემოთ განხილული ნივთებისა, სამარხში თიხის დამტვრეული ჭურჭელიც ყოფილა, რომელმაც მუზეუმამდე ვერ მოაღწია.

დაგებული. ორივე ძაღლს დიდი ყურები და სპირალურად დაგრეხილი კუდები აქვს. ცენტრალური ფიგურის მუცლისა და მკერდის ქვეშ გამოსახულია რამდენადმე დიდთავა კვიცი, პირდაღებული, ფართოდ გახელილი თვალით.

ბალთას ზურგის მხრიდან დიდი ზომის ყულფი აქვს მირჩილული, მოპირდაპირე მხარეს კი, მცირე ზომის ენა. ბალთა დაზიანებულია: ირმის სხეული რამდენიმე ადგილას ამოტეხილია, ჩარჩო ერთ ადგილას გატეხილია. ბალთის ზომებია: I52XI50 მმ (ტაბ. $X_1$).

ბრინჯაოს ჭვირული ბალთები, რომლებიც საკმაოდ დიდი რაოდენობით არის აღმოჩენილი საქართველოს სხვადასხვა რაიონებში, უკვე საუკუნეზე მეტია მკვლევართა განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს. ამ ნივთების გავრცელების, სადაურობის, დათარიღების, სემანტიკისა და სხვა საკითხებს მრავალი მკვლევარი შეეხო, როგორც ზოგად არქეოლოგიურ, ისე ამ ბალთებისადმი მიძღვნილ სპეციალურ ნაშრომებში. ამ საკითხების შესახებ აზრთა სხვადასხვაობა არსებობს[4], რაც განპირობებული იყო იმით, რომ ამ საუკუნის 20-იან წლებამდე ცნობილი ყველა ბალთა შემთხვევით მონაპოვარს წარმოადგენდა, ეს კი აძნელებდა როგორც მათ დათარიღებას, ისე გეოგრაფიული გავრცელების ფარგლების დადგენას. ამ ნივთების სადაურობის შესახებ მოსაზრებები ძირითადად კავკასიის გარშემო ტრიალებდა, მაგრამ იყო სავსებით ფანტასტიური აზრებიც (შუა აზია, ჩინეთი). ასევე განსხვავებული აზრები იყო ბალთების თარიღების შესახებაც – ძვ.წ. VIII საუკუნიდან – ფეოდალურ ხანამდე[5]. მხოლოდ ჩვენი საუკუნის 20-30-იანი წლებიდან მოყოლებული, როდესაც ჭვირული ბალთები დიდი რაოდენობით იქნა აღმოჩენილი არქეოლოგიური გათხრების შედეგად, ძირითადად, საქართველოს ტერიტორიაზე[6], თანდათან მოიხაზა მათი გავრცელების გეოგრაფიული და ქრონოლოგიური ჩარჩოები. დღეისათვის ცნობილი საკმაოდ მრავალრიცხოვანი მასალა (რომლის აბსოლუტური უმრავლესობა – 200 ერთეული – საქართველოშია მოპოვებული) საშუალებას იძლევა საკმაოდ ზუსტად დავადგინოთ ამ ნივთების გავრცელების ძირითადი კერები. ეს არის კავკასიონის სამხრეთი კალთები (მთიანი რაჭა, ისტორიული არგვეთი, ისტორიული შიდა ქართლი) და თრიალეთი. ცნობილია, რომ ყველა ზემოჩამოთვლილი რაიონი წარმოადგენდა მეტალურგიის უძველეს მნიშვნელოვან კერას ამიერკავკასიაში და შემთხვევითი არ არის, რომ ჭვირული ბალთების წარმოება ანტიკურ საქართველოში დაკავშირებული იყო სწორედ ამ რაიონებთან[7].

ბრინჯაოს ჭვირული ბალთების აბსოლუტური უმრავლესობის საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენის ფაქტმა მისცა საფუძველი გ. გობეჯიშვილს ჯერ კიდევ 1942 წელს გამოეთქვა მოსაზრება, რომ ისინი ქართული კულტურის ძეგლებს უნდა მიეკუთვნოს[8]. შემდგომმა არქეოლოგიურმა აღმოჩენებმა კიდევ უფრო სარწმუნო გახადა ეს ვარაუდი.

უკვე დიდი ხანია სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული იყო მოსაზრება იმის შესახებ, რომ ბრინჯაოს ჭვირული ბალთების გამოსახულებების საწყისები ადგილობრივი კავკასიური გვიანბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანის კულტურაში უნდა ვეძებოთ[9] და რომ ბალთები გამოსახულებების სემანტიკისა და სტილისტური თავისებურებების მიხედვით კო-

---

4 ამ საკითხების შესწავლის ისტორია და სხვადასხვა ავტორთა მოსაზრებები დაწვრილებით განხილულია ნაშრომში: მ. ხ ი დ ა შ ე ლ ი, ბრინჯაოს მხატვრული დამუშავების ისტორიისათვის ანტიკური ხანის საქართველოში, თბილისი, 1972, გვ. 5-17.

5 მ. ხ ი დ ა შ ე ლ ი, დასახ. ნაშრ. გვ. 5-17.

6 განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო 1939 წლის არქეოლოგიური აღმოჩენები ზემო რაჭაში-ბრილისა და ჩოჩეთის სამაროვნებზე წარმოებული გათხრების დროს, რომლებსაც ხელმძღვანელობდა გ. გობეჯიშვილი. იხ. გ. გ ო ბ ე ჯ ი შ ვ ი ლ ი, ბრინჯაოს ქართული უძველესი ბალთები (სადისერტაციო ნაშრომი), თბ., 1942; მისივე, არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში, თბ., 1952, გვ. 106-107.

7 მ. ხ ი დ ა შ ე ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 39.

8 გ. გ ო ბ ე ჯ ი შ ვ ი ლ ი, ბრინჯაოს ქართული უძველესი ბალთები; მისივე, არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში, გვ. 107.

9 F. Hančar, Einige Gürtelschiessen aus dem Kaukasus, Eurasia Septentrionalis Antiqua, 1931, S, გვ. 146-151 (ციტირებულია მ. ხიდაშელის მიხედვით).

ლხური ხელოვნების წრეს უნდა მიეკუთვნოს[10]. ამ მოსაზრებას სავსებით იზიარებს მ. ხიდაშელიც, რომელმაც საგანგებოდ შეისწავლა ჭვირული ბალთები და მათი გამოსახულებების სტილისა და სემანტიკის სკრუპულოზური შესწავლისა და გარჩევის შედეგად სავსებით დამაჯერებელი გახდა მოსაზრება მათი ამიერკავკასიური წარმოშობის შესახებ[11]. მკვლევარი, იზიარებს რა შ. ამირანაშვილის მოსაზრებას[12], ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ბრინჯაოს ბალთების მხატვრული სტილი არ განიცდის ამ პერიოდის საქართველოში ფართოდ გავრცელებული ელინური კულტურის გავლენას, არამედ ადგილობრივი ტრადიციების თვითმყობადი განვითარების საკუთარი გზით მიდის"[13]. ხოლო ჭვირული ბალთების გამოსახულებათა სიმბოლიკა მჭიდროდ უკავშირდება, ერთი მხრივ, ადგილობრივ რწმენა-წარმოდგენებს, მეორე მხრივ კი, წინააზიურ სამყაროს[14].

რაც შეეხება ბრინჯაოს ჭვირული ბალთების ხნოვანებას, მათ საკმაოდ განსხვავებული დროით ათარიღებდნენ (დაწყებული ძვ.წ. VIII საუკუნიდან - ვიდრე ქრისტიანულ ხანამდე), რაც როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გამოწვეული იყო იმით, რომ ბალთების უმეტესობა გარკვეულ დრომდე შემთხვევით მონაპოვარს წარმოადგენდა. ჩვენ მოვიყვანთ მხოლოდ მოგვიანო ხანის მკვლევართა მოსაზრებებს. მაგ., ე. პჩელინა ბრინჯაოს ჭვირული ბალთების შემცველ სამარხებს გვიანელინისტურ-გვიანრომაული ხანით ათარიღებს[15]. გ. გობეჯიშვილი ბრინჯაოს ბალთებს ძვ.წ. III - ახ.წ. III სს. ათარიღებს[16]; ბ.კუფტინი აღნიშნავდა, რომ ამ ბალთების თარიღი ძვ.წ. I ს. იქით ვერ გადაიწევა[17]; დ. ქორიძე ამ ბალთებს ძვ.წ. უკანასკნელი მეოთხედით და ახ.წ. საწყისი საუკუნეებით ათარიღებს[18], ხოლო ბ. ტეხოვი, ძვ. წ. II- ახ. წ. I-II საუკუნეებით[19]. 1965 წელს გ. ნემსაძემ გამოაქვეყნა ქარელის რაიონის ს. სუქანაანთუბანში აღმოჩენილი ბრინჯაოს ჭვირული ბალთის შემცველი სამარხი, რომელსაც ახ.წ. II-III სს. ათარიღებს[20]. მ. ხიდაშელს მიაჩნია, რომ ბრინჯაოს ჭვირული ბალთები ძვ.წ. II - ახ. წ. II-III სს. არის გავრცელებული[21]. უფრო დამაჯერებელი ჩანს ის მოსაზრება, რომ ბრინჯაოს ჭვირული ბალთები ძვ.წ. I ს. ბოლო ხანაზე ადრეული არ უნდა იყოს და ძირითადად გავრცელებულია ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში.

ბრინჯაოს ჭვირულ ბალთებს გამოსახულებების მიხედვით სხვადასხვა მკვლევარი (ტ. ივანოვსკაია, გ. გობეჯიშვილი, შ. ამირანაშვილი, მ. ხიდაშელი) სხვადასხვაგვარად აჯგუფებს[22]. დღეისათვის ყველაზე სრულყოფილად გამოიყურება მ. ხიდაშელის მიერ შემოთავაზებული კლასიფიკაცია[23], რომელიც ეყრდნობა ტ. ივანოვსკაიასა და გ. გობეჯიშვილის მიერ შემუშავებულ პრინციპს - ცენტრალური ცხოველის ცვალებადობას.

ცენტრალური ცხოველის ცვალებადობის მიხედვით მ. ხიდაშელს გამოყოფილი აქვს ბალ-

-----------

10 შ. ა მ ი რ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1944, გვ. 89-96.

11 მ. ხ ი დ ა შ ე ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 51.

12 შ. ა მ ი რ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 90.

13 მ. ხ ი დ ა შ ე ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 52.

14 მ. ხ ი დ ა შ ე ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 118.

15 Е.Г. П ч е л и н а. Погребальные комплексы из Сохта, Урсдзуара и Рук Юго-Осетии, Известия ЮОНИИ АН Грузинской ССР, вып.ХУ, Тб., 1968, с.144-146.

16 გ. გ ო ბ ე ჯ ი შ ვ ი ლ ი, არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში, გვ. 106.

17 Б.А.К у ф т и н. Археологические раскопки в Триалети. Тбилиси, 1941, с.26.

18 დ. ქ ო რ ი ძ ე, მატერიალური კულტურის უძველესი ძეგლები (საჩხერის რაიონი), თბ., 1961, გვ. 107.

19 Б.В.Т е х о в. Очерки древней истории и археологии Юго-Осетии, Тб., 1971, გვ. 247.

20 გ. ნ ე მ ს ა ძ ე, ბრინჯაოსნივთებიანი სამარხი ძამის ხეობიდან, სსმმ, XXIX- B, თბილისი, 1972, გვ. 33.

21 მ. ხ ი დ ა შ ე ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 17.

22 მ. ხ ი დ ა შ ე ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 18-21.

23 მ. ხ ი დ ა შ ე ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 21-38.

თების ხუთი ჯგუფი, რომლებიც თავის მხრივ რამდენიმე ქვეჯგუფად არის დაყოფილი. ქვეჯგუფებად დაყოფის დროს გათვალისწინებულია, ძირითადად დამატებითი ცხოველებისა და ჩარჩოს ორნამენტის ცვალებადობა. ზახორის მჯვირული ბალთა, ჩვენი აზრით, მ. ხიდაშელის კლასიფიკაციის მიხედვით III ჯგუფის II ქვეჯგუფში გაერთიანებული ბალთების ანალოგიურია[24].

2. ფიბულა ბრინჯაოსი (კოლ. №I5-982:2) ორნაწილედი, რკალისებრი, შერჩენილია მხოლოდ რკალისებური მშვილდი ბუდით. მშვილდი განივკვეთში რომბისებურია, ბუდესთან ბრტყელდება, გარედან შემკულია ჭდეული წიწვოვანი ორნამენტით. მშვილდის სიგრძე – 5I მმ (ტაბ. X,2).

საქართველოს ტერიტორიაზე, მის აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილებში სხვადასხვა ტიპის მშვილდსაკინძები სხვადასხვა დროიდან ვრცელდება. ამ საკითხს სხვადასხვა მკვლევარი შეეხო, როგორც სპეციალურად ამ ნივთიერებისადმი მიძღვნილ გამოკვლევებში, ისე ზოგადი ხასიათის არქეოლოგიურ ნაშრომებში[25]. ეს ნაშრომები კარგად არის ცნობილი დაინტერესებული მკითხველისათვის, ამიტომ მათ განხილვას აქ არ შევუდგებით, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ს. ზახორში აღმოჩენილი მშვილდსაკინძის მსგავსი ე.წ. რკალისებრი ორნაწილედი მშვილდსაკინძების შესახებ ჯერ კიდევ ბ. კუფტინი აღნიშნავდა, რომ ისინი თავისი ხასიათით მიეკუთვნება არქაულ ადგილობრივ, სამხრეთ-კავკასიურ რკალისებურ მშვილდსაკინძებს, რომელთა პროტოტიპები მცირე აზიაში იძებნება[26]. ეს ტიპი თითქმის უკვე რკინის ხანაში ჩანს და აქა-იქ გვხვდება გვიანანტიკური პერიოდის ბოლომდე[27]. ადრეულ ხანაში – ძვ.წ. VII-I საუკუნეებში ორნაწილედი რკალისებრი მშვილდსაკინძების მშვილდი ან რელიეფურად არის შემკული ან სავსებით სადაა, მრგვალგანივკვეთიანი (ეს უკანასკნელი უფრო ელინისტური ხანისათვის არის დამახასიათებელი), ხოლო რომაული ხანისათვის ამ ტიპის მშვილდსაკინძების მშვილდი შემკულია უმეტესად ჭდეული წიწვოვანი ან გეომეტრიული ორნამენტით და განივკვეთში ხშირად რომბისებურია[28]. ს. ზახორში აღმოჩენილი რკალისებრი მშვილდსაკინძის მშვილდი თავისი ფორმით (განივკვეთში რომბისებური) და ორნამენტით (ჭდეული წიწვოვანი ორნამენტი) ტიპიურია რომაული ხანისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ საერთოდ მშვილდსაკინძები I-III სს. იბერიის მატერიალური კულტურისათვის მაინცდამაინც დამახასიათებელი ნივთები არ არის[29] და მის ტერიტორიაზე გამოვლენილ ძეგლებში შედარებით იშვიათად გვხვდება. მაგრამ მაინც რკალისებური მშვილდსაკინძების გავრცელების არეალი ამ ხანაში საკმაოდ მკაფიოდ იფარგლება – ეს არის შიდა ქართლი და არგვეთი[30]. რომაული ხანით დათარიღებული რკალისებრი მშვილდსაკინძები აღმოჩენილია შიდა ქართლში: სოხოში (სოხთა)[31], მონასტერში[32] სტირფაზში[33],

---

24 მ. ხ ი დ ა შ ე ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 3I, ტაბ. X, №I2I.

25 ამ ნაშრომებს აქ არ ჩამოვთვლით, ისინი მითითებული იქნება სათანადო ადგილას.

26 Б.А.К у ф т и н. Археологическая маршрутная экспедиция I945 г. в Юго-Осетию, Тб., I949, с.23.

27 ნ. აფ ხ ა ზ ა ვ ა, ადრეული შუასაუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოს ნივთიერი კულტურა, თბ., I979, გვ. 6, სქოლიო I.

28 ნ. ა ფ ხ ა ზ ა ვ ა, ანტიკური ხანის მშვილდსაკინძები, მოხსენება წაკითხული სსმ ახალგაზრდა მეცნიერთა III სამეცნიერო სესიაზე I98I წ. 5 ივნისს.

29 რკალისებრი მშვილდსაკინძების გარდა I-III სს. იბერიაში იშვიათად, მაგრამ მაინც უკვე გვხვდება ევროპული ტიპის მშვილდსაკინძებიც. იხ. ნ. ა ფ ხ ა ზ ა ვ ა, ადრეული შუასაუკუნეების..., გვ. 35.

30 ნ. ა ფ ხ ა ზ ა ვ ა, ადრეული შუასაუკუნეების..., გვ. 35

3I Б.А.К у ф т и н. Археологичаская маршрутная экспедиция..., გვ.23, ტაბ.I,5.

32 Р.Х.Г а г л о е в. Археологические изыскания на Монастерском могильнике, Полевые археологические исследования в I977 г. Тб.,I980, გვ. 234, ტაბ. XCIX, 5.

33 Р.Х.Г а г л о е в. Типология и сравнительный анализ... , გვ. 25-34, ტაბ. I, I-8.

ჯრიაში[34], გორეთში[35], ბაქნეთში[36], დირგჯინში[37], ახალგორში[38], სუქანაანთუბანში[39], ზემო ავჭალაში[40]; არგვეთში: ბორში[41], ქორეთში[42], მოდინახეზე[43] და სხვა.

3. ზარაკი ბრინჯაოსი (საინ. № I5-982:3) კონუსის ფორმისა, დაფანჯრული, მრავალგანივკვეთიანი ღეროსაგან დამზადებული ყუნწით. ზარაკი ჩამოკიდებულია ბრინჯაოს ძეწკვზე. ძეწკვი მრავალგანივკვეთიანი მავთულის რვიანის მოყვანილობის ნაწილებისაგან არის შედგენილი. ზარაკის ფუძის დმ – 27 მმ ძეწკვის სიგრძე – I35 მმ (ტაბ. $XI_1$). მსგავსი ფორმის დაფანჯრული ზარაკები მრავლად არის გავრცელებული ქართლის სამეფოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ რომაული ხანის სამარხებში: მანგლისში[44], დიდომში[45], ძრიაში[46], მცხეთაში[47], სტირფასში (მათ შორის ერთი ზახორის მსგავსად ძეწკვიანია)[48], კლდეეთში[49], ურბნისში[50] და სხვა.

4. ბეჭედი ვერცხლისა (გლიპტ. ფონდ. საინვ. № I295) ბაცი გამჭვირვალე მინის გემით (ინტალიო). ბეჭდის რკალი გარედან და შიგნიდან ამობურცულია; რკალი მხრებისაკენ თანდათან ფართოვდება და პატარა ჰორიზონტულ მხრებში გადადის. მხრებზე მირჩილულია საკმაოდ მაღალი ოვალური თვალბუდე. ბეჭდის დმ – I9 მმ, სიმაღლე – 22 მმ (ტაბ. $XI_2$).

ბეჭედი ე.წ. მხრებიანი მირჩილულთვალბუდიანი ბეჭდების ერთ-ერთ სახესხვაობას წარმოადგენს. ამ ტიპის ბეჭდები საყოველთაოდ გავრცელებულია როგორც მთელ რომაულ სამყაროში, ისე მისი გავლენის ქვეშ მყოფ ქვეყნებში. მრავლად არის ისინი აღმოჩე-

---

34 Б.В.Техов, დასახ. ნაშრ., ნახ. 83,3.

35 Б.В. Техов, დასახ. ნაშრ., ნახ. 85,I.

36 Б.В. Техов, ასახ. ნაშრ., ნახ. 86,2.

37 А.Х.Сланов, В.И.Долбежев и начало археологического изучения Юго-Осетии, Известия ЮОНИИ АН Грузинской ССР, выпуск XXI, გვ. I6, ტაბ.I, 22.

38 ნ. აფხაზავა, ადრეშუასაუკუნეების..., ტაბ. I.

39 გ. ნემსაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 27, ტ. I.

40. ს. მაკალათია, 1920-24 წწ. საქართველოში აღმოჩენილი ზოგიერთი ნეკროპოლის დათარიღებისათვის, სსმმ, IV, თბ., 1928, გვ. 172, №12; А. Сланов, Итоги археологического исследования Сохтинского и Кливанского могильников, ПАИ в 1977 г..., გვ. 220, ტაბ. XCVI ,5.

41 Е.М.Придик, Новне кавказские клады, Петроград,1914, გვ. I3, ალწ. I5, ტაბ. VI,I; М.Иващенко.Материалы к изучению Колхиды, მსკი, თბ., 1941, ნაკვ. III, ნახ. I8, a, c; ა. აფაქიძე, ახალი არქეოლოგიური მასალები სოფ. ბორიდან, სსმმ, XII-ბ, თბ. 1944, გვ. 441-446, ნახ. I.

42 დ. ქორიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 99, ტაბ. XVII.

43 ნ. აფხაზავა, ანტიკური ხანის მშვილდსაკინძები.

44 Б.А.Куфтин.Археологические раскопки в Триалети, გვ.27.ნახ. 30,I,2.

45 ს. მაკალათია, დასახ. ნაშრ., გვ. 172, ტაბ. VIII,I9.

46 Б.В.Куфтин, დასახ. ნაშრ., ნახ. 82,2.

47 მცხეთა, არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, III, თბ., 1980, №235.

48 Р.Х.Гаглоев,Типология и сравнительный анализ, ტაბ. II, 4, 6, სტირფაზში ძეწკვზე ჩამოკიდებული კიდევ ერთი ზარაკია აღმოჩენილი, მხოლოდ ის სადაა (იხ. Б.В.Техов, დასახ. ნაშრ., გვ. 260, ნახ. 95,I.).

49 გ. ლომთათიძე, კლდეეთის სამაროვანი, თბ., 1957, ტაბ. IX, I, I3.

50 დ. ქორიძე, ურბნისის სამაროვნის დათარიღების საკითხისათვის. (ხელნაწერი), სამარხი № 230, საინვ. № I-62:3916.

ნილი საქართველოს ტერიტორიაზეც[51]. ეს ბეჭდები კარგად თარიღდება ახ. წ. III საუკუნით[52].

ინტალიო ოვალურია, სწორი პირი აქვს. მინის გამჭვირვალების გამო შესაძლებელი ხდება იმის შემჩნევა, რომ გემას სიგრძეზე ნახვრეტი გასდევს, ე.ი. ის წარმოადგენს გახვრეტილ საბეჭდავს, რომელიც შემდეგ ბეჭედში ჩაუსვამთ. საბეჭდავის პირზე გამოსახულია მარჯვნივ მიმავალი ხახადაღებული ლომი. ცხოველის ფიგურა გადმოცემულია ზოგადი მონახაზებით, განსაკუთრებული დეტალიზაციის გარეშე, ამავე დროს ძალიან რეალისტურად. გამოსახულება პლასტიკურია. რბილი მონახაზები და პლასტიკური ფორმები შესანიშნავად წარმოაჩენს ცხოველის მოქნილობასა და ფიზიკურ სიმძლავრეს. საბეჭდავი ჩამოსხმულია. გამოსახულებას საჭრისით დამუშავების არავითარი კვალი არ ემჩნევა (საბეჭდავი შუაზეა გატეხილი. ზომები: 20 X I6 მმ) (ტაბ. $XI_3$).

ზახორის საბეჭდავის ფორმის და თარიღის დადგენა შესაძლებელი ხდება ზოგიერთი ანალოგიური მასალის მიხედვით. მხედველობაში გვაქვს სომხეთში აღმოჩენილი ორი საბეჭდავი ერთნაირი ფორმისა. ერთ-ერთი აღმოჩენილია 1939 წელს არტიკის რაიონის სოფ. მაიმჯუხში[53]. საბეჭდავი მწვანე გამჭვირვალე მინისაა, ოვალური, ძალიან ბრტყელი (5-6 მმ სისქისა), სიგრძეზე გახვრეტილი. მის ბრტყელ პირზე გამოსახულია ხახადაღებული ლომი (ტაბ. $XI_4$). ეს საბეჭდავი სავსებით მსგავსია ზახორის ინტალიოსი თავისი მასალით, ფერით, ზედაპირის მოყვანილობით, ზომით და რაც მთავარია გამოსახულებითაც. როგორც ჩანს, ორივე საბეჭდავი სავსებით ერთნაირია ფორმითაც (რადგან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ზახორის საბეჭდავს ემჩნევა, რომ ისიც სიგრძეზე გახვრეტილია).

მეორე ასეთივე საბეჭდავი, მხოლოდ იისფერი მინისა, რომელზედაც აგრეთვე ხახადაღებული ლომია გამოსახული, აღმოჩენილია დვინში №II4 ქვევრსამარხში[54].

ზემოთ აღწერილი ფორმის მინის საბეჭდავი, მხოლოდ ძაღლის გამოსახულებით, აღმოჩენილია აზერბაიჯანის ტერიტორიაზეც, მინგეჩაურში ერთ-ერთ ქვევრსამარხში[55].

საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ეს საბეჭდავები ისე გავს ერთმანეთს ფორმით, მასალითა და გამოსახულების სტილით, რომ ერთი სახელოსნო ცენტრიდან უნდა მომდინარეობდეს, რომელიც შესაძლოა სადმე ამიერკავკასიაში მდებარეობდა.

---

51 სამთავროში (М.И.М а к с и м о в а, Геммы из некрополя Мцхеты-Самтавро), სსმმ, XVI- B, თბ. 1950, №36 ნახ. 6; №№ 40, 43, 44; მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები, I, თბ., 1954, №№ I8,I9; მცხეთა, არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, ტ. II, თბ., 1978, №№ 55I-554, 564; მცხეთა, არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, ტ. V, თბ., 198I, გამ. 526), არმაზისხევში (მცხეთა, I, არმაზისხევის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1955, გვ. 48, ტაბ. II,1a; 1b; LI,10; LIII,3), ნავთსადენში (მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, საქართველოს სახელმწ. მუზეუმის გემები, III, თბ., 196I, №30, სურ. I7), მაგრანეთში (რ. რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, ერწოს ველი გვიანარმაზულ ხანაში, თბ. I979, გვ. 50, ტაბ. V,I), არაგვისპირში (რ. რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, ახალი არქეოლოგიური აღმოჩენები არაგვის ხეობაში, „ძეგლის მეგობარი" № 39, თბ., 1975, გვ. 9), ბათუმში (მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ძველი საქართველოს გლიპტიკური ძეგლების კორპუსი, I, თბ., 1969, №I27, სურ. 60). ყველაზე დიდ მსგავსებას ზახორის ბეჭედთან იჩენს ბათუმში აღმოჩენილი ბეჭედი.

52 F. Henkel, Die römischen Fingerringe der Rheinlande, Berlin, 1913, №№ 218,219 და შემდეგ; 433, 437, I255-I276 და სხვ.; F. Marshall, Cataloge of the Finger Rings Greek, Etruscan and Roman, London, I9C7, №№ 266,526 და სხვა.

53 საბეჭდავი ინახება ერევნის ისტორიულ მუზეუმში, №I663:3I; სამწუხაროდ საბეჭდავთან ერთად აღმოჩენილი მასალების ნახვა ვერ მოხერხდა.

54 Ж.Д.Х а ч а т р я н, Гарни, Античный некрополь (результаты раскопок I956-I972 гг.), Ереван, I976, с.I30, рис.46.

55 С.М.К а з и е в, Археологические раскопки в Мингечауре, Альбом кувшинных погребений, Баку, I960, с.26, таб.$XLIY_6$.

დვინის საბეჭდავი სტილისტური თავისებურებებისა და თანმხლები მასალის მიხედვით ძვ. წ. I საუკუნით თარიღდება[56]; ხოლო მინგეჩაურის ქვევრსამარხები, როგორც ცნობილია, ზოგადად ძვ.წ. II-I და ახ. წ. I-II საუკუნეებით არის დათარიღებული[57]. ვფიქრობთ, ზახორის საბეჭდავი ძვ. წ. I საუკუნისა უნდა იყოს (ამ თარიღს არ ეწინააღმდეგება გამოსახულების სტილისტური თავისებურებანიც). ბეჭედში კი ის, როგორც ჩანს, მოგვიანებით, კერძოდ ახ. წ. III საუკუნეშია ჩასმული.

5. მძივები (საინვ. № I5-982:5) სარდიონისა: ბირთვისებური, სხვადასხვა ზომისა (6 ც.), მოგრძო ათწახნაგა (2 ც.), ქალცედონისა მოყვითალო ბირთვისებური (I ც.); გიშრისა კასრისებური (I ც.), მინისა: თეთრი გამჭვირვალე ბირთვისებური (7 ც.), მომწვანო-ცისფერი გამჭვირვალე, თოთხმეტწახნაგა (2 ც.). მძივსაკიდები მუქი ლვინისფერი ნახევრადგამჭვირვალე, ბრტყელი, მოგრძო (2 ც.) (ტაბ. $XII_1$). ეს მძივები მსგავსია კავკასიაში, ჩრდილო შავიზღვისპირეთში და საერთოდ გვიანანტიკური ხანის რომაულ სამყაროში გავრცელებული მძივებისა.

6. პართული დრაქმა (ნუმიზ. განყ. განძების ფონდი, საინვ. № 2I662) გოტარზესი (ახ. წ. 4I-5I წწ.), ვერცხლისა, ნაპირი ჩამოტეხილი აქვს (ტაბ. $XI_5$). გოტარზეს მონეტები ქართლის სამეფოს ტერიტორიაზე მრავლად იყო მიმოქცევაში I-III სს., ამიტომ ეს მონეტები ზუსტი თარიღის დადგენის საშუალებას არ იძლევა[58]. დ. კაპანაძის აზრით, ამ მონეტების ნაწილი ადგილობრივ უნდა იყოს მოჭრილი[59].

ამრიგად, როგორც ვხედავთ, ზახორის არქეოლოგიურ კომპლექსში შემავალი ნივთები - ბრინჯაოს ჭვირული ბალთა, კონუსის მოყვანილობის დაფანჯრული ზარაკი, ორნაწილედი რკალისებური მშვილდსაკინძი, მძივები და გოტარზეს მონეტა-სამარხს ზოგადად რომაული ხანით ათარიღებს; ხოლო მხრებიანი მორჩილულბუდიანი ბეჭედი საშუალებას გვაძლევს ეს თარიღი კიდევ უფრო დავაზუსტოთ - ახ. წ. III საუკუნე.

ვფიქრობთ, ზახორის მოკრძალებული კომპლექსის განხილვას მცირე, მაგრამ გარკვეული წვლილი შეაქვს ქართლის სამეფოს მატერიალური კულტურის შესწავლაში. კომპლექსში შემავალი ნივთები ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ შიდა ქართლის მთიან ზოლში გვიანანტიკურ ხანაში, ერთი მხრივ, კიდევ შემორჩენილია ძველი ტრადიციების მატარებელი ადგილობრივი ნაკეთობანი, რომლებსაც ელინური გავლენა არ შეხებია (ბრინჯაოს ჭვირული ბალთა, რკალისებური მშვილდსაკინძი), მეორე მხრივ, კი გზა გაკვლეული აქვს ანტიკური სამყაროს მატერიალური კულტურის ძეგლებს.

К.А. Д ж а в а х и ш в и л и

## ПОЗДНЕАНТИЧНОЕ ПОГРЕБЕНИЕ ИЗ СЕЛ.ЗАХОРИ

### Р е з ю м е

(Табл.X-XII)

Статья посвящена изучению погребального комплекса, хранящегося в Государственном музее Грузии им.акад.С.Н.Джанашиа(часть предметов хранится в отделе археологии в "основном" фонде кол. № I5-982:I-4 и фонде глиптики кол.№ I295, монета - в отделе нумизматики в фонде "кладов" кол.кол.№ 2I662), случайно обнаруженного в 1974 году в сел.Захори Ленингорского р-на (ущелье р.Лехура - Восточная Грузия). Предметы погребения - бронзовая ажурная поясная бляха, ы фрагмент бронзовой дугообразной фибулы, бронзовый колокольчик на цепочке, серебряный перстень, серебряная парфянская монета Готарза (4I-5I гг.н.э.), бусы

---

56 Ж.Д.Х а ч а т р я н , დასახ. ნაშრ., გვ. I30.

57 С.М. К а з и е в , დასახ. ნაშრ., გვ. 26.

58 Д.Г.К а п а н а д з е. О продолжительности обращения денариев Августа и драхм Готарза в древней Иберии, СА, 1964, с.59-65.

59 დ. კ ა პ ა ნ ა ძ ე, ქართული ნუმიზმატიკა. თბ., 1969, გვ. 45.

из сердолика, гагата и стекла - находят аналогии в памятниках римской эпохи, однако по форме перстня можно уточнить дату погребения - Ш в. н.э.

Также удалось установить, что литик из зеленого стекла с изображением льва (таб.$XI_3$), который вставлен в вышеупомянутый перстень, представляет собой овальную плоскую печать, с продольным отверстием. По стилю изображения и аналогам из Армении (с.Маимджух таб.$XI_4$; Двин) и Азербайджана (Мингечаур) печать датируется I в. до н.э. По-видимому, в перстень она вставлена уже позже - в Ш в. н.э. Все вышеназванные печати происходят, вероятно, из одной мастерской, возможно, из Закавказья.

Рассмотрение скромного инвентаря захорского погребения внесет определенный вклад в изучение материальной культуры Картлийского царства. Предметы погребения еще раз подтверждают, что в римскую эпоху в горной полосе Шида Картли бытуют, с одной стороны, местные изделия, продолжающие древние традиции, которых не коснулось эллинистическое влияние (поясная бляха, дугообразная фибула), а с другой - проникают предметы из Античного мира.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლ ა მ ა რ ა  ბ ე დ უ კ ი ძ ე

## სვანური კიდობანი

(ტაბ. XIII-XIV)

კიდობანი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებაში ლეჩხუმიდან, ქვემო და ზემო რაჭიდან და სვანეთიდან არის ჩამოტანილი.

კიდობანი სვანეთიდან (კოლ. 71-974/I) წარმოადგენს მოგრძო ოთხკუთხა ყუთს, რომელიც შედგება ოთხი გვერდის, ფსკერისა და სახურავისაგან. სვეტები კიდობანში ამოღარულია, შიგ ჩასმულია წინა და უკანა გვერდის ფიცრები და დამაგრებულია ხის ლურსმნებით (კინთებით), ამავე სვეტების ქვედა ჩაგრძელებული ნაწილი (4,5 სმ-ის სიმაღლის) გამოიყენებოდა ფეხებად. ზედა ნაწილი მომრგვალებულია და გახვრეტილი, რომელშიც გაყრილია სახურავის შვერილი. კიდობნის ფასადი თაღითაა შემკული. თაღებს ორ-ორი ამოღარული ზოლი შემოსდევს. სვეტებიც დაჭრელებული აქვს. კიდობნის დასამზადებელ მასალად ზემო სვანეთში ფიჭვი და ქვემოში ცაცხვი გამოიყენებოდა. იგი ნაჯახითა და სატეხით მზადდებოდა (ტაბ. XIII I).

სვანეთში კიდობნის, ისე როგორც სკივრის კეთების ორი ხერხი დასტურდება. პირველი ხარხია ე.წ. ქილიქით აწყობა, რაც დირეებისა და ლურსმნების გარეშე კიდობნის შეკვრას ითვალისწინებს. ამ შემთხვევაში კიდობნის დამზადება ფასადის, უკანა და გვერდის ფიცრების გამოთლით იწყებოდა, რადგან სწორედ ამ ფიცრებით ისაზღვრებოდა კიდობნის სიგრძე თუ სიგანე. ეს ფიცრები, როგორც წესი, მთლიანი უნდა ყოფილიყო. გვერდის ფიცრის ამოღარულ კიდეებში წინა და უკანა ფიცრის გვერდი ჯდებოდა. ამგვარად, ე.ი. ქილიქით აწყობილი კიდობნის გვერდის კიდეების ჩაგრძელებული ნაწილი (დაახლოებით 3 სმ-ის სიმაღლის) ფეხებად გამოიყენებოდა. გვერდის ფიცრის ზედა ნაწილი ამოხვრეტილი იყო და შიგ სახურავის შვერილი ჯდებოდა, რომელსაც რაჭა-ლეჩხუმში „ყრიმალი" ეწოდებოდა[I]. ამგვარი კიდობანი კინთების - ხის ლურსმანების გარეშე ეწყობოდა.

კიდობნის კეთების მეორე ხერხი დირეებით აწყობა სათავსებელი ავეჯის აწყობის საყოველთაოდ გავრცელებულ წესს წარმოადგენდა. ამ შემთხვევაში ჩარჩო წინასწარ კეთდებოდა. ჩარჩოს დირეები შვერილების ბუდეში ჩასმის წესით ეწყობოდა. ამოღარულ სვეტებში მჭიდროდ ჯდებოდა წინა და უკანა გვერდის ფიცრის შვერილი. ჩასმის ადგილი როგორც წესი, ხის ლურსმნებით მაგრდებოდა. ამგვარად აწყობილი სკივრისა თუ კიდობნის ფეხს წინა სვეტის ჩაგრძელებული ნაწილი 4,5 სმ წარმოადგენდა. უკანა სვეტის თავები 4 სმ-ით სახურავს აცილებული, შემომრგვალებული და გახვრეტილი იყო. ნახვრეტებში კი ეყრდნობოდა საამისოდ გამზადებული სახურავის შვერილი (ყვრიმალი). იკეტებოდა რკინის რაზით, რომელიც გამაგრებული იყო ყულფზე (ტაბ. XIII-2, XIX-I).

ამგვარად, კიდობანი წარმოადგენს მოგრძო ოთხკუთხედ ყუთს, რომელიც ოთხი გვერდით, ფსკერისა და სახურავისაგან შედგება, კიდობნის ფეხები პირველ შემთხვევაში გვერდის ფიცრის წაგრძელებაა, მეორე შემთხვევაში კი - სვეტების გამოკვეთილი ნაწილი.

კონსტრუქციულ სხვაობას ქმნის თვით სათავსებელი ავეჯის კედლების შეერთებაც. ხშირია გვერდის კედლის ვერტიკალურ ღარებში წინა და უკანა კედლის კიდეების ჩასმა. ამგვარად, აწყობილი კიდობნის კედლის გამაგრება ხის ჭვინთ-სამჭვალთ - ლურსმნებით ხდებოდა.

კიდობნის კედლის გამაგრების მიზნით გვერდის ფიცრებს ვერტიკალურ ღარებს გარდა,

---

I ფ. გ ა რ დ ა ფ ხ ა ძ ე - ქ ი ქ ო ძ ე, მასალები ლეჩხუმური სკივრების შესახებ, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, VII, თბ., 1955, გვ. 66.

ოთხი ბუდე უნდა ამოეკვეთათ, რომელშიც წინა და უკანა შესაბამისი ორ-ორი შვერილი ჯდებოდა. ეს შვერილები გვერდის ფიცრის გარეთ იყო გამოსული. რაც შეეხება ძირს, იგი ოთხივე გვერდის ღარებში იყო ჩამჯდარი. ამგვარი კონსტრუქციის კიდობანი მეტად მყარი და გამძლეა. კონსტრუქციის სიმყარეზე ისიც მეტყველებს, რომ ზოგიერთმა მათგანმა ასეულ წელს გაუძლო და ჩვენამდე კარგად მოაღწია.

აქ აღწერილი სათავსებელი ავეჯის კეთების ხერხები და ცალკეულ ნაწილთა დაკავშირების თავისებურებანი, მაგალითად, შვერილის ბუდეში ჩასმა, ფიცრების ქილიქით აწყობა და სხვა ყურადღებას იქცევს საყოველთაოდ ცნობილი არქეოლოგიური პარალელებით (მცხეთა, ური).

ამგვარად, ავეჯის კეთების ხალხურმა ტრადიციამ განსაზღვრა კიდობნის კეთებისა და ფორმის თავისებურებაც, ხოლო სვანეთში შემონახულმა მისმა ფუნქციონალურმა მრავალგვარობამ ზოგიერთი დაკარგული ფუნქციის აღდგენის და ამით ამ ავეჯის სიძველის ამოცნობის საშუალება მოგვცა.

ავეჯის ამ სახეობის სიძველეზე, უპირველეს ყოვლისა, სვანური მასალით დადასტურებული კიდობნის მრავალსახეობა მეტყველებს. ლაბარგ კიბდონ (ტანსაცმლის კიდობანი), ლაფაქ კიბდონ (ფქვილის კიდობანი), ტაბლაშიშ საოჯახო სადღეობო, სუგვარიშ კიბდონ - ოჯახის სამარხი ფქვილის, ლელინფექ საერთო სადღესასწაულო ანუ სალოცავი ფქვილის, ბალ-დიდი კიდობანი[2], კოკორიშ კიბდონ საზამთროდ სახმარი (ერთად დაფქული ქერის, ხორბლის, ცერცვის ფქვილის შესანახავი). ამას გარდა არსებობდა როგვაშ-ცერცვის, ღედრიშედ-მუხუდოსი, ჭმნიშედ ქერის, მანაშედ-ჭვავის, ზნთხშედ-შვრიის, ფეტვიშედ-ფეტვის შესანახი კიდობნები. აღნიშნული კიდობნების გვერდით ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ კიდობანზეც, რომელშიც შენახული იყო დღეობისათვის წინასწარ მომარაგებული საუკეთესო ხორბალი ან ფქვილი. ამ კიდობნელებს ბალს ზემოთ სვანეთში გუიზ კიბდვენ-ი, ხოლო ბალს ქვემო სვანეთში ტაბლაშ კიბდვენ - ერქვა[3], კიდობანს, რომელშიც მარცვალი ან ფქვილი ხანგრძლივად ინახებოდა (ორი-სამი წელი) ძველი კიდობანი-ნაჯვენე კიბდვენი ერქვა. ეს კიდობანი სახურავიანად იყო გალესილი; ტრადიციულ და შეძლებულ ოჯახს გვიმში შენახული ჰქონდა რამდენიმე ასეთი კიდობანი, მოულოდნელი ხარჯისათვის (მოქსავლიანობის ქორწილის ან მიცვალებულისათვის) შენახულ კიდობანს გადადებულს - ქალგეს[4] ეძახდნენ.

კიდობნებს შორის აშკარად გამოირჩევა ერთი ჯგუფი, რომელიც ორნამენტირებულია და სვანური მასალით კვალიფიცირდება როგორც ოჯახში სხვადასხვა დღესასწაულის დროს შესრულებული რელიგიური ცერემონიალის აუცილებელი ატრიბუტი[5]. („ლამარიაშ ტაბლაშის" კიდობანი). ამ მხრივ, სხვა მრავალ ვარიანტს შორის ინტერესს იწვევს ლამარიაშ ტაბლაშის კიდობანთან შობას შესრულებული ერთი ცერემონიალი (სოფ. ფარი), რომელიც არყის ხისგან გამოთლილი პატარა ჩაგნით, ღუარჩინ-ით[6] კიდობნიდან ფქვილის ამოღებას ითვალისწინებდა. დიასახლისს თან უნდა წაეღო კა (ფილაქნის) პატარა ნაჭერი და ქართა ფქვილისათვის. ამ დროს კერასთან მსხდომ ოჯახის წევრებს ხელში ნახშირი უნდა დაეჭირათ და თავდახრილები უნდა მჯდარიყვნენ, ვიდრე დიასახლისი კიდობნიდან ამოღებულ ფქვილს არ შემოიტანდა. დიასახლისი კიდობანთან ლამარიას სახელს ახსენე-

---

2 მ. ჩ ა რ თ ო ლ ა ნ ი, ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, თბ., 1961.

3 ჯ. რ უ ხ ა ძ ე, ხალხური აგრიკულტურა დასავლეთ საქართველოში, თბ., 1976, 109.

4 მ. ჩ ა რ თ ო ლ ა ნ ი, ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, თბ., 1961, გვ. 114.

5 ლ. ბ ე დ უ კ ი ძ ე, სვანური ავეჯი და მისი ორნამენტი (ხელნაწერი), თბ., 1980, გვ. 44.

6 როგორც გამოკვლეულია ხალხის რწმენით ჩოგანი და ღუარჩინი ლამარიასათვის იყო განკუთვნილი, როგორც მშობიარობის დროს დასახმარებელი ნივთები.

ბდა, კიდობანს თავს ახდიდა, ფილაქნის ნაჭერზე მუჭით ფქვილს გადმოიღებდა და კიდობნის ქვეშ შეადგამდა. კარუაში ფქვილს ღუარჩინით ამოიღებდა და სგირში (მაჩუბში) შევიდოდა. დიასახლისის გამოჩენისთანავე ოჯახის წევრები ხელში დაჭრილ ნახშირს ცეცხლში შეაგდებდნენ და წამოიშლებოდნენ. დიასახლისი ლამარია ტაბლებს დამზირების გამოცხობას იწყებდა, რომელიც ქორა მახუშს ვახშმის წინ უნდა დაელოცა.

ეცერში იმ ადგილს, სადაც ლამარია ტაბლაშის კიდობანი ინახებოდა, კეშკ-ი ერქვა. ფაქტიურად კეშკი სგირის მინაშენია, რომელიც ფქვილისა და ხორბლის შესანახადაა განკუთვნილი, კეშკში დიასახლისს 3 პატარა კვერი შექონდა, რომლებსაც იგი შობ-სადამოს აცხობდა. მას მიქონდა ჯამით თესლიც. იგი ლამარიაშ ტაბლაშ-ის კიდობანთან ლოცვას წარმოთქვამდა და თესლს ეზიარებოდა. ნალოც კვერებს კიდობანში ჩადებდა და შემდეგ კარუაში გადაიღებდა, რომლითაც უნდა ამოეღო აგრეთვე ლამარიაშ ტაბლაშის ფქვილიც. ამ კარუით დიასახლისი სგირში მაჩუბში შედიოდა, კერასთან მსხდომთ მარჯვნიდან შემოუვლიდა და საქალებო მხარეზე გაჩერდებოდა. დიასახლისის შემოსვლის შემდეგ იქ მსხდომნი ნახშირის ნაჭრებს (რომელიც ხელში ეჭირათ) ცეცხლში აგდებდნენ და ლაპარაკს იწყებდნენ. ვახშმობისას დიასახლისი ლამარია ლემზირებს აცხობდა, რომელიც უწონაში – სხვისთვის აღკვეთილი უნდა ყოფილიყო[7].

საინტერესოა შობის დღესასწაულის დროს კიდობანთან შესრულებული ცერემონიალის მესტიური ვარიანტი, რომელიც ვ. ბარდაველიძის მიერაა ფიქსირებული და სხვაგან დამოწმებულისაგან განსხვავებით კიდობანთან მუხლის მოყრაში მდგომარეობს.

დილის საუზმის (ლინცელ-ის) შემდეგ მერბიელ-ი პურის წმინდა ფქვილისაგან მოხარშულ ფაფას „ქაქ-ს (ამ დღის ფაფას შობა ქაქ-ს უწოდებდნენ) და საწებლად გამოხდილ მუჟურს – კანაფის ზეთს ხმარობდა.დიასახლისს ქაქ-ის ნაწილი უნდა ჩამოეჭრა და გუემში ლამარიაშ კიდობანთან ჩუბაუ ლიამზრ-ი შეესრულებინა. ამ ცერემონიალის დროს ხოშა ზურალს ხელში ანთებული სანთელი და ფაფა უნდა დაეჭირა და კიდობანთან დაჩოქილს მიწაზე თავდახრით ლამარიას ლოცვა წარმოეთქვა. დანარჩენები, რომლებიც ხოშა ზურალის ახლოს იდგნენ, ლოცვას გულში იმეორებდნენ[8]. ჩვენი მასალით, კიდობანთან დაჩოქილ ხოჩა ზურალს ერთ ხელში ფაფით სავსე, სანთელანთებული ფაკნი და მეორეში აუცილებლად ღუარჩილი უნდა სჭეროდა. ლოცვის გათავების შემდეგ შენაწირს ეზიარებოდა ღუაჩინს – კიდობანში შეინახავდა და მაჩუბში ბრუნდებოდა.

სვანეთში „ლაბარგ კიდობანთან, ზოგიერთ თემებში კი სკივრთან ერთად ქალისათვის მზითევად კიდობნის კონსტრუქციის „სატრ"-ყუთი (სვანეთი) სკივრუკა (რაჭა) ან „ყუთნი" (ყუთი) უნდა გაეტარებინათ, რაც სვანი ქალის ყოფის დამახასიათებელ ელემენტს წარმოადგენდა. ყუთები სამკაულის, ფულის, ძაფის, და ფერ-უმარილის შესანახად გამოიყენებოდა. ამ ყუთების ზომა ძირითადად 17 X 12 სმ. იგი არაფრად არ განირჩეოდა საბარგე კიდობანისაგან. მასაც ოთხ გვერდი, ფსკერი და სახურავი აქვს. ამოღარულ გვერდებში ჩასმული წინა და უკანა გვერდის ფიცარი შეკრულია ხის სამჭვალით – „კინთით". სამკაულებისათვის განკუთვნილ ლეჩხუმურ ყუთში, როგორც გარკვეულია სამზითვო ჭონჭიკიც ეწყობოდა. ჭონჭიანი სკივრი „მებარგულის" ხელით (მარხილით ან ცხენით) მაყრიონის წინ სიძის ოჯახში იგზავნებოდა[9].

რაც შეეხება ტანსაცმლის შესანახი ავეჯის აღმნიშვნელ ტერმინს სკივრს, რომელიც არ იხსენიება ძველ წერილობით ძეგლებში და უცხოა სვანეთის მაღალმთიანი სოფლებისათვის (უშგული, ფარი, იფარი) ტანსაცმლის შესანახი ავეჯის გვიანდელი ტერმინია.

ამგვარად, სკივრის ფუნქციით სვანეთის მაღალმთიან თემებში კიდობნის ხმარება,

-----------------

7 ლ. ბ ე დ უ კ ი ძ ე, სვანური ავეჯი და მისი ორნამენტი, 1979, (ხელნაწერი), გვ. 46.

8 ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი ..., გვ. 37.

9 ფ. გ ა რ დ ა ფ ხ ა ძ ე - ქ ი ქ ო ძ ე, მასალები ლეჩხუმური სკივრის შესახებ, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, VII, თბ., 1955, გვ. 67.

აგრეთვე აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (ფშავი, ხევსურეთი) ტანსაცმლის შესანახი ავეჯის კიდობნის სახელით მოხსენიება (სატალავრე კიდობანი) კიდობნის ზოგადი ფუნქცია და თვით ტერმინის უძველესი წარმომავლობა იმაზე მიუთითებს, რომ ტანსაცმლის ავეჯის აღმნიშვნელ ტერმინად ადრე სკივრის მაგიერ კიდობანი იხმარებოდა. არსებული ყველა წყარო და ადგილობრივი ცნობები შეთანხმებულად ამაზევე მეტყველებს.

სათავსებელი ავეჯის ხსენებული სახეობა, ისე როგორც საერთოდ ხალხური ავეჯი, საჭიროებს მისთვის გარკვეულ სოციალურ გარემოში ადგილის მიჩენას. ლაბარგ კიდობანი, რომელსაც პარალელი ეძებნება საქართველოს სხვა კუთხეში ტაგრუცის, სკივრის, ზანდუკის სახით, როგორც ქალის სამზითვო ავეჯი, თვისობრივად ახალ გარემოში ჩნდება. იგი დიდი ოჯახის კუთვნილებას არ შეადგენდა. მისი გაჩენა დიდ ოჯახში პირადი საკუთრების გამოყოფის დროიდან ივარაუდება, ამიტომაც იგი კარგად გამოხატავდა და ერთგვარად შეესატყვისებოდა ყველაფერ იმას, რაც სვანეთის სოციალურ ცხოვრებაში ფაქტად იყო ქცეული.

გამოკვლეულია, რომ სვანური ძველი საცხოვრებელი ნაგებობა (ჯვინელ ლუშნე ლალგმარ შეიცავს საკუთრივ სვანურ სახლს (ლუშნუ ქორ), საგაზაფხულო სადგომ (გუბანდ, სვანირ II სენირ), ბეღელს) (მვემ II გემ), ბოსელს (ლამენგარ), კალოს (კალუ), ცალმაგს (ცალმაგ-ბქვ., ლაღჩამ-ბზ., მაჩუშგული, ქვ. სვანეთი) და კოშკს (მურყვამ).
ამასთან ყურადსაღებია გვემ-გემი, რომლის სამეურნეო ფუნქცია კარგადაა განსაზღვრული და გაანალიზებული სამეცნიერო ლიტერატურაში[10]. იგი ცალკე ნაგებობისა და აგრეთვე სვანური სახლის სარდაფის (ან პირველი სართულის) სახით გვხვდება[11].

სამეურნეო დანიშნულების მქონე ეს სათავსონაირგვარი სახელწოდებისა და ზომის კიდობნებით იყო წარმოდგენილი. „ლაზენთს კიბდენ (შვრიის). სიმაღლე I,25; სიგანე I,42 სმ) კვეცნემ კიბდენ (პურის) და მნიშ (ქერის) მანაშიშ კიბდენ (ჭვავის), გვიზიშ (წმინდა საკულტო დანიშნულების პურის ფქვილის შესანახი). აქვე იდგა ორი კასრი ერთი ცერცვის (როგუ) და მეორე მუხუდოსათვის განკუთვნილი[12].

ორსართულიან სვანურ სახლში, რომელიც მ. ჩართოლანის სავარაუდო მოსაზრებით, სამსართულიანი სახლზე გვიანდელი წარმოშობის უნდა იყოს, გვემი ერქვა. გვემი ერქვა კარის გასწვრივ გაკეთებულ კორიდორის ხაგამ-ის გატიხრულ ნაწილსაც, რომელშიც მცირე ზომის ერთი ან ორი საფქვილე კიდობნები იდგა. ამგვარ სახლში საოჯახო სახმარი ავეჯი მეორე სართულზე თავსდებოდა, რომელიც გუბანდის ანუ ლუფსხვილდის სახელითაა ცნობილი. კიდობნები შერჩეული იყო სხვადასხვა მარცვლეულისა და ფქვილისათვის. მაგ., შვრიას და ფქვილს ათავსებდნენ უკეთ გათლილ და მჭიდროდ ნაშენებ ან გალესილ კიდობანში, ხოლო ქერისა და ცერცვისათვის შედარებით უხარისხოდ ნაკეთებ კიდობნებს იყენებდნენ. კიდობნის გასალესად ხმარობდნენ ჭვავის ფქვილის და ნაცრისა ან ნაკელის, ნაცრისა და ლორის ჯაგრის ნარევს. ლესავდნენ იმ ადგილებს, სადაც ფიცრები ერთმანეთს უერთდებოდა. ზოგჯერ კიდობანი გარედან იყო გათეთრებული კირის ხსნარით, დიდ კიდობანში ძირითადად იმ მარაგს ათავსებდნენ, რაც ერთი წლით გათვალისწინებულ სარჩოს გადარჩებოდა.

გვემ II გემში მოთავსებულ კიდობნებს შორის ყურადღებას იმსახურებს „ლაკიჩხ II ლუკიბ კიბლდვენ“ - კიბიანი კიდობანი, რომელსაც ჯ. რუხაძე განიხილავს როგორც უსახურავო მაღალი კიდობნების ცალკე კატეგორიას[13].

ჩვენს მიერ მულახში ფიქსირებული მასალით ლაკიჩხ კიბლდვენ 20 კვიდოლს ზემოთ (I კვიდოლი - I6 კგ) ჩამავალს ერქვა. ზოგიერთ თემში იგი ბალის სახელით ჩანს დამკვიდრებული. მისი აწყობა, რომელიც ჩვეულებრივი კიდობნის კეთების ყველა წესის დაცვით სრულდებოდა, გვემში მიმდინარეობდა. ლაკიჩხ კიბდვენ-ბალის გვერდებს კედელი

------------

I0 მ. ჩ ა რ თ ო ლ ა ნ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 82.
II მ. ჩ ა რ თ ო ლ ა ნ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. I06.
I2 მ. ჩ ა რ თ ო ლ ა ნ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. I08.
I3 ჯ. რ უ ხ ა ძ ე, ხალხური აგროკულტურა დას. საქ-ში, თბ., 1976, გვ. I07.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეწოდება. კეთების პროცესი კი შენების სახელით იყო ცნობილი[14]. ამრიგად, ლაკიჩხ კიბლდვენ-ბალ ჩამოყალიბდა, როგორც ყვანურ სახლთან შერწყმული სამეურნეო კომპლექსის ძირითადი ნაწილი.

სვანური ორნამენტი ჩვენს მთიანეთში ფართოდ გავრცელებული გეომეტრიული, დეკორატიული ქარგის ნაირსახეობაა, რომელიც მრავლად შეიცავს ასტრალურ ანუ ციურ სხეულების გამოსახულებებს. ზოგიერთი ეს გამოსახულება ნიშან სიმბოლო იყო, რომელიც ორნამენტად იქცა და მისი მრავალსახეობა შეიქმნა. ამგვარი მრავალსახეობით იგი მოიპოვება სხვადასხვა ხასიათის ნაგებობებსა და ავეჯზეც. (ტაბ. XIV-2).

როგორც ცნობილია, ავეჯზე და კერძოდ, სვანურ კიდობნებზე მოცემული გამოსახულებანი ძირითადად გეომეტრიული ხასიათისაა. იშვიათად მაგრამ მაინც გვხვდება ადამიანისა და ცხოველების სქემატური გამოსახულებანიც. მიუხედავად იმისა, რომ ზემოაღნიშნული მასალა არც თუ მაინცდამაინც მრავალნაირია შესაძლებელი ხდება მათ შორის ცალკეული სიმბოლოებისა და კომპოზიციების გამოყოფა, რომლებიც ძირითადად ე.წ. „წმინდა კიდობნებზე" იყო გამოსახული როგორც ამ კიდობნების საწესო-სარიტუალო დანიშნულების ერთგვარი გამომხატველი. აღსანიშნავია, რომ სვანურ ეკლესიებს უმეტესად ამგვარი კიდობნები ეწირებოდა. ეს კარგად ვლინდება ეკლესიებში დღემდე მიღწეული ზოგიერთი ცალებით. ამ მხრივ, განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს უშგულის ჩაჟაშის მაცხოვრის კიდობნები, რომელთა ფასადზე მოცემული სიმბოლური ნიშნის ახსნა ჩვენ რამდენჯერმე ვცადეთ[15]. ყურადღებას იქცევს ამავე ეკლესიაში დაცულ კიდობანზე მოცემული კვეთა, რომელიც ავეჯისათვის უჩვეულო გამოსახულებად და გააზრებად შეიძლება ჩაითვალოს. ეს არის ლიტერატურაში ცნობილი არქაულ ჭრელების ანალოგიური მხედრის და ადამიანთა გამოსახულების მწკრივი[16], რომელიც ფერხულში ჩაბმულ მოცეკვავე მამაკაცებს გამოხატავს. როგორც გამოკვლეულია, მსოფლიო ანალოგებით მდიდარი ფერხულის სცენები ნაყოფიერების კულტს უკავშირებდა[17], რაც კარგად იხსენება მეცნიერულად გაანალიზებულ და ინტერპრეტირებულ ქართველ მთიელთა საწესო ფერხული ფერხისათი ან ქორბელელათი, რომელიც სრულდებოდა ხატობას ნაყოფიერების ღვთაებისადმი მიმართული არქაული სასიმღერო თანხლებით[18]. ორნამენტის დეტალი, რომელიც კონცენტრული წრეების სახითაა კიდობანზე წარმოდგენილი, საქართველოს არქეოლოგიურ მასალებს შორის თიხის შავპრიალა ენეოლითურ ჭურჭელში გვხვდება, სახელდობრ კიკეთსა და თრიალეთში[19]. აღნიშნული მოტივი მცირე აზიაში ძვ.წ. XVI ს. დათარიღებულ მასალებშია ცნობილი[20]. სპირალს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ეგეურ სამყაროში. იგი არც ელინელთათვის ყოფილა უცხო[21]. მთვარის გამომხატველი სპირალი სვანების ძველ ყოფაში მოცემულია პურის საჭრეთზე, რაც ვ. ბარდაველიძის მიერ ახსნილია როგორც მთავრის სახით აღბეჭ-

---

14 მთხრ. სიდო სიმონის ასული ავალიანი (44 წლის, მულახი, ჟაბეში. ჩაწერილია სვანეთის სამეცნიერო კომპლექსურ ექსპედიციაში მონაწილეობის დროს 1974 წ.).

15 ლ. ბედუკიძე, ხეზე კვეთილობის ზოგიერთი ნიმუში სვანეთიდან საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე XXXI- , თბილისი 1975. მისივე სვანურ ავეჯზე მოცემული ზოგიერთი სიმბოლური გამოსახულების შინაარსის ახსნისათვის, სვანეთი I, თბილისი 1977.

16 შდრ. ბარდაველიძე, ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები, თბილისი, 1953, გვ. 47.

17 ი. გაგოშიძე, სამადლოში მოპოვებული მოხატული ჭურჭელი, ძეგლის მეგობარი, თბ., 1970, გვ. 46.

18 ვ. ბარდაველიძე, აღმოსავლეთ საქართველოს მთიელების სასულიერო ტექსტები, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიის, ნაწილი I, ტფილისი, 1938, გვ. 39-42.

19 Б.А.Куфтин. Урартский колумб...საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XIII- , თბ., 1944, გვ. 86.

20 მ. ლორთქიფანიძე, ძველი ქართული ელიპტიკური ძეგლების კორპუსი I, თბ., 1969, გვ. 15.

21 მ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 15.

დიდი რიტუალური კვერი, რომელიც მკვლევარის სავარაუდო მოსაზრებით მთავრის ღვთაების სახელზე ეწირებოდა[22]. ამრიგად, სვანური ხალხური ხელოვნება ორი სხვადასხვა მნათობის-მზისა და მთვარის ერთი სახის ჭრელით წარმოსახვის მრავალ მაგალითს იცნობს (სხივოსანი, წრეხაზი, სპირალი, რგოლი), რომლის თარიღიანი პარალელი ადრეანტიკური ხანის ღარიღარის (ჭუბერი) სამაროვანზე აღმოჩენილი სპირალური ბალთებია[23].

როგორც აღინიშნა, სკვირზე ამოკვეთილი მეფერხულეთა წინ მოცემული პირველი ფიგურა მხედარს გამოხატავს, რომელიც შესრულების მანერით ორნამენტულ მოტივში გადასული ლიტანალის მხატვრობის ტრადიციული გამოსახულებაა და ცხენის დიდ პრაქტიკულ მნიშვნელობასთან ერთად რელიგიისა და კულტის სფეროში მისი შეჭრის მანიშნებელი, რადგან კიდობნის გვერდზე ამოკვეთილი კომპოზიცია შინაარსობრივად მთლიანობაში ძნელად ექვემდებარება ახსნას, ჩვენი მოსაზრებები სავარაუდოა. ფერხული სვანეთში „ლაჭაშხაშ" ყველა დღეობის თანხლები ატრიბუტია. გავრცელებული იყო ქალების ფერხულიც რამაიდა ჭიშხ, რომელიც წყვილი ქალის გამოსვლით იწყებოდა. ქალები, როგორც წესი, მხარზე გადებული ხელებით არ გამოდიოდნენ. მეფერხულე მამაკაცები კი ცეკვას მხრებზე ხელგადებულნი იწყებდნენ და შემდეგ ქამარში ჩაჭიდებული ხელებით ხელკავით ან ხელჩაკიდებული გაყვებოდნენ. (აღსანიშნავია, რომ) სვანური ფერხულის სხვადასხვა სახელწოდებას მისი თანმხლები სასიმღერო ტექსტის ნაირგვარობა აპირობებდა. ასეთი იყო ფერხულები: თამარ დედოფალ ლაჭაშხაშ, ყანსავ ყიფიან ლაჭშხაშ, დელა კოჯას ხელღვაჯალე (მშობიარობა) ლაჭშხაშ. საფერხულო სიმღერა „დალი კლდეზე მშობიარობს", „ისევე როგორც ბეთქილი" გამოკვლეულია, რომ მთლიანად წარმოადგენს დიალოგს დალისა და მონადირეს შორის[24]. ამ უკანასკნელის შესრულება დალის მშობიარობასთან დაკავშირებული სასიმღერო ტექსტით ჯგრგ-წმინდა გიორგის დღეობის დროს აუცილებელი ყოფილა[25]. წმ. გიორგისთან დაკავშირებული ამგვარი შინაარსის სასიმღერო ტექსტის თანხლება კარგად იხსნება ამ ბოლო დროს ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში დამკვიდრებული მოსაზრებით, რომელიც წმ. გიორგის მისი ძირითადი ფუნქციების მიხედვით მამაკაცური ბუნების მქონე სათემო ღვთაების შემცვლელად წარმოგვიდგენს და მას თავის დროზე მითვისებულ ნადირთ ღვთაების ფუნქციით ავლენს, რომელიც სვანეთში დალის სახითაა წარმოდგენილი[26], დალისა და ჯგრაგის კულტურების კავშირს ქართული ტომების წარმართული რელიგიის ისტორიის მანძილზე საგანგებოდ განიხილავს ვ. ბარდაველიძე. იგი ჩერდება ამ კულტების ძირითად საფეხურებზე, რომელიც მისი გამოკვლევით მთელი წარმართული რელიგიის ისტორიის მანძილზე დაახლოებული ჩანს[27].

ზემოთქმულთან ერთად თუ გავითვალისწინებთ მთვარის ღვთაების იკონოგრაფიის (ძვ. წ. V ს.) მხედრის სახით ჩამოყალიბების მეცნიერულ ინტერპრეტაციას[28], შესაძლებელია ჯვრის საწყისი ფორმით გამოსახულ ადამიანთა ეს მეტად არქაული ჭრელი შინაარსობრივად გააზრებული იქნას როგორც ქართველების უძველესი მსოფლმხედველობის შემცველი სარწმუნოებრივი ხასიათის გამოსახულება, რომელიც დღეს შემონახულ ეთნოგრაფიული მასალით წმინდა გიორგის კულტში რელიგიური სინკრეტიზმის სახით გვევლინება.

---

22 ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, ქართული (სვანური საწერი გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები, თბ., 1953, გვ. 99.

23 შ. ჩ ა რთ ო ლ ა ნ ი, სვანთა უძველესი რელიგიური რწმენა-წარმოდგენები არქეოლოგიური მასალების შუქზე სვანეთის, თბ., 1977, გვ. 96.

24 ე. ვ ი რ ს ა ლ ა ძ ე, ქართული სამონადირო ეპოსი, თბ., 1964, გვ. 136.

25 „დალი კლდეში მშობიარობდა, ქვევით მშიერი მგელი უცდიდა დალის, რომ ბავშვი მოეტაცა. უცბად გამოვარდა მონადირე, ესროლა მგელს და ბავშვი დაატოვებინა, შემდეგ დალის შესძახა შენი ნაწნავი ჩამოუშვი ბავშვი უნდა მოგაწოდოთ" – იმღერა ფერხულში (მთხრ. საშა რომანის ასული გულედანი-კვანჭიანი 55 წლის, მესტია, 1974); ლუკა ბესარიონის ძე გულბანი 82 წლის ჰადიში, 1973 წ.).

26 მ. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, წარმართული ხასიათის ზოგიერთი საკულტო ძეგლი სვანეთში, სვანეთი I, თბ., 1277, გვ. 30.

27 ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, სვანური საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები.

28 ი. გ ა გ ო შ ი ძ ე, ადრეანტიკური ხანის ძეგლები. ქსნის ხეობიდან, თბ., 1964, გვ. 40.

Л.Бедукидзе

## СВАНСКИЙ ЛАРЬ - "КИДОБАНИ"

Резюме

На основе музейных коллекций и собранного автором полевого этнографического материала, в труде дано подробное описание техники изготовления ларя - "кидобани", как основного и старинного вида грузинской народной мебели.

Описание техники изготовления "кидобани" и способы его использования являются показателями тех богатейших традиций, которые при передаче из поколения в поколение сохраняют свое существование.

Предлагаемая вниманию статья ставит себе целью уточнить некоторые особенности сванской народной мебели.

Особо обращают на себя внимание украшения сванских ларей, которые преимущественно представляют геометрический орнамент с различными вариациями солярных знаков и пр. Бесконечные варианты орнаментов, выполненные в резьбе, указывают на высокое мастерство сванских резчиков. Это подтверждается и коллекциями Гос.музея Грузии.

Сванский ларь, более или менее связанный с жилой постройкой или хозяйственным бытом, представляет собой один из материальных памятников, исследование которого имеет определенную научную ценность для изучения народной архитектуры, искусства и семейного быта.

## М.В. Ц о ц е л и я

# МЕДНЫЕ САСАНИДСКИЕ МОНЕТЫ В СОБРАНИИ ГОСУДАРСТВЕННОГО МУЗЕЯ ГРУЗИИ

(Табл.ХУ)

В сасанидском Иране существовала развитая монетная система. Основной денежной весовой единицей являлась драхма, а основным стандартом - серебро. Существовали серебряные монеты более мелкого достоинства - оболы и полуоболы. Монеты из золота, потина и меди являлись редкостью. Медные монеты чеканили лишь некоторые сасанидские правители в очень незначительном количестве.

В отделе нумизматики Государственного музея Грузии им.С.Джанашиа среди сасанидских драхм, насчитывающих около 2000 экземпляров, имеются несколько медных сасанидских монет.

Выиграв войну в 227 году в Хормиздагане над парфянским монархом Артабаном У (213-224 гг.) и став первым царем сасанидского Ирана, Арташир I (213-224 гг.) начал чеканить монеты с новым титулом: "Поклоняющийся (Ахура-) Мазде, бог, царь царей Ирана, происходящий от богов". Арташиру I принадлежит монетная реформа, он ввел новшество в области медных сасанидских монет. С нехваткой в казне серебра было связано появление при первом сасанидском монархе разного веса неполноценных драхм из потина, представляющих сплав меди с оловом и свинцом[1].

Арташир I ввел ведущий медный номинал ("еденицу"). Вначале чеканились фракции I/4 еденицы и I/6 еденицы. При Шапуре I (241-272) вращались фракции I/4 и I/8 еденицы, обращавшиеся в течение долголетнего правления Шапура П (309-379 гг.)[2]. После Шапура П чеканились фракции I/6 и I/I2 еденицы. В период между правлениями Шапура П и Варахрана У выпускались маленькие медные монеты I/6 еденицы, которые некоторые нумизматы считают праздничными монетами, играющими роль жетонов[3].

---

I Первые выпуски монет Арташира I следовали парфянским образцам, но вскоре они начали развиваться своим собственным путем. Для хронологической систематизации монет Арташира I см. В.Г. Л у к о н и н, Культура сасанидского Ирана, М., 1962, с.165-167.

2 Известна группа монет Шапура П. См.М.Е. М а с с о н. Распространение монетных находок чекана династии Сасанидов на территории современных республик Средней Азии. История иранского государства и культуры. К 2500-летию иранского государства, М., 1971, с.224.

3 R.Göbl, Sasanian Numismatics, Braunshweig, 1971, p.29

После правления Хосрова II (591-628 гг.) прекратился выпуск медных сасанидских монет I/6 единицы, обращавшихся на местном рынке, и золотых динаров, приуроченных к торжественным событиям[4]. Последующими шаханшахами выпускались только драхмы.

Медные сасанидские монеты не имели устойчивого веса, лишь в III в. выпускались тяжелые медные тетрадрахмы из потина весом 16 гр[5].

Среди медных монет, относящихся к сасанидскому чекану, встречаются крупные и мелкие экземпляры, последние встречаются чаще.

Мелкие медные монеты, как и мелкие серебряные, некоторые исследователи относят к местным чеканам сатрапов - правителей зависимых от шаханшаха городов и городских округов, входивших в "домен" царя царей[6], другие вообще не признают за этими эмиссиями регулярности в выпуске. На мелких медных и серебряных монетах часто встречаются знаки, появляющиеся со времени царствования Шапура II[7].

Существует гипотеза, что при Арташире I существовал второй монетный двор, где чеканились медные тетрадрахмы и мелкие серебряные монеты[8].

Медные сасанидские монеты назывались ма'а и папиз (последнее слово означает "чешуйка")[9]. Мелкие медные монеты циркулировали время от времени. По мнению Р.Гёбля, обол (мелкая серебряная монета) был эквивалентен медной единице и заменял последнюю. Следовательно, папиз =I/4 и I/6 единице[10].

Судя по зарегистрированным находкам, на территории Грузии мелкие сасанидские монеты встречаются редко. В фонде отдела нумизматики Госмузея Грузии имеются как беспаспортные монеты, так и монеты, найденные во время проводимых на территории Грузии археологических работ[11]. В большинстве случаев медные саса-

4 Следует упомянуть две необычайно редкие монеты, датируемые позднесасанидским и ранне-исламским периодами. На этих медных монетах необычно как само изображение, так и легенда, не имеющая себе аналогий в сасанидской нумизматике. На аверсе легенда читается как: d'l'y GDH 'pzwt . "Да возрастет слава Дары"! Под словом d'l'y надо подразумевать имя собственное местного правителя, а не написание имени города Дарабгерда. R.N.F r y e, Sasanian remains from Qasr-i Abu Nasr. Sealings, Seals and Coins. "Harvard Iranian Series", vol. I. Cambridge, 1973, pp. 42-43

Существует мнение, что большое количество медных монет в раннеарабскую эпоху циркулировали только в самом Иране, где найдены как местные типы монет, так и их подражания. G.M i l e s, Excavations from the Persepolis Region, Numismatic Notes and Monographs, No. 143, 28

5. В.Г.Л у к о н и н. Иран в эпоху первых Сасанидов, Л., 1961, с.33.

6. Об институте сатрапов в сасанидское время см. В.Г.Л у к о н и н, Иран в эпоху..., с.17-19. Тут следует отметить, что знак на медной монете Шапура II идентичен знаку, имеющемуся на кулахе сатрапа г.Хосров-шад - Хормизда Папакана. А.Я. Б о р и с о в, В.Г. Л у к о н и н, Сасанидские геммы, Л., 1963, с.44.

7. Р.Гёбль связывает эти знаки с городом Мервом. R.G ö b l, Aufbau der Münzprägung., Wiesbaden, 1954

8. В.Г.Л у к о н и н. Иран в эпоху.., с.37.

9 Р.В. К и н д а л о в, В.Г.Л у к о н и н, Памятники культуры сасанидского Ирана, Л., 1960, с.20.

10. R.G ö b l, Sasanian Numismatics, p.30

11. В древней столица Картли- Мцхета во время проводимых здесь в разное время археологических раскопок найдены три медные монеты Кавада(в 1938 г. в Армазисхеви в каменном ящике № 92 - КМГ № 9958; в 1939 г. в каменном ящике № 362 - КМГ № 10016; в 1958 г. - КМГ № 11021) и Хосрова II ( в 1946 г. в каменном ящике № 619 - КМГ № 10058).

нидские монеты представлены шаханшахами Арташиром I, Шапуром I, Балашом, Кавадом и Хосровым II. Вес монет разный и колеблется от I2,88 гр до 0,54 гр. Редкость обнаружений медных сасанидских монет на территории Грузии позволяет предполагать, что их роль в денежном обращении Восточной Грузии была значительной. Ниже даем описание монет.

Арташир I (224-240)

I. Др.Ир.О[I2]. № 254, , вес - I2,88 гр, размер - 25 мм, с/осей-3 ч

Лицевая сторона

Портрет Арташира I в профиль вправо в парфянском кулахе, обшитом по краям двумя рядами "перлов". Волосы закрыты "башлыком". От кулаха отходит лента с бантом. Лицо с длинной бородой и усами. На шее - ожерелье в виде двух обручей. Вокруг изображения точечный ободок. Легенда не читается.

Оборотная сторона.

Жертвенник огня - Атащдан в виде колонны с капителью и базой из нескольких плит. Колонна каннелированна. Над капиталью - языки пламени. Капитель поддерживается подставками в виде "львиных лап", опирающихся на курильницы. На подставках - ленты с бантами, концами вниз. Легенда: NWR' ZY 'rthštr

"Огонь /храм огня/ Арташира".[I3]

2. Др.Ир.Д.№ 284, вес - I0,34 гр, размер - 23 мм, с/осей-3 ч

Лицевая сторона.

Изображение Арташира I схематическое. Легенда не читается.

Обратная сторона.

Как № 254. Легенда не видна.

Шапур I (24I-272)

3. Др.Ир.О. № 257, вес - I.69 гр, размер - I9 мм, с/осей - 3 ч,

Сохранность - с отломанным краем.

Лицевая сторона.

Портрет Шапура I в профиль вправо в короне с тремя зубцами и шаром. От диадемы отходят ленты с бантом, концами вверх. "Башлык" изображен прямо. Лицо с бородой. Прическа - букли волос. На шее - ожерелье в виде гривны. Вокруг изображения точечный ободок. Легенда: mzdysn bg šhpwhr ...MLK' 'yr'n

"Поклоняющийся Мазде владыка...царь Ирана".

Оборотная сторона.

Атащдан в виде высокой колонны с базой и капителью из шести прямоугольных плит. По сторонам атащдана - две врозь стоящие фигуры в коронах Шапура I с мечами у пояса и с копьями в руках. Фигуры стоят спиной к алтарю.

Легенда: NWR' ZY šhpwhr

"Огонь Шапура".

Балаш (484-488)

4. Др.И.О. № 718, вес - 5,32 гр, размер - 22 мм, с/осей - 9 ч.

---

I2 Др.Ир.О. - Основной фонд древнего Ирана отдела нумизматики Государственного музея Грузии.

Др.Ир.Д. - Дублетный фонд древнего Ирана - отдела нумизматики.

КМГ - Фонд кладов и отдельных находок отдела нумизматики.

I3 Царский огонь возжигался при коронации царя царей и с момента основания этого огня велось летоисчисление правителя. В местности Накш-и Раджаб Арташир I основал специально для своей коронации "царский коронационный храм" ("Храм огня Арташира").В этом храме был коронован правитель Парса Арташир,сын царя Парса Папакана, происходящий из рода Сасана. Последующие правители Ирана также следовали этой традиции, изображая на реверсе своих монет тот "царский огонь", который возжигался при коронации шаханшаха, получал его имя и становился общегосударственным святилищем.

Лицевая сторона.

Погрудное изображение Балаша в профиль вправо. Корона с диадемой, тремя зубцами, полумесяцем и шаром. От шара отходят ленты концами вверх. Над правим плечом лента, над левым - пламя[14]. Лицо с бородой и усами. Прическа - пучок волос. На шее - ожерелье в виде гривны. Вокруг изображения - двойной точечный ободок. Легенда: только справа - hwkd wlh

"Добродетельный Балаш".

Оборотная сторона.

Атащдан в виде капители с базой. Колонна повязана лентами, концами вниз. Над капителью - бюст в профиль вправо в короне Балаша. Слева от пламени атащдана - звезда, справа - полумесяц. Вокруг изображения одинарный точечный ободок.

Легенда - слева - wlk' справа - RD

"Балаш" г.Рей

Кавад (484-488)

4. Др.И.О.№ 718, вес - 5,32 гр, размер - 22 мм, с/осей - 9 ч.
сохранность - с отломанным ободком между 7-9 чч .

Лицевая сторона.

Портрет Кавада в профиль влево[15]. Корона в виде облегающей шапки с двумя зубцами, полумесяцем и шаром с лентами. Слева от короны - звезда, над лбом - полумесяц. Лицо с бородой, в ухе - серьга, состоящая из трех бусин. От плеч отходят "царские ленты" концами вверх, над плечами - полумесяцы. На шее - ожерелье в виде одного ряда "перлов". Прическа - пучок волос. Вокруг изображения одинарный точечный ободок. На поле монеты три астральных символа - полумесяцы со звездами. Легенда только справа - kw't

"Кавад"

Оборотная сторона.

Атащдан с двумя фигурами жрецов, стоящими лицом к алтарю. Слева от пламени атащдана - звезда, справа - полумесяц. Вокруг изображения одинарный точечный ободок. Легенда: слева -h , справа - AWH

?

Кавад

6. Др.Ир.О. № 719, , вес - 0,82 гр, размер - 12/13 мм, с/осей - 9 ч.

Лицевая сторона.

Лицо передано схематично. Лиегенда не читается.

Оборотная сторона.

Легенда читается только справа: MR [16]

Мерв

Кавад[17]

---

14. Известен лишь один тип монет Балаша. Пламя на левым плечом правителя характерно также для Кушанской эпохи. Следует отметить мнение Р.Гёбля, считающего что Балаш чеканил только серебряные монеты. R.G ö b l, Sasanian Numismatics, p.5. Рассматриваемая монета Балаша нам не позволяет разделять эту точку зрения.

15. Уникум, обычно погрудное изображение этого правителя всегда обращено вправо.

16. Древний город Мерв - ныне Мары в Туркмении.

17. Монета настолько потерта, что имеет вид лишь тонкого медного кружка. Монета считалась куфической. И. Д ж а л а г а н и я. Топография куфических монет на территории Грузии, Тбилиси, 1972, с.7, 9 (на груз.яз.).

7. Др.Ир.КМГ, № 9958, , вес – 0,56 гр, размер – I5/I6 мм, с/осей – 9 ч,
сохранность – сильно повреждена, с двумя дырками.

Лицевая сторона.
Изображение схематичное. Вокруг монеты один ободок.
Оборотная сторона.
С одинарным ободком. Легенда повреждена.

Кавад

8. Лицевая сторона[I8].
Портрет Кавада в профиль вправо в короне с лентами, над левым плечом полумесяц отсутствует. Перед лбом изображена звезда с полумесяцем. Прическа – пучок волос. Вокруг изображения двойной ободок[I9]. На пряле монеты астральные символы не видны. Легенда отсутствует.
Оборотная сторона.
Как № 302, но сдвумя ободками.
Легенда: слева – 9 , справа – DYNAN
9 г = 437 г.н.э. г.Динавар

Кавад

9. Др.Ир.КМГ, № II02I, , вес – 2,84 гр, размер – 29/30 мм, с/осей – I0 ч,
сохранность: с двумя дырочками

Лицевая сторона.
Как № 302, но лицо правителя обращено вправо. Легенда не читается.
Оборотная сторона.
Отличительный признак: слева –полумесяц, справа – звезда.
Легенда слева и справа: hš

Х о с р о в П (590–628 гг.)

I0. Др.Ир.О. № 529, , вес – 0,54 гр, размер I4/I5 мм, с/осей – II ч,
сохранность: с отломанным краем.

Лицевая сторона.
Портрет Хосрова П в профиль вправо. Корона в виде двух зубцов, полумесяца, облегающей шапки, крыльев и полумесяца со звездой. Справа от короны – звезда с полумесяцем, слева – звезда. Диадема в виде двух рядов крупных бусин. Прическа – пучок волос. Над левым плечом – полумесяц. Над плечами "царские" ленты, концами вверх. Вокруг изображения двойной ободок с тремя симметрично расположенными полумесяцами и звездами. Легенда: читается только справа – hwsrwb
"Хосров"

Оборотная сторона.
Атащдан с капителью и плитами, охраняемый с обеих сторон вооруженной стражей

---

I8. Монета считалась арабским фельсом. И. Д ж а л а г а н и а , ук, соч., с.9. Мы считаем эту монету уникумом. В известных нам собраниях это единственный тип и является специальным выпуском. Моенты этого типа (Гёбль, I97I, тип У) Кавад чеканил только в меди. По мнению Гёбля, этот тип короны с лентами появляется лишь с I3-го года правления, а двойной ободок на реверсе – с 33-го года. На рассматриваемой нами монете ясно читается 9-ый год правления.

I9. Двойной ободок на лицевой стороне монет Кавада характерен только для специальных выпуском монет этого сасанидского правителя и встречается только на медных монетах.

Колонна повязана лентами, концами вверх. Вокруг изображения тройной точечный ободок.

Легенда: слева - 6 , справа - стерта.

6 г = 597 г. н.э.

Хосров II[20]

II. Др.Ир.КМГ, № 10058, , вес - 0,70 гр, размер - 16/15 мм, с/осей - 8 ч.

Сохранность: с дырочкой у правого плеча.

Лицевая сторона.

Изображение потертое. Вокруг - три ободка. Легенда не читается.

Оборотная сторона.

Легенда слева не читается, справа - ST г.Стахр

---

20 Монета считалась куфическим фельсом: И.Д ж а л а г а н и а, ук.соч., с.7-8.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ. წ ო წ ე ლ ი ა

## საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ვარაჰრან VI-ის დრაქმები

(ტაბ. XVI)

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკის განყოფილებაში საკმაო რაოდენობის სასანური მონეტაა დაცული. 1980 და 1983 წლებში განყოფილებას მიემატა დიდი განძი (I 308 ცალი) ნაპოვნი წითელწყაროს რაიონში[I]. განძი საინტერესოა არა მარტო თავისი რაოდენობით, არამედ შემადგენლობითაც (იგი შერეულია და შედგება სასანური და ბიზანტიური მონეტებისაგან). მასში 7 მონეტა ბაჰრამ ჩუბინის მიერ არის მოჭრილი.

ბაჰრამ ჩუბინმა სასანიანთა სახელმწიფოს ისტორიაში თავისი კვალი დასტოვა. ეს სახელგანთქმული სარდალი მოხსენიებულია ირანულ საგმირო ეპოსში – „შაჰ-ნამეში"[2]. ბაჰრამ ჩუბინის აჯანყება და მისი შედეგები განხილულია კ. ცეგლედის ნაშრომში[3]. გარდა ფირდოუსის ეპოსისა, ბაჰრამ ჩუბინის შესახებ შექმნილ იქნა „ბაჰრამ ჩუბინ ნამაკ" („წიგნი ბაჰრამ ჩუბინის შესახებ"), რომლის შინაარსი ცნობილია არაბული ქრონიკებიდან[4].

ბაჰრამ ჩუბინს ისტორიკოსები სხვადასხვანაირად ახასიათებენ. მაგალითად, ტაბარი და სალიბი მას უზურპატორს უწოდებენ. ბიზანტიელი თეოფილაქტე სიმოკატტა მას თავხედ დამპყრობს უწოდებს. ბალამი კი „ბაჰრამ ჩუბინს რეიდან, სპაჰბედს, მარზბანს"[5]. სომეხი სებეოსი[6] და სირიული ანონიმი ბაჰრამს „მიჰრას თაყვანისმცემელ მეამბოხეს" უწოდებენ[7].

ბაჰრამ ჩუბინის პიროვნების წარმოდგენა შეუძლებელია იმდროინდელი პოლიტიკური სიტუაციის განხილვის გარეშე.

VI ს-ის ირანის შაჰანშაჰების საგარეო პოლიტიკა ხასიათდებოდა ომებით, რომელთა მიზანი იყო ხმელთაშუა და შავი ზღვების აუზების დაკავება და ჩინეთის და ინდოეთის სატრანზიტო გზების დაუფლება. სწორედ აქ ხვდებოდნენ წინააღმდეგობას ორი უძლიერესი

---

I ამ განძის პუბლიკაცია ეკუთვნის ი. ჯალაღანიას: И.Л.Д ж а л а г а н и а , Монетные клады Грузии, Клад сасанидских и византийских монет из Цители Цкаро, Тбилиси, 1980, ч.I, 1982, ч.П.

2 Ф и р д о у с и. Шахнаме. Критический текст, т.IX. Составитель текста А.Е. Бертельс, М.1971. შაჰ-ნამეში აღნიშნული და ჩამოთვლილია ბაჰრამ ჩუბინის, როგორც ირანელი გმირის საბრძოლო ღონისძიებები და მისი ხასიათის რაინდული თვისებები.

3 K.C z e g l é d y, Bahrām Čōbin and the Persian apocalyptic literature. Acta Orientalia Academiae Scientarum Hungaricae, t.VIII, Budapest, 1958, fasc.I, p.21-43

4 ამ წიგნს ეძღვნება ნოლდეკეს სპეციალური ექსკურსი მის ნაშრომში Th.N ö l d e k e, Geschichte der Perser und Araber zur Zeit der Sassaniden, Leiden, 1879

5 Tabaristanensis annales regum atque legatorum dei, vol.I, XI, 1831

6 С е б е о с. История императора Ираклия, пер. с арм., СПб., 1862; Н.В.П и г у л е в с к а я, Византия и Иран на рубеже УI и УП веков. М.-Л., 1946, с.252-289

7 Н.В.П и г у л е в с к а я , Анонимная сирийская хроника о времени Сасанидов.

სახელმწიფოს – ბიზანტიისა და ირანის – მმართველები თავისი საგარეო პოლიტიკის ცხოვრებაში გატარების დროს[8].

ირანის შაჰანშაჰის ჰორმიზდ IV-ის ზეობის დროს (578-590 წწ.), საომარი მოქმედება ბიზანტიასა და ირანს შორის არ დამთავრებულა. 58I წ. განახლდა მოლაპარაკება ამ ორ ქვეყანას შორის დაზავების თაობაზე, მაგრამ ამას დადებითი შედეგი არ მოჰყოლია[9].

სწორედ ჰორმიზდ IV-ის მმართველობისას აღმოჩნდა ირანი უკიდურეს მდგომარეობაში. ირანის საზღვრებს ჩრდილოეთიდან თავს დაესხნენ ხაზარები, სამხრეთიდან-არაბული რაზმები, აღმოსავლეთიდან კი – ეფტალიტები და თურქები. ყველაზე საშიშ ძალას ირანისათვის თურქული ტომები წარმოადგენენ, რომლებსაც მეთაურობდა სავა შაჰი.

ირანის სამეფო კარზე შექმნილი რთული ვითარების გამო შეიკრიბა სამეფო საბჭო. სავა თურქის წინააღმდეგ ირანის ჯარის მეთაურობა დაევალა ბაჰრამ ჩუბინს, აზერბაიჯანის კუსტაკის (ოლქის) ერთ-ერთ მარზბანს. ის იყო ნიჭიერი მხედართმთავარი და პოლიტიკოსი. ხოსრო ანუშირვანის დროს (53I-576 წწ.) მან თავი გამოიჩინა ბიზანტიაში ლაშქრობისას. ის უშუალოდ იღებდა მონაწილეობას დარას აღებაში[10]. ბაჰრამ ჩუბინი I2 ათასი რჩეული მეომრით გაემგზავრა სალაშქროდ თურქებთან, რომელიც 589 წლის შემოდგომასა და ზამთარში წარმოებდა და დასრულდა ირანის გამარჯვებით. ამ ომში სავა ხანი მოკლულ იქნა, ხოლო მისი ვაჟი დაატყვევეს. ირანის დედაქალაქ ქტესიფონში დაიდო ზავი ირანის შაჰანშაჰ ჰორმიზდ IV-სა და თურქ უფლისწულს შორის. ამ ზავით, ტაბარის ცნობით, 256 აქლემი მძიმედ დატვირთული ოქროთი და ძვირფასი თვლებით შევიდა ირანის ტერიტორიაზე.

ამ დროს დასავლეთ საქართველო ბიზანტიის მფარველობის ქვეშ იყო. ლაზიკის სამხედრო-სტრატეგიული მდგომარეობის გამო სასანიანთა ირანის მმართველები ცდილობდნენ ამ კუთხის დამორჩილებას. დასავლეთ საქართველოს დაპყრობით ირანი ჰქმნიდა მისთვის ხელსაყრელ პოზიციებს ბიზანტიის წინააღმდეგ ბრძოლაში.

თურქებზე გამარჯვების შემდეგ ბაჰრამ ჩუბინი გამოემართა ამიერკავკასიაში[11]. თეოფილაქტე სიმოკატტას ცნობით, ჰორმიზდ IV-მ თურქებზე გამარჯვებული ბაჰრამი ლაშქრითურთ ლაზიკასა და სვანეთში გაგზავნა. „მერვე წელს მავრიკის ავტოკრატორობისას (589-590 წწ.) სპარსელთა მეფის ჰორმიზდის მიერ სვანეთის წინააღმდეგ იგზავნება სპარსელთა სტრატეგოსი ბარამი ბარბაროსთა ლაშქრითურთ"[12].

ბიზანტიელებთან ომში ირანელები დამარცხდნენ. დასავლეთ საქართველო დარჩა ბიზანტიის გავლენის ქვეშ.

ჰორმიზდ IV-მ ბაჰრამ ჩუბინი გაანთავისუფლა მარზბანობისა და მთავარსარდლობისაგან. შაჰანშაჰმა ყოფილ მხედართმთავარს გაუგზავნა სართავი და ქალის ტანისამოსი.

ბაჰრამი იყო ვაჟი გუშნასპისა, რომელიც ძლიერი და პატივცემული მიჰრანების გვარის წარმომადგენელი იყო. ეს გვარი არსებობდა ჯერ კიდევ არშაკიდების დინასტიის დროს. ირანის ჯარის მხედართმთავრის თანამდებობაზე დანიშვნამდე ბაჰრამი იყო ქ.

---

8 მ. გ უ ნ ი ა, დასავლეთ საქართველო და ბიზანტია VI-VIII სს., სოხუმი, I962, გვ. 89.

9. A.C h r i s t e n s e n, L'Iran sous les Sassanides, Copenhague, I936, გვ. 438.

I0. Ф. С и м о к а т т а. История, пер. С.П.Кондратьева, М., I957, кн.Ш, гл.ХУШ, I0, II.

II M.B r o s s e t, Histoire de la Georgie, p.I, St.Petersbourg, I849, გვ. 220-22I.

I2 თ ე ო ფ ი ლ ა ქ ტ ე  ს ი მ ო კ ა ტ ტ ა, ისტორია, გეორგიკა, ტ. IV, ნაკ. I, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, I940, თბ., გვ. 2I.

რეის[13] მარზბანი[14]. მისი წინაპარიც ქ. რეის მკვიდრი იყო და ეკავა ერან-სპაჰბედის (უმაღლესი მთავარსარდალი) თანამდებობა.

მეფისაგან ასეთი დამამცირებელი ძღვენის მიღებამ შელახა ბაჰრამ ჩუბინის პატივმოყვარეობა და აუჯანყდა მას[15].

ჰორმიზდ IV-ის საქციელით შეურაცხყოფილი ბაჰრამ ჩუბინი აჯანყდა თავის ჯარითურთ. ის ლაზიკიდან გაემართა მესოპოტამიაში და შემდეგ კი ირანის დედაქალაქში ქტესიფონში. ჯარმა ბაჰრამი გამოაცხადა ირანის ახალ შაჰანშაჰად. ბაჰრამ ჩუბინის აჯანყება დაიწყო 590 წლის I სექტემბერს[16]. მეამბოხეებმა დაიკავეს ქ. რეი[17] და სწორედ ამ ქალაქის ზარაფხანაში ბრძანა ბაჰრამმა თავისი ყველაზე უფრო საშიში მეტოქისა და მტრის ტახტის მემკვიდრის – ხოსროს ვერცხლის მონეტების მოჭრა, რომლებიც გაუგზავნეს შაჰანშაჰს ქტესიფონში[18]. ბახრამ ჩუბინის ინტრიგამ შედეგი გამოიღო. ჰორმიზდ IV-მ გამოიძახა ვაჟი და მიუხედავად ხოსროს თავის უდანაშაულობის და მეფისადმი ერთგულების ფიცის მიცემისა, შაჰანშაჰი მაინც ეჭვის თვალით უყურებდა ვაჟიშვილს. ჰორმიზდ IV-ის დიდმა ვეზირმა ვეზირმა ეზდანბახშმა ურჩია მეფეს მოეკლა მომავალი ტახტის მემკვიდრე. ხოსრო გაიქცა აზერბაიჯანში, სადაც გაქცეული უფლისწული მიიღო იქაურმა მარზბანმა[19].

შვილის გაქცევით განრისხებულმა ჰორმიზდ IV-მ ციხეში ჩასვა ხოსროს ბიძები დედის მხრიდან – ბინდოი და ბისტამი, რომლებიც სომხური გვარის არშაკიდების წარმომადგენლები იყვნენ. შაჰანშაჰის ამ აქციამ განარისხა არისტოკრატები, რომლებმაც ჩამოაგდეს ტახტიდან ჰორმიზდ IV[20], გაანთავისუფლეს ციხიდან ბინდოი და ბისტამი. ამ უკანასკნელებმა დაატყვევეს ჰორმიზდ IV, დააბრმავეს და მოუწოდეს ხოსრო უფლისწულს დაბრუნებულიყო ირანში სამეფო ტახტისა და გვირგვინის დასაკავებლად[21].

-------------

I3 რეი – უძველესი ქალაქი. რეის ნანგრევები თეგერანთანაა განლაგებული.

I4 M a ç o u d i, Les prairies d'or. Texte et traduction par C. Barbier de Meinard et Pavet de Courteile, t. II, Paris, 1863, გვ. 78. მარზბანი – „საზღვრების მცველი", სახელმწიფო მოხელის ტიტული, რომელიც ახორციელებდა თავის მოვალეობას სასაზღვრო ოლქებში. ამ ტერმინის შესახებ იხ. А.И.К о л е с н и к о в, О термине "марзбан" в сасанидском Иране, ПС, вып. 27(96), 1981, გვ. 49-56.

I5 სებეოსის ცნობით, აჯანყების უშუალო მიზეზს წარმოადგენდა ის გარემოება, რომ ბაჰრამმა სამეფო ხაზინას არ ჩააბარა სამხედრო ნადავლის დიდი ნაწილი და გაუნაწილა ის თავის ჯარისკაცებს. მეფის მოთხოვნამ: ნადავლი მთლიანად დაებრუნებინათ, გამოიწვია მაჰის წინააღმდეგ გაბოროტება. არაბი ისტორიკოსების სააღიბის და ბალამის მიხედვით, მეფის მოთხოვნით შეშფოთებულმა ჯარისკაცებმა ბაჰრამ ჩუბინს წაუყენეს ულტიმატუმი – ან ეხელმძღვანელა აჯანყებულთათვის ან მას ჯარისკაცების ხელით სიკვდილი ელოდა. H.Z o t e n b e r g, Chronique de Tabari, t. II, Paris, 1869, გვ. 266-276.

I6 შეისწავლა რა ირანული წყაროები, მორდმანმა აჯანყების დაწყება დაათარიღა ამ წლით. A.D.M o r d t m a n n, Die Chronologie der Sassaniden. Sitzungsberichte der philosophischen -philologischen und historischen Classe der Königlichen Bayerischen Akademie der Wissenschaften zu München, I87I, Hft. I, Z. 23

I7 J.M o h l, Le Livre des Rois, JA, série III, VI, გვ. 553.

I8 L e b e a u, Histoire du Bas-Empire, t. X, Paris, 1822, გვ. 292.

I9 H.Z o t e n b e r g, Al'Tha'alibi. Histoire des rois des Perses, Paris, 1900, გვ. 569; Th. N ö l d e k e, დას. ნაშრ., გვ. 273, 276.

20 Л.М.Г у м и л е в, Бахрам Чубин (опыт критики источников). Проблемы востоковедения, М., 1960, №3, გვ. 235.

2I H.Z o t e n b e r g, Chronique de Tabari, t. II, გვ. 274.

ჰორმიზდ IV-ის ვაჟმა ხოსრო II-მ ირანის ისტორიაში ხოსრო ფარვიზად ცნობილმა (591-628 წწ.), მიიღო რა წერილი, ერთგული მარზბანებისა და ჯარის თანხლებით დაბრუნდა დედაქალაქში[22]. მან დადო ფიცი, რომ აღადგენდა კავშირს შაჰსა და არისტოკრატიას შორის თავისი ბრწყინვალე წინაპრის ხოსრო ანუშირვანის (531-578 წწ.) მსგავსად[23].

აღმოსავლური წყაროების მიხედვით, ირანის ტახტზე ასვლისთანავე ახალმა შაჰანშაჰმა ინახულა დაბრმავებული მამა, ფეხქვეშ ჩაუვარდა მას, არწმუნებდა, რომ მას არავითარი კავშირი არ ჰქონია სამეფო გადატრიალებასთან. ჰორმიზდ IV-მ მოითხოვა შვილისაგან, რომ მას დაესაჯა შეთქმულების მონაწილენი. ხოსრო II დათანხმდა იმ პირობით, რომ ჯერ დაამარცხებდა ბაჰრამ ჩუბინს და შემდეგ დასჯიდა აჯანყების მეთაურებს[24].

ხოსრო II-მ დაიწყო ბაჰრამ ჩუბინთან მოლაპარაკება - გაუგზავნა შემარიგებელი ხასიათის წერილი, რომელშიც ირწმუნებოდა, რომ ბაჰრამს შეურაცხყოფა მიაყენა მამამისმა, რომელიც უკვე მკვდარი იყო და ამიტომ ბაჰრამს აღარ უნდა ჰქონოდა მიზეზი უარეყო ხოსრო II-ის წინადადება ქტესიფონში დაბრუნების თაობაზე. შაჰი მას ჰპირდებოდა დაწინაურებას და სასანიანთა სამეფოში მეორე ადგილის დაკავებას. ხოსრო II-მ თავისი დანაპირები განამტკიცა სამეფო ფიცით, რომლის დადების შემდეგ ირანში ფიცის აუსრულებლობა შეუძლებელი იყო.

ბაჰრამისადმი გაგზავნილ წერილში ხოსრო II თავის თავს ამკობდა და ადიდებდა სასანურ ირანში გავრცელებული ტრადიციისამებრ: „მეფეთა მეფე, მბრძანებელი და მფლობელი ირანისა და არაერანისა, კაცობრიობის მხსნელი, უბიწო უფალის წინაშე, უკვდავი ადამიანი, სახელოვანი და შეუდარებელი, დამპყრობი, რომელიც უთანასწორდება მზეს, სახელოვანი მემკვიდრე, რომელიც კეთილსინდისიერად ემსახურება და მეურვეობს ირანის სამეფოს“[25].

ხოსრო II-ის ამ მაღალფარდოვან სიტყვებს არავითარი შთაბეჭდილება არ მოუხდენია ბაჰრამ ჩუბინზე. მან საპასუხო წერილში ირანის შაჰს მიმართა უბრალოდ „ხოსრო, ჰორმიზდის ვაჟო“, თავის სახელს კი ტიტულების გრძელი სია დაურთო. ბაჰრამის პასუხი დაწერილი იყო თავხედური და მეფის შეურაცხმყოფელი ტონით. ბაჰრამი ლანძღავდა ხოსრო II-ს ბოროტებისათვის, მოუწოდებდა მას გადადგომოდა სამეფო ტახტს, დაეტოვებინა სამეფო გვირგვინი. წერილი მთავრდებოდა შემდეგნაირად: „თუ შენ ყველაფერს გააკეთებ ისე როგორც მე ვბრძანებ, მე შენ დაგნიშნავ პროვინციის მმართველად, თუ არ დამემორჩილები - დაიღუპები მამაშენის მსგავსად“[26].

არც ბაჰრამ ჩუბინს და არც მის ჯარისკაცებს არ სურდათ შაჰთან შერიგება. მათ კარგად ჰქონდათ შეგნებული, რომ არისტოკრატიის დიქტატურის დამყარებისთანავე, უკეთეს შემთხვევაში, მხოლოდ ირანის საზღვრებთან ელოდათ სამსახური. ბაჰრამ ჩუბინს ჰყავდა მხოლოდ რეგულარული ჯარი და თურქი მოხალისეები.

ხოსრო II-მ ბაჰრამ ჩუბინს გაუგზავნა მეორე წერილი, რომელშიც ბაჰრამს ურჩევდა დამორჩილებას, რითაც თავიდან აიცილებდა სისხლისღვრას. მეორე წერილზე პასუხი არ მოვიდა. ხოსრო II-მ კიდევ სცადა შემორიგება: ის გაემართა მეამბოხე მხედართმთავრისა და მისი ჯარის შესახვედრად, მაგრამ ღამის იერიშებით შეშინებულმა, თავს გაქცევით უშველა. აღარ შეეძლო რა დედაქალაქის დაცვა, ხოსრო II გაიქცა ქტესიფონიდან თავისი ცოლების, ბიძების და 30 ცხენოსნისაგან შემდგარი რაზმით. ხოსრო II-მ გადაწყვიტა დახმარებისათვის მიემართა ძლიერი მეზობლებისათვის. მას არჩევანი უნდა გაეკეთებინა თურქებს, ხაზარებს, არაბებსა და ბიზანტიელებს შორის[27]. ხოსრო II-მ გა-

22 Th.N ö l d e k e, დასახ. ნაშრ., გვ. 276.

23 H.Z o t e n b e r g, Al'Tha'alibi.., გვ. 66I.

24 Th.N ö l d e k e, დასახ. ნაშრ., გვ. 277; H.Z o t e n b e r g, Chronique de Tabari, t.II, გვ. 274-275.

25 S.G.B e n j a m i n, Persia, London, 1920, გვ. 240.

26 S.G.B e n j a m i n, დასახ. ნაშრ., გვ. 240.

27 გადმოცემის თანახმად, ხოსრო II-მ ახსნა აღვირი თავის ცხენს და ბედს მიანდო, საითაც წავიდოდა ცხენი, იქ ელოდა მას უსაფრთხოება და დახმარება. გონიერი ცხოველი მიტრიალდა ევფრატისაკენ.

დალახა მდ. ევფრატი და თავშესაფარი ჰპოვა ბიზანტიელების იმპერატორ მავრიკისთან (582-602 წწ.). ეს უკანასკნელი დაჰპირდა 60 ათასიანი ჯარით დახმარებას[28] იმ პირობით, რომ ხოსრო II ტახტის დაბრუნების შემდეგ მავრიკის დაუბრუნებდა პერსამენიას, მესოპოტამიის ნაწილს და დარას.

ბაჰრამ ჩუბინი ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე შევიდა ქტესიფონში თავისი ჯარის თანხლებით და ირანის შაჰანშაჰად გამოაცხადა თავი[29]. მან სამეფო ტახტზე ასვლა ირანული ქრონოლოგიით ახალ წელს დაუკავშირა. ფირდოუსი ასე გადმოგვცემს ბაჰრამ ჩუბინის მიერ სასანიანთა ტახტის უზურპაციას:

„დაჯდა ტახტზე ბაჰრამ შაჰი
დაიდო თავზე კეიანიდების ქულახი.
მისმა დაბირმა მოუტანა კეიანიდების ხელშეკრულება
ძვირფას აბრეშუმზე დაწერილი.
დიდმა უფლისწულებმა უმალ დასწერეს მოწმობა
[იმის შესახებ]
რომ ბაჰრამი გახდა მსოფლიოს გამგებელი.
იმ საბუთზე, როცა ახსენეს [მისი] სახელი
მან [ბაჰრამმა] მიადო ოქროს ბეჭედი“[30].

ბაჰრამ ჩუბინის მეფობამ ერთ წელს გასტანა[31]. მან იმდენად განიმტკიცა თავისი პოზიციები, რომ დაიწყო საკუთარი ფულის მოჭრა.

ირანის ცენტრალური, სამხრეთის და აზერბაიჯანის ოლქები ხოსრო II-ის ერთგულნი რჩებოდნენ. მისმა მომხრეებმა თავი მოიყარეს სომხეთში. ხოსრო II-ის ბიძების-ბინდოისა და ბისტამის-გარდა-იყვნენ ქართველი თავადები - ბაგრატიდები, სუმბატ ბაგრატუნი, რაინდი, კუტი, მუშეგ მამიკონიანი და მიჰრანი, სპარსელი დიდგვაროვანი, აზერბაიჯანის და სომხეთის მარზბანი, ბაჰრამ ჩუბინის ნათესავი[32].

როცა ირანში შეიტყვეს, რომ ირანის ტახტის კანონიერი მემკვიდრე ბიზანტიელების ძლიერი ჯარით ბრუნდებოდა კუთვნილი სამეფო ტახტის დასაკავებლად, ირანის სხვადასხვა

------------

28 Th. N ö l d e k e, დასახ. ნაშრ., გვ. 284.

29 M. H i g g i n s, The Chronologie of the Persian War, Washington, 1939, გვ. 29, 73.

30 Ф и р д о у с и, ук. соч. გვ. 62, სტ. 879-882.

31 ბაჰრამ ჩუბინის გამეფებას თითქმის ყველა ისტორიკოსი უარყოფითად აფასებდა. საალიბი სწერს, რომ ბაჰრამს ყველა სწყევლიდა ძალაუფლების უზურპაციისათვის. H. Z o t e n b e r g, Chronique de Tabari, II, გვ. 280; სებეოსი არ მიიჩნევს ბაჰრამს მეფედ, ის მას მეამბოხეს უწოდებს და აღნიშნავს: „მეფის ჯარმა აღმოსავლეთში ახალი მეფე დასვაო“. С е б е о с, დას. ნაშ., გვ. 39. თაბარის მიხედვით ბაჰრამს ყველა ემორჩილებოდა შიშის გამო. Th. N ö l d e k e, დას. ნაშრ., გვ. 282. ბალ'ამის ცნობით, კი „არავინ არ გამოდიოდა ბაჰრამის წინააღმდეგ, ყველა კმაყოფილი იყო მანამდე, სანამ რუმიდან არ დაბრუნდა ფარვიზი“; H. Z o t e n b e r g, Chronique de Tabari, t. II, გვ. 286. ირანის არისტოკრატია უარყოფითად შეხვდა ბაჰრამის გამეფებას. მისი მმართველობითი გამოწვეული უკმაყოფილება გამოვლინდა 591 წ. 8 მარტს, როცა ბაჰრამი იძულებული იყო მოეწვია კრება, რომელზეც წამოაყენა წინადადება: ან ეცნოთ ის მეფედ და ამით დაეცვათ ლოიალობა ან დაეტოვებინათ ირანის საზღვრები. Th. N ö l d e k e, დას. ნაშრ., გვ. 282. ამ კრების შემდეგ ბევრმა მიატოვა ქვეყანა. მათ შორის იყო მარზბანებს შორის ერთ-ერთი ყველაზე დიდებული სომეხი მუშევგი. დინავარის ცნობით, მან თან წაიყვანა 20 ათასიანი ჯარი და შევიდა აზერბაიჯანში, სადაც ის და მისი ჯარი დაბანაკდა ბიზანტიიდან ხოსრო II-ის დაბრუნების მოლოდინში.

32 L e b e a u, დას. ნაშრ., გვ. 309.

ადგილებში უზურპატორის წინააღმდეგ იფეთქეს აჯანყებებმა.

მესოპოტამიაში შემოიჭრა ბიზანტიელების ჯარი, რომელსაც მოჰყავდა უფლისწული ტახტზე. ხოსრო II-ის ჯარს ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე, დანებდნენ ნისიბინი და დარა. 591 წლის გაზაფხულზე ბაჰრამ ჩუბინის რაზმის მეთაური ბრიზასი ტყვედ ჩავარდა[33].

ბაჰრამ ჩუბინი იძულებული იყო მიეტოვებინა ქტესიფონი. პირველი შეტაკება ორ ჯარს შორის დამთავრდა შეერთებული 60 ათასიანი ბიზანტიელებისა და ირანელების ჯარის გამარჯვებით. 40 ათასიანი ბაჰრამის ჯარი დაიფანტა, ბევრი გადავიდა ხოსრო II-ის მხარეზე. ბაჰრამ ჩუბინს არაფერი დარჩენოდა გაქცევის გარდა[34]. მან დაჰკარგა ყველაფერი – სამეფო გვირგვინი, ხაზინა, ცოლები და შვილები. ბაჰრამ ჩუბინის დამარცხების შემდეგ მისი ბანაკი გაძარცულ იქნა, ძვირფასეულობა კი ხოსრო II-ეს ჩაუვარდა ხელში.

ბაჰრამ ჩუბინმა თავი შეაფარა აღმოსავლეთის თურქებთან. მათი მმართველი „არ იყო ფარვიზის ნათესავი“[35].

ხოსრო II-მ დაიბრუნა კუთვნილი სამეფო ტახტი და დაიწყო მკაცრი რეპრესიები. სამოქალაქო ომი ირანში დამთავრდა 591 წლის 31 აგვისტოს[36].

591 წლის გაზაფხულზე ბიზანტიასა და ირანს შორის დაიდო მშვიდობიანი ზავი. ხოსრო ფარვიზი იძულებული იყო შეესრულებინა ირანისათვის არასახარბიელო ზავის ყველა პუნქტი. ირანს უნდა დაებრუნებინა ბიზანტიისათვის დარა და მაიფერკატი, რომლებიც ჯერ კიდევ ხოსრო ანოშირევანის დროს იყვნენ დაბყრობილნი, ოლქები არვასტანი ნისიბინამდე, ქართლი თბილისამდე და სომხეთის დიდი ნაწილი[37].

ბაჰრამ ჩუბინი არ კარგავდა ირანის ტახტის დაბრუნების იმედს. მან თურქების კაგანის დახმარებით შეაგროვა ახალი ლაშქარი ირანელი და თურქი მეომრებისაგან. ბაჰრამ ჩუბინს არ დასცალდა ირანზე გალაშქრება, ის მოკლა დაქირავებულმა მკვლელმა[38]. ბაჰრამ ჩუბინი დაკრძალულ იქნა აკლდამაში. უზურპატორის სიკვდილთან დაკავშირებით ქტესიფონში გაიმართა დიდი დღესასწაული. მისი სიკვდილის დღე ყოველთვის აღინიშნებოდა ირანის ოფიციალურ წრეებში ვიდრე სასანური იმპერიის არსებობამდე[39].

---

33 L e b e a u დას. ნაშრ., გვ. 322. დატყვევებულ სარდალს მოაჭრეს ცხვირი და ყურები. ასეთი დასახიჩრებული ის მიიყვანეს ბიზანტიელი და ირანელი მხედართმთავრების წვეულებაზე.

34 შემორჩენილია საინტერესო გადმოცემა. გაქცევისას ბაჰრამ ჩუბინს შეხვდა მოხუცი ქალი, რომლისთვისაც უცნობი იყო მოსაუბრის ვინაობა. ქალმა დაახასიათა ბაჰრამი როგორც სულელი პიროვნება, რომელსაც არავითარი უფლება არ ჰქონდა ირანის მმართველობისა,ვინაიდან ის არ იყო სამეფო სახლის წარმომადგენელი. P.S y k e s, A History of Persia, London , 1930, გვ. 479.

35 H.Z o t e n b e r g, Chronique de Tabari, t.II, p.298

36 A.D. M o r d t m a n n, დასახ. ნაშრ., გვ. 23.

37 К.В.Т р е в е р. Очерки по истории и культуре Кавказской Албании, IУ в. до н.э. – УП в.н.э. 1959, გვ. 243; С е б е о с , დას. ნაშრ., გვ. 49.

38 ბაჰრამ ჩუბინის დაბადებისას ვარსკვლავთმრიცხველებმა მას უწინასწარმეტყველეს, რომ ის მოკვდებოდა ვარჰამ – რუზის დღეს. ამ დღეს ის სახლიდან არ გასულა და არავის არ აძლევდა ნებას მის ოთახში შესულიყო, გარდა თავისი ერთგული ხალხისა. მას შეატყობინეს, რომ მოვიდა დესპანი დედოფლისაგან გამოგზავნილი წერილით. ბაჰრამის თანმხლები პირნი გავიდნენ ოთახიდან, დესპანმა გადასცა მას წერილი, რომლის კითხვის დროს უკანიდან ჩასცა დანა და მოჰკლა ბაჰრამი. А.И.К о л е с н и к о в, Иран в начале УП века, ПС, Л., 1970, გვ. 128.

39 E.G.B r o w n e, Some account of the Arabic work entitled "Niháyatu 'l-irab fi akhbár'l -Furs wa'l -'Arab", JRAS, London, 1900, p.242

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თავისი მეფობის დროს ბაჰრამ ჩუბინი ჭრიდა მონეტებს, რომლებმაც მცირე რაოდენობით მოაღწიეს ჩვენამდე. ცნობილია მისი მონეტების ორი ტიპი. ბაჰრამ ჩუბინი ჭრიდა რეგულარულ ვერცხლის დრაქმებს და ოქროს მონეტებსაც. სასანური ნუმიზმატიკა გვაძლევს ცნობებს იმ ტერიტორიის შესახებ, რომელსაც კონტროლს უწევდნენ ბაჰრამის ჯარის ნაწილები. ცნობილია ბაჰრამ ჩუბინის დრაქმები მოჭრილი ვარაჰრან VI-ის სახელით მერვში, ქტესიფონში, რეიში, აბარშაჰრში[40].

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკის განყოფილებაში ვარაჰრან VI-ის სახელით მოჭრილი მონეტები არ იყო დაცული, ვიდრე მუზეუმს არ გადაეცა დიდი განძი ნაპოვნი წითელწყაროში[41]. შვიდივე მონეტა ვერცხლისაა. მოგვყავს მონეტების აღწერილობა.

გ.ფ. № 20949, წონა – 4,07 გრ, ზომა – 29/32 მმ,

შუბლი.

ვარაჰრან VI-ის ბიუსტი მარჯვნივ. თავზე ორკბილა გვირგვინი, მის წინ – ნახევარმთვარე ზევით აწეული ქიმით. გვირგვინის ზემოთ – ნახევარმთვარე შიგ მოთავსებული სფეროთი და ორი მოკლე ბაფთით. სფეროზე ორი ორნამენტული წერტილია. სფეროს მარცხნივ – ექვსქიმიანი ვარსკვლავია, მარჯვნივ – ნახევარმთვარეში მოთავსებული ვარსკვლავი. თმები ბურთადაა შეკრული კეფაზე. ბიუსტის ორივე მხარის ზემოთ – ნახევარმთვარეებია. სახე წვერ-ულვაშიანია. მხრებიდან გამოდიან „სამეფო ბაფთები" ზევით აწეული ბოლოებით. ყელზე – წვრილი მძივებისაგან შემდგარი სამკაული. მონეტის გარშემო ერთრიგი შერწყმულწერტილოვანი რკალია. რკალს გარეთ, სიმეტრიულად განლაგებული სამი ნახევარმთვარეა. ზედწერილი გამოსახულების მარჯვნივ და მარცხნივ. მარცხნივ – 'pzwn, მარჯვნივ – wrhr'n

[„დე გაიზარდოს] ვარაჰრანის დიდება"!

ზურგი.

ატაშდანი მოგიზგიზე ცეცხლით. საკურთხევლის შუა ნაწილი ვიწროა, ზედ ზევით აწეული ბოლოებით ბაფთებია გამოსახული. მოგიზგიზე ცეცხლის მარცხნივ – ვარსკვლავია, მარჯვნივ – ნახევარმთვარე. საკურთხევლის ორივე მხარეს პირისახით პირდაპირ დგანან მცველები, რომლებიც ეყრდნობიან მახვილებს. გამოსახულების გარშემო შერწყმულწერტილოვანი რკალია. ზედწერილი მოთავსებულია მარჯვნივ და მარცხნივ.

მარცხნივ – ywky (I წ – 590 წ.) მარჯვნივ – RD[42] რეი

გ.ფ. № 20950, წონა – 4,09 სმ, ზომა – 31/33 მმ,

შუბლი, როგორც № 20949, ოღონდ სხვა სიქით მიჭრილი.

ზედწერილი: მარცხნივ – 'pzwn, მარჯვნივ – wrhr'n

[„დე გაიზარდოს] ვარაჰრანის დიდება!"

---

40 R.Göbl, Aufbau der Münzpragung, Tab.II, Bahram VI (23); J.de M o r g a n, Manuel de Numismatique Orientale de l'antiquite et du Moyen Age, v.I, Paris, I923-I936, p.325

4I ი. ჯ ა ლ ა ღ ა ნ ი ა, ამ განძის გამოქვეყნებისას ვარაჰრან VI-ის დრაქმებს არასწორად მიიჩნევს ხოსრო I-ის მონეტებად; И.Д ж а л а г а н и а, დასახ. ნაშრ., ч. I, №I, 2, 3, 4; ч.П, № I, 2, 3.

42 სასანიანთა დინასტიის მმართველობის ხანაში რეი იყო მნიშვნელოვანი ეკონომიკური ცენტრი. რეის პროვინცია იყო მიჰრანების გვარის სავანე. ბაჰრამ ჩუბინი, რომელიც მიჰრანების გვარის წარმომადგენელი იყო, აღმოსავლეთზე გალაშქრებამდე იყო რეის მარზპანი: და ბუნებრივია, რომ რეიშია მოჭრილი მისი მონეტების უმეტესი ნაწილი. რეიში იყო განლაგებული ერთ-ერთი უდიდესი ზარაფხანა. რეის შესახებ იხ. E.H e r z f e l d Avestische Topographie. Archaeologische Mitteilungen aus Iran, II,5, Berlin, I930, გვ. 9; G.C.M i l e s, The Numismatic History of Rayy, New-York, I938. ი. ჯალაღანია მონეტას მიიჩნევს ხოსრო I-ის დრაქმად. ასევე არასწორად აქვს განსაზღვრული მოჭრის ადგილი – ქ.სპაჰანი. И.Д ж а л а г а н и а, დასახ. ნაშრ., ч. I, გვ.7.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზურგი, როგორც № 20949.

ზედწერილი: მარცხნივ -'ywky , მარჯვნივ - MB [43]

(I წ - 590 წ.) მერვი

გ.ფ. № 20951, წონა - 4,02 გრ. ზომა - 29/31 მმ,

გამზარულია 12 და 4 საათთან, ნიკაპთან გახვრეტილია.

შუბლი. ყურზე - სამი მძივისაგან შემდგარი საყურე.

ზედწერილი, როგორც № 20949.

ზურგი. ზედწერილი: მარცხნივ - 'ywky, მარჯვნივ - NYHČ [44]

(I წ - 590 წ.) ქტესიფონი

გ.ფ. № 20952, წონა - 3,91 გრ, ზომა - 32 მმ,

შუბლი, როგორც № 20949.

ზურგი, როგორც № 20949.

ზედწერილი: მარცხნივ - 'ywky, მარჯვნივ - AHM [45]

(I წ - 590 წ.) ქ. აჰმადანი

გ.ფ. № 21677, წონა - 4,05 გრ, ზომა - 29/31 მმ,

შუბლი, როგორც № 20949

ზედწერილი: 'pzw'n wrhr'h

[„დე გაიზარდოს] ვარაჰრანის დიდება"!

ზურგი, როგორც № 20949.

ზედწერილი: მარცხნივ - 'ywky , მარჯვნივ - RD [46]

(I წ - 590 წ.) რეი

გ.ფ. № 21678, წონა - 4,05 გრ, ზომა - 29/33 მმ,

შუბლი, როგორც № 20949

ზურგი. ზედწერილი: მარცხნივ - 'ywky, მარჯვნივ - NYHČ

(I წ - 590 წ.) ქ. ქტესიფონი

გ.ფ. № 21679, წონა - 4,06 გრ, ზომა - 30/32 მმ,

შუბლი, როგორც № 20949

ზურგი, ზედწერილი: მარცხნივ - 'ywky, მარჯვნივ - NYHČ

(I წ - 590 წ.) ქ. ქტესიფონი

---

43 R.G ö b l,1954;R.G ö b l,1968,Tab.XVI,Spalte 2,N 48 . ამ ფალაური მონოგრამის სრული ფორმა გვხვდება ომაიდურ დირჰემებზე: BMCM "Arab-Bysantine and post reform Umaiyad Coins , გვ. 179. ი.ჯალაღანია მონეტას მიიჩნევს ხოსრო I-ის მონეტად და მას ჩრდილოეთ მესოპოტამიაში მოჭრილად თვლის. И.Д ж а л а г а - н и а , დასახ. ნაშრ., I, გვ. 7, №2.

44 მონეტა მიჩნეულია ხოსრო I-ის დრაქმად. И.Д ж а л а г а н и а ,დასახ. ნაშრ. I, გვ. 8, №3.

45 ი. ჯ ა ლ ა ღ ა ნ ი ა არ კითხულობს ამ დრაქმის მოჭრის ადგილს. И.Д ж а - л а г а н и а,დასახ. ნაშრ., I, გვ. 8, № 3 . ეს ზარაფხანა არავითარ ეჭვს არ იწვევს ნუმიზმატებს შორის. ქ. აჰმადანი (მიდიაში) იყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ზარაფხანა სასანურ ირანში. E.H e r z f e l d,Achaemenid Coinage and Sasanian Mint-Names.Transactions of the İnternational Numismatic Congress,London, 1936, გვ. 421, Abb.20; Ph.G i g n o u x,Les Inscriptions en surchrge sur les Monnaies du Trésor Sasanide de Suse,Cahiers de la D.A.F.I 8,1978

46 И.Д ж а л а г а н и а, დასახ. ნაშრ., II, გვ. 6, № I. ავტორი არ იძლევა მომენტის ზედწერილს, არაა მოცემული მისი გრაფიკული მონახაზი, არც მონეტის ფოტოილუსტრაციაცაა, რომლის ტიპსაც ავტორი მთელი II ტომის ფურცლებზე ეყრდნობა. მონეტა არასწორადაა განსაზღვრული ხოსრო I-ის დრაქმად და მისი მოჭრის ადგილად მიჩნეულია ქ. სპაჰანი.

Цоцелия М.В.

# ДРАХМЫ ВАРАХРАНА УI ИЗ СОБРАНИЯ ГОСУДАРСТВЕННОГО МУЗЕЯ ГРУЗИИ


Резюме
(Табл.ХУI)

В фондах отдела нумизматики Государственного музея Грузии им.С.Джанашиа хранятся около 2000 экземпляров сасанидских монет. В 1977, 1980, 1983-1984 гг. фонды отдела нумизматики пополнились большим кладом, обнаруженным в с.Цители Цкаро. Клад поступил по частям, он примечателен не только по своему количеству (1308 монет), но и по своему составу (сасанидские и византийские монеты). В состав клада входят семь драхм Бахрама Чубина, известного в сасанидской нумизматике под именем Варахрана УI. Это первый случай находки монет Бахрама Чубина на территории Грузии.

В статье описаны политические события, предшествовавшие восстанию Бахрама Чубина. Рассмотренные в статье монеты серебряные, хорошей сохранности, отчеканены в первый и последний год его царствования(т.е. в 590 г. н.э.). Монеты Варахрана УI отчеканены в монетных дворах Рея, Мерва, Ктесифона и Хамадана.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა. ჯავახიშვილი

## ა. ჭყონია, „ოქროს სამკაული ვანის ნაქალაქარიდან“, „ვანი VI“, გამომც. „მეცნიერება“, თბილისი, 1981

შეიძლება თამამად ითქვას, რომ დღეს საქართველოს არქეოლოგიური ძეგლებიდან ვანის ნაქალაქარი ყველაზე დიდი სახელით სარგებლობს როგორც ჩვენ რესპუბლიკაში და საბჭოთა კავშირში, ისე მის საზღვრებს გარეთ. ცხადია, ეს აიხსნება შესანიშნავი აღმოჩენებით, რომლებიც მოჰყვა ვანის გეგმაზომიერ, სისტემატურ გათხრას, აგრეთვე - მათ ნიადაგზე ჩატარებული მეცნიერული კვლევა-ძიების შედეგების დროული და ფართო პუბლიკაციებით. ამ პუბლიკაციებმა, პირველ რიგში - ვანის არქეოლოგიური გათხრების შედეგებისადმი მიძღვნილმა ტომებმა, სამეცნიერო მიმოქცევაში შემოიტანეს საამშენებლო ხელოვნების, არქიტექტურის, ხელოვნების, ხელოსნობის სხვადასხვა დარგის, მატერიალური და სულიერი ყოფის სხვა მხარეების ამსახველი არაერთი შესანიშნავი ძეგლი, ახალი შუქი მოფინეს ანტიკური ხანის კოლხეთის, საერთოდ საქართველოს ისტორიის, იმდროინდელ კულტურულ სამყაროსთან მათი ურთიერთობის სხვადასხვა მხარეს და შორს გაუთქვეს სახელი ვანს როგორც სამეცნიერო წრეებში,ისე ფართო საზოგადოებაში.მაგრამ, ვანის განსაკუთრებული პოპულარობის მთავარი მიზეზი მაინც არის ოქრომჭედლობის შედევრები, რომლებიც უხვად აღმოჩნდა არისტოკრატიულ სამარხებში და რომლებმაც თითქოს თვალნათლივ დაგვანახეს ნახევრადლეგენდარული „ოქრომრავალი კოლხეთი“. მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ დღეს უკვე ხელთა გვაქვს ანა ჭყონიას მონოგრაფიული გამოკვლევა, მიძღვნილი ვანის ნაქალაქარის ოქროს სამკაულებისადმი, რომელსაც მთლიანად დაეთმო ვანის არქეოლოგიური გათხრების VI ტომი.

თუმცა ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის ნაშრომებში, მათ შორის „ვანის“ წინა ტომებში, სხვებთან ერთად გამოქვეყნებული - დათარიღებული და სხვადასხვა მხრივ გაანალიზებული მდიდრული სამარხების მასალები, კერძოდ - ოქრომჭედლობის ნიმუშებიც, ისინი მაინც მოითხოვდნენ სპეციალურ, გაღრმავებულ გამოკვლევას, რაც ა. ჭყონიამ იტვირთა. რამდენად საშური და თანაც რთული იყო ეს სამუშაო გასაგები გახდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ ი. სმირნოვის „ახალგორის განძის“ შემდეგ, რომელიც ავტორის გარდაცვალების შემდეგ გ. ჩუბინაშვილმა 1934 წელს გამოაქვეყნა, საქართველოს წინაქრისტიანული ხანის ოქრომჭედლობის ძეგლები შესწავლის საგნად ფაქტიურად არავის გაუხდია, გარდა ი. გაგოშიძისა, რომელმაც, ძირითადად სწორედ ვანის აღმოჩენებზე დაყრდნობით, დააზუსტა რამდენიმე ცნობილი არქეოლოგიური კომპლექსის თარიღი და მკაფიოდ აჩვენა საქართველოს ადრეანტიკური ხანის საოქრომჭედლო ხელოვნების აყვავების ადგილობრივი ფესვები, და გ. ჩუბინაშვილისა, რომლის მოხსენების ტექსტი არმაზისხევის პიტიახშთა სამარხების ოქროს სამკაულების სტილის შესახებ, სამწუხაროდ, დღემდე გამოუქვეყნებელია. ზემოთქმულიდან ნათელი ხდება ა. ჭყონიას ნაშრომის აქტუალობა და დიდი მეცნიერული მნიშვნელობა.

ა. ჭყონიამ მიზნად დაისახა ვანის ნაქალაქარზე ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში მოპოვებული, გათხრილი თუ შემთხვევით აღმოჩენილი, ოქროს სამკაულების მეთოდური შესწავლა - ქრონოლოგიური და ტიპოლოგიური კლასიფიკაცია, ტექნიკის, სტილისა და, საერთოდ, ოქროს სამკაულის მხატვრულ-ისტორიული ანალიზის საფუძველზე მათში ადგილობრივი - ორიგინალური, გარეშე გავლენით შექმნილი და უცხო, შემოტანილი ნივთების ჯგუფების გამოყოფა, დაბოლოს - კოლხეთში, კერძოდ ვანში, ძვ.წ. I ათასწლეულის მეორე ნახევარში საოქრომჭედლო სახელოსნოების არსებობისა და მათი სპე-

ციფიკური ნიშნების გარკვევა. ამ ძირითადი მიზნის შესაბამისად, სარეცენზიო ნაშრომს აქვს მწყობრი, თუ შეიძლება ასე ითქვას, კლასიკური სტრუქტურა და სახე – ნათლად ჩამოყალიბებული, ლოგიკური, ლაკონიური, მეცნიერულად უაღრესად ზუსტი, რაც მას დიდ დამაჯერებლობას ანიჭებს.

ნაშრომის პირველი ნაწილი – საკუთრივ გამოკვლევა, მოცულობით 6 თაბახი, შედგება მოკლე შესავლის, მუხლებად დაყოფილი 5 ნაწილისა და აგრეთვე მოკლე დასკვნისაგან. ნაშრომის მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვან ნაწილს (მოცულობით 3 თაბახი) წარმოადგენს ვანში აღმოჩენილი ოქროს ნაწარმის მეცნიერული კატალოგი, რომელიც შეიცავს ოქროს ყველა სამკაულის აღწერილობას. ნაშრომის განუყოფელი ნაწილია ილუსტრაციები – 74 ტაბულა, რომელზედაც მოცემულია კატალოგში აღწერილი ყველა ოქროს ნივთის ფოტოსურათი. ნაშრომს თან ახლავს რეზიუმე რუსულ და ინგლისურ ენებზე, ილუსტრაციების აღწერილობა და შემოკლებათა განმარტება. მდიდარი სამეცნიერო აპარატი – შენიშვნები, მითითებები, განმარტებები და სხვა მთლიანად ჩატანილია სქოლიოებში. ნაშრომის გამოცემა პოლიგრაფიულად საკმაოდ კარგადაა შესრულებული, მხოლოდ ილუსტრაციებია მოკლებული საჭირო სიმკვეთრეს.

გამოკვლევა და კატალოგი მონოგრაფიის ორგანულად ურთიერთდაკავშირებული ნაწილებია; პირველი ემყარება მეორეს, რომელიც 4 089 ერთეულის დეტალურ, პედანტურად ზუსტი შესწავლის შედეგად შემუშავებულ 349 აღწერილობას შეიცავს. ამ სამუშაოს სირთულის გასაგებად გასათვალისწინებელია, რომ მათ შორის არის, ერთი მხრივ, ისეთი რთული და საკმაოდ მსხვილი სამკაულები, როგორც ცხოველების ჭიდილის სცენებით შემკული ფირფიტიანი დიადემები, ან მხედრიანი საყურეები, მეორე მხრივ – მრავალრიცხოვანი კილიტები, მძივები, სხვადასხვა ნამზადები, რომლებიც ზოგჯერ მილიმეტრებით იზომება და ამავე დროს ცვარისაგან შედგენილი სახეებითაა შემკული. ნაშრომის ამ ორი ნაწილის ერთიანობაში, ჩემი აზრით, არის მისი ერთ-ერთი უმთავრესი ღირსება – ის საშუალებას იძლევა შემოწმდეს ავტორის ყოველი სიტყვა, ყოველი დებულება, რომლებიც ამის გამო სანდო და სარწმუნო ხდება.

საკვლევი ძეგლების ქრონოლოგიური და ტიპოლოგიური კლასიფიკაცია ნაშრომის ძირითადი, კვლევითი ნაწილის სტრუქტურაშივეა ასახული: შესავალს, რომელშიც ავტორი მოკლედ გვაცნობს ვანის ნაქალაქარზე მოპოვებული ოქროს სამკაულების შესწავლის ისტორიას, სადაც სრულადაა ასახული წინამორბედი მკვლევარების მიერ ამ საქმეში შეტანილი წვლილი, და გადმოგვცემს მათი აღმოჩენის ვითარებას, მოსდევს პირველი ნაწილი; მასში განხილულია ძვ. წ. V–IV საუკუნის პირველი ნახევრის სამკაულები ცალკეულ ჯგუფებად, რომელთაგან თითოეული მოიცავს სამკაულის ამა თუ იმ სახეს – დიადემებს, თავსამკაულს, საყურეებს, ყელსაბამებს და ა.შ. მომდევნო ნაწილში ავტორი შეისწავლის ძვ.წ. IV საუკუნის მეორე ნახევრის – I საუკუნის სამკაულებს, რომლებსაც ასევე ჯგუფებად იხილავს – თავსამკაული, გვირგვინის ნაწილები, ბალთები, საყურეები, ყელსაბამები, ღილაკები, ვარდულები, ლურსმნები და ა.შ., მესამე ნაწილში შესწავლილია ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილი ახალი წელთაღრიცხვის III საუკუნის ერთადერთ სამარხში აღმოჩენილი მცირერიცხოვანი ოქროს სამკაული. მეოთხე ნაწილში განხილულია წვრილმანი, შემთხვევითი მონაპოვარი – მძივები, ფირფიტები და მისთანანი, რომელთა ზუსტად დათარიღება-განსაზღვრა ჯერჯერობით ვერ ხერხდება. ბოლო ნაწილი დათმობილი აქვს ერთი შეხედვით უმნიშვნელო მასალას – ოქროს პატარა ზოდებს, ფირფიტების ჩამონაჭრებს, პატარა ნამზადებს, მავთულებს, რომლებიც ავტორის მიერ აქვე მოტანილ წერილობით წყაროთა ცნობებთან შეჯერებით კოლხეთში, კერძოდ, ვანში ოქროს მხატვრული დამუშავების ცენტრის არსებობის ნივთიერი საბუთის ძალას იძენს.

ქრონოლოგიურად დაჯგუფებული სამკაულების ყოველი სახე, ცალკეული ნივთი განხილულია ყოველმხრივ, ამომწურავად – დანიშნულება-შინაარსის, ტექნიკისა და სტილის თვალსაზრისით; მოტანილია ანალოგიები და პარალელები წინააღმოსავლური და დასავლური კულტურების წრიდან, ნაჩვენებია თავისებურებები და იქვე გამოტანილია დასკვნა მისი კუთვნილების შესახებ. ასეა გამოყოფილი, ერთი მხრივ, აშკარად ადგილობრივი, მეორე მხრივ, აშკარად უცხო ნაკეთობა, აგრეთვე ისეთი ზოგადი ნიშნების მქონე ნივთები, რომლებიც შეიძლება ეკუთვნოდეს როგორც უცხო, ისე ადგილობრივ ხახელოსნოს.

გამოკვლევის ეს ნაწილი, ისევე როგორც მთლიანად ნაშრომი, ლაკონიურობით გამოირჩევა. ამის მიუხედავად უყურადღებოდ არაა დატოვებული არცერთი დეტალი, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს მნიშვნელობა ნივთის დამზადების ტექნიკისა და სტილის, თუ სემანტიკის, ან საერთოდ, მისი კუთვნილების გარკვევისათვის. მაგალითად, დათვლილია ხარ-ბით ცალკეული მძივის, კილიტის თუ საკიდის შემამკობელი ღარებისა და მინიატურული ბურცობების რაოდენობა, აგრეთვე – მარცვლებისა და წვრილი, სადა თუ გრეხილი მავთულის რგოლებისა და ზოლების რაოდენობა, და დალაგების წესი ნივთების შემამკობელ, ცვარასაგან შედგენილ გეომეტრიულ სახეებში – სამკუთხედებში, პირამიდებში, თუ სვასტიკებში, რაც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ნაწარმის ტექნიკურ და სტილისტურ თავისებურებას. ტექნიკის დეტალური აღწერის პროცესში ავტორი ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავს მსგავსება-განსხვავებას ბერძნულ ოქრომჭედლობასთან შედარებით, რაშიც კარგად ჩანს მისი დიდი ცოდნა ამ დარგში და მკვლევარის ზუსტი თვალი და ალღო. საერთოდ, ავტორი ამჟღავნებს ფართო მომზადებასა და ცოდნას. მისი აღწერილობები, ანალიზი მუდამ არის ძუნწი, მაგრამ ზუსტი, ამომწურავი, ობიექტური და დამაჯერებელი; ამის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითი, ჩემი აზრით, არის პარაგრაფი, რომელშიც განხილულია სარდიონითა და პასტით ინკრუსტირებული პექტორალი.

ავტორის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად სავსებით ნათლად ირკვევა, რომ ვანის ნაქალაქარზე მოპოვებულ ოქროს სამკაულში ყველაზე მრავალრიცხოვანი და თვალსაჩინოა ადგილობრივი ნაწარმი, რომელიც გამოირჩევა ტექნიკური და სტილისტური თავისებურებებით. სწორედ აქ არის თავმოყრილი ყველაზე თვალსაჩინო, ტექნიკურად და მხატვრულად სრულყოფილი ნივთები – დიადემები, თავსამკაული, სხივებიანი, ბურთულიანი და მხედრიანი საყურეები, მრავალფეროვანი ყელსაბამები და საკიდები; ეს ის სამკაულებია, რომლებიც ხასიათდებიან აშკარად გამოხატული თვითმყობადობით და რომელთა ფორმებსა და ძირითად დეკორატიულ სახეს არ მოეძებნება უშუალო ანალოგიები არც ბერძნულ, არც აღმოსავლურ საიუველირო ხელოვნებაში, თუმცა – კი ისინი ატარებენ მათთან საკმაოდ მჭიდრო კონტაქტის კვალს. ეს კონტაქტები კიდევ უფრო აშკარაა ისეთი სამკაულის მიხედვით, რომლებსაც ფორმით, დეკორის მოტივებით, საერთოდ, ტექნიკურ-სტილისტური ნიშნებით გააჩნიათ როგორც ადგილობრივი, ისე უცხო პარალელები და, ავტორის დასკვნით, ერთნაირად შეიძლება იყოს დამზადებული ან ადგილობრივ, ან უცხო სახელოსნოში. ისეთი აშკარად უცხოური მხატვრული ნაწარმი – კი, როგორებიცაა, მაგალითად, პექტორალი, წყვილი პოლიქრომული ბალთა ჰერაკლეს კვანძის მოტივით, ფანტასტიკური ლომისთავებით დაბოლოებული ძეწკვისებური ყელსაბამი და ზოგიერთი სხვა, პირდაპირ მოწმობს ამგვარი მაღალმხატვრული იმპორტის არსებობას, რაც ადგილობრივი კულტურის მაღალი დონის კიდევ ერთი მაჩვენებელია.

ავტორმა გვიჩვენა, რომ ძვ.წ. V–IV საუკუნის პირველ ნახევარში საიუველირო ხელოვნება კოლხეთში განიცდის მძლავრ აღმავლობას. ამ დროს ჩამოყალიბდა მისი სახე – სრულყოფილი ტექნიკა, ერთიანი დახვეწილი სტილით, მყარი მხატვრული ფორმები, რომლებშიც ვლინდება ადგილობრივ წარმოდგენებთან დაკავშირებული სიუჟეტური მოტივებიც.

ნაშრომის იმ ნაწილში, სადაც შესწავლილია ძვ.წ. IV საუკუნის მეორე ნახევრის – I საუკუნის ვანის საიუველირო ნაწარმი, მისთვის ჩვეული დაკვირვებებითა და სიზუსტით შესრულებული ტექნიკური, სტილისტური და მხატვრულ-ისტორიული ანალიზის შედეგად, მრავალმხრივი ანალოგიებისა და პარალელების მოშველიებით ავტორმა გამოიკვლია და დამაჯერებლად აჩვენა კოლხური საიუველირო ხელოვნების შემდგომში განვითარების პროცესი, ასე ვთქვათ, მისი მეორე საფეხური; მან ხაზი გაუსვა, ერთი მხრივ, იმას, რითაც ამ ხანის კოლხური ოქრომჭედლობა უკავშირდება წინა ხანას, ე.ი. – ტრადიციულობას, მეორე მხრივ, სიახლეებს; ეს სიახლეები შედეგია არამარტო ადგილობრივი, არამედ, აგრეთვე, საერთო მოვლენებისა, რომლებითაც აღინიშნა ძველი წელთაღრიცხვის ბოლო სამი საუკუნე წინა აღმოსავლეთსა და ხმელთაშუაზღვეთში, არსებითად მთელ იმდროინდელ „დასავლურ“ სამყაროში და რამაც წარმოშვა ელინისტური კულტურა. ფერადოვანება, დეკორატიულობა, დინამიურობა – ეპოქის ხელოვნების ეს დამახასიათებელი ნიშნები ორგანულად შეიჭრა ელინისტური ხანის კოლხურ ოქრომჭედლობაშიც, რაც არსებითად არ ცვლის მის მხატვრულ სახეს, პირიქით – ხელს უწყობს მის შემდგომ განვითარებას; შემუშავებულ

იქნა, აგრეთვე, ზოგიერთი სამკაულის ახალი ფორმა თუ დეკორატიული მოტივი.

როგორც ითქვა, ცალკე, პატარა პარაგრაფი აქვს დათმობილი ვანში მოპოვებულ III საუკუნის მცირერიცხოვან ოქროს სამკაულებს, რომლებიც, ძირითადად, არ გამოირჩევიან საქართველოს სხვა მხარეების თანადროული ნაწარმისაგან; მაგრამ, ავტორი ხაზს უსვამს მათ მნიშვნელობას ვანის ქალაქის ისტორიისათვის.

ნაშრომის ლოგიკური ბოლოა უკანასკნელი თავი, სადაც დასაბუთებულია, რომ ანტიკურ ხანაში საკუთრივ ვანის ძველ ქალაქში არსებობდა ოქრომჭედლობის მძლავრი კერა, ადგილობრივ პროფესიონალ ოსტატთა სკოლა, აგრეთვე – დასკვნა, სადაც მოკლედაა შეჯამებული კვლევის შედეგები და ხაზგასმულია მათი მნიშვნელობა ძველი კოლხეთის ისტორიისა და კულტურის გასაშუქებლად. საკუთარ ნაშრომზე დაყრდნობით ავტორს სრული საფუძველი აქვს დასძინოს: „სწორია ვარაუდი, რომ... ოქროს მხატვრულმა დამუშავებამ, და არა მხოლოდ ოქროს მოპოვებამ, გაუთქვა კოლხეთს მთელ ანტიკურ სამყაროში „ოქრომრავალი“ ქვეყნის სახელი“.

ამრიგად, ამიერიდან საბოლოოდ მტკიცედ დადგენილად უნდა ჩაითვალოს, რომ ძვ.წ. I ათასწლეულის შუახანებში კოლხეთში არსებობდა ორიგინალური საოქრომჭედლო ხელოვნების მძლავრი კერა, ხოლო ვანის ძველ ქალაქში – მისი ერთ-ერთი მოწინავე სკოლა; ეს უთუოდ არის ახალი სიტყვა მეცნიერებაში.

დაწვრილებით არაფერს ვიტყვი სარეცენზიო ნაშრომის მეორე ნაწილზე – კატალოგზე, ხაზგასმით აღვნიშნავ მხოლოდ იმას, რომ, ჩემი აზრით, ის ყოველმხრივ გამართულია, უაღრესად სასარგებლოა სპეციალისტებისათვის და შეიძლება გამოდგეს ამ რიგის ნაშრომების ერთ-ერთ საუკეთესო მაგალითად. მასაც, ისევე როგორც ნაშრომის მთლიანად, უთუოდ ექნება დიდი პრაქტიკული გამოყენება ისტორიული კვლევის სხვადასხვა დარგში.

ბუნებრივია, რომ ყოველი ამგვარი გამოკვლევა მრავალ საკითხს ბადებს მკითხველში; შევჩერდები ორიოდე მათგანზე. პირველ რიგში შევეხები ნაშრომის წყობის თავისებურების ერთ მხარეს. როგორც ვიცით, ვანის ნაქალაქარის ოქროს სამკაული ნაშრომში წარმოდგენილია ქრონოლოგიურ და ტიპოლოგიურ ჯგუფებად. ნივთების ქრონოლოგიურ ჯგუფებად განხილვა სავსებით ლოგიკურია და, მაშასადამე, გამართლებული; ასევე სავსებით ნორმალური და დასაშვებია მათი შესწავლა ტიპოლოგიური ჯგუფების მიხედვით – ეს მნიშვნელოვნად ამარტივებს, ნათელ სახეს აძლევს კვლევას, აძლიერებს ავტორის მსჯელობის და დასკვნების დამაჯერებლობას, რამდენადაც მაქსიმალურად ამახვილებს ყურადღებას კონკრეტულ, ერთ ობიექტზე. მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ამგვარი მიდგომა ნაწილობრივ მაინც ჩრდილავს საიუველირო ნაწარმის მთავარ მხარეს – მის მხატვრულ ღირებულებას. სრულიადაც არ მინდა იმის თქმა, თითქოს ავტორი სათანადო ყურადღებით არ ეკიდება ამ საკითხს; პირიქით, როგორც გარკვევით ვთქვი, ის ამ მხრივაც ამჟღავნებს სათანადო ალღოს, ფაქიზ დაკვირვებას და სრულ წარმოდგენას იძლევა ამა თუ იმ სამკაულის მხატვრულ მხარეზე. მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ საიუველირო ნაწარმი თუმცა მრავალფეროვანია ფორმით და დეკორით, ის მაინც განიხილება და კეთდება როგორც ნივთების გარკვეული ერთობლიობა, ე.წ. გარნიტური; სწორედ ცალკეული ნივთების ეს ერთობლიობა თავისთავად ქმნის ახალ მხატვრულ ღირებულებას. ამ მხრივ ვანის მასალები შესანიშნავ მაგალითებს იძლევა, რამდენადაც მათში რამდენიმე მსხვილი გარნიტური არის. ამიტომ სასურველი იყო, რომ ავტორს ვანის ნაქალაქარის ოქროს სამკაულების ამ მხარისათვის დაეთმო თუნდაც პატარა პარაგრაფი.

ჩემი აზრით, უთუოდ სასარგებლო იქნებოდა, რომ ვანის ნაქალაქარის ოქროს სამკაულის პარალელურად განხილული ყოფილიყო მასთან ერთად აღმოჩენილი ვერცხლის სამკაული. ვერცხლის ნივთებზე – დიადემებზე, სამაჯურებზე და სხვა სამკაულზე ზერელე დაკვირვებიდან ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს ვერცხლის სამკაულის ორნამენტაცია უფრო თვითმყობადია, ნაკლებადაა აღბეჭდილი „უცხო გავლენებით“, ვიდრე ოქროსი, რომელიც „საერთაშორისო მოდას“ კარგად გაცნობილი არისტოკრატიისათვის იყო ხელმისაწვდომი; ვერცხლი უფრო ახლოა ფართო მოხმარების ბრინჯაოს ნაწარმთან, რამაც შეიძლება მეტი შუქი მოფინოს ზოგიერთი დეკორატიული მოტივის – თუნდაც ცხოველების ბრძოლის შინაარსს და სხვა.

რაკი სიტყვამ მოიტანა, გაკვრით – გავლენების შესახებ. წინასწარ აღვნიშნავ, რომ

ამ მხრივ ავტორი სწორ პოზიციაზე დგას, ე.ი. ობიექტურად აღნიშნავს და ხსნის ნაწარმის ისეთ თავისებურებებს, რომლებიც მოწმობენ სავსებით ბუნებრივი მრავალმხრივი კულტურული კონტაქტების, მაშასადამე, ურთიერთგავლენის არსებობას. მაგრამ ერთ ადგილას, კერძოდ ნაშრომის 37-ე გვერდზე ის წერს: „ჯიხვის გამოსახულებები დალარული რქებით აქემენიდური ირანის ხელოვნების ტიპიურ ძეგლებადაა მიჩნეული; ისინი დამახასიათებელია ძველი კოლხეთისთვისაც (ჯიხვის გამოსახულება კოლხურ დიადემაზე), თუმცა ირანული გავლენა აქ არ გამოირიცხება“. ვფიქრობ, საკუთრივ ირანის გავლენაზე ლაპარაკი არ არის სავსებით სწორი, რამდენადაც თვით აქემენიდური ხანის ირანის ხელოვნება იყო სხვადასხვა, მათ შორის ბერძნული მხატვრული ნაკადის ორგანული ნაერთი. სათანადო ადგილას, IV საუკუნის მეორე ნახევრის – I საუკუნის ნაწარმის განხილვისას ავტორს სავსებით მართებულად აქვს ხაზგასმული ელინისტური კულტურის, კერძოდ ხელოვნების, ასე ვთქვათ, საერთაშორისო ხასიათი და მისი ნიშნების გაბატონება, ბუნებრივი გამოჩენა კოლხეთის თანადროულ ოქრომჭედლობაში. როგორც ჩანს, თითქმის ყოველ ისტორიულ პერიოდში, მსოფლიოს განსაზღვრულ, მეტნაკლებად დიდ რეგიონებში, ისტორიული პროცესის მსვლელობაში სხვადასხვა კულტურულ-მხატვრული ნაკადების ორგანული შერწყმის შედეგად ყალიბდებოდა მისთვის დამახასიათებელი ზოგადი თავისებურებები – ეპოქალურ-რეგიონალური სტილი. ძვ.წ. V-IV საუკუნის პირველი ნახევრის კოლხური ოქრომჭედლობის ზოგიერთი თავისებურება, ჩემი აზრით, ამით შეიძლება აიხსნას და არა უშუალოდ ირანის თუ საბერძნეთის ხელოვნების გავლენით.

დაბოლოს, უაღრესად საინტერესო იქნებოდა, რომ ავტორი შეხებოდა ერთ მნიშვნელოვან საკითხს – ჩანს თუ არა ვანის ოქროს სამკაულებში სხვადასხვა შემსრულებლის ხელი. ეს უკავშირდება, ერთი მხრივ, სახელოსნოს სტრუქტურის, ხასიათის, მასში დამკვიდრებული მუშაობის წესისა და მეთოდების საკითხს, მეორე მხრივ – ინდივიდუალური შემოქმედების, ოსტატობის საკითხს, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს თავისთავადაც და ქალაქის მოსახლეობის სოციალური განვითარების თავისებურებების კვლევისათვისაც. იმდენად დიდი და გაღრმავებული შრომა აქვს გაწეული ა. ჭყონიას თითოეული ნივთის, მათი ნამზადებისა და წარმოების სხვა ნაშთების შესასწავლად, რომ მას ალბათ შეეძლო ეთქვა თავისი კომპეტენტური აზრი ზემოაღნიშნულ საკითხებზე. იმედი მაქვს, რომ ამას ის შემდეგში გააკეთებს.

შევეცდები ორიოდე სიტყვით შევაჯამო და ჩამოვაყალიბო ჩემი აზრი სარეცენზიო ნაშრომის შესახებ: ეს არის ძალიან მაღალი პროფესიული დონის სამეცნიერო გამოკვლევა, ნამდვილი სამუშაო წიგნი, რომელსაც გვერდს ვერ აუვლის ანტიკური ხანის ისტორიის და კულტურის ვერცერთი მკვლევარი; ის ჩვენი მეცნიერების მეტად მნიშვნელოვანი შენაძენია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მუზეუმის 1984 წლის ქრონიკა

### გამოცემული ნაშრომები

მუზეუმმა 1984 წელს საზოგადოებრივ მეცნიერებათა ხაზით გამოსცა:

1. ა ვ ტ ო რ თ ა კ ო ლ ე ქ ტ ი ვ ი – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XXXVII, თბილისი, „მეცნიერება".

2. ა ვ ტ ო რ თ ა კ ო ლ ე ქ ტ ი ვ ი – საბჭოთა საქართველოს სამეურნეო და კულტურული განვითარების ისტორიიდან, თბილისი, „მეცნიერება".

3. ა ვ ტ ო რ თ ა კ ო ლ ე ქ ტ ი ვ ი – ვაჭრობა-მრეწველობის განვითარება და საქალაქო მშენებლობის ზრდა XIX საუკუნის თბილისში, თბილისი, „მეცნიერება".

4. თ. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ტრაპიზონის ასპრებისა და დასავლეთ-ქართული ფულის (კირმანეული) კატალოგი, თბილისი, „მეცნიერება".

5. გ. ჯ ა ლ ა ბ ა ძ ე – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიული ფონდების მეგზური, თბილისი, „მეცნიერება".

### სამეცნიერო სესიები

24 და 25 მაისს ჩატარდა საქართველოს მუზეუმის მორიგი XXX სამეცნიერო სესია. წაკითხულ იქნა 12 მოხსენება (მომხსენებლები – ზ. ქიქოძე, ლ. ფანცხავა, ნ. აფხაზავა, რ. დოლაბერიძე, გ. ჯალაბაძე, მ. ზანდუკელი, კ. ჩოლოყაშვილი, ე. ნადირაძე, რ. ქებულაძე, ვ. ტარტარაშვილი, ლ. მაყაშვილი, ლ. ჭილაშვილი).

8–9 თებერვალს შედგა ახალგაზრდა მეცნიერთა მეოთხე სამეცნიერო სესია, რომელზედაც მოსმენილი იქნა 10 მოხსენება (მომხსენებლები – გ. ცისკარიშვილი, დ. ლომიტაშვილი, ბ. ლორთქიფანიძე, ნ. ბახტაძე, ივ. მენთეშაშვილი, მ. ბოკუჩავა, თ. დათუკიშვილი, ლ. შომიტაშვილი, მ. ჯავახიშვილი, ლ. მაყაშვილი).

აპრილში ჩატარდა მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციების მიერ 1983 წელს ჩატარებული საველე სამუშაოების შედეგებისადმი მიძღვნილი სესია, რომელზედაც მოსმენილი იქნა 7 ექსპედიციის ანგარიში.

### თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება

მუზეუმის სამმა თანამშრომელმა ი. მენთეშაშვილმა, ლ. ბურჯანაძემ, ი. ჩხარტიშვილმა- წარმატებით დაიცვეს დისერტაცია ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.

უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ მუზეუმის თანამშრომელს ი. გაგოშიძეს დაუმტკიცა ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

### სამუზეუმო კოლექციების აღრიცხვა-დაცვა, ახალი კოლექციები

წლის განმავლობაში ქიმიურ-სარესტავრაციო ლაბორატორიაში ქიმიურად გაწმენდილია, რესტავრირებული და კონსერვირებულია ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს და რკინის 265 და ორგანული წარმოშობის მასალისაგან დამზადებული 1000-ზე მეტი ექსპონატი; გარეცხილი და გადარჩეულია არქეოლოგიური კერამიკული მასალის 632 შეკვრა, რესტავრირებულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

I06 თიხის ჭურჭელი.

ექსპედიციების მეშვეობით, შესყიდვითა და შემოწირულებით მუზეუმის ფონდებში შემოვიდა 2375 ექსპონატი.

### საექსპოზიციო მუშაობა

დიდი სამუშაო შესრულდა საბჭოთა საქართველოს ისტორიის გამოფენაზე, რომელსაც ყოველწლიურად ემატება ქვეყნის ცხოვრებაში მომხდარი უმნიშვნელოვანესი სოციალური, ეკონომიკური და კულტურული მოვლენების ამსახველი მასალები; საანგარიშო წელს შეიცვალა ექსპონატების ნახევარზე მეტი, რაც არსებითად ნიშნავს ექსპოზიციის საფუძვლიან განახლებას.

### სამეცნიერო პროპაგანდა

მუზეუმის გამოფენები საანგარიშო წელს დაათვალიერა 36I 000 კაცმა; ლექცია-საუბარი ჩაუტარდა I23 806 დამთვალიერებელს, 5I 0I0 მუშა-მოსამსახურეს, I8 7I0 კოლმეურნეს და 44 006 სხვა კატეგორიის სტუმარს. მუზეუმის გამოფენებზე სამუზეუმო პრაქტიკა გაიარეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სამხატვრო აკადემიის, პოლიტექნიკური, პედაგოგიური და უცხო ენების ინსტიტუტების სტუდენტებმა.

მუზეუმის მუდმივმოქმედ ლექტორიუმში წაკითხული იყო I4 სამეცნიერო-პოპულარული ლექცია მეცნიერების და კულტურის ისტორიის აქტუალურ საკითხებზე.

### სამეცნიერო ექსპედიციები

საზოგადოებრივ მეცნიერებათა ხაზით საქართველოს სახელმწიფო მუზეუმმა განახორციელა შემდეგი ექსპედიციები:

I. ყვირილას აუზის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღ. ისტ. მეცნ. კანდიდატი დ. თუშაბრამიშვილი).

2. ნოსირ-მუხურჩის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღ. ისტ. მეცნ. კანდ. ე. გოგაძე).

3. ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვ. ისტ. მეცნ. კანდიდატი თ. კიღურაძე).

4. ბერიკლდეების არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ალ. ჯავახიშვილი).

5. შიდა ქართლის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვ. ისტ. მეცნ. დოქტორი ი. გაგოშიძე).

6. ნოქალაქევის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღ. ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფ. პ. ზაქარაია).

7. არეშის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღ. ისტორიის მეცნ. დოქტორი, პროფესორი, ლ. ჭილაშვილი).

8. კაზრეთის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღ. ისტორიის მეცნ. კანდიდატი მ. სინაურიძე).

9. ალევის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღ. ისტორიის მეცნ. კანდიდატი ნ. აფხაზავა).

I0. ვანის ქვაბის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღ. არქიტექტურის კანდიდატი გ. გაფრინდაშვილი).

II. გარეჯის უდაბნოს სპელეისტიკური ექსპედიცია (ხელმძღვ. არქიტექტურის კანდიდატი გ. გაფრინდაშვილი).

I2. ქცია-ხრამის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღ. ნ. ბახტაძე).

I3. ქვემო ქართლის ეთნოგრაფიული ექსპედიცია (ხელმძღ. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, გ. ჯალაბაძე).

I4. სვანეთის ეთნოგრაფიული ექსპედიცია (ხელმძღ. ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, მ. ჩართოლანი).

I5. რელიგიის ისტორიისა და მეცნიერული ათეიზმის განყოფილების ექსპედიცია (ხელმძღ. ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი მ. ხუციშვილი).

## ХРОНИКА МУЗЕЯ ЗА 1984 ГОД

### Изданные научные труды

В 1984 году музеем по общественным наукам изданы:

I. А в т о р с к и й к о л л е к т и в - "Вестник" Государственного Музея Грузии им.С.Н.Джанашиа XXXУП В, Тбилиси, "Мецниереба".

2. А в т о р с к и й к о л л е к т и в - Из истории хозяйственного и культурного развития Советской Грузии, Тбилиси, "Мецниереба".

3. А в т о р с к и й к о л л е к т и в - Торгово-промышленное развитие и городское строительство Тбилиси XIX в., Тбилиси, "Мецниереба".

4. Т. А б р а м и ш в и л и - Трапизонские аспры и западно-грузинские монеты(Кирманеули) Государственного Музея Грузии, Тбилиси, "Мецниереба".

5. Г.Д ж а л а б а д з е - Путеводитель по этнографическим фондам Государственного Музея Грузии, Тбилиси, "Мецниереба".

### Научные сессии

24 и 25 мая проведена очередная, XXX научная сессия музея. На сессии было представлено I2 докладов (докладчики - З.Кикодзе, Л.Кикодзе, Л.Панцхава, Н.Абхазава, Р.Долаберидзе, Г.Джалабадзе, М.Зандукели, К.Чолокашвили, Э.Надирадзе, Р.Кебуладзе, В.Тартарашвили, Л.Макашвили, Л.Чилашвили)

8-9 февраля проведена четвертая научная сессия молодых ученых, на которой было заслушано IO докладов (докладчики - Г.Цискаришвили, Д.Домиташвили, Б.Лордкипанидзе, Н.Бахтадзе, И.Ментешашвили, М.Бокучава, Т.Датукишвили, Н.Шошиташвили, Г.Джавахишвили, Л.Макашвили).

В апреле сосоялась сессия, посвященная итогам полевых археологических исследований музея 1983 года, на которой были представлены отчеты 7 экспедиций.

### Повышение квалификации сотрудников

3 сотрудника музея (И.Ментешашвили, Л.Бурджанадзе, И.Чхартишвили) защитили кандидатские диссертации.

Высшая аттестационная комиссия утвердила в ученой степени доктора исторических наук сотрудника музея Ю.Гагошидзе.

### Учет и хранение музейных коллекций
### Новые коллекции

В отчетном году в химико-реставрационной лаборатории очищено, реставрировано и законсервировано 265 золотых, серебряных, бронзовых, железных экспонатов и более I000 экспонатов, изготовленных из органических материалов; перебраны и промыты 632 связки с археологической керамикой и реставрированы I06 керамических сосудов.

В фонды музея поступили 2.375 экспонатов.

## Экспозиционная работа

Большая работа проделана на выставке истории советской Грузии, которая ежегодно пополняется материалами, отображающими наиважнейшие изменения в экономической, социальной и культурной жизни республики.

В отчетном году обновлена почти половина экспонатов, что, по существу, является основательной реэкспозицией.

## Научная пропаганда

На выставке музея в отчетном году побывало 36I.000 посетителей, с которыми проведены I23.806 лекций и бесед, из них I0.080 учащимся, 5I.0I0 - рабочим и служащим, I8.7I0 - колхозникам, 44.006 - посетителям других категорий. На выставках музея проходили практику студенты Тбилисского Государственного университета, Академии художеств, Политехнического и Педагогического институтов, Института иностранных языков.

В лектории музея прочитаны I4 научно-популярных лекций по актуальным вопросам науки и истории культуры.

## Научные экспедиции

По линии общественных наук Государственным музеем Грузии осуществлены следующие экспедиции.

I. Археологические экспедиции Квирильского бассейна (руководитель к.и.н. Д.Тушебрамишвили)

2. Носири-Мухурчская археологическая экспедиция (руководитель к.и.н. Э.Гогадзе)

3. Квемо-Картлийская археологическая экспедиция (руководитель к.и.н. Т.Кигурадзе)

4. Археологическая экспедиция Берикldеeби (руководитель член-корреспондент АН ГССР д.и.н. А.Джавахишвили)

5. Шида-Картлийская археологическая экспедиция (руководитель д.и.н.Ю.Гагошидзе)

6. Нокалакевская археологическая экспедиция (руководитель доктор искусствоведения проф. П.Закарая)

7. Арешская археологическая экспедиция (руководитель д.и.н. профессор Л.Чилашвили)

8. Казретская археологическая экспедиция (руководитель к.и.н. М.Синауридзе)

9. Алевская археологическая экспедиция (руководитель к.и.н. Н.Абхазава)

I0. Археологическая экспедиция Ванис-Квабеби (руководитель кандидат архитектуры Г.Гаприндашвили)

II. Спелеистическая экспедиция Гареджис удабно (руководитель кандидат архитектуры Г.Гаприндашвили)

I2. Археологическая экспедиция Кция-Храми (руководитель Н.Бахтадзе)

I3. Квемо-Картлийская этнографическая экспедиция (руководитель д.и.н. Г.Джалабадзе)

I4. Сванетская археологическая экспедиция(руководитель к.и.н. М.Чартолани)

I5. Экспедиция отдела истории религии и научного атеизма (руководитель к.и.н. М.Хуцишвили)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მუზეუმის 1985 წ. ქრონიკა

### საზოგადოებრივ მეცნიერებათა ხაზით გამოცემული ნაშრომები

1. ა ვ ტ ო რ თ ა  კ ო ლ ე ქ ტ ი ვ ი – რელიგიის ისტორია და ათეისტური პროპაგანდა საქართველოში, კრებული IX, თბილისი, „მეცნიერება“.

2. ა ვ ტ ო რ თ ა  კ ო ლ ე ქ ტ ი ვ ი – მასალები ლეჩხუმის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, თბილისი, „მეცნიერება“.

3. რ. დ ო ლ ა ბ ე რ ი ძ ე – XI-XIII საუკუნეების საქართველოს ნივთიერი კულტურა, თბილისი, „მეცნიერება“.

4. მ. მ ა კ ა ლ ა თ ი ა – მესაქონლეობა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, თბილისი, „მეცნიერება“.

5. გ. ჯ ა ლ ა ბ ა ძ ე – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიული ფონდების გზამკვლევი, (რუსულ ენაზე), თბილისი, „მეცნიერება“.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ მუზეუმის ინიციატივით, ხელმძღვანელობითა და უშუალო მონაწილეობით შედგა და გამოქვეყნდა „წიგნი მარადიული ხსოვნისა“, I ტომი, რომელიც ეძღვნება დიდ სამამულო ომში დაღუპულთა ხსოვნას და შეიცავს თბილისის შინმოუსვლელთა გვარებს, ამჟამად გამოსაცემად მომზადებულია მე-2 ტომი.

### სამუზეუმო კოლექციების აღრიცხვა-დაცვა, ახალი კოლექციები

ჩვეულებისამებრ დიდი მოცულობისა და შრომატევადი სამუშაო შესრულდა ფონდების აღრიცხვისა და მოვლა-პატრონობისათვის. ქიმიურად გაწმენდილი, რესტავრირებული და კონსერვირებულია 1660 ექსპონატი, მათ შორის ბრინჯაოს 249, ვერცხლისა და ოქროს – 90, რკინის – 28, მინის, ქვის, ძვლისა და გიშრის 500, მონეტა – 279, კერამიკული – 261, ექსპედიციების, შემოწირულებისა და შესყიდვის მეშვეობით ფონდებში შემოვიდა 8817 ექსპონატი.

მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ჟინვალის ექსპედიციის მიერ გადმოცემული ოქროს ნივთები (ბეჭდები, საყურეები), ფირუზებით და მარგალიტებით შემკული ზარაკის ფორმის ფილიგრანული საყურეები, ფერწერული მინანქრითა და ძვირფასი თვლებით შემკული ოქროს ჯვარი და სხვა.

### საექსპოზიციო მუშაობა

საბჭოთა საქართველოს ისტორიის ამსახველ გამოფენაზე 1985 წელს ჩატარდა ნაწილობრივი რეექსპოზიცია – დიდ სამამულო ომში გამარჯვების 40 წლისთავთან დაკავშირებით შევსებული და განახლებული იქნა ექსპოზიციის სათანადო განყოფილება.

განახლდა წინა ქრისტიანული ხანის ოქრომჭედლობის ნიმუშების გამოფენა („სეიფი“).

თბილისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ახალი შენობის დარბაზებში მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებამ გამართა ხალიჩებისა და ფარდაგების დროებითი გამოფენა.

საბჭოთა საქართველოს ისტორიის განყოფილების მონაწილეობით სამცხე-ჯავახეთის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიულ მუზეუმში დიდ სამამულო ომში გამარჯვების 40 წლისთავთან დაკავშირებით გაიმართა და გაიხსნა ამ თარიღებისადმი მიძღვნილი გამოფენა; ამავე განყოფილებამ, მოსკოვის რევოლუციის ცენტრალურ მუზეუმთან ერთად,

თბილისის 46-ე სკოლის შენობაში მოაწყო გამოფენა „დიადი გამარჯვება“.

## სამეცნიერო პროპაგანდა

მუზეუმის გამოფენები დაათვალიერა 36I03I კაცმა, ლექცია-საუბრები ჩატარებულია 28705 მოსწავლესთან, 84705 მუშა-მოსამსახურესთან, 49835 კოლმეურნესთან, სხვადასხვა კატეგორიის 66I96 სტუმართან; ლექცია-საუბრების საერთო რიცხვი 2I6I3-ს უდრის. გარდა ამისა, გამოფენაზე ტარდებოდა ღია თემატური გაკვეთილები მე-7, მე-8 კლასის მოსწავლეთათვის, აქვე გაიარეს სამუზეუმო პრაქტიკა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიისა და მეორადი ფაკულტეტების, ა.ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტის, თეატრალური ინსტიტუტის კულტსაგანმანათლებლო ფაკულტეტის,სამხატვრო აკადემიის ხელოვნებათმცოდნეობისა და გამოყენებითი ხელოვნების ფაკულტეტებისა და ვ.ი. ლენინის სახ. პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეორადი ფაკულტეტის სტუდენტებმა.

25 თებერვალს საბჭოთა საქართველოს ისტორიის გამოფენიდან მოეწყო ტელეგადაცემა, მიძღვნილი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 64-ე წლისთავისადმი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური შრომის გმირებმა, ომისა და შრომის ვეტერანებმა, წარმოებისა და მეცნიერების მოწინავე წარმომადგენლებმა; I8 მაისს, მუზეუმების საერთაშორისო დღეს, მუზეუმის საექსპოზიციო დარბაზებიდან გადაიცა ამ დღისადმი მიძღვნილი რადიორეპორტაჟი.

მუზეუმის მუდმივმოქმედ ლექტორიუმში წაკითხულია I0 სამეცნიერო და პოპულარული ლექცია ისეთ თემებზე, როგორიცაა, მაგალითად, „საბჭოთა საქართველო XI ხუთწლედში“, „საქართველო დიდ სამამულო ომში“, (ისტ. მეცნ. კანდ. ო. ჩიქოვანი), „ტაძარი და სატაძრო მეურნეობა ელინისტური ხანის ქართლში“ (ისტ. მეცნ. დოქტორი, ი. გაგოშიძე), „საქართველოს ნაკრძალების ბუნების ეტალონები“ (ბიოლ. მეცნ. დოქტორი, ა. გეგეჭკორი), გარეჯის უდაბნოს ძეგლები“ (არქიტექტორის კანდიდატი გ. გაფრინდაშვილი) და სხვა.

## სამეცნიერო ექსპედიციები

საზოგადოებრივ მეცნიერებათა ხაზით საქართველოს სახელმწიფო მუზეუმმა განახორციელა შემდეგი ექსპედიციები:

I. ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვ. ისტ. მეცნ. კანდიდატი თ. კიღურაძე).

2. ბერიკლდეების არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ისტ. მეცნ. დოქტორი ალ. ჯავახიშვილი).

3. შიდა ქართლის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვ. ისტ. მეცნ. დოქტორი ი. გაგოშიძე.

4. ნოსირი მუხურჩის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვ. ისტ. მეცნ. კანდიდატი ე. გოგაძე).

5. ნოქალაქევის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვ. ხელ ნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი პ. ზაქარაია).

6. ალევის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვ. ისტ. მეცნ. კანდიდატი ნ. აფხაზავა).

7. კაზრეთის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვ. ისტ. მეცნ. კანდიდატი მ. სინაურიძე).

8. ქვემო ქართლის ეთნოგრაფიული ექსპედიცია (ხელმძღვ. ისტ. მეცნ. დოქტორი გ. ჯალაბაძე).

9. სვანეთის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღ. ისტ. მეცნ. კანდიდატი მ. ჩართოლანი).

I0. რელიგიის ისტორიისა და მეცნიერული ათეიზმის განყოფილების ექსპედიცია (ხელმძღვ. ისტ. მეცნ. კანდიდატი მ. ხუციშვილი).

II. ვანის ქვაბის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღ. არქიტექტურის კანდიდატი გ. გაფრინდაშვილი).

I2. გარეჯის უდაბნოს სპელეისტიკური ექსპედიცია (ხელმძღ. არქიტექტურის კანდიდატი გ. გაფრინდაშვილი).

I3. ქცია-ხრამის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღ. ნ. ბახტაძე).

ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 40 წლისთავისადმი მიძღვნილ მუზეუმების სამეცნიერო-საგანმანათლებლო მუშაობას საკავშირო დათვალიერებაში გამარჯვებისათვის დაჯილდოებულია სსრ კავშირის კულტურის სამინისტროსა და საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს I ხარისხის დიპლომებით.

ფილიალები

სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის უმთავრეს საზრუნავს 1985 წელს შეადგენდა როგორც საკუთრივ მუზეუმებში, ისე მისდამი დაქვემდებარებული ზონალური ფონდსაცავებში თავმოყრილი მრავალფეროვანი ძვირფასი ძეგლების კოლექციების დაცვა-აღრიცხვა და შემდგომი შევსება. გრძელდებოდა ზონალურ საცავებში თავმოყრილი ძეგლების შეჯერება, კერძო ოჯახებში შენახული ძეგლების გამოვლენა და აღრიცხვა. მუზეუმის თანამშრომლები მონაწილეობდნენ სვანეთის კომპლექსური ექსპედიციის საველე მუშაობაში, რის შედეგად მუზეუმის ფონდში შემოვიდა რამდენიმე მნიშვნელოვანი ეთნოგრაფიული ექსპონატი.

ტურისტული სეზონის დაწყების წინ მოწესრიგდა და ახალი ექსპონატებით შეივსო მუზეუმის გამოფენა, რომლის დამთვალიერებელთა რიცხვმა I2000 მიაღწია; მათ მომსახურებას უწევდნენ მუზეუმის თანამშრომლები..

სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულმა მუზეუმმა, გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმთან ერთად, ჩაატარა გამსვლელი სამეცნიერო სესია ქ. გეგეჭკორში, მიძღვნილი დიდ სამამულო ომში გამარჯვების 40 წლისთავისადმი, მანვე აქტიური მონაწილეობა მიიღო საქართველოს კპ მესტიის რაიკომის მიერ მოწყობილ თეორიულ კონფერენციაში.

აღსანიშნავია, რომ მუზეუმისადმი დაქვემდებარებული ძეგლების მოვლა პატრონობის გაუმჯობესების საკითხებს მიეძღვნა საქართველოს კპ მესტიის რაიკომის ბიუროს გაფართოებული სხდომა, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი ე. ხარაძე, ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს უფროსი ი. ციციშვილი, საქართველოს მუზეუმის დირექტორი ლ. ჭილაშვილი, კომპლექსური სამეცნიერო ექსპედიციის ხელმძღვანელი მ. ჩართოლანი, რაიონის პასუხისმგებელი მუშაკები; ბიურომ მიიღო სათანადო დადგენილება, რომელიც ხელს შეუწყობს ამ მნიშვნელოვანი საქმის გაუმჯობესებას.

სამცხე-ჯავახეთის ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიული მუზეუმი აგრძელებდა ხალხდი, შემგროვებლობით, საგამოფენო, აგრეთვე კვლევით მუშაობას. აღსანიშნავია კომპლექსური ექსპედიცია ასპინძის რაიონში, ჭობარეთში, რომელიც მიზნად ისახავს ამ სოფლის წარსულისა და აწმყოს შესწავლას. საანგარიშო წელს მუზეუმში გაიხსნა ახალი ექსპოზიცია, რომელზეც ასახულია მხარის მონაწილეობა დიდ სამამულო ომში. სისტემატიურად ეწყობოდა შეხვედრები ომის ვეტერანებთან, პარტიზანებთან, კუთხის გამოჩენილ ადამიანებთან. მუზეუმის გამოფენები დაათვალიერა 8000-ზე მეტმა კაცმა. ფონდი შეივსო I00-ზე მეტი ახალი ექსპონატით.

მუზეუმმა მჭიდრო ურთიერთობა დაამყარა რეგიონის საწარმოებთან, დაწესებულებებთან, სკოლებთან, აქტიურად მონაწილეობს რაიონის მნიშვნელოვან ღონისძიებებში. შეიძლება ითქვას, რომ დღეს მუზეუმი თვალსაჩინო როლს თამაშობს მხარის კულტურულ ცხოვრებაში.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

## ХРОНИКА МУЗЕЯ ЗА 1985 ГОД

### Изданные научные труды

В 1985 году музеем по общественным наукам изданы:

1. Авторский коллектив – История религии и атеистическая пропаганда в Грузии, Сб., IX, Тбилиси, "Мецниереба".
2. Авторский коллектив – Материалы к этнографическому изучению Лечхуми, Тбилиси, "Мецниереба".
3. Р. Долаберидзе – Материальная культура Грузии XI-XIII вв., Тбилиси, "Мецниереба".
4. М. Макалатия – Скотоводство в горной части Восточной Грузии, Тбилиси, "Мецниереба".
5. Г. Джалабадзе – Путеводитель по этнографическим фондам Государственного Музея Грузии, Тбилиси, "Мецниереба".

Кроме того, особо следует отметить, что по инициативе, под руководством и при непосредственном участии Музея подготовлен и издан I том "Книги вечной памяти", посвященной памяти погибших в Великой Отечественной войне 1941-1945 годов, содержащий фамилии не вернувшихся с войны тбилиссцев; готов к печати II том.

### Учет и хранение музейных коллекций
### Новые коллекции

Как всегда, трудоемкими были музейные работы. В 1985 году химически обработаны – очищены, отреставрированы и законсервированы 1.660 экспонатов; из них бронзовых – 249, серебряных и золотых – 90, железных – 281, стеклянных, каменных, костяных, гагатовых – 500, монет – 279, кератических – 261. В фондах планомерно проводились дезинсекция, нафталинизация, пополнение заспиртованного материала и другие профилактические мероприятия. Велась инвентаризация поступающих экспонатов. В отчетном году фонды пополнились 8,817 экспонатами. Среди них особо следует отметить золотые предметы (кольца, серьги), переданные музею Жинвальской археологической экспедицией, колокольчикообразные филигранные серьги, украшенные бирюзой и жемчугом, золотой крест, украшенный живописной эмалью и драгоценными камнями.

### Экспозиционная работа

Проведена частичная реэкспозиция выставки истории Советской Грузии – в связи с 40-ой годовщиной победы в Великой Отечественной войне пополнен и обновлен соответствующий раздел экспозиции. Обновлена выставка образцов златокузнечества дофеодального периода.

В выставочных залах нового здания Тбилисского историко-этнографического музея отделом этнографии организована временная выставка ковров и паласов, имевшая большой успех. При участии отдела истории Советской Грузии и филиала – Самцхе-Джавахетском историческом музее им.И.Джавахишвили была организована

выставка, посвященная 40-й годовщине Победы; тот же отдел, вместе с Центральным музеем революции (Москва) в Тбилисской школе № 46 организовал выставку "Великая победа".

## Научная пропаганда

Выставки музея посетили 361 031 человек; лекции-беседы проведены с 28 705 школьниками, 84 705 рабочими и служащими, 49 835 колхозниками, 66 196 посетителями других категорий. Общее число лекций и бесед - 21 613.

Проводились также специальные тематические открытые уроки для учащихся 7 и 8 классов. Музейную практику прошли студенты высших учебных заведений Тбилиси - исторических факультетов Тбилисского государственного университета, Педагогического института им.А.С.Пушкина, культпросветительного факультета Театрального института, факультетов искусствоведения и прикладных искусств Академии худджеств, вторичного факультета Политехнического института.

25-го февраля из зала выставки истории Советской Грузии была организована телепередача с участием героев Советского Союза и Социалистического труда, ветеранов войны и труда, передовых представителей проиводства и науки, посвященная 64-ой годовщине установления Советской власти в Грузии. Радиорепортаж из залов музея был организован 18 мая - в Международный день музеев.

10 научных и научно-популярных лекций были прочтены в постоянно действующем лектории музея; их темами были - Советская Грузия в XI пятилетке (к.и.н. Г.Чхаидзе), Грузия в Великой Отечественной войне (к.и.н.О.Чиковани), Храм и храмовое хозяйство в Картли эллинистического времени (д.и.н. Ю.Гагошидзе), эталоны природы заповедников Грузии (доктор биол.наук А.Гегечкори), пустыни Гареджи (канд.архитектуры Г.Гаприндашвили).

## Научные экспедиции

По линии общественных наук Государственным музеем Грузии осуществлены следующие экспедиции:

1. Квемокартлийская археологическая экспедиция (руководитель к.и.н.Т.Кигурадзе)
2. Археологическая экспедиция Бериклдееби (руководитель член-корреспондент АН ГССР, д.и.н. А.Джавахишвили).
3. Шидакартлийская археологическая экспедиция (руководитель д.и.н.Ю.Гагошидзе).
4. Носири-Мухурчская археологическая экспедиция(руководитель к.и.н. Э.Гогадзе).
5. Нокалакевская археологическая экспедиция (руководитель доктор искусствоведения, проф.П.Закарая).
6. Алевская археологическая экспедиция (руководитель к.и.н. Н.Абхазава).
7. Казретская археологическая экспедиция (руководитель к.и.н. М.Синауридзе)
8. Квемокартлийская археологическая экспедиция (руководитель д.и.н. Г.Джалабадзе).
9. Сванетская археологическая экспедиция (руководитель к.и.н. М.Чартолани).
10. Экспедиция отдела истории религии и научного атеизма(руководитель к.и.н. М.Хуцишвили).
11. Арехологическая экспедиция Ванис-Квабеби (руководитель кандидат архитектуры Г.Гаприндашвили).

I2. Спелеистическая экспедиция Гареджис удабно (руководитель кандидат архитектуры Г.Гаприндашвили.

I3. Археологическая экспедиция Кция-Храми (руководитель Н.Бахатадзе).

Государственный музей Грузии им.С.Н.Джанашиа за победу во Всесоюзном смотре научно-просветительной работы музеев, посвященном 40-летию победы Советского народа в Великой Отечественной войне, награжден дипломами I степени министерства культуры СССР и министерства культуры ГССР.

## Зарубежная выставка

С I3 августа до 24 ноября I985 года в Токио и Осака (Япония) была организована выставка на тему: Контакты Востока и Запада в древнейшее время и в раннем средневековье (шелковый путь)". Организаторами выставки являлись экономическая газета Нихон кеизей шимбун и Министерство культуры СССР. Экспозиционный материал был укомплектован на базе фондовых материалов Государственного Эрмитажа и ряда музеев СССР. Из Государственного Музея Грузии на указанной выставке было представлено 7 экспонатов: золотая подвеска с изображением коней(Ахалгори), золотая розетка (Ахалгори), золотой браслет, диадема и ожерелье, состоящее из фигур черепах (Вани), серебряная диадема (Вани) и серебряная чаша с изображением коня(Армазисхеви). Выставка имела большой успех, о чем говорят многочисленные рецензии и отзывы специалистов, напечатанные на страницах японской прессы. I3 сентября выставку посетил кандидат в члены политбюро ЦК КПСС, министр культуры П.Демичев. В связи с организацией указанной выставки в Японию был командирован директор Государственного Музея Грузии, профессор Л.А.Чилашвили.

## Филиалы

Основной заботой Историко-этнографического музея Сванети по-прежнему являлись учет и охрана многочисленных ценных памятников, собранных как непосредственно в его фондах, так и в подчиненных ему зональных хранилищах, и их пополнение.

Продолжалась сверка материалов зональных хранилищ, выявление среди населения и учет памятников древности; фонды музея пополнились рядом значительных этнографических экспонатов.

К началу туристического сезона пополнена новыми экспонатами выставка, число посетителей которой достигло I2 000.

Следует отметить как весьма значительный, факт проведения расширенного заседания бюро Местийского районного комитета КП Грузии, посвященного вопросам улучшения дела охраны памятников,подведомственных Музею, в котором приняли участие президент АН ГССР Е.К.Харадзе, его заместитель по общим вопросам Т.Хоситашвили, начальник Главного управления по охране памятников И.Цицишвили, директор ГМГ Л.Чилашвили, зав.отделом этнографии западногрузинского нагорья М.Чартолани, ответственные работники района; принятое постановление будет способствовать дальнейшему улучшению этого важного дела.

Самцхе-Джавахетский исторический музей им.И.Джавахишвили в отчетном году продолжал фондовую, экспозиционную и исследовательскую работу. Весьма успешной следует считать комплексную экспедицию, организованную музеем в Аспиндзском районе для изучения прошлого и настоящего сел.Чобарети; собран интересный вещественный материал и информация. В фондах поступило более I00 экспонатов. К 40-ой годовщине Победы организована и открыта новая экспозиция, отражающая участие региона в Великой Отечественной войне; в связи с этим на

экспозиции систематически проводились встречи с ветеранами войны, партизанами. видными людьми района. Устновлены прочные связи с предприятиями, учреждениями, школами региона; музей принимал активное участие во всех значительных мероприятиях района, играет видную роль в его культурной жизни.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღ. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი

## საბჭოთა მუზეუმების გამოფენა იაპონიაში

1984 წელს სსრკ კულტურის სამინისტროსა და იაპონიის ეკონომიკურ გაზეთს („ნიჰონ კეზაი შიმბუნ“) შორის მიღწეული შეთანხმების საფუძველზე გადაწყვეტილ იქნა საბჭოთა კავშირის მუზეუმების კოლექციების ბაზაზე მოწყობილიყო გამოფენა ტოკიოსა და ოსაკაში თემაზე: „-აღმოსავლეთისა და დასავლეთის კულტურული კონტაქტები უძველეს დროში და ადრეულ შუასაუკუნეებში („აბრეშუმის გზა“). საგამოფენო მასალები შერჩეულ იქნა ლენინგრადის ერმიტაჟის თანამშრომლების მიერ ეკონომიკური გაზეთის ხელმძღვანელობის სურვილების გათვალისწინებით.

თემატური გეგმის მიხედვით, ექსპოზიციისათვის ორასამდე ექსპონატი იყო გათვალისწინებული და ის უნდა დაკომპლექტებულიყო ლენინგრადის ერმიტაჟის, მოსკოვის აღმოსავლეთის ხალხთა ხელოვნების მუზეუმის, ყაზახეთის მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიის, ისტორიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის, ყაზახეთის ცენტრალური სახელმწიფო მუზეუმის, თურქმენეთის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის, ტაჯიკეთის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის, უზბეკეთის კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის, უზბეკეთის ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის, ყირგიზეთის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის კოლექციებით. საქართველოდან გათვალისწინებული იყო ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო და ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმების ექსპონატები. გამოფენის მოწყობა დაგეგმილი იყო 1985 წლის აგვისტო-ნოემბერში.

წინასწარი მოსამზადებელი სამუშაოების განხორციელების შემდეგ, ძირითადი საექსპოზიციო მასალა, რომელსაც თავი მოუყარეს ლენინგრადის ერმიტაჟში, გაიგზავნა იაპონიაში 1985 წლის აგვისტოში. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ექსპონატები გაგზავნილ იქნა მოგვიანებით, 9-სექტემბერს.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმიდან გამოფენაზე იყო გამოტანილი 7-ექსპონატი: ოქროს სასაფეთქლე საკიდი ცხენების გამოსახულებით (ახალგორი), ოქროს ბალთა-ვარდული (ახალგორი), ოქროს დიადემა (ვანი), ოქროს ყელსაბამი კუს გამოსახულებით (ვანი), ოქროს სამაჯური ტახის გამოსახულებით (ვანი), ვერცხლის დიადემა (ვანი), ვერცხლის პინაკი ცხენის გამოსახულებით (არმაზისხევი).

ტოკიოში გამოფენა მოეწყო ნაციონალური მუზეუმის ექვს დარბაზში, გაიხსნა 1985 წ. 13 აგვისტოს. გამოფენამ დიდი ინტერესი გამოიწვია, ყოველდღიურად მას ათვალიერებდა საშუალოდ სამი ათასი კაცი. ექსპოზიციის შემეცნებას დიდად უწყობდა ხელს მდიდრულად გამოცემული კატალოგი, რომლის შესავალი წერილი, განმარტებები და ანოტაციები იაპონურ ენაზე იყო შედგენილი. ექსპონატების სია, მოკლე ანოტაციები და ბიბლიოგრაფია დართულია ინგლისურ ენაზე. რუსულ ენაზეა ბიბლიოგრაფია და საკატალოგო სტატიების ავტორთა ნუსხა. ტოკიოს გამოფენის ორგანიზატორები იყვნენ ეკონომიკური გაზეთი და ტოკიოს ნაციონალური მუზეუმი.

თვენახევრის შემდეგ გამოფენა უკლებლივ გადატანილ იქნა ოსაკაში. აქ გამოფენა გაიხსნა 8-ოქტომბერს, დაიხურა 24 ნოემბერს. ოსაკაში გამოფენის ორგანიზატორები იყვნენ: ეკონომიკური გაზეთი, ოსაკის ხელოვნების მუზეუმი და ოსაკის ტელევიზია. იაპონიაში საბჭოთა გამოფენას კურირებას უწევდნენ იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტრო, იაპონიის კულტურულ საქმიანობათა სააგენტო და სსრკ საელჩო იაპონიაში. 12 სექტემბერს ტოკიოში საბჭოთა გამოფენა დაათვალიერა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა სსრკ კულტურის მინისტრმა პ. დემიჩევმა. მან მაღალი შეფასება მისცა გამოფენას-საგანგებოდ აღნიშნა მისი როგორც მეცნიერული, ისე მხა-

ტვრული შემეცნების ღირსებანი. იაპონიის ოფიციალურ პირებთან შეხვედრისას საგანგებოდ იქნა ხაზგასმული საბჭოთა გამოფენის – ორი დიდი ქვეყნის კულტურული ურთიერთობის დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებების შესახებ და გამოითქვა სურვილი კულტურის სფეროში თანამშრომლების გაღრმავებისა, კერძოდ კი მსგავსი გამოფენების გაცვლის თაობაზე.

იაპონიაში მოწყობილი გამოფენისადმი დიდი ინტერესი გამოწვეული იყო უპირველესად ყოვლისა, მეტად მნიშვნელოვანი და იშვიათი კოლექციების გამო. აქ იყო ექსპონირებული ერმიტაჟის აღმოსავლეთის განყოფილების მდიდრული და უნიკალური ექსპონატები, შუა აზიის საბჭოთა რესპუბლიკების მუზეუმების და არქეოლოგიური ცენტრების კოლექციები, საქართველოს ორი დიდი მუზეუმის ექსპონატები. უხვად იყო წარმოდგენილი ოქროს და ვერცხლის ნაკეთობანი, სკულპტურა, ფრესკული მხატვრობა, მცირე ხელოვნების ნიმუშები, ქსოვილი და სხვა., რომელთა მიხედვითაც შეიძლებოდა მსჯელობა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ხალხების კულტურული მემკვიდრეობაზე მათი ურთიერთობის ამსახველ კულტურულ-ისტორიულ მომენტებზე. აქცენტი იყო გამახვილებული „აბრეშუმის გზის“ ცალკეული მონაკვეთების ჩამოყალიბებაზე და განვითარებაზე ვრცელ ტერიტორიაზე, ჩინეთიდან დაწყებული ხმელთაშუაზღვეთის აღმოსავლეთ რეგიონამდე. გამოფენაზე, საერთო დამახასიათებელ ნიშნებთან ერთად მრავალფეროვანი ხელოვნების ნიმუშებით ბევრი ლოკალური თვისებების ამსახველი მასალა იყო წარმოდგენილი, კერძოდ, ამ უკანასკნელი მოტივით იყო ნაკარნახევი საქართველოს მუზეუმების ექსპონატების ჩართვა გამოფენაში, რომელთაც ერთგვარი, გამორჩეული კუთხე შექმნეს ექსპოზიციაში და მნახველს შესაძლებლობა ჰქონდა გაცნობოდა კულტურის ადგილობრივ წრეს და მის როლს საერთო განვითარებაში სწორედ აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობათა შუქზე.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ძვ.წ. V–IV სს. დათარიღებული ოქროს ნაკეთობანი (ერმიტაჟის კოლექციები), V–III სს. დათარიღებული თუმულუს იზაკში აღმოჩენილი „ოქროს კაცი“, სასანური ვერცხლი, ფენჯიკენტის ფრესკები და სხვა. გამოფენის ზედა ქრონოლოგიური ზღვარი IX–X სს შემოიფარგლებოდა. დიდი წარმატება ჰქონდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ექსპონატებს, განსაკუთრებით კი ახალგორის ცხენების გამოსახულებებთან სასაფეთქლე საკიდს, რომლის შესახებაც ვრცელი რეცენზია იყო გამოქვეყნებული და კუს გამოსახულებით შემკულ გულსაკიდს ვანიდან.

იაპონიის მასობრივი ინფორმაციის წყაროები გამოფენის დღეებში უხვად აშუქებდნენ ექსპოზიციას-გარდა მიმოხილვითი და საცნობარო წერილებისა, ქვეყნდებოდა რეცენზიები და ვრცელი ანოტაციები ცალკეულ ექსპონატთა შესახებ, იბეჭდებოდა ნივთების ფერადი ილუსტრაციები და ინფორმაციები გამოფენის შესახებ. საბჭოთა გამოფენის თანმხლები სპეციალისტები დამთვალიერებლებს აძლევდნენ ა მომწურავ ინფორმაციას გამოფენის ექსპონატების, ასევე ჩვენში არქეოლოგიური სამუშაოების მიმდინარეობისა და სამუზეუმო ცხოვრების შესახებ. მათ მიერ წაკითხული იყო რამდენიმე ლექცია ტოკიოს ნაციონალურ მუზეუმში და ოსაკის ხელოვნების მუზეუმში. მსმენელები დიდი ინტერესით და ყურადღებით შეხვდნენ კ. აკიშევის (ყაზახეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი), ბ. მარშაკის (ლენინგრადის ერმიტაჟი), ა. ლესკოვის (მოსკოვის აღმოსავლეთის ხალხთა ხელოვნების მუზეუმი) და ლ. ჭილაშვილის (საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი) გამოსვლებს.

ორივე ქალაქში გამოფენა ბრწყინვალედ განახორციელა იაპონელთა მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა ჯგუფმა, რომლის საქმიანობაც მაღალი პროფესიონალიზმით არის გამორჩეული. საერთოდ, თანამედროვე დიზაინი იაპონიის მუზეუმში მაღალ დონეზე დგას, ეს ეხება როგორც ექსპოზიციების მხატვრულ გაფორმებას, ისე თანამედროვე ტექნიკური მიღწევების გამოყენებას სამუზეუმო საქმიანობაში.

ექსპოზიციის თანმხლებ საბჭოთა სპეციალისტებს საშუალება ჰქონდათ გაცნობოდნენ იაპონიის სამუზეუმო ცენტრებს, არქიტექტურის ძეგლებს, არქეოლოგიურ სამუშაოებს-როგორც უშუალოდ ტოკიოსა და ოსაკაში, ისე კიოტოში, ჰაკონესა და ნარაში, განსაკუთრებით არის აღსანიშნავი თანამედროვე ტექნიკის გამოყენება არქეოლოგიური თხრის და ფიქსაციის დროს, ასევე საცნობარ-საინფორმაციო სამსახურის მაღალი დონე, რასაც ყველა ახალ მუზეუმში შეიძლება გაეცნოთ. ამ მხრივ განსაკუთრებული აღნიშვნის და

ქების ღირსია ოსაკას ეთნოლოგიური მუზეუმი.

იაპონიაში საბჭოთა გამოფენის დემონსტრირების პერიოდში ტოკიოში ბევრი საინტერესო დროებითი გამოფენა იყო მოწყობილი („ექსპო 85", მოდილიანის, ვან-გოგის, იმპრესიონისტების, იაპონური კერამიკის, ჩიკაგოს მუზეუმის და სხვ.), მიუხედავად ამისა საბჭოთა გამოფენას მნახველი არასოდეს მოკლებია და ინტერესი მის მიმართ ყოველთვის დიდი იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ტაბულების აღწერილობა

ტაბ. I. სამგლე კლდის მღვიმე
ტაბ. II სამგლე კლდის მღვიმის პირველი დარბაზი
ტაბ. III სამგლე კლდის მღვიმის გეგმა
ტაბ. IV სამგლე კლდის მღვიმე. ქვის და ძვლის ინვენტარი
ტაბ. V სამგლე კლდის მღვიმე. ქვის ინვენტარი
ტაბ. VI დავით აღმაშენებლის ბიზანტიურტიტულებიანი ვერცხლის მონეტები
ტაბ. VII თეიმურაზ II ქვემეხი
ტაბ. VIII წარწერა სოლომონ მეფის ქვემეხზე
ტაბ. IX პალეოლითური მასალა არადეთის ორგორადან
ტაბ. X ზახორის სამარხის ინვენტარი: I. ბრინჯაოს ჭვირული ბალთა, 2. ბრინჯაოს ფიბულის ფრაგმენტი
ტაბ. XI ზახორის სამარხის ინვენტარი: I. ბრინჯაოს ზარაკი, 2. ვერცხლის ბეჭედი მინის გემით, 3. ლომის გამოსახულება გემაზე, 4. შემთხვევით აღმოჩენილი მინის საბეჭდვის გამოსახულება (სომხეთის სსრ, ს. მაიმჯუხი) 5. გოტარზეს მონეტა
ტაბ. XII ზახორის სამარხში აღმოჩენილი მძივები და მძივსაკიდები
ტაბ. XIII-XIV სვანური კიდობნები
ტაბ. XV სასანური სპილენძის მონეტები
ტაბ. XVI ვარაჰრან VI დრაქმები

## Описание таблиц

Табл.I. Пещера Самгле клде
Табл.II. Самгле клде (I зал)
Табл.III. План пещеры Самгле клде
Табл.IУ. Каменный и костный инвентарь пещеры Самгле клде
Табл.У. Каменный инвентарь пещеры Самгле клде
Табл.УI. Серебряные монеты Давида Строителя с Византийским титулом
Табл.УII. Пушка царя Теймураза II
Табл.УIII. Грузинская надпись на пушке царя Соломона
Табл.IX. Палеолитический материал из Арадетис оргора.
Табл.X. Инвентарь из погребения с.Захори: I.Бронзовая ажурная бляха, 2. Фрагмент дугообразной бронзовой фибулы.
Табл.XI. Инвентарь из погребения с.Захори: I.Бронзовый колокольчик, 2. Серебряный перстень зеленым литиком, 3. Изображение льва на литике, 4. Изображение стеклянной печати(случайная находка.Ар.ССР, с.Маимджух), 5. Монета Готарза.
Табл.XII. Бусы и подвески из погребения с.Захори.
Табл.XIII-XIУ. Сванские "Кидобани"
Табл.XУ. Сасанидские медные монеты из собрания Гос.Музея Грузии.
Табл.XУI. Драхмы Варахрана УI.





ეროვნული ბიბლიოთეკა




ეროვნული ბიბლიოთეკა

IV

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა




I7. მოამვე, XXXIX-B

ეროვნული
ბიბლიოთეკა


1


2


3


4


5


6

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა



1



2

ეროვნული
ბიბლიოთეკა



1



2



3



4



5

ეროვნული ბიბლიოთეკა



1

ეროვნული ბიბლიოთეკა



1



2

I8. მოაშზე, XXXIX- B

ეროვნული ბიბლიოთეკა



1



2

ეროვნული
ბიბლიოთეკა





2



3

ეროვნული ბიბლიოთეკა



20949



20950



20951



20952



21677



21678



21679

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სარჩევი - Содержание

### სტატიები - Статьи


მ. ნადარაია - კიდევ ერთხელ ცხენიანი პინაკების შესახებ 5

М.А.Надарая - Вновь о чашах с изображением лошадей (резюме) 8

თ. გელაძე - კოლექტიური შრომის ფორმა-დაძახილი 9

Т.Геладзе - Форма коллективного труда - дадзахили (резюме) I9

მ.ქანთარია - ადიღეს სამეურნეო ყოფის ეთნიკური ასპექტები 20


### ინფორმაციები - Информации


ნ. თუშაბრამიშვილი - ზედაპალეოლითური ხანის მასალები სამგლე კლდის მღვიმიდან 33

Н.Тушабрамишвили - Верхнепалеолитические материалы из пещеры Самгле клде (резюме) 40

А.Т.Мусхелишвили, Т.К.Мешвелиани, Новые данные о фауне грызунов верхнего палеолита Западной Грузии (Тоган-Клде) 42

რ. ქებულაძე-დავით აღმაშენებლის ბიზანტიურტიტულებიანი ვერცხლის მონეტები 45

Р.Кебуладзе - Серебряные монеты Данида Строителя с Византийским титулом (резюме) 5I

ზ. სხირტლაძე- ეკლესია-მონასტერთა გამოსახულებები შუა საუკუნეების ქართულ სახვით ხელოვნებაში 52

ქ. ჩოლოყაშვილი - ქვემეხები ასომთავრული წარწერებით

К.Чолокашвили - Пушки с грузинскими надписями (резюме) 58

ვ. ცისკარიშვილი - რუსულ ზარებზე მოთავსებული ქართული წარწერები 63

В.Цискаришвили - Грузинские надписи на русских колоколах (резюме) 64

ქ.მუშკუდიანი - რევოლუციამდელი თბილისის ასანთის წარმოება 65 66

К.Мушкудиани - Спичечное производство в дореволюционном Тбилиси (резюме) 70


### სამუზეუმო კოლექციები - Музейные коллекции


გ. ჯავახიშვილი - პალეოლითური მასალა არადეთის ორგორადან 71

Г.Джавахишвили - Палеолитический материал из Арадетис Оргора (резюме) 72

ქ. ჯავახიშვილი - გვიანანტიკური ხანის სამარხული კომპლექსი ს. ზახორიდან 73

К.Джавахишвили - Позднеантичное погребение из с.Захори(резюме) 79

ლ. ბედუკიძე - სვანური კიდობანი 8I

Л.Бедукидзе - Сванский ларь - "Кидобани" (резюме) 87

М.Цоцелия - Медные сасанидские монеты в собрании Гос.Музея Грузии 88

მ. წოწელია - საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ვარაჰრან VI-ის დრაქმები 94

М.Цоцелия - Драхмы Варахрана УI из собрания Гос.музея Грузии (резюме) I02

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია - Критика и библиография

ა. ჯავახიშვილი - ა.ჭყონია, ოქროს სამკაული ვანის ნაქალაქარიდან I03

მუზეუმის I984-85 წწ. ქრონიკა I08

Хроника музея I984-85 гг. II6

ლ.ჭილაშვილი - საბჭოთა მუზეუმების გამოფენა იაპონიაში I20

Описание таблиц I24

ტაბულების აღწერილობა I23

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

სბ 2984

გამომცემლობის რედაქტორი ლ. კოტრიკაძე
მხატვრული რედაქტორი ი. სიხარულიძე
ტექრედაქტორი ნ. ბოკერია
კორექტორი ნ. ფიფია
გამომშვები ე. მაისურაძე

გადაეცა წარმოებას I4.7.1987 ; ხელმოწერილია დასაბეჭდად 24.6.1987 ;
ქაღალდის ზომა 70XI08I/I6 ; ქაღალდი ოფსეტური ; ბეჭდვა ოფსეტური ;
პირობითი საბეჭდი თაბახი I2,6 ; პირ.საღ.-გატ. I3,I ; სააღრიცხვო-
საგამომცემლო თაბახი I0,7 ;
უე 00964 ; ტირაჟი 500 ; შეკვეთა №2491

ფასი I მან. 60 კაპ.

---

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი 380060, კუტუზოვის ქ. I9
Издательство "Мецниереба", Тбилиси 380060, ул.Кутузова, I9

---

საქ.სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი 380060, კუტუზოვის ქ. I9
Издательство "Мецниереба", Тбилиси 380060, ул.Кутузова, I9

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# Вестник
# Государственного музея Грузии
# им. С.Н.Джанашиа

XXXIX-B

"Мецниереба"

Тбилиси

I987

# ს.ჯანაშიას სახელობის საქართველოს
# სახელმწიფო მუზეუმის
# მ ო ა მ ბ ე

XXXIX-B

„მეცნიერება"

თბილისი

1987

ყ1/1
ელექტრონული ბიბლიოთეკა